საქართველოს პუბლიკური
მეცნიერებათა აკადემია

წმიდა ილია მართლის სახელობის
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

ვიქტორ (ლევან) ასათიანი

დაუვიწყარი სახეები

თბილისი
2003

ეს წიგნი ერთი სიღრმე მოაზროვნე ქართველი კაცის განცდილი და ნაფიქრალია. მან საკმაოდ შინაარსიანი ცხოვრების პირველი ნახევარი უკვე განვლილ და შეეცადა შვილის, მშობლის, მოსწავლის, პედაგოგის, შემოქმედის, მეცნიერისა და მეგობრის მისეული თვალი გადაეყვლილ ამ გზაზე შემხვედრ ადამიანთა სიყვარულის, თანადგომისა თუ სხვა, არაერთგვაროვანი ურთიერთობისათვის.

ლევან ასათიანის საწუთისოფლო ღვაწლმოსილება, როგორც მწერალი ლევან სანიკიძე წერდა, - „ზენაარ მადლით სინთეტურად აერთიანებს ამ ორ ფენომენს - ხელოვნებას და მეცნიერებას.

მისი ხელოვნება სიმღერაა - დიდი ქართული კლასიკური სიმღერა, ხოლო მეცნიერება - ღრმააზროვანი ეროვნული პედაგოგიური-აღმზრდელობითი ისტორია“.

„დაუეიწყარი სახეები“ იმის დასტურია, რომ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, მამა-პაპათა რწმენის ერთგულება, მაღალ-ზნეობრიობა, „სიმტკიცე ეროობისა და სიყვარულისა“ აცოცხლებს ადამიანს, ავსებს მას და უსახავს მიზანს: „გვიყვარდეს ერთმანეთი, რამეთუ ღმერთისაგანაა სიყვარული, ხოლო ყოველი, ვისაც უყვარს, ღმერთისაგან არის შობილი და იცნობს ღმეროს“.

რედაქტორი — არჩილ. გურამ სანდამიშვილი

მსატვარი — დოც. ლაშა ასათიანი

ISBN 99928-39-79-1

საქართველოს პუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიქტორ (ლევან) ასათიანი საოცდაათი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რვა მონოგრაფიის ავტორია. იგი დაიბადა 1945 წლის 1 იანვარს. 1966 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1968 წელს დაიბეჭდა მისი პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა. მას შემდეგ ლ. ასათიანი ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროა პედაგოგიკის თეორია და ისტორია. მუშაობს პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლებისა და მეთოდოლოგიის პრობლემებზე. ძირითადი ნაშრომებია: 1. ქართული პედაგოგიკური აზრი და მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა, თბ., 1989 წ.; 2. დიდი იაკობი, თბ., 1991 წ.; 3. მოზარდი თაობის პარმონიული განვითარებისათვის, თბ., 1993 წ. (რუსულ ენაზე); 4. მოზარდი თაობის პარმონიული განვითარების პრობლემა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა შემოქმედებაში, თბ., 1993 წ.; 5. ქართველ განმანათლებელთა ნაკვალევზე, მოსკოვი, 1994 წ. (რუსული გამოცე-

მა); ნ. ხელოვნების როლი ადამიანის პარმონიული განვითარების განმანათლებლურ კონცეფციაში, თბ., 1996 წ.; . პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები (პროფ. რ. ბალანჩივაძესთან თანააუ-ტორობით), თბ., 1997 წ. და სხვ. არის მრავალი სამეცნიერო-პედა-გოგიური და საინფორმაციო-რეფერატული კრებულის, სახელმძღვანელოს მასალისა და სახელმძღვანელოს შემდგენელი, რედაქტორი და თანააუტორი. იგი კითხულობს ლექციებს, თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან. მი ნაწილეობს რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. არის სხვადასხვა საზოგა-დოების, სამეცნიერო და სარედაქციო საბჭოს წევრი.

ლ. ასათიანმა 1969 წელს დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელო-ბის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 1970 წლიდან 1993 წლამდე იგი ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტია. მის რეპ-ერტუარშია ბარიტონის წამყვანი პარტიები: კიაზო და მურამანი ზ. ფალიაშვილის ოპერებში „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“, ლეონი ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში“, ჩალხია ო. თაქთაქიშვილის „შინდ-იაში“, გელა რ. ლაღიძის „ლელაში“, უერმონი და ამონასრო ჯ. ვერ-დის „ტრავიატასა“ და „აიდაში“, ვალენტინი შ. გუნოს „ფაუსტში“, ონეგინი და ხაკია პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინსა“ და „იოლანტაში“ და სხვ. გამოსულა გერმანიის, იტალიის, თურქეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ლატვი-ის, ლიტვის, ესტონეთის, უზბეკეთის, მოლდავეთის, ბელორუსიის სხ-ვადასხვა ქალაქების საოპერო თეატრებისა და საკონცერტო დ-ბაზების სცენებზე. გაუმართავს სოლო კონცერტები. შეუსრულებია ქართველ, ევროპის კლასიკოსთა და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ლ. ასათიანს მინიჭებული აქვს იაკობ გოგებაშვილის პრემია, და-ჯილდოებულია საერთაშორისო საზოგადოების „მშვიდობის მედრი-შის“ დიპლომით საშვიდობო მისიაში აქტიური მონაწილეობისათვის და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის წმიდა გრიგორი ნარეკაცის მედლით.

ვუძღვნი მარად დაუვიწყარ ხატებას, ზეცად ამაღლებულ ანგელოზს, ჩემს შვილიშვილს, პატარა ლევანიკო ახალიანს.

გულისთქმა

ჩემი მსაჯული ჩემი ტკივილია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან.

ილია

ჩვენ ქრისტიანები ვართ და კარგად გვესმის, რომ სიცოცხლის აზრი მხოლოდ სიკეთე და სიყვარულია. ცხოვრება სიბრძნეა და კეთილგონიერება შთაგვაგონებს მოკრძალებას წინაპართა სახელებისადმი, იმ ადამიანებისადმი პატივგებას, რომლებიც ჩვენს სულიერ წრთობას, ადამიანად და ზნეობრივ პიროვნებად ჩამოყალიბებას სარანგად ედგნენ. ქრისტიანული მორალი გვავალებს მოწყალებას მოყვასისადმი, სხვის არგანკითხვას, უშურველობას, კაცთმოყვარეობას, ღვაწლის დაფასებას, ეროგულებას და კიდევ და კიდევ სიყვარულს.

„უთუოდ უბედური იქნება ის, ვინც თავლყურს არ ადევნებს საკუთარი სულის მოძრაობას“, - წერს მარკუს ავრელიუსი. და რადგანაც „კაცის სიცოცხლე წამია მხოლოდ. მისი არსი - მარად მედინი. შეგრძნება ბუნდოვანი, აღნაგობა სხეულისა ხრწნადი, სული - ცთომილივით მოხეტიალე, ბედი - იდუმალი. დიდება - ფუჭი. ერთი სიტყვით ყველაფერი სხეულისეული ნაკადს წაადგავს, სულისეული - სიზმარს, კვამლს, ნისლს. ცხოვრება ბრძოლაა და ხეტიალი უცხო მხარეში, სიკვდილშემდგომი დიდება - დავიწყება. მაშ, რაღას მივყვეთ, რა გვიწინამძღვრებს? სიბრძნის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ“.

სიბრძნის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ! - დიდებული შეგონებაა, იგი ხომ სამყაროსა და საკუთარი თავის შემეცნებაში გვეხმარება, საკუთარი მოვალეობის შეგნებას გვიმტკიცებს და ჩვენი წამიერი სიცოცხლის ეროადერთ მიზნად სიმართლისა და კეთილდღეობისათვის თავდადებას გვისახავს.

თუ „სიტყვითა და საქმით ემსახურები სიმართლეს, შეგიძლია

ბედნიერად ჩათვალო თავი“, - გვმოძღვრავს დიდი მოაზროვნე. და რადგანაც საკუთარი სულის მოძრაობას, გულისთქმასა და გრძნობის კარნახს მივყვები, მიმაჩნია, რომ სიმართლისა და კეთილდღეობის სამსახურისათვის მოვალე ვარ იმ ადამიანთა სახელები ორიოდე თბილი სიტყვით მოვიხსენიო, რომლებმაც ჩემი ცხოვრების გზაზე სიბრძნე, სიყვარული და სინათლე შემომაშუქეს და სიკეთის ქმნის აუცილებლობა შთამაგონეს.

ჩემს ნაფიქრალს „დაუვიწყარი სახეები“ დავარქვი და მათი ღვაწლის მცირედი წარმოჩენა ვცადე.

გამორჩეულად დიდ და დაუვიწყარ სახედ ჩემი ცხოვრების დაისში, პატარა ლევანიკო ასათიანი აკიაფდა, რომელმაც საერთოდ შეცვალა ყველა ამქვეყნიური ღირებულების ფასი და საწუთროს გაუგებარ ოროტრიალში ფიქრთა გამაოგნებელ გვარიობას გვაზიარა. მაგრამ, რადგან ცხოვრება თავის გზით მიდის, ღამეს დღე ცვლის, სიბნელეს - სინათლე და სიცოცხლე მაინც იმარჯვებს, თავად ლევანიკოს ღვთით ამაღლებამ, ქრისტიანულმა რწმენამ, ღვთის ნებით, სული რომ უკვდავია და მუდამ ჩვენს შორისაა, შრომის გაგრძელების მცირედი ძალა მომმადლა და ჩემთვის დაუვიწყარი სახეების მოფერების უნარი მომცა.

სამოც წელს მიახლოებულ და მით უფრო, ცივილიზაციის ორ ფენომენთან შეჭიდებულ კაცს, თანაც, თუკი მას სიკეთის დანახვა შეუძლია, საფიქრალს და გასააზრებელს რა დაულევს. საწუთისოფლო ხომ უცილობლად სიკეთისა და ბოროტების გამუდმებული ჭიდილია და ნათელი ბნელს ვერასოდეს ეგუება. ამის დასტური, რომ ჩემთვის დაუვიწყარი სახეები ბოროტებას ყოველთვის ამარცხებენ. ისინი მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულის სამსახურში დაღლილი ადამიანები არიან.

მშობლები

თუკი რაიმე მისწავლია, თუ ჩემი ცოდნა და ენერგია მხოლოდ სიკეთისა და ადამიანების სიყვარულისთვის მიმიძღვნია, უპირველესად ჩემს მშობლებს უნდა ვუმადლოდე. ისინი კეთილგონიერი, განათლებული და მშრომელი ადამიანები იყვნენ. სიცოცხლის მიზნად ქვეყნის სამსახური, ახლობლებისა და მეზობლებისათვის სიყვარული, სითბო და თანადგომა მიანიჭდათ. ცოტათი კმაყოფილდებოდნენ, მზეს შეხაროდნენ და თავს ბედნიერად გრძნობდნენ. უხაროდათ, როცა ჩვენს სამშობლოში სიმშვიდე, ადამიანების ურთიერთპატივისცემა და შრომისადმი სიყვარული სუფევდა. ამ პრინციპებით მზრდიდნენ, უფროს-უმცროსობის კდემამოსილ გრძნობებს შთამაგონებდნენ და წიგნის სიყვარულს მინერგავდნენ. წიგნის სიყვარული ვახსენე და არცთუ უმიზეზოდ. წიგნები იყო ჩვენი ოჯახის სიმდიდრე და ამით ვამაყობდით კიდეც. არ დამავიწყდება სასკოლო არდადეგების დროს რა გულდაგულ ამირჩევდა დედაჩემი ჩემთვის შესაფერ ლიტერატურას, მთელ ჩემოდანს გამივსებდა და სიყვარულით მეტყოდა, ამ სამ თვეში, ამ წიგნების წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდები და კიდევ უფრო მეტ სინათლეს დაინახავო. მე პატარაობიდანვე შენივეული ვიყავი კითხვას და მიყვარდა კიდეც. სიამოვნებით დავავლებდი ხელს წიგნებით სავსე ჩემოდანს და სიხარულით მივემგზავრებოდი ჩემს ლამაზ სოფელში, სადაც დიდი სიყვარული მელოდა. მელოდა ბებია და ბაბუა, რომლებსაც გადამწყვეტი როლი მიუძღვით ჩემი ადამიანური თვისებების, კაცური კაცობის და განსაკუთრებით დედაბუნების, მიწის, მზისა და ჩვენს გარშემო მყოფი სამყაროს შეყვარებაში. არასოდეს დამავიწყებია ის ბედნიერი დღეები, როცა სოფლელ ბავშვებთან ერთად დავდიოდი სათოხარში, ჩაიში, ვაჭენებდით ცხენებს, ვუყლიდით საქონელს და ვბანაობდით სოფლის ღელე-მდინარეებში. ყოველ დღე რაღაც შეუცნობელი სიკაშკაშით თენდებოდა, ღრმა შთაბეჭდილებებით იავსებოდა და საოცარი ფერებით ღამდებოდა. ძრავალ მოსაგონარია-

გან ერთს გავიხსენებ. ზაფხულის დღე იყო, სახლში ფუსფუსებდნენ და სტუმრიანობისათვის ემზადებოდნენ. ნადი ვეეყოლებათ, თქვა ბაბუამ და თოხები მოამზადა. ალიონზე კაცების ხმაურმა გამაღვიძა. აივანზე გამოვედი და ეზოს გადავხედე. ჩვენი მეზობლები მოსულიყვნენ, რიბირაბოზე ზოგიერთის სახეს ვერ ვარჩევდი, მაგრამ კარგად დავინახე, როგორ გამოვიდა ბებია, იგი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა თავისი აღნაგობით, გრძელი ნაწნავებით, ცოტა მკაცრი, მაგრამ სახიამოვნო ხმით. მას ხელში ლარნავი ექირა, რომელზეც დიდ ნაჭრებად დაჭრილი ხაჭაპური ეწყო, ბაბუას კი ორნახადი არყის სურა და პატარა სირნები მოექონდა. სამჯერ ჩამოატარეს არყის სირჩა და ხაჭაპური, სამჯერ დაილოცეს, ახსენეს ღმერთი, აიღეს თავიანთი თოხები და ჭიშკარს მიაშურეს. ნადის ორმა მონაწილემ ხაჭაპური სამჯერვე გადაიღო, არყის დალევაზე კი თავი შეიკავა. როცა მონადეები ნელ-ნელა გაიკრიფნენ, ბებიამ იმ ორ თოხოსანს მორიდებით დაუძახა და უთხრა: ჩემო ცონცრო და იულონ, სახლში წადით, თქვენ სათოხარში არ გამომადგებითო! ბებია დიდი გვარიშვილი იყო. კარგი სათჯახო განათლება ჰქონდა მიღებული, გამოირჩეოდა დახვეწილი სიტყვაპასუხით და ადამიანებთან ურთიერთობების ადვილად მოგვარებით. ბევრჯერ შევსწრებიყარ მეზობელი უბნებიდან მოსულ ხალხს, რომლებიც შედიატორობას თხოვდნენ მას. ისიც ჩვეული სიდინჯითა და სიდარბაისლით აწესრიგებდა სოფლის მოსახლეთა სხვადასხვა პრობლემას. უყვარდა ლიტერატურა, ისტორიული მოთხრობები და სიამოვნებით გვიყვებოდა საინტერესო ამბებს. ბებიამ და ბაბუამ ოთხი შვილი გაზარდეს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თავიანთი მამულიშვილობითა და კეთილსინდისიერი შრომით. ამათგან უფროსი მამაჩემი იყო, რომელიც თავისი გარეგნობით, ხასიათით, კეთილგონიერებითა და საქმით ყოველთვის საზოგადოების პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. იგი ჩემი ცხოვრების იდეალი და დიდი მეგობარი იყო.

სკოლა

ჩემი პირველი მასწავლებელი ყველასათვის კარგად ცნობილი პედაგოგი სონია ჟღენტი გახლდათ. იგი ლამაზი აღნაგობის, წარმოსადეგი, შავებში გამოწყობილი, დარბაისელი ქალბატონი იყო. არასდროს დამავიწყდება მისი სათნო სახე და ჩვენდამი სიყვარულით აღსავსე თვალები. შავებში გამოწყობილი-თქო ვახსენე, ერთადერთი ძვირფასი ადამიანის დამკარგავი და სუდაგაუნელებელი ქალბატონი ერთიანად იცვლებოდა ვაკვეთილზე. მოჯადოებულები შევცქეროდით და ვუსმენდით მას. თბილი ხმით გვესაუბრებოდა. გვიკითხავდა პაწაწკინტელებს ლექსებს, საინტერესო მოთხრობებს და ლამაზი, მხოლოდ მისთვის ჩვეული კალიგრაფიით გამოპყავდა დაფაზე მომხიბვლელი ქართული ასოები. ქალბატონმა სონიამ არა მარტო ანა-ბანა გვასწავლა და მოსწავლისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები ჩაგვინერგა, არამედ თან გამოგვაყოლა თავისი სიობო, ადამიანურობისათვის აუცილებელი თვისებები, დიდი სურვილი და დიდი სიყვარული სწავლისა. შემდგომ კლასებშიც არ მოგვკლებია მისი ყურადღება და დედაშვილური ამაგი. მეამაყება, რომ მისი გაზრდილი შვილიშვილი, ჩემი მეგობარი, ბატონი თემურ ჟღენტი დღეს ცნობილი პიროვნებაა. მეცნიერი და პედაგოგი წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ჩემი ცხოვრების გზაზე, ბევრ რამეში მწყალობდა ღმერთი. განსაკუთრებით ბედნიერი ვარ იმით, რომ ჯერ სკოლაში, შემდეგ უნივერსიტეტსა და კონსერვატორიაში სწავლის დროს უბრწყინვალესი პედაგოგები მყავდა. საშუალო სკოლის პედაგოგებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ისაკ ბალანჩიკაძე, ვანო ყარლამიშვილი, იულია ქუთათელაძე, ლუბა ბენიაშვილი, ცუცა რუსაძე, ბაბი გელოვანი, ლილი ნუცუბიძე, გაბრიელ კაკაბაძე, დავით ყურულაშვილი და ამირან დიასამიძე. დღეანდელი გადასახედიდან რომ ვიგონებ, ისინი თითქოს განსხვავებული ადამიანები იყვნენ. გამოირჩეოდნენ საოცარი სიდარბაისლით, სიყვარულითა და პა-

ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლის მეათე კლასელთა ერთი ჯგუფი. *პირველ რიგში მარცხნიდან:* ც. შაშინაშვილი, მ. იაკობაშვილი, დ. გველესიანი, ნ. უგრეხელიძე. *მეორე რიგში:* ნ. ზონენაშვილი, კლასის ხელმძღვანელი ლ. ნოხელიძე, სკოლის დირექტორი ი. ბალანსოვაძე, ქართული ენის მასწავლებელი ლ. ბენიაშვილი, ე. ლორთქიფანიძე. *მესამე რიგში:* ტ. ჯანსოფელი, მ. შურდაია, ი. ზონენაშვილი, ლ. ასათიანი, მ. ქორძაძე. *მეოთხე რიგში:* შ. მაწონაშვილი, ზ. ბანძელაძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. კორძაძე. *მეხუთე რიგში:* თ. კვიტაშვილი და ი. იაკობაშვილი. 1961 წ.

ტივისცემით საკუთარი პროფესიისადმი, მოსწავლეებისადმი, საერთოდ სკოლისადმი. ისაკ ბალანჩივაძე სკოლაში რომ შემოვიდოდა თავისი განუმეორებელი ღიმილით და ანთებული თვალებით ყველაფერი თითქოს უფრო ლამაზი, მოწესრიგებული და მიმზიდველი ხდებოდა. საოცარი ადამიანური სიბლი ჰქონდა და სასკოლო ცხოვრებაც ცოცხლდებოდა. ყველა თავის საქმეს აკეთებდა და საყვარელ დირექტორს თავს აწონებდა. ბატონი ისაკი აღიარებული მათემატიკოსი იყო. იგი წლების მანძილზე სელმძღვანელობ.. და ქუთაისის განათლების განყოფილებას, მასწავლებელთა დასელოვნების ინსტიტუტს და სისტემატურად აქვეყნებდა სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური ხასიათის სტატიებს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალებში.

ჩემს საყვარელ მასწავლებელთა შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო ქალბატონები ლუბა ბენიაშვილი და ბაბი გელოვანი. ლუბა ბენიაშვილი ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა. თუკი დღეს რაიმე ვიცი, ვწერ ქართულად და ვაზროვნებ ქართული ღირებულებებით, ჩვენთვის აუცილებელი სასიცოცხლო ეროვნული სახეებით, ყველაფერს ქალბატონ ლუბას უნდა ვუმადლოდე. მისი ყურადღება არც ერთ მოსწაულეს არ აკლდა, მაგრამ გამორჩეულად შეეძლო მის ლიტერატურულ წრეში გაერთიანებული ახალგაზრდებისადმი თავგადაყოლა. ჩემთვის კვირაში ერთხელ ყოველთვის მოჰქონდა სია იმ ლიტერატურისა, რაც აუცილებლად უნდა წამეკითხა, შთაბეჭდილებები დამეწერა და ყოველ პარასკევს მისთვის ჩამებარებინა. ხოლო ყოველ ორშაბათს, ჩემს დაწერილ თემებთან ერთად, რომელთაც ყოველთვის თან ახლდა მისი წითელი მელნის კვალი და ზოგიერთი მნიშვნელოვანი მინიშნება, ისევ ახალი ნაწარმოებები მოჰქონდა და ასე გრძელდებოდა მერვე კლასიდან ათწლედის დამთავრებამდე. ქალბატონ ლუბა ბენიაშვილთან დამუშავებული თემები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, დღემდე მნიშვნელოვანია და სიამოვნებით ვიყენებ ხოლმე ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ქალბატონი ბაბი გელოვანი ისტორიის მასწავლებელი იყო.

იგი, ერთი შეხედვით, თითქოს მკაცრი და მიუკარებელი ჩანდა, მაგრამ საოცრად სათნო, თბილი და ბავშვებისადმი განსაკუთრებულად ნაზი გრძნობების, სიყვარულისა და ეროგულების განსახიერება გახლდათ. ვერ იტანდა ტყუილს, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას და გაკვეთილზე ყაიგვიანებას. თუკი ნიჭიერებას შეამჩნევდა ბავშვს, რაგინდ ზარმაცი, ცელქი და მოუსვენარიც უნდა ყოფილიყო იგი, ისე არ გაუშვებდა სახლში, სანამ მასალას არ შეასწავლიდა. გაკვეთილების შემდეგ დატოვებდა, გვერდით მიუჯდებოდა, თავიდან აუხსნიდა, საჭირო ტექსტს წააკითხებდა და ყველაფერი მალე მოწესრიგდებოდა. როგორადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, მისი პატივისცემითა და სიყვარულით, ჩვენი კლასის ოცდაათი კურსდამთავრებულიდან, უმეტესობამ მომავალ პროფესიად ისტორიკოსობა აირჩიეთ.

სკოლის მასწავლებლები არა მარტო საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში გვეყლებოდნენ თავს, მათ ყურადღებას სისტემატურად ვგრძნობდით სტუდენტობისა და შემდგომ პერიოდშიც. ბატონი ყანო ყარლამიშვილი, რომელიც ძალზე მოუსვენარი და განსაკუთრებულად ყურადღებიანი კაცი გახლდათ, რამოდენიმეჯერ დაინტერესდა ჩემი საქმიანობით, უნივერსიტეტში სწავლის დროს მომინახულა, რჩევაც მომცა და კონკრეტული მითითებანიც, ხოლო ბატონმა დავით ყურულაშვილმა, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, როცა უკვე პროფესიონალმა მომღერალმა ჩემს მეგობარ, მომღერალ ზანდა ბერულავასთან ერთად ქუთაისის საოპერო თეატრში სოლო კონცერტი გავმართეთ, ჩვენი მშობლიური სკოლის პედაგოგებს და მაშინდელ მოსწავლეებს შეგვახვედრა, ბევრი თბილი სიტყვა გვითხრა და მომავალი გამარჯვებები დაგვილოცა. კეთილი სიტყვა და სითბო ყველასგან ძვირფასია, მაგრამ მას განსაკუთრებული ძალა და ხიბლი შენი აღმზრდელისა და შენს მერხზე მჯდომი მომავალი თაობისაგან აქვს.

ჩემს მასწავლებ ლთა შორის გამორჩეულად კოლორიტული პიროვნება გახლდათ ბატონი ბიძინა ბალანჩივაძე. საშუალო სკოლის პარალელურად მე შელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სა-

მუსიკო სკოლაშიც ვსწავლობდი ვიოლინჩელის კლასში. ბატონი ბიძინა ჩემი სპეციალობის პედაგოგი იყო. თვითონ შესანიშნავი მუსიკოსი, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობდა ყოველი ჩვენთაგანის მიერ ნაწარმოებთა შესრულებისას. ხშირად უყვარდა თქმა, რომელიმე კონცერტის, მოსმენის ან გამოცდის შემდეგ: ასეთი შესრულება ბალანჩივაძის სახელს არ შეეფერებაო! და ამით ხაზს უსვამდა თავისი წინაპრის, დიდი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძისადმი უსაზღვრო პატივისცემასა და მოწიწებას, რომელსაც თან ერთვოდა საკუთარი წარმომავლობით გამოწვეული სიამაყე.

იმ სანად ქუთაისში, სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის, ცნობილი პიანისტისა და დირიჟორის ბატონ თეიმურაზ კობახიძის ხელმძღვანელობით მომზადდა და დაიდგა ვიქტორ დოლიძისა და ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერები: „ქეთო და კოტე“ და „დაისი“. სამუსიკო სკოლისა და სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად, ამ ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენების განხორციელებაში, ბატონ ბიძინასთან ერთად, ორკესტრში მისი რამდენიმე მოსწავლეც ვიღებდით მონაწილეობას. ეს იყო ჩემი პირველი ზიარება საოპერო სპექტაკლში, როგორც სიმფონიური ორკესტრის სრულუფლებიანი წევრისა, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ჩემს ცნობიერებაზე, შეგნებასა და მომავალზე!

მაშინ პირველად ვნახე და მოვისმინე ცნობილი ქართველი მომღერალი, ბატონი პეტრე ამირანაშვილი. მან კიაზოს პარტია შეასრულა ოპერა „დაისში“. მთელი ღამე არ დამეძინა. გამუდმებით თვალწინ მედგა მისი საოცრად ეფექტური სახე, გაბმულად მესმოდა მისი ხმა, ხან „სულო ბოროტო“ ეღერდა ჩემში, ხან „დამისხი, დამალევინე“, ხან „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“ და ასე დამათენდა თავზე. მე ადრეც ვმღეროდი და კარგი ხმაც მქონდა, მაგრამ იმ დღემ და იმ ღამემ გადაწყვიტა ჩემი საბოლოო არჩევანი, რომ აუცილებლად ხმა დამემუშაყებინა და საოპერო მომღერალი გავმხდარიყავი. თუმცა, ეს ჩემი მეორე რიგის ამოცანა გახდა. უპირველესად კი საუნივერსიტეტო განათლება უნდა მიმეღო!

უნივერსიტეტი

ღმერთი მწყალობდა-თქო ვოქვი, დიდება მის სახელს, ნამდვილად ასე იყო. 1961 წელს ოქროს მედლიო დავამთავრე ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლა (გაბრიელ კაკაბაძის სკოლას ეძახდნენ მას. იგი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა ამ სკოლაში) და სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელე. საოცრება თუ გინდათ, სწორედ აქ იყო. ეგენი სარაძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, სერგი დანელია, ივანე ბერიტაშვილი, იასე ცინცაძე, შოთა მესხია, აკაკი სურგულაძე, მათე მირიანაშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი კიკნაძე, რევაზ ნათაძე, აბელ კიკვიძე, დავით გვრიტიშვილი, გიორგი თავზიშვილი და კიდევ რამდენი დიდი მეცნიერი, დიდი პედაგოგი, დიდი ძამულიშვილი და დიდი პირადი მაგალითი ყოველი ახალგაზრდისათვის.

დღეს, ამდენი ათეული წლის შემდეგ, როცა კორუფციაზე და დაუმსახურებლად დიდების მოპოვებაზეა ძმაფრი საუბარი, ჩემთვის სათაყვანებელი უნივერსიტეტის თეთრ კედლებში, მე ისევ ჩემი სტუდენტობის ბედნიერ დღეებს ვიგონებ და ბატონი გიორგი ჟორდანია მახსენდება, რომელსაც პირველი მისაღები გამოცდა ჩავაბარე ისტორიაში და პირველი ხუთიანი მივიღე; ბატონი ლევან მენაბდე მახსენდება, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ვინმე კარგად მოპასუხე ახალგაზრდის მიმართ, ქართულ წერაში მიღებულ ხუთიანს ხაზი გაუსვა და ლიტერატურაში პასუხისათვის შემაქო. შემდეგ კი, უნივერსიტეტში დამკვიდრებული წესის შესაბამისად, მიმღებმა კომისიამ საძადღლობელი ბარათი გაუგზავნა ჩემს მშობლიურ, ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლას. რომელი კორუფცია, რომელი ჩაწყობა, სინდისის, პატიოსნების, სისუფთავის, კეთილდღეობის, პატივისცემისა და სიყვარულის გარდა არა მიგრძვნია რა ხუთი გრძელი წლის მანძილზე. გრძელი-თქო ახლა ვამბობ, თორემ, ისე ძალე გაირბინა იმ ბედნიერმა ხუთმა წელმა, რომ ბოლომდე ვერც კი აღვიქვეს იმ სასწაუ-



ოვანე ჯავახიშვილის ხსოვნის ამაღლების ხსოვნისადმი
ეროვნული

ლებრიკი სინათლით, რასაც უნივერსიტეტში ყოფნა, იქ სწავლა, მის ბიბლიოთეკებსა და აუდიტორიებში ნეტარება პქვია. დღემდე, როცა შეგობრებს ერთმანეთის მოფერება მოგვინდება და ერთად დავსხდებით სალაღობოდ, გამორჩეულია ჩვენი სათაყვანებელი თეთრი უნივერსიტეტის და მისი ობილი კედლების სადიდებელი. ასე იქნება სიკვდილამდე, სანამ მისი დიდი სინათლე და სითბო დაგვყვება თან. ეს გრძნობა განუშორებელია.

არასოდეს დამავიწყდება უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, ძველ სააქტო დარბაზში გამართული დიდ მოძღვართა ღია ლექციები. ახლაც თვალწინ მიდგას კათედრასთან მდგომი შალვა ნუცუბიძე, იგი, როგორც ღმერთკაცი, წელში გამართული, საოცარი ჟესტიკულაციით, დიდი თვალებითა და საოცრად თბილი და მჭექარე ხმით, მისთვის დამახასიათებელი წრფელი ემოციით, როგორ მოუთხრობდა აუდიტორიას პეტრე იბერის მეცნიერულ ღვაწლზე, ქართულ რენესანსზე, რომელმაც რამდენიმე საუკუნით დაასწრო იტალიურ რენესანს, შოთა რუსთაველზე და უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ თარგმანზე; ბედის იმ უკულმართობაზე, რაც ყოველთვის თან სდევს დიდ მამულიშვილს, ერის მოჭირნახულესა და მოამაგეს.

არ შემიძლია განსაკუთრებული მოკრძალებით არ ვაკისსენო ბატონი შოთა მესხია. დიდი სიმონ ჯანაშიას საყვარელი მოსწავლე განუხრელად აგრძელებდა მის გზას. იგი ისტორიის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ და ამ ფაკულტეტის სტუდენტებს საკუთარ შვილებში არ არჩევდა. საოცარია, როგორ ახერხებდა ყოველი მათგანისადმი ესოდენ დიდ ყურადღებას. მას კარგად ესმოდა თითოეული ჩვენგანის სიხარული თუ ტკივილი. ყველას ესაუბრებოდა, ბოლომდე ჩასწვდებოდა მის სულს. ზოგს შეაქებდა, ზოგს შენიშვნას მისცემდა. დაარიგებდა, დაეხმარებოდა სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, მიზანს დაუსახავდა და ამასთან აშკარად ეტყობოდა, თუ როგორ სიამოვნებდა ჩვენთან გატარებული ყოველი წუთი. მისი ლექციები ხომ ზეიმი იყო. როგორი რუდუნებით, შთაგონებითა და სიყვარულით ეფოფინებოდა საქართველოს ის-

პროფესორი შ. ... მესხია

ტორიის წარუშლელ ფოლიანტებს. წარმოუდგენელი იყო მასთან კარგად მომზადების გარეშე მისვლა. ვინ გაბედავდა ამას! ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მეტ წყაროს მოიებნიდა, ღრმად შეისწავლიდა თოეულ საკითხს და ასე გულდაჯერებული მივიდოდა მის სემინარზე. ნათელასა თუ გამოცდაზე. მერე როგორ უხაროდა და განიცდიდა აზრიან პასუხს, სწორ მსჯელობას; შეგაქებდა, წაგახალისებდა, მისთვის დამახასიათებელი ნათელი ღიმილით გამოგაცილებდა და კიდეე უფრო მეტი შრომის სურვილს აღგიძრავდა. არასდროს შეეშლებოდა სტუდენტის ამორჩევა, მისთვის შესაფერისი დავალების მიცემა. სამეცნიერო თემა იქნებოდა ეს თუ რომელიმე საზოგადოებრივი დატვირთვა. უტყუარი ალღო ჰქონდა და არც არასოდეს გაცრუებია იმედი.

უნივერსიტეტში სტუდენტთა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე მაშინ ბატონი რისმაგ გორდეზიანი გახლდათ. მისი რეკომენდაციით ჩემი ორი მოხსენების თეზისები დაიბეჭდა კიდეც უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალებში. ეს ჩემი შრომის მაღალი შეფასება იყო. ბატონმა იასე

ცინცაძემ. რომელიც ჩემს ერთ-ერთ მოხსენებას დაესწრო. ნაშრომი მომიწონა. შემაქო. ზოგიერთი შენიშვნა და საქირო რჩევაც მომცა. იასე ცინცაძე უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორი გახლდათ. იგი სხვა ფაკულტეტის სტუდენტებსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ. ყველა ახალგაზრდ ს საქართველოს მომავლად თვლიდა და საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა მათდამი ყურადღება. ოუკი ვინმეს

აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი

რაიმე პრობლემა შეექმნებოდა და ამას გაიგებდა. აუცილებლად ჩაერეოდა საქმეში, გაერკვეოდა, საქირო გადაწყვეტილებას მიიღებდა, სამართალს პეოფდა და კმაყოფილი გაემართებოდა საპროფესოროსაკენ. ჩვენი თაობის ბევრ ახალგაზრდას ახსოვს მისი დაუვიწყარი ლექციები, მამაშვილური დამოკიდებულება, ცხოვრებისეული, ადამიანური სითბო და განუხრელი ზრუნვა ჩვენს მომავალზე. ბატონი იასე დიდი კალიისტრატე ცინცაძის ოჯახისშვილი იყო. ღრმად მორწმუნე და ღრმად განათლებული, დარბაისელი პროფესორი, მიუხედავად მაშინ გამეფებული უმადლო ათეიზმისა, „შინაურულ“ საუბრებში ხშირად ვველაპარაკებოდა რელიგიაზე, ღმერთზე, ათ მცნებაზე, რწმენის, სიკეთისა და მოძმის სიყვარულის აუცილებლობაზე, ურთიერთთანადგომაზე, გვას-

წავლიდა ურთიერთგატანას, მოთმინებასა და ურთიერთპატივისცემას.

არასდროს დამავიწყდება განსაკუთრებულად სხივოსანი ადამიანი, დიდი მეცნიერი, პედაგოგი და დიდი მამულიშვილი, ბატონი გიორგი ახვლედიანი. იგი ჩემი შორეული ნათესავი იყო. ბევრი გამეგონა მასზე და მასთან შეხვედრაზე ვოცნებობდი. იგი ჩვენს ფაკულტეტზე ლექციებს არ კითხულობდა, მაგრამ პირველ კორპუსში, სადაც ფილოლოგებიც იყვნენ, ხშირად ვხედავდი. მინდოდა მისკენ, მაგრამ ვერ ვბედავდი. ეროხელაც, როცა ლექციების შემდეგ კიბეებზე ჩამოვდიოდი, იგი ბატონ იასე ცინცაძესთან ერთად ხელგაყრილი მობრძანდებოდა. მე მოწიწებით მივესალმე ბატონ იასეს. მან გამაჩერა და გიორგი ახვლედიანს ჩემი თავი წარუდგინა. ასათიანია ლეჩხუმიდანო. ბატონი გიორგი გამესაუბრა, გამომკითხა მამის, ბაბუის სახელები, მითხრა შენ დერჩიდან იქნებიო, დასტური რომ მიიღო, ხელკავი გამიკეთა და გამაცილეო მიბრძანა. მაშინ ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. რას წარმოვიდგენდი, თუ ამოდენა ღმერთკაცი ბავშვივით ტკბილი, საინო და მოსიყვარულე პიროვნება იყო.

- შენ ჩემ ნათესავი ხარ! - მითხრა ბატონმა გიორგიმ და ჩვენი ახლობელი და შორეული სანათესაოს ჩამოთვლა განაგრძო.

- თუ იცი ჩემი ნათესაობა რას გაკისრებსო, - ღიმილით მითხრა ბოლოს. მორცხვად დავუხარე თავი. დღეიდან ჩემი თვალყური არ მოგაკლდება და აბა, შენ იციო!

მართლაც, სულ მალე გავიგე, რომ ბატონ გიორგის დეკანადში უკითხავს. — თქვენთან ჩემი მონათესავე ბიჭი სწავლობს და ხომ არ მარცხვენსო! როცა ბატონ შოთა მესხიას შევუქივარ და ორიოდე თბილი სიტყვა უთქვამს ჩემზე, ბავშვივით გაეხარდაო, მითხრეს, და ასე დაუმატებია: ასათიანები კარგი ხალხია, კარგი ჯიში აქვთ და მაგის სიკეთის იმედიც მაქვსო. შემდეგ ხშირად ვხვდებოდით, ხელკავის გაკეთება უყვარდა და კიბეებზე აცილება. აბა, რას დაგიზარებდი. ამაყად და მტკიცედ ვგრძნობდი თავს მართლაც ღმერთკაცის გვერდით.

მეოთხე კურსის დასახურ გამოცდებს ვაბარებდი და სისტემატურად პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში ვმეცადინეობდი. ერთხელ დარბაზში ბატონი გიორგი შემობრძანდა, დამინახა, ჩემსკენ წამოვიდა და მაგიდასთან ჩამოჯდა. - ერთი რამ უნდა გითხრათ, - ბრძანა ბატონმა გიორგიმ, - სადიპლომო შრომა თუ შეარჩიე! - ჯერ არა-მეთქი, - მორიდებით ვუპასუხე მე. - შენ ისტორიკოსი ხარ. კარგი იქნება თუ ახალ და ჯერ გაუხსნელ თემას აიღებ. თუ შეძლებ, ერთ კარგ მამულიშვილზე მონოგრაფია გააკეთე და შენი დიპლომიც ეგ იქნებაო. გაკვირდი და უხმოდ დაველოდე რას იტყოდა შემდეგ.

- სერგო ქავთარაძე გაგიგონია? - მკითხა ცოტაოდენი პაუზის შემდეგ, - კარგი თემაა და მოიფიქრეო! დიდი მადლობა გადავუხადე ბატონ გიორგის. მან მხარზე ხელი დამადო, წამოდგომის საშუალება არ მომცა და დასძინა - გააგრძელე მეცადინეობა, ამჯერად შენი გაცილება არ შეჭირდებაო. ახლაც თვალწინ მიდგას საოცრად ტკბილმა და ფაქიზმა მოხუცმა ნელი ნაბიჯებით, როგორ გაიარა წითელხალიჩიან იატაკზე და კარს მიეფარა.

წარმატებით დავიცავი სადიპლომო ნაშრომი „სერგო ქავთარაძე". სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ, რომლის თავმჯდომარეც ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ირაკლი ანთელავა, ხოლო წევრები, გამოჩენილი ისტორიკოსები: პროფ. მარიამ ლორთქიფანიძე, პროფ. შოთა მესხია, პროფ. აკ. სურგულაძე, პროფ. გ. ტივაძე, პროფ. გ. ფირცხალავა და პროფ. მ. ალექსიშვილი გახლდნენ, მაღალი შეფასება მომცა. ამასთან, რეკომენდაცია გამიწია ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად და ნაშრომის სტამბური წესით დასაბეჭდად. სადიპლომო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარდგინებით, 1968 წელს გამოიცა.

გზა ხელოვნებისაკენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობდა სიმფონიური ორკესტრი, რომლის წევრიც უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე ვაკხდი და ბევრი შესანიშნავი მეგობარიც შევიძინე. მათ შორის გამოვყოფდი ერთ გამორჩეულ პიროვნებას, დღეს უკვე უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ სოსო ჭანტურიშვილს, რომელიც მაშინ ვიოლინოზე უკრავდა და ორკესტრის წამყვანი სოლისტი გახლდათ. უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი საკმაოდ პოპულარული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მაშინდელ საბჭოთა კავშირშიც. ჩვენ მიწვეული ვიყავით და კონცერტები გავმართეთ მოსკოვის, რიგისა და ლვოვის უნივერსიტეტებში, ასევე სხვადასხვა საწარმოებსა და საკონცერტო დარბაზებში. ყოველი გამოსვლა იყო წარმატებული და შთამბეჭდავი. შეიძინეთ გამოცდილება და, რაც ყველაზე დიდი მონაპოვარია, მეგობრები. მაშინ ჩასახული ურთიერთობები დღემდე მოგვყვება. სიმფონიური ორკესტრი გახდა საფუძველი იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრულ თვითმოქმედებას დაედგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. რასაკვირველია, უნივერსიტეტს პყავდა შესანიშნავი გუნდი, ქორეოგრაფიული ანსამბლი და სოლისტები. მარტო ტენორი ნოდარ ანდღულაძე, რომელიც მაშინ უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრის დოცენტი გახლდათ, რად ღირდა? სტუდენტური „დაისი“ დაიდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე და თბილისელების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. სოლისტები გახლდნენ: მარო - ქალბატონი ლელი კვანტალიანი, მალხაზი - ბატონი გურამ ზედგენიძე, კიაზო - ბატონი თენგიზ ჩოჩუა, ცანგალა - ბატონი თენგიზ ნოზაძე. ორკესტრს დირიჟორობდა ბატონი ვახტანგ ფალიაშვილი, ასისტენტი გახლდათ ბატონი გიორგი მუნჯიშვილი, ქორეოგრაფი - ბატონი რომან ჭოხონელიძე. ქორმაისტერი - ბატონი გურამ ბაქრაძე, მხატვარი - ბატონი ოთარ ლიოთანიშვილი, ხოლო ორგანიზატორები იყვნენ, ბატონები: შოთა გაბელაია და ნოდარ ნონიკაშვილი.

თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე უნივერსიტეტელთა „დაისი“ ორჯერ დაიდგა. შემდეგ კი „სახალხო ოპერა“, გამოჩენილი დირიჟორის ა. გაუკისა და მოსკოველი სტუდენტების თხოვნით, მოსკოველ მაყურებელთა წინაშე წარსდგა. სპექტაკლის შემდეგ გაუკი „სოვეტსკაია კულტურაში“ წერდა: „ზ. ფალიაშვილის შესანიშნაგმა მუსიკამ, ამ დადგმით, სცენური ცხოვრების ახალი ნათელი იერსახე მიიღო. ასეთი მიღწევა, როგორც ჩვენს ქართველ მეგობრებს აქვთ, თვითმოქმედ ოპერაში მე არ მსმენია“ („სოვეტსკაია კულტურა“, 18.09.1962).

ასევე, დიდი წარმატებით გამოვიდა უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი და სოლისტთა ჯგუფი ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წინაშე.

კონცერტის შემდეგ რექტორატმა და ლვოველმა სტუდენტებმა ერთ ლამაზად გაფორმებულ აუდიტორიაში საზეიმო შეხვედრა გაგვიმართეს. ამ შეხვედრას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა. იყო ბევრი სიმღერა, ცეკვა, გულობილი სიტყვა და სადღეგრძელო. როცა ზეიმმა პიკს მიაღწია, ერთ-ერთმა მასპინძელმა, საკმაოდ მხცოვანმა ქალბატონმა, რომელსაც ყველანი დიდი მოწიწებით შესცქეროდნენ, სიტყვით მოგვმართა და გვეთხრა: ეიცი ყველა ქართველი მღერის, გთხოვთ ქართული სიმღერები მოგვასმენინოთო! თავი გაიგიჟეს ბიჭებმა. დარბაზი დაატყეეგა ქართულმა მრავალყამიერმა და წინწყარომ, ჩვენი სტუდენტების ტრიომ და კვარტეტმა, სოლო შესრულებამ. მალე ყველა ავმღერდით. როცა ჩემი რიგი დადგა, გათაკამებულმა ქართული „ოროველა“ შევასრულე და ოვაციაც დავიმსახურე. მასპინძელთა თხოვნით კიდეგ ერთი ქაროული სიმღერა ვიმღერე უაკომპანიმენტოდ. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა, როგორც მომღერლისა, ესოდენ ფართო და აკადემიური აუდიტორიის წინაშე. თბილისში ჩამოსვლისთანავე ბატონმა ვახტანგ ფალიაშვილმა თავისთან გამომიძახა და მითხრა: - ურიგო მუსიკოსი არა ხარ, მაგრამ შენ საუკეთესო ბარიტონი გქონია, გირჩევ, ჩელოს თავი დაანებო და აუცილე-

ბლად ვოკალურ ხელოვნებას დაეუფლეო. მან შესვედრაც დამინიშნა და ერთ მშვენიერ დღეს გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორთან, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორთან, პროფესორ იონა ტუსკიასთან წარმადგინა. ბატონმა იონამ გულდაგულ შემათვალიერა. კაბინეტში, რომელიც მაშინ კონსერვატორიის პირველ სართულზე იყო განთავსებული და ახლა კი სოლო სიმღერის კათედრის გამგის, პროფესორ ნოდარ ანდღულაძის საკლასო აუდიტორიაა, პროფესორები: ვასილ ხმალაძე - იგი კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგე იყო, გიორგი გოგიჩიძე - კონსერვატორიის დეკანი, პედაგოგი გიორგი მარგიევი, კონცერტმაისტერი მარია კამოევა მოიწვია და სახელდახელოდ მოსმენა მომიწყო. მამღერეს გამები და სხვადასხვა ვოკალური სავარჯიშოები. ყველამ შემაქო. ხმა მომიწონეს და ბატონმა იონამ ბოლოს მითხრა. - ჩვენი გადაწყვეტილებით მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩაგრიცხავო, უნივერსიტეტში სწავლა გააგრძელე და მე ვიზრუნებ სათანადო ნებართვის მისაღებადო. როგორც შემდეგ შევიტყვე, მან თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ქალბატონ ზინა კვაჭაძეს, რათა ნება დაერთო, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, ერთდროულად მესწავლა ორ უმაღლეს სასწავლებელში. ასეთი მზრუნველი და ყურადღებიანი პიროვნება გახლდათ ბატონი იონა ტუსკია, მრავალი თაობის მუსიკოსთა აღმზრდელი, პედაგოგი და მოძღვართმოძღვარი. ერთი წლის შემდეგ იგი პარიზში გარდაიცვალა და მე პირველად განვიცადე ჩემთვის თითქმის მშობლის რანგში მდგომი დიდი კაცის სიკვდილით გამოწვეული უსაზღვრო ტკივილი.

ბატონ იონა ტუსკიას ნათელი სახე არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს. იგი და მისი დონის ქართველი მოღვაწეები ეროვნული ღირსების მძლავრი მესაძირკვლეები არიან. 2002 წელს შესრულდა ასი წელი ბატონ იონას დაბადებიდან. მართებულად მიმაჩნია საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის წერილიდან ერთი ამონარიდის მოხმობა: „იონა ტუსკიას საკომპოზიტორო მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ადრინ-

დელი თხზულება-სონატა ვიოლინოსათვის, იგი ამ ჟანრის პირველი ნიმუში გახლდათ, ივივე ითქმის მის საკვიოლინო კონცერტზეც. აგრეთვე დავასახელებთ მის სიმებიან კვარტეტს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინტენსიურად სრულდებოდა საკონცერტო ესტრადაზე. კომპოზიტორის ერთ-ერთი ცენტრალური თხზულება გახლავთ ოპერა „სამშობლო“. იგი რამდენიმე სეზონის განმავლობაში წარმოდგენილი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეპერტუარში. იგი ავტორია დიდი რაოდენობის კამერულ-ვოკალური ქმნილებების, ორატორიის, მუსიკისა სპექტაკლების და კინოფილმებისათვის, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა მუსიკამ კინოფილმისათვის „დარიკო“. იონა ტუსკიას პიროვნება მხოლოდ შემოქმედებით თხზულებებში არ გამჟღავნებულა, მისი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საზოგადო მოღვაწეობა გახლდათ. მაგრამ მაინც ხაზგასმულია მისი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, როგორც პედაგოგის ამპლუაში, ასევე დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე - კონსერვატორიის რექტორისა.

იონა ტუსკიას პედაგოგიური მოღვაწეობა გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან სწორედ მან აღუზარდა ქართულ საკომპოზიტორო ხელოვნებას საუკეთესო წარმომადგენლები: რევაზ გაბიჩვაძე, სულხან ნასიძე, ოთარ გორდელი, ლილი იაშვილი, დალი ჩხეიძე, ვაჟა აზარაშვილი, ნუნუ გაბუნია, ლილი შავერზაშვილი და სხვანი. როგორც მისი მოწაფეები აღნიშნავენ, სწორედ მათი აღმზრდელი ქმნიდა განსაკუთრებულ გარემოს თვითმყოფი, თავისთავადი თვისებების წარმოსაჩენად და სწორედ მისმა უტყუარმა ალღომ და ფაქიზმა მიდგომამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მათი შემოქმედებითი წინსვლა.

კონსერვატორიაში იონა ტუსკიას რექტორობის პერიოდს უწოდებენ „ოქროს ხანას“. ამ დროს საგრძნობლად ამაღლდა საერთო პროფესიული დონე, გაიზარდა მოთხოვნილებათა კრიტერიუმი. თავად ბატონი იონა სტუდენტებისათვის შორიდან მკაცრ და შეუვალ, აუღებელ ციხე-სიმაგრედ მოჩანდა. ამ შთაბეჭდილებას

ქმნიდა თავისი სრული მოუსყიდველობით, უკიდურესი უკომპრომისობითა და პრინციპულობით. მისი გარეგნული იერი მართლაც აღბეჭდავდა ყველა ამ თვისების და რაოდენ წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო ბეკრისათვის ამ შთაბეჭდილების მიღმა საოცრად გულისხმიერი და გულჩვილი ბუნების გამოვლენა. ამიტომ ხშირად ვაკვირვება გამოუწყვეია სტუდენტებში მისთვის ისეთ ბუნებრივ ქცევას, როგორიც იყო გაქირვებული სტუდენტებისათვის დახმარების ხელის გაწვდენა - საკუთარი ჯიბიდან.

ბატონი იონა გამორჩეოდა იშვიათი, ფართო ერუდიციით, ღრმა განათლებით. ამიტომაც ?ასთან საუბარი განსაკუთრებულად შინაარსმომცველი და შთამბეჭდავი იყო. მის გონებამახვილობას ადასტურებდა დახვეწილი და სხარტი იუმორის გრძნობა.

სულიითა და ხორციით პატრიოტი დიდად ეთაყვანებოდა ევროპულ კულტურას. ფრანგული ენის ჩინებული მცოდნე, ლიტერატურისა და ხელოვნების ძეგლების გავლენით, გამორჩეულად საფრანგეთსა და მის დედაქალაქს ეტრფოდა. კიდეც აუსრულდა სანუკვარი ოცნება. ეწვია თავისი ზმანების ქალაქს, მაგრამ სწორედ იქ უშუხოლა ბედმა და პარიზის მიწაზე განეტევა სული.

ბატონი იონას პიროვნულ მიმზიდველობას თავისებურ ელფერს ხმენდა მისი მეუღლის - უმშვენიერესი არისტოკრატი ბანოვანის - ქალბატონ ირინა მდივანის გვერდით ყოფნა. მათ სამაგალითო და შესაშური, გარეშეთათვის თვალშისაცემი რომანტიკული ურთიერთობა აკავშირებდათ. შთაბეჭდილებას ქმნიდა არა ერთი და ორი ფაქტი, არამედ ეროად განვლილი მთელი ცხოვრება. ეს ურთიერთობა კიდეც აღიბეჭდა კომპოზიტორის შემოქმედებაში.

შესაძლოა, დღევანდელ „ელიტარული საზოგადოებისათვის“ არც იონა ტუსკიას სახელი ამბობდეს რაიმეს, არც მისი ღირსებები წარმოადგენდეს კრიტერიუმს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შემორჩენილია ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ისე სათუთად უფრთხილდება ამგვარი პიროვნებების ხსოვნას, როგორც საზოგადო და ამავე დროს საკუთარ მაღალ ფასეულობას“.

კონსერვატორია

პროფესორი იონა ტუსკია

1966 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ამ დროს უკვე ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი და კარგად მესმოდა, თუ რაოდენ რთული და შრომატევადია ეროვნული ხელოვნების საიდუმლოებებში ჩაწვდომა და ქართველ საოპერო მომღერალთა შორის სათანადო ადგილის დაკავება.

ჩემი პირველი პედაგოგი კონსერვატორიაში სოლო სიმღერის სპეციალობით საქართველოს სახალხო არტისტი, გამოჩენილი მომღერალი ბათუ კრავეიშვილი იყო.

ბატონი ბათუ დიდი შემოქმედი ვოკალისტი იყო. ფლობდა უნიკალური შესაძლებლობების ულამაზეს ხმას. ჰქონდა შესანიშნავი გარეგნობა და თავისი სცენური მოქნილობით წარმატებით ასახიერებდა ბარიტონის წამყვან პარტიებს. მას საოპერო სცენაზე შესრულებული აქვს ორმოცზე მეტი პარტია. მათ შორის მოსკოვის დიდ თეატრში, დირიჟორ ა. შელოქ-ფაშაევის მოთხოვნადა და წარმატებით იმღერა მურმანი ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“, ელეცკი - პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ და ჟერმონი - ჯ. ვერდის „ტრავიატაში“.

არ შეიძლება არ გამოიყოს ბატონი ბათუს ნატიფი კამერული საშემსრულებლო ხელოვნება. ივი წარმატებით ასრულებდა

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან: ალავიძე, მ. ქოდოშვილი, ლ. ახალაია, ს. კობალიანი და ქუთათელაძე. 1964 წ.

მოცარტის, შუბერტის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, ბოროდინის, ბრამსის, გრიგის, ფალიაშვილის, ბალანჩივაძის, არაყიშვილის, ყოცხვერაშვილის რომანსებს. მისი შესრულება დიდი გააზრებით, სტილის უზადო დაცვითა და ყოველი ნაწარმოების მხატვრული შინაარსის ნათელი გადმოცემით გამოირჩეოდა. ბატონმა ბათუ კრავეიშვილმა ევროპის ბევრ ქვეყანაში გამართა გასტროლები და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. საუბედუროდ, მას უკურნებელი სენი აღმოაჩნდა და მალე გარდაიცვალა. მე წაკითხული მქონდა დიდი ვანო სარაჯიშვილის დაკრძალვის ვრანდიოზულობის შესახებ. შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი ბათუ კრავეიშვილის დაკრძალვა სახალხო გლოვად იქცა. ოპერის თეატრი ხალხს ვერ იტევდა, სცენაზე, ყვავილების ზღვაში, შავ ფრაკში გამოწყობილი იწვა საყვარელი მომღერალი. ბოლო გრიმი ოპერის ცნობილმა გრიმიორმა, ბატონმა არსენმა გაუკეთა. მოდიოდნენ თბილისელები, სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული თაყვანისმცემლები და უკანასკნელ პატივს მიაგებდნენ დიდ მსახიობსა და პიროვნებას. ყვავილების ტევა არ იყო, ისმოდა ბატონი ბათუს მომაჯადოებელი ხმა, ცრემლად იღვრებოდა ხალხი. გამოყვანისას ყველა მიაწყდა კუბოს, ეზაზე ყვავილების ხალიჩა გაუფინეს, თეატრის ფოიემ ვერ გაუძლო აურაცხელი ადამიანების მოწოლას და რამდენიმე გრძელი მინა ჩატყდა. როცა, მეორე დღეს მათ აღადგენდნენ, თეატრის დირექტორმა, ბატონმა დიმიტრი მჭედლიძემ თქვა: - ბედნიერებაა, როცა ხალხი ასე განიცდის ჩვენი დიდი ოჯახის უწარჩინებულესი წევრის წაბრძანებას, ყველაფერი აღდგება, მაგრამ, ვაგლახ, რომ ბათუ აღარ დაგვიბრუნდებაო. დიდუბის წმინდა მიწამ მიიბარა ბათუ კრავეიშვილის ნეშტი, სადაც ვანისყენებენ ერთვეული მამულიშვილები, საზოგადო მოღვაწეები და ერის სათაყვანებელი შვილები. მის საფლავზე ყოველთვის აწყია ცოცხალი ყვავილები, ნიშნად დიდი პატივისცემისა და არდაიწყებისა.

ერთი წელი პროფესორ დიმიტრი მჭედლიძის კლასში ვირიცხები ღი. იგი ცნობილი მომღერალი, მსახიობი და ჩინებული ორგა-

ხაქაროველების ხახალხო არტისტი ბაბუ ქრაველიშვილი

ნიჰატორი იყო. ბატონი დიმიტრი მჭედლიძე წლების მანძილზე მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი ბანი გახლდათ, ხელმძღვანელობდა დიდი თეატრის საოპერო დასს და განსაკუთრებული კვალი დატოვა დიდი ხელოვნების ამ უპირველესი ტაძრის სარეჟისორო-სარეპერტუარო ცხოვრებაში.

საქართველოში დაბრუნებისთანავე დიმიტრი მჭედლიძე ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობის წლებში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა, როგორც ქართული საოპერო, ისე ქართული საბალეტო ხელოვნება, რაც ნათლად დაადასტურა მოსკოვში, დიდ თეატრსა და პოლონეთში, ქალაქ ლოძში გამართულმა თბილისის საოპერო თეატრის საგასტროლო ტურნემ. ბატონი დიმიტრი კაცთმოყვარე, ადამიანური და ძალიან თბილი პიროვნება იყო. მას არ აკლდა პრინციპულობა, მომთხოვნელობა და, რაც ყველაზე მოთავარია, იგი იყო დიდი მამულიშვილი, მოწოდებული ეროვნული ხელოვნების აყვავებისა და მზრუნველობისათვის. იგი ყოველთვის აგრძელებდა თავისი ოჯახის ნათელ ტრადიციას. ასრულებდა საშობლოსადმი, თანამემამულეებისადმი და საერთოდ ადამიანებისადმი უანგარო მსახურის დიდ მოვალეობას. მამამისი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, საქართველოსათვის დახარჯული სიცოცხლის და განსაკუთრებული ღვაწლისათვის, ბოლო წლებში წმინდანად შერაცხა ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. ხოლო მისი და, ქალბატონი ბაბო მჭედლიძე, მრავალი თაობის აღმზრდელი, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო. დიმიტრი მჭედლიძეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა მომღერების აღმოჩენაში, დაწინაურებასა და საუკეთესო სამუშაო პირობების შექმნაში, მათი შემოქმედებითი უნარების გახსნასა და განვითარებაში. მისი დამსახურებაა ბრწყინვალე თანავარსკვლავედის: ზურაბ ანჯაფარიძის, ნათელა ტუღუშის, მედეა ამირანაშვი-

პროფესორი ვიორეი ფალიაშვილი

ლის, ოენგიზ მუშკუდიანის და სხვა ვამოსენილი. მაშინ ახალგაზრდა, დამწყები მომღერლების დიდ ხელოვნებაში წარმოსენა და გზის ვაკაფვა. ასე ვასინჯეთ, სოლისტთა შტატების უქონლობის გამო, თავდაპირველად ზურაბ ანჯაფარიძე მეხანძრედ პყავდა ვაფორმებული, სოლო ნათელია ტუღუში სამკერვალო საამქროს მუშად. მოსკოვის დიდ თეატრში ვადასვლის შემდეგაც, როგორც თავად ზურაბ ანჯაფარიძე ამბობდა, არასდროს მოკლებია მას ბატონი დიმიტრის ყურადღება და მზრუნველობა.

პროფესორი დიმიტრი მჭედლიძე

ერთ-ერთი დიდი მამულიშვილური საქმე, რომელიც ბატონი დიმიტრი მჭედლიძის უშუალო ინიციატივით, შრომითა და რეჟისორული ნებით განხორციელდა, იყო ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დაარსება, რომლის მოავარ ამოცანად თავდაპირველად, მან ქართული საოპერო რეპერტუარის აღდგენა და წარმოსენა დასახა. თეატრმა წარმატებით განახორციელა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ და „ლატავრა“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, ა. კერესელიძ-

ის „ბაში-აჩუკი“, გიორგი ცლაიძის „დარისპანის გასაქირი“ და მრავალი სხვა. ასევე რუსული, იტალიური და დასავლეთ ევროპის კომპოზიციათა უკვდავი საოპერო ქმნილებები.

შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის ყველა ქართული ოპერის წამყვან გმირს სისტემატურად ვანსახიერებდი ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე, რითაც სამართლიანად ვამაყობ კიდეც. როცა ყოველთვიურ ანგარიშს აბარებდა გენერალურ დირექტორს და სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ დიმიტრი მჭედლიძეს, ქუთაისის საოპერო თეატრის მაშინდელ დირექტორს ბატონ შალვა მეძველიას ხშირად უთქვამს, რომ ლევან ასათიანი ერთგულად მიდგას გვერდით. ჩემი ყოველი სატელეფონო ზარის შემდეგ ივი ქუთაისშია და ხშირად შაბაი-კვირას სამ, ხან კიდევ ოთხ სპექტაკლს მღერისო. მართლაც, არცთუ იშვიათად ყოფილა შემთხვევები, როცა შაბათს დილით მიმღერია თავადი ლევანი ვ. დოლიძის ოპერაში „ქეთო და კოტე“, საღამოს კი მურმანი ზ. ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. კვირა დილით ისევ „ქეთო და კოტე“, ხოლო საღამოს კიაზო ზ. ფალიაშვილის ოპერაში „დაისი“. ამასთან სიხარულით ვმონაწილეობდი იმ საკონცერტო გასვლებში, რომელთაც ქუთაისის საოპერო თეატრი ახორციელებდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. რომელი დაღლა ან დაზარება, ახალგაზრდა ვიყავი. უსაზღვროდ მიყვარდა სიმღერა და სიამოვნებით ველოდი ხელახალ გამოძახებას.

ბატონი დიმიტრი მჭედლიძის პედაგოგიურ მოღვაწეობაში განსაკუთრებით უნდა გამოვყო მისი დაკვირვებულობა და ალღო. ივი თავიდანვე ამჩნევდა ნიჭიერ ახალგაზრდას, უტყუარად გრძნობდა მის მისწრაფებას, შესაძლებლობას და მაქსიმალურად უწყობდა ხელს, ურჩევდა რეპერტუარს, აძლევდა დამატებით გაკვეთილებს და ხშირად ეხმარებოდა მატერიალურადაც. მის კალამს ეკუთვნის გამორჩეული სამეცნიერო ნაშრომები ვოკალურ ხელოვნებაში. მათ შორის: „მომღერლის ვზა“, „ვოკალური სავარჯიშოები“, „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“ და სხვ.

დავით ანდღულაძე

ჩემთვის დაუვიწყარ სახეებს შორის გამორჩეულია ბატონი დავით ანდღულაძე. ბევრი მსმენოდა მისი დიდი შემოქმედების შესახებ, ყოველდღე, რომ იგი ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო, რომელიც ევგენი ვრონსკის, ივანე ფალიაშვილის, კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის და კონსტანტინე სტანისლავსკის დროს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და თავისი უნიკალური დრამატული ტენორით, შესანიშნავი სცენური გარეგნობითა და დიდი შრომისმოყვარეობით განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა საოპერო ხელოვნებაში. ისიც გამეგო, რომ სწორედ ბატონ დავით ანდღულაძისათვის დადგეს მოსკოვის დიდ თეატრში „პუგენოტები", ხოლო მისი წამოსვლის შემდეგ ეს სპექტაკლი მოიხსნა კიდეც. ვიცოდი, რომ „აბესალომი" ოვით ზაქარია ფალიაშვილმა შეასწავლა მას და ევგენი მიქელაძის დირიჟორობით წარმატებით გამოვიდა მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნების პირველ დეკადაზე. ასევე წარმატებით ასრულებდა ივი ტენორის წამყვან პარტიებს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე, ხოლო კონსერვატორიაში, მისი საკლასო ოთახის წინ ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. სტუდენტები და პედაგოგები გულმოდგინედ ელოდნენ თავიანთ რიგს ბატონ დავითთან შესასვლელად. ისიც მესმოდა, თუ როგორ წუხდნენ უფროსკურსელები და დანანებით ამბობდნენ - დავით ანდღულაძესთან რომ მემუშავა, მის კლასში რომ ჩავერიცხეთ, არ გამიქირდებოდა სიმღერაო. ვხედავდი, როგორ ცდილობდნენ მის კლასში გადასვლას, ან მისგან კონსულტაციების მიღებას, ასე გასინჯეთ, თუნდაც. ბატონი დავითის კონცერტმაისტერებთან რამდენიმე გაკვეთილის მიღებას მაინც. იმასაც კარგად ვხედავდი სოლო სიმღერის კათედრის ბევრი წევრი, მათ შორის უკვე გამოცდილი პედაგოგებიც კი, როგორ მიილტვოდნენ მისკენ და საჭირო მითითებებს იღებდნენ.

ჩემი პირველი შეხვედრა ბატონ დავით ანდღულაძესთან

პროფესორი დავით ანდღულაძე

პირველკურსელთა მოსმენის შემდეგ მოხდა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, მაისის თვეში, კონსერვატორიის მცირე დარბაზში ტარდებოდა სტუდენტთა მოსმენები. იმ წელს მოსმენაზე, რომელსაც ესწრებოდა მთელი კთედრა, ასევე სტუდენტები და დაინტერესებული საზოგადოება, რამდენიმე ვოკალური სავარჯიშო და ორი ქართული რომანსი შეკვასრულე. როგორც ყველა პირველკურსელმა, მეც მსმენელთა ტაში დავიმსახურე. საერთოდ, ინტერესი პირველკურსელებისადმი ყოველთვის დიდი იყო. ისახებოდა პერსპექტივა; მსჯელობდნენ ხმის დიაპაზონის, რეპერტუარის, საერთო მონაცემებისა და შესაძლებლობების შესახებ. კათედრაზე ინდივიდუალურად განიხილავდნენ თითოეული სტუდენტის არა მარტო შესრულების შედეგებს, არამედ მის მიერ სწავლის გარკვეულ პერიოდში მიღწეულ წარმატებებს თუ მარცხს, რის შესახებაც დაწვრილებით ანგარიშს აკეთებდა პედაგოგი. მოგეხსენებათ, სოლო სიმღერა ბევრ აუცილებელ კომპონენტს აერთიანებს და სტუდენტის ინდივიდუალობას უპირობოდ უნდა შეესატყვისებოდეს პედაგოგის მიერ არჩეული გზის სისწორე, რაც გამოიხატება ყოველი ინდივიდისთვის მორგებულ ვოკალურ სავარჯიშოებში, სუნთქვის რეჟიმსა და რეპერტუარში, ასევე სტუდენტის აზროვნების, გემოვნების, ინტელექტუალური დონის ამაღლებაში და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრწყინვალე მონაცემებს ვანვითარება არ უწერია.

მოსმენის მეორე დღეს კონსერვატორიის შესასვლელთან, სადაც ყოველთვის ვიკრიბებოდით სტუდენტები, ერთმანეთს საკუთარ შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით და თანაც „ლაღიძიდან“ აღმართზე ამომავალ ხალხს ვათვალიერებდით, დავინახე, რომ დინჯი ნაბიჯებით კონსერვატორიისაკენ მოემართებოდა ბატონი დავით ანდღულაძე. როგორც ყოველთვის, თან ახლდა სტუდენტთა და ახლობელთა ჯგუფი. მათ შორის ორი ულამაზესი ქალიშვილი, როგორც შემდეგ გავიგე ისინი მისი ნათესავები იყვნენ და შვილიშვილებადაც ეკუთვნოდნენ. მალე ნინა და ლერა ვაისები ჩემი მეგობრები გახდნენ. ბატონი დავითი მოგვიახლოვდა, მის-

თვის დამახასიათებელი კეთილი ღიმილით მოგვესალმა, ჩვენც გაეკარით კედელს და მოკრძალებით დავუხარეთ თავი. მან ჯოხით მანიშნა მიესულიყავი. ხელი ჩამომართვა და ორიოდე თბილი სიტყვა მითხრა წინა დღის სიმღერის შესახებ. ბოლოს დასძინა, თუ სერიოზულად მოეკიდები ამ საქმეს, მგონია, რომ უნდა გამოგივიდესო! რასაკვირველია, ვერაფერი ვუპასუხე. ამის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მისი სიტყვები კი ყოველთვის თან მდევდა და იმედით მავსებდა. ერთი წლის შემდეგ პროფესორ გიორგი გოგიჩაძესთან გადავედი. იგი გამორჩეული პედაგოგი იყო, ბევრი რამ მომცა და ხელი შეუწყო ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით ბატონ გიორგის მეუღლეს, ცნობილ კონცერტმაისტერს, ქალბატონ რახილ გლეზერს ვუმადლი. მათ დიდი რეპერტუარი შემირჩიეს, შემასწავლეს გერმანული და რუსული კლასიკა, რომელიც მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მასაზრდოებდა. სტუდენტობის ბოლო წლებში ორი სოლო კონცერტი ვიმღერე, მოვამზადე და შევასრულე საოპერო სტუდიაში ევგენი ონეგინის სცენები პ. ჩაიკოვსკის ოპერაში „ევგენი ონეგინი“ - რაშიც დიდი წვლილი, ჩემი სპეციალობის პედაგოგთან ერთად, გამოჩენილ მუსიკოსებს, კონცერმაისტერ მარია კაპ...ევას და დიმიტრი შვედოვს მიუძღვის. სახელმწიფო გამოცდაზე ფრიადი დავიმსახურე და მოსკოვიდან მოვლინებული თავმჯდომარის, პროფესორ ბილშტეინის განსაკუთრებული აღნიშვნაც დავიმსახურე. მაგრამ, დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ვგრძნობ, რომ მქონია შანსი პროფესორ ღავიო ანდღულაძესთან მუშაობისა. ეს შანსი რატომღაც ვერ გამოვიყენე და ბევრიც დავკარგე. ამაში მით უფრო დავრწმუნდი, როცა უკვე საოპერო თეატრის სოლისტმა ბატონ ნოდარ ანდღულაძესთან გავაგრძელე მეცადინეობა და ანდღულაძისეული დანაკლისი ნაწილობრივ მაინც შევივსე.

ბატონ დავით ანდღულაძესთან შეხვედრებიდან არასოდეს დამავიწყდება ერთი განსაკუთრებული მომენტი... სულ რამდენიმე დღეა დავამთავრე კონსერვატორია და მომავლის გეგმებზე ვფიქრობ, რასაკვირველია ვემზადები თეატრში მისასვლელად.

ვფიქრობ რეპერტუარზე. მით უფრო, რომ თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ბატონმა დიმიტრი მჭედლიძემ წინასწარი მონახაზიც მომცა და სპექტაკლიც დამინიშნა მოსასმენად. ამ პერიოდში ინტენსიურად ვმეცადინეობდი თეატრის კონცერტმაისტერ ეკატერინე ლაზარევასთან. ამასთან, ვმუშაობდი თბილისის №1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის სამუსიკო ათწლედის დირექტორად. საქმე არ მაკლდა, მაგრამ არც უდროობას ვუჩიოდი. ერთხელ სამსახურიდან დღის ხუთ საათზე მოსულს მეუღლემ აღელვებით მითხრა, თეატრიდან კუკური მაღრაძემ (იგი მაშინ საოპერო თეატრის დასის გამგე იყო) დარეკა, გეძებენ, დღეს საღამოს მურმანი უნდა იმღეროსო! მურმანის პარტია მე საოპერო სტუდიაში მოვამზადე და სპეციალისტთა მოწონებაც დავიმსახურე. რასაკვირველია, იმ წუთშივე თეატრს მივაშურე. იქ უკვე შელოდნენ. როგორც შემდეგ გავიგე ბატონი პეტრე ამირანაშვილი, ალბათ, პირველად მის ცხოვრებაში შეუძლოდ გამხდარა და სპექტაკლზე უარი უთქვამს. მოხდა ისე, რომ სხვა შემსრულებლებიც იმ მომენტში არ ყოფილან ადგილზე. ამიტომ ბატონ დიმიტრის და მთავარ დირიჟორს ბატონ ვახტანგ ფალიაშვილს ჩემი გამოძახება გადაუწყვეტიათ. მაშინ „აბესალომი“ რეჟისორ გურამ მელიავას და მხატვარ სოლიკო ვირსალაძის დადგმით მიდიოდა. თეატრში მისვლისთანავე დირიჟორმა გივი მუნჯიშვილმა გამამეორებინა მურმანის პარტია, ხოლო გურამ მელიავამ მიზანსცენები ამიხსნა და კოსტიუმი ამირჩია. საინტერესო ის იყო, რომ იმ დღეს აბესალომს მღეროდა უკვე აღიარებული ტენორი, დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა, რაც ძალზე ზრდიდა ჩემს პასუხისმგებლობას. მცირე დროში თავი მოვიწესრიგე, „ფორმაში მოვედი“ და მოვემზადე სპექტაკლისათვის. მურმანის პარტია საკმაოდ რთული და მრავალმხრივია. იგი მოითხოვს ფართო დიაპაზონს, განსაკუთრებულ ნიუანსირებას, თანაბარ ჟღერადობას და, რაც მთავარია, გმირის რთული ბუნების, სულისკვეთებისა და შინაგანი სიღრმის გახსნას. ზაქარია ფალიაშვილის მურმანი თავდავიწყებითაა შეყვარებული. იგი რაინდია და სიყვარულის დიდ-

მა გრძნობამ მწყავედ აგრძნობინა სოციალური უთანასწორობა. მურმანი მზადაა არაფერი დაიშუროს, რათა ეთერის გული მოიგოს და მეფეს საყვარელი ქალი წაართვას. მას მიაჩნია, რომ მოვალეა დაიხსნას ეთერი მეფისაგან და ფიცს დებს: „წყალ-წისქვილ-ქვიშა არ დავიფიცო, ისედაც შეეძლებ სატრფოს დახსნასა!..“ მაგრამ იძულებულია სული ეშმაკს მიჰყიდოს... ეთერის სიყვარული აიძულებს ამ ნაბიჯს. დროებით გამარჯვებული და მიზანმიღწეული მურმანი მალე სვდება, რომ ვერ ძლევს მბრძანებელს. ბოლოს, აბესალომისა და მურმანის ცნობილ დუეტში სასოწარკვეთილი აღიარებს: „ახლა კი გულმა მაცნობა, ბედი გექნება მწარეო...“ და უკვდავების წყლის მოსატანად მიდის.

აბესალომი ზურაბ სოტკილავა უზადო იყო იმ დღეს, სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. გადაჭედილი დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს. რასაკვირველია მთელი „ანდღულაძეები“ იქ იყვნენ. ასე უწოდებდნენ ბატონ დავით ანდღულაძის კლასს და მათ ურიცხვ თაყვანისმცემლებს. ალბათ, ჩემი წვლილიც იყო ამ წარმატებაში. ეს გახლდათ ჩემი პირველი სპექტაკლი, ანუ უეცარი დებიუტი თბილისის საოპერო თეატრის დიდ სცენაზე. სპექტაკლის შემდეგ ზურაბ სოტკილავამ გულწრფელად მომილოცა, მომეფერა და შემოქმედებითი წარმატებები მისურვა. განსაკუთრებული კი ის იყო, რომ ბატონმა დავით ანდღულაძემ, რომელიც სპეციალურად მოვიდა ჩემთან, თავისი განუყრელი დიდი ხელჯოხით შემომაბრუნა, ხმამაღლა გაიცინა და გახარებულმა მითხრა, ახლა კი თამამად გეტყვი, რომ შენ ნამდვილი საოპერო მომღერალი ხარ! ბეჭზე თავისი დიდი ხელი დამადო და თვალებში ჩამხედა. თვალი ვერ გავუსწორე ამ ღმერთკაცს. შემდეგ ოპერის ბევრმა მოყვარულმა, მეგობარმა და კოლეგამ მომილოცა, შემაქო, მაგრამ კარგახანს ვგრძნობდი ჩემს ბეჭზე ბატონი დავითის ხელის სიმძიმეს. ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი დღე.

დიდ სცენაზე

ამ მოულოდნელმა დებიუტმა, ფაქტობრივად, გადაწყვიტა ჩემი ბედი და მალე თბილისის საოპერო თეატრის დასში ჩავირიცხე. შემდეგი როლი თავად ლევანის პარტია გახლდათ ვიქტორ დოლიძის ოპერაში „ქეთო და კოტე“. თავადი ლევანი რთული პარტიაა. იგი, გაბმულ სიმღერასთან ერთად, დატვირთულია ბევრი რეჩიტატივით, ანსამბლებით და მომღერლისაგან დიდი პასაჟების ფლობას მოითხოვს. ძირითადი სამღერი ტესიტურა გარდამავალ ბგერებზეა აგებული და აუცილებელია მათი ლაღი ფლერადობა, რასაც პირდაპირ კარნახობს სახის შინაარსი და სულისკვეთება. ამასთან, თავადი ლევანი როგორც ვოკალურად, ასევე სცენურ მოქმედებაში უნდა იყოს თავისუფალი, გალაღებული და მეტად დამაჯერებელი. იგი წარმართავს ოპერის საერთო ქარგას და მუდმივად ყურადღების ცენტრშია. ოპერა „ქეთო და კოტე“ წარმატებით მიდიოდა არა მარტო თბილისისა და ქუთაისის საოპერო თეატრების სცენებზე, არამედ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში. თეატრში მუშაობის ოცდაორი წლის მანძილზე თითქმის ორასჯერ ვიმღერე თავადი ლევანის პარტია როგორც საოპერო თეატრების სცენაზე, ასევე ჩვენი ქვეყნის ყველა საკონცერტო ესტრადაზე და ღია ცის ქვეშ მოწყობილ სცენებზე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეტად კარგი ტრადიცია იყო დამკვიდრებული. სისტემატურად ხდებოდა საოპერო სპექტაკლებით, აკადემიური კონცერტებით რაიონებში გასვლა და საზოგადოების ფართო ფენებთან ძეს ვედრა. ამ შეხვედრების აქტიური მონაწილე მეც გახლდით. არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა, რომ გადაჭედილი არ ყოფილიყო თეატრის დარბაზი, კულტურის სასახლე, ხოლო ღია ცის ქვეშ, უმეტესწილად სტადიონებზე, ხალხის ტევა არ იყო. სახელდახელო სცენაზე ასულს საოცარი გრძნობა მეუფლებოდა ხის ტოტებზე მოკალათებული ყმაწვილების ოვაციებისა და შეძახილების გამო.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოავად ლეკანის ძალე კიაზოს პარტია მოპყვა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისში“. კიაზო კეთილშობილი და აპასთანავე პატივმოყვარე რაინდია. იგი ასისთავია და ხალხის ბედი აბარია. მას თავდავიწყებით უყვარს თავისი საცოლე მარო და ამ მაღალი გრძნობის დასაცავად ძალაც გააჩნია. მაგრამ მაროს მალხაზი უყვარს და კიაზოზე დანიშვნის შემდეგ შეხვდა კიდეც. დღესასწაულზე, ეკლესიის ეზოში ცანგალამ აცნო კიაზოს მაროსა და მალხაზის შეხვედრის ამბავი. აღშფოთდა კიაზო, თავმოყვარეობის შელახვა იგრძნო, აუნთო და ცანგალას მიერ მოწოდებულ ღვინით სავსე ყანწს დაეწაფა, რათა ღვინოში ჩაეხშო ყარაში და ეგებ წადმა ეფიქრა სოფლის უკუდმა ტრიალი.

ხ. ფალიაშვილი კიაზოს დამცირებულ გრძნობას გენიალურად გადმოსცემს „სულო ბოროტოს“ მუსიკაში. ეს არია ერთ-ერთი საუკეთესო და შთამბეჭდავია იმ მარგალიტთა შორის, რაც ასე უხვადაა ოპერაში. შთამბეჭდავ მუსიკას მთლიანობას სძენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბრწყინვალე ქმნილება. ეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი არიაა. მიუხედავად მისი მინორული ელერადობისა, იგი დიდ ტემპერამენტს, შინაგან ექსპრესიასა და თანამიმდევრობას მოითხოვს. ამ არიას ხშირად ვასრულებდი სხვადასხვა კონცერტებზე, მათ შორის საზეიმო შეხვედრებზეც და დიდი წარმატებაც მქონდა. რასაკვირველია, მაყურებელი აღტაცებით ელოდებოდა კიაზოს მეორე არიას „დამისხი, დამალევინეს“, რომელიც გენიალური ვაჟას ლექსზეა შექმნილი და შესანიშნავ განწყობას ქმნის ოპერის მეორე აქტში.

კიაზოს პარტია გამორჩეულია ფართო დიაპაზონითა და ხმის მაღალოსტატური ფლობის აუცილებლობით. „სულო ბოროტოსა“ და „დამისხი, დამალევინეს“ იქვე მოპყვება სცენა ურემზე და ლოცვა. „მტერსა უგულოს, თავხედსა, გადმოულახავს ბარია, გაუთელია ჯეჯილი, დაუწვავს ეზო-კარია“. გრგვინავს ასისთავი და ბრძოლისკენ მოუწოდებს თანამეამულეებს. ხალხი იარაღდება, კიაზო კი ღმერთს შესთხოვს შველას. ქორალი „ღმერთო, იხსენ და უშველე“ ერთ-ერთი საჯილდო ქვაა ქართულ ვოკალურ მუსიკაში. იგი ლოცვაა გულიდან მომდინარე და დამმოძღვრელი ხალხ-

ლ. ახათიანი – შეფმანი. ფ. ფალიაშვილის „აბესალომ ეთერი“

ლ. ახათიანი – შურმახი

ისა, რომლის შესრულება დიდ ოსტატობას, ხმის განსაკუთრებულ ყღერადობას, შინაგან ექსპრესიას, ტემპერამენტსა და თავშეკავებულობას ითხოვს. მისი კარგი შესრულება ურუანტულსა ჰგვრის ადამიანებს როგორც სცენაზე, ისე დარბაზში. ბოლოს, კიაზოს მოწოდება „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ ოპერის მეორე აქტის კულმინაციაა.

სიყვარულში ხელმოცარვით შეურაცხყოფილი კიაზო მაროსა და მალსაზის განშორებას მოითხოვს: „მაშ, თუ ავრეა, დე იყოს, ჩვენს შორის ტანჯვა გაიყოს, ერთმანეთს უნდა განშორდეთ! ეს ნუგეშად მე შექნება“. შავრამ სატრფოსათვის ბრძოლას მაინც ხმალი ქრის. კიაზო ვრძნობს დაღვრილი სისხლის სიმძიმეს და ბრძოლის ველზე საკუთარი სისხლით აპირებს შეცოდების განბანვას.

პროფესორი დიმიტრი მქედლიძე აღნიშნავდა, რომ ლამაზი აღნაგობის, კარგი ხმის, ქართული სიმღერის სიღრმეებში ჩამწვდომი მომღერლის შესრულებით წარმოდგენილი კიაზო მაყურებლის დიდ სიმპათიას იმსახურებს და გიკვირს რისთვის შეიძულა მარომ ეს შესანიშნავი ქაბუკი... კიაზო არ არის უარყოფითი პიროვნება და მით უფრო ღრმავდება აქ დრამის შინაარსი, რაც უფრო მდიდარია კიაზოს ბუნების გამომხატველი მსახიობის შესაძლებლობათ.

კიაზოს პარტია საოპერო სტუდიაში მე გამოჩენილი ქართველი დირიჟორის ბატონ დიდიმ მირცხულავას ხელმძღვანელობით

ლ. ახათიანი – თავადი ლეონი, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე"

შევისწავლე და პირველი სპექტაკლიც თბილისის სათეატრო თეატრის სცენაზე მისივე დირიჟორობით ვიმღერე. დიდი ევგენი მიქელაძის მოსწავლე მომთხოვნი, პრინციპული და პარტიტურის სათცრად დამცველი დირიჟორი გახლდათ. აუცილებელია აღვნიშნო, რომ პარტიას, რომელსაც ბატონ დიდიმთან შეისწავლიდი, აღარასოდეს დ. გავიწყდებოდა.

განსაკუთრებული სიამაყით ვწერ, რომ ოპერა „დაისში" ისეთი დიდი მომღერლების გვერდით ვმღეროდი, როგორებიც გახლდ-

გ. ალათიანი „ოგაგი ლეკვანი. ვ. დოლიძეს „ქალი და კოცნა"

სცენები „ქეთო და კოტეედან“. კოტე — ამირან გაგუა,
თავადი ლევანი — ლევან ახათიანი
კნეინა მარო — მზია დავითაშვილი
თავადი ლევანი — ლევან ახათიანი

ნენ: ნათელა ტუღუშ ი, ლამ ირა ჭყონია, მედეა ამირანაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, ვახტანგ გლუნჩაძე, პეტრე თომაძე, ირაკლი შუშანია. ხოლო ჩეში თაობის მომღერლებიდან: ლიანა კალმახელიძე, მარიცა მაღლაფერიძე, თამარ კრაწაშვილი, მზია დავითაშვილი, თამარ გურგენიძე, ნათელა მკერვალიძე, მანანა ეგაძე, ლია ღვედაშვილი, ალეკო ხომერიკი, თემურ გუგუშვილი, ნუგზარ გელაშვილი, ანზორ ხიდაშელი, ტარიელ ქიქინაძე, ომარ ხიფერია და სხვ. ასევე შეამაყება, რომ თბილისისა და ქუთაისის საოპერო სცენებზე, ასევე სხვადასხვა ქალაქებსა .ია რაიონებში, ჩეში სოლისტობის მანძილზე, სულ 132-ჯერ განვასახიერე ჩემთვის უსაყვარლესი კიაზო.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შესანიშნავი პირობები იყო შექმნილი ახალგაზრდა მომღერალთა შემდგომი დაოსტატებისათვის. ბატონი დიმიტრი მჭედლიძე, ბატონი ირაკლი ბერიძე, ბატონი ზურაბ ანჯაფარიძე ისეთი დირექტორები და სამხატვრო ხელმძღვანელები გახლდნენ, რომლებიც ყოველგვარ პირობებს გვიქმნიდნენ თაქამი და გაძართლებული შემოქმედებითი ნაბიჯების გადა ადგმელად. ამას თან ერთვოდა გამოჩენილი დირიჟორებ ის ოდიპეი დიმიტრიადის, მიხეილ ბუხბინდერის, ვახტანგ ფალ " ეილის, გიორგი აზმაიფარაშვილის, ირაკლი ჭიაურელის, რევაზ ტაკაიძის, თამაზ ჯაფარიძის, გამოცდილი და მაღალპროფესიული კონცენტმაისტერების - იაკობ გორდონის, ტატიანა დუნენკოს, ეკატერინე ლაზარევას, იუდიკა სალაყაიას, დარეჯან მახაშვილის და მარინე ქურთოშვილის დიდი მხარდაჭერა, გულმოდგინე შრომა ყოველი ნაწარმოების ზედმიწევნით ზუსტად შესასწავლად და ავტორისეული ჩანაფიქრის გასახსნელად. ახალგაზრდული „ტრავიატას“ შემდეგ მუსიკისმცოდნე მ. რევაზიშვილი წერდა:

„ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელობა სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ნიჭიერ ახალგაზრდებს, მათ შემოქმედებითი ზრდისა და ოსტატობის დახვეწის საუკეთესო შესაძლებლობებს უქმნის.

ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო ახლახან წარმოდგენილი ვერ-

ლეონ ასათიანი — კიაჩო, ზ. ფალიაშვილი „დაისი“

დის „ტრაგიკატა“, რომელსაც მრავლად დაესწრო ხალხი. ინტერესი დიდი იყო, რადგან მოაყარ პარტიებს ასრულებდნენ ახალგაზრდა მომღერლები: დებიუტანტი მედეა ნამორაძე (ვიოლეტა). ალექსანდრე სომერიკი (ალფრედი) და ლეონ ასათიანი (ჟორჟ ჟერმონი). ასევე სხვა პერსონაჟებსაც მხოლოდ ახალგაზრდა სოლისტები ანსახიერებდნენ.

ახალგაზრდობა სასიამოვნო და განსაკუთრებით ზომხიბვლელია სცენაზე. მით უფრო, როცა ნიჭითა და სცენური მონაცემებით არის მომადლებული. მათ ძალა შესწევთ მოიტანონ ნამდვილი სიხარული, თავისი რწმენა და ძალა გადასდონ მსმენელს, ვეაგრძნობინონ ტრადიციების დაფასება და სიყვარული. სწორედ ამგვარი გრძნობა დაგვეუფლა იმ საღამოსაც. ისინი ნამდვილად განიცდიან, ღელავენ, იწვიან, თავიანთ განცდებს გადმოსცემენ უშუალოდ, მღერიან დიდი გატაცებით. ამიტომ უნებლიე თანამონაწილეც ხდები მათი გრძნობებისა... საინტერესო იყო ჟერმონის როლში

დეკანი ახალციხისა ,,ბაზრ, ზ. ფალდაბაშვილი „დაიხი"



ლევან ახალაია — ქიაჩი. ზ. ფალიაშვილი „დაფა“

სპექტაკლ „დაისის" შემდეგ ლევან ასათიანი და პროფესორი გიორგი ჯოგიანაძე

ლევან ასათიანი. იგი ვაღელვებს გმირის მუსიკალური განცდით, კარგად ფლობს ხმას და შესწევს უნარი შექმნას დამაჯერებელი მუსიკალური და სცენური სახე.

ოპერას ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი აზმაიფარაშვილი. მისმა სადირიჟორო ხელოვნებამ, სცენის შეგრძნებისა და ანსამბლურობის უნარმა დიდად განაპირობა წარმოდგენის მხატვრული დონე და წარმატება („თბილისი", 1979 წ.. 1 აგვისტო).

წერილში - „სიტყვა ახალგაზრდა შემოქმედზე" საოპერო თეატრის დირექტორის მოადგილე, ბატონი რევაზ მაჩაიძე აღნიშნავდა: „თეატრის ახალგაზრდა სოლისტს ლევან ასათიანს უკვე კარგად იცნობენ მუსიკის მოყვარულები. იგი წარმატებით მონაწილეობს კონცერტებში და საოპერო წარმოდგენებში. აქვს ლამაზი ტენორის ძლიერი ბარიტონი და სასიამოვნო სცენური გარეგნობა.

ფეკალ ახალაია ავაკი ონკაია. ,,ნიაფიკეს ,,ავაკი ონკაია"

კარგად ფლობს სასიმღერო ხმას, რომელიც თავისუფლად ეღერს ყველა რეგისტრში.

ორი სეზონის განმავლობაში ლევან ასათიანმა იმღერა ბარიტონის ისეთი რთული პარტიები, როგორიც არის ამონასრო და ჟერმონი (ვერდის „აიდა“ და „ტრავიატა“), ვალენტინი (გუნოს „ფაუსტი“), კიაზო, შურმანი (ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), ლევანი (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“). თავისი ვმირების სულიერი სამყაროს შეგრძნებითა და განცდით სოლისტი ქმნის განსხვავებული ხასიათის სათქერო პერსონაჟთა დამაჯერებელ მუსიკალურ პორტრეტებს.

მიმდინარე სეზონში ლ. ასათიანი აქმზადებს რიგოლეტოს (ვერდის „რიგოლეტო“) და გელას (რ. ლაღიძის „ლელა“) პარტიებს“ („თბილისი“, 1979 წ. 29 თებერვალი).

დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი

ვახტანგ ფალიაშვილი

ჩემს საოპერო შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უკავია გამოჩენილ ქართველ დირიჟორს, ბატონ ვახტანგ ფალიაშვილს. იგი დიდი ზაქარია ფალიაშვილის ძმის, პროფესორ ლევან ფალიაშვილის შვილია და განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. აბსოლუტური სმენა და შეხსიერება, ურთულეს მუსიკალურ სახეებში სწრაფი და სწორი ორიენტირების უნარი, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, ფართო განათლება და მდიდარი პროფესიული კულტურა ბას საშუალებას აძლევდა წარმატებით განეხორციელებინა არა მარტო სხვადასხვა კლასიკური ქმნილების დადგმა, არამედ ხორცი შეესხა თანამედროვე ქართული საოპერო, სიმფონიური, საბალეტო და საგუნდო მუსიკის მრავალი თვალსაჩინო ნიმუშისთვისაც.

1976 წელს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ახლად დაიდგა ჯუზეპე ვერდის უკვდავი „აიდა“. საოპერო სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორი გახლდათ ბატონი ვახტანგ ფალიაშვილი. დადგმა განახორციელა ჯემალ ანჯაფარიძემ, ხოლო მხატვრობა - შალვა ჩიქოვანმა. როგორც მუსიკათმცოდნეები აღნიშნავდნენ, ვახტანგ ფალიაშვილმა სპექტაკლზე მუშაობისას გამოიყენა წლების მანძილზე დაგროვილი დიდი გამოცდილება და ღრმა ცოდნა. იგრძნობოდა მონუმენტური პლასტიკა, დახვეწილი ფრაზირება, დირიჟორისათვის, ყოველთვის დამახასიათებელი, ავტორისეული ტექსტის და მუსიკალური დრამატურგიის მთლიანობის დაცვა. მხატვრულ სახეთა სიმკვეთრე და გმირთა სულიერი სამყაროს მძაფრი გრძნობა; აიდას ლაიტმოტივი წარმოდგენილია ფაქიზად, ლირიკული მელოდიით, სადაც ჩაქსოვილია ომმხიბვლელობა, სინაზე, სიყვარული და უსაზღვრო სწრაფვა ბედნიერებისაკენ. იგი მკვეთრად უპირისპირდება ქურუმთა ლაიტთემას, მრისხანესა და ულმობელს; შინაგანი კონ ფლიქტებისა და კონტრასტულობის პრინციპი ნათლად გამოძერწა დირი-

ლუკას ანასიანი – ამონასრო, ჯ. ვერდის „აიდა“

ყორმა ოპერის ყველა აქტში. იგი ანერხებს კულმინაციური მომენტების ხაზგასმას, რითაც მეტი სიმკვეთრით გადმოსცემს გმირთა შინაგან განცდებს, მათ მდიდარ სულიერ სამყაროს. ვერდის დიდებულ ქმნილებას დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გადაგვიშლის დირიჟორი, გამოკვეთილია ოპერის ბოლო სურათიც. „აქ, ამა ქვეყნის სიმკაცრე და ულმობელობა უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენს. სიწმინდესა და სულიერ ამაღლებულობას მოუცავს ყოველივე. ეს ის სიწმინდეა, რომელიც აიდასა და რადამესის ტრაგედიას გვირგვინად ადგას და, „აბესალომის“ ფინალური სცენისა არ იყოს, ამსხვრევს ამქვეყნიურ უკანონობას“.

ბატონ ვახტანგ ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შევისწავლე ამონასროს პარტია და იგი „აიდას“ ამ დადგმაში შევასრულე. ვახტანგ ფალიაშვილი გულისხმიერი და ძალზე თბილი პიროვნება გახლდათ, მაგრამ გაკვეთილზე მეტად მომთხოვნი, მკაცრი და პრინციპული იყო. ამასთან, დამაჯერებლობისა და დარწმუნების გასაოცარი უნარი გააჩნდა, რის წყალობითაც ძალიან სწრაფად

ხევნა თეკრიდან „ალდა“. ამონახრა – ლეკვან ახალთანი.
ალდა შედეა ამანანაშვილი

ვითვისებდი მასალას, მიადვილდებოდა სახის გახსნისათვის საჭირო ჟღერადობის მოძებნა და მოცემული ამოცანის გადაწყვეტა. საოცრად ადვილი იყო მასთან სიმღერა. სადირიჟორო პულტთან მდგომი განუყოფლად შენთან იყო. უზადოდ გრძნობდა შენს გულისთქმას და არასდროს კარგავდა სცენასთან კავშირს. ნათელი მოძრაობითა და მეტყველი თვალებით ქმნიდა განსაკუთრებულ მთლიანობას და ჰარმონიას ორკესტრის, გუნდის, სოლისტებისა და ბალეტის მსახიობთა შორის. იგი ყოველ მათგანში აღვიძებდა მხატვრული სახის წარმოსახვის უნარს, რაც ყველა დიდი დირიჟორის გამორჩეული ნიშანია.

„აიდაში“ ჩემი გამოსვლა იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ ბრწყინვალე თანავარსკვლავედში - ნოდარ ანდღულაძის, ზურაბ ანჯაფარიძის, ცისანა ტატიშვილის, მედეა ამირანაშვილის, თენგიზ მუშკუდიანის და ირაკლი შუშანიას გვერდით მემღერა ამონასროს პარტია და ასევე ბრწყინვალე ბარიტონი ბატონი რევაზ კაკაბაძე შემეცვალა. აუცილებელია ითქვას, რომ ამ პარტიის ერთ-ერთი გამორჩეული შემსრულებელი დიდი პეტრე ამირანაშვილი იყო.

გაზეთი „თბილისი“ 1978 წლის 13 აპრილს აქვეყნებს რ. გოგლიძის სტატიას „კიდევ ერთი დებიუტი“, სადაც ვკითხულობთ, რომ „საუკუნეა, რაც ქართული საოპერო თეატრის სცენაზე იდგმება ჯ. ვერდის უკვდავი „აიდა“. ბევრმა ჩვენმა მომღერალმა დაუკავშირა შემოქმედებითი ბიოგრაფია გენიალური ქმნილების გმირთა დაუვიწყარ სახეებს.

ახლახან მსმენელმა კიდევ ერთი ახალი შემსრულებელი გაიცნო. ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის ახალგაზრდა სოლისტმა ლევან ასათიანმა წარმატებით დასძლია ამონასროს რთული პარტია.

დებიუტანტს ლამაზი ტემბრის ძლიერი ბარიტონი აქვს. იგი კარგად ფლობს ხმის ყველა დინამიკურ ელფერს. თავისუფლად ჟღერს ყველა რეგისტრში და სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს, მღერის ტემპერამენტითა და ემოციით.

ლ. ასათიანმა შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია ქართული ვოკალური სკოლის სახელგანთქმულ წარმომადგენლებს ცისანა ტატიშვილს (აიდა) და ზურაბ ანჯაფარიძეს (რადამესი).

წარმოდგენის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი დირიჟორ ვ. ფალიაშვილის დახვეწილმა ხელოვნებამ".

ბატონი ვახტანგ ფალიაშვილი გამორჩეული პედაგოგი იყო. ცნობილი პროფესორი, მეცნიერ-მკვლევარი და უზადო დირიჟორი ოც წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრას. აღსანიშნავია, რომ მისი პედაგოგიური მოღვაწეობა ვრცელდებოდა მთლიანად საქართველოში, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა სასწავლებლების მეცნიერ კონსულტანტობით, საქალაქო, სარაიონო და რესპუბლიკური საგუნდო ფესტივალების მოწყობით, ქართული საგუნდო მუსიკის ზეიმის ჩატარებით, რომლის ფუძემდებელი და დიდი ტრადიციების გამგრძელებელი თავად გახლდათ.

ვახტანგ ფალიაშვილის რეპერტუარში იყო ოცდაათი საოპერო, ორმოცი საბალეტო და აურაცხელი საგუნდო, საორკესტრო და კამერული ნაწარმოებები, რომელთაც იგი წარმატებით ასრულებდა როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შორის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ირლანდიის, კუბის, უნგრეთის, პოლონეთის, ეგვიპტის, კანადის, ბრაზილიის და ამერიკის ქალაქების გამორჩეულ სცენებზე.

ბატონმა ვახტანგ ფალიაშვილმა, წერს ქალბატონი მედეა ქელბაქიანი, „გაამართლა ძია ვანოს გუმანით ნააზრევი წინასწარმეტყველებაც, თავისი სადირიჟორო ჯოხი საჩუქრად რომ გადასცა საყვარელ ძმისწულს. პირველი ქართული სადირიჟორო ჯოხი ვახტანგ ფალიაშვილს ხელთ ეპყრა უკანასკნელი ამოსუნთქვის დროსაც. სწორედ ამ ჯოხით ანთებდა იგი ცეცხლის იმ ჩირაღდნებს, რასაც ეროვნული მუსიკა პქვია".

1980 წლის 7 დეკემბერს მოულოდნელად შეწყდა ბატონ ვახტანგის გულის ფეთქვა. იგი, დიდი ივანე ჯავახიშვილის მსგავსად,

სადირიჟორო პულტთან, ყველას თვალწინ, რჩეულია ხეედრის ლამაზი სიკვდილით დაეცა სცენაზე... იმ დღეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საგუნდო მუსიკის მეექვსე ზეიმის ბოლო კონცერტი მიმდინარეობდა. დარბაზში მეც ვიყავი და მწარედ განვიცადე საყვარელი ადამიანის ბოლო ამოსუნთქვა. ეს სურათი გულწრფელი სინანულითაა აღწერილი მედეა ქელბაქიანის აკტორობით დაბეჭდილ წიგნში - „ვახტანგ ფალიაშვილი". ტრადიციისამებრ, „გაერთიანებული გუნდები და საგუნდო-სადირიჟორო კათედრის აღზრდილები „აბიო შეფის" სადიდებელს ქექდნენ, მას უცვლელი დირიჟორი და ამ ზეიმების ფუძემდებელი ვახტანგ ფალიაშვილი ედგა სათავეში. პულტთან აძღერებული არავის უნახავს იგი. ამ დღეს კი, მღერიდა... ვახტანგს უთქვამს: „ადამიანმა ყველა საქმე ბოლომდე უნდა შეიყვანოს. საქიროა ლამაზი წერტილი დაუსვას მის დასასრულს". მართლაც, დირიჟორმა ხელის უკანასკნელი მონახსაზით უკანასკნელი ბგერა მოსწყვიტა გუნდს და „ლამაზი წერტილი" დაუსვა ყოველივეს... დარბაზში ტაშმა იქუხა. ტაში ოვაციაში გადაიზარდა. ზეიმის დასასრულს მონაწილეთ მიესალმა პროფესორი პავლე ხუჭუა. განსაკუთრებით აღინიშნა ვახტანგ ფალიაშვილის დიდი წვლილი... ტაშმა კვლავ იქუხა. რაინდული შემართებით იდგა ვახტანგი სცენაზე და სახეზე ჭეშმარიტი ხელოვანის ნათელი ღიმილი გადაპფენოდა. „მადლობელი ვარ, დიდი მადლ"... ვერ დააშთავრა სიტყვა, რომ გულში წვა იგრძნო... იშვიათად თუ ვინმეს უნახავს ესოდენ ძლიერი კონტრასტი - ფიზიკური ტკივილით დაუძლურებული და შემოქმედებითი სიხარულით გაბრწყინებული თვალები... და ეს იყო მისი თვალების უკანასკნელი გამოსხივება. დარბაზს გადახედა... ასობით ადამიანთა სიხარულით აკიაფებულ თვალებს თვალი გაუსწორა. მიხვდა, რომ მისი გული ამ სიხარულის ძალით დანთებულ კოცონზე იწვოდა..."

ვახტანგ ფალიაშვილის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თბილისის პირველი საგუნდო-სამუსიკო სკოლის დაარსებაც, რომლის

პირველი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი მე გახლდით. ბატონ ვახტანგთან ერთად შეკომუშავეთ სკოლის სახსოვარი ეგვმა, წესდება. მოვიწვიეთ ნიჭიერი ახალგაზრდა ქორმაისტრები: კოტე მშვიდობაძე, ნუგზარ სადრაძე, კლარა კეკენაშვილი, ლუიზა ფუტკარაძე, გიული სახალელი. პიანისტები: ეთერ ითხებაძე, თემურ ხიმკულიდი, ნათელა გეგეჭკორი, მედეა შარაბიძე და №1 ექსპერიმენტული სკოლის სამუსიკო ათწლედის ბაზაზე სამოვაყალიბეთ ბავშვთა საგუნდო-სამუსიკო სკოლა, რომელსაც ბატონი ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი მიენიჭა.

შეხვედრა №1 ექსპერიმენტულ სკოლაში. მარცხნიდან: მ. თნიგავა, ამაღლობელი, ლ. ახალაია, მ. გელაშვილი, მ. ლომაძე, ლ. ნიქვანაია. 1960 წ.

„ჩიქვანაიას სკოლა“

საქართველოს განათლების სამინისტროს №1 ექსპერიმენტულ სკოლაში საგუნდო და ვოკალური მუსიკის განსაკუთრებული სიყვარული სუფევდა. 1967 წლის აგვისტოდან ვმუშაობდი №1 ექსპერიმენტული სკოლის დირექტორის მოადგილედ ესთეტიკური აღზრდის დარგში. იმ დროს სკოლის დირექტორი ბატონი ლევან ჩიქვანაია გახლდათ. იგი შემოქმედი პიროვნებაა. ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პედაგოგთა ინიციატივას, სიახლეების დანერგვას, როგორც სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებისათვის, ასევე მოსწავლეთა ესთეტიკური, სპორტული და ყველა სხვა აღმზრდელობით მუშაობის ფორმების დახვეწისა და სრულყოფისათვის. ბატონმა ლევანმა გარს შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელთა უმრავლესობა დღეს გამოჩენილი მეცნიერი, შემოქმედი, პედაგოგი და სახელმწიფო მოღვაწეა. პირადად მე ძალიან ბევრი რამ შევიძინე მისგან. ფაქტობრივად მისი ხელმძღვანელობით ვისწავლე სკოლის მართვის ძირითადი არსი. ბატონ ლევანს ძალიან უყვარს მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა, ჭადრაკი, ასევე ნადირობა, თანამშრომლებთან და მეგობრებთან ერთად ბუნების წიაღში გასვლა. მისი დირექტორობის დროს ჩვენი სკოლა რესპუბლიკაში გამოირჩეოდა არა მარტო მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებითა და პროფესიონალ პედაგოგთა განსაკუთრებული ენთუზიაზმით, არამედ ცოცხალი, შინაარსიანი და მაღალმხატვრული შემოქმედებითი სასკოლო ცხოვრებით, რაც ერთი წუთითაც არ ნელდებოდა და სისტემურ ხასიათს ატარებდა.

აღსანიშნავია, რომ ბატონი ლევანის დავალებით შეიქმნა №1 ექსპერიმენტული სკოლის ემბლემა. იგი შეასრულა სკოლის პედაგოგმა, მხატვარმა ნონა გვაჯაიამ და დღემდე ამშვენებს ამ საგანმანათლებლო კერას. საინტერესოა, რომ ბატონ ლევან ჩიქვანაიას ხელმძღვანელობით არაერთი მაღალმხატვრული შემოქმედებითი ღონისძიება ჩატარდა როგორც სკოლაში, ისე ქალა-

ქისა და რესპუბლიკის მასშტაბით. ყველაფრის სულისჩამდგმელნი კი ჩვენი ნიჭიერი და შეძოქმედი ახალგაზრდა პედაგოგები გახლდნენ.

მახსენდება ერთი საინტერესო დღე. ბატონმა ლეკანმა შემოქმედი ახალგაზრდა პედაგოგები დაიბარა და ეროი ძველი ლეგენდა მოგვითხრო: მადიართა ახალგაზრდა და მშვენიერი გარეგნობის პრინცი გაურკვეველი სენით იყო დაავადებული. საიდან არ მოიწვია მეფემ ცნობილი მკურნალები, მკითხავები, მაჯისმცნობელნი, მაგრამ შვილს ვერაფერი უშველა. ბოლოს ერთ-ერთმა მოახსენა მეფეს, შორეულ კოლხეთში უმაღლესი მწვერვალებიდან მოედინება მდინარე, რომელსაც ფაზისი პქვია. იმ ქვეყანაში ულამაზესი ხალხი ცხოვრობს, ისინი განთქმული არიან ვაჟკაცობით და ჯადოსნური სიმღერით. თუ პრინცი იმ მდინარის ანკარა ტალღებში განიბანება და იმ ჯადოსნურ სიმღერასაც მოისმენს, რომელსაც თორმეტი ულამაზესი კოლხი ასული შეასრულებს, თანაც თუ თორმეტივეს ერქმევა სახელი ნათელა, იგი აუცილებლად განიკურნებაო. აფრინეს დესპანები და დიდი თხოვნა გაუგზავნეს კოლხეთის მეფეს. დანიშნულ დროს მდინარე ფაზისს პრინცი დიდი ამალით მიადგა. მდინარის მეორე ნაპირთან თორმეტი ულამაზესი ასული, თორმეტი ნათელა ჩანგით ხელში ელოდა მას. შეაგდო ცხენი პრინცმა აბობოქრებულ მდინარეში და შეეჭიდა ტალღებს. მაგრამ მდინარემ იძალა და პრინცი გაიტაცა. თორმეტი ასული ნაპირ-ნაპირ დაუყვა მდინარეს და თან სიმღერით ამხნევებდა უცხოელ სტუმარს. პრინცს ესმოდა საოცარი პანგები, რამაც ძალა შთაბერა და ტალღებს დაუსხლტა. ნაპირზე გამოსული, უკვე საკვლევით განკურნებული პრინცი გაოცებული შეჰყურებდა მის შესახვედრად მობრძანებულ ულამაზეს ხალხს. პურობისას მეფემ სტუმარს შესთავაზა: - აქოირჩიე, რომელიც მოგწონს და სიძედ მიგიღებთო! პრინცმა მორჩილად დაუხარა თავი კოლხეთის მეფეს და მოახსენა: - ჩემს გადამრჩენ ულამაზეს ფერიებთაგან ერთს ვერ ამოვარჩევ და ვერც ცოლობას შევკადრებო, თორმეტივე ნათელა ძალიან შემიყვარდა და დღეიდან ისინი ჩემი დები იქნებიანო. დიდხ-

კოტე მშვიდობაძე, ლევან ასათიანი, ანზორ ერქომაიშვილი
და ვოკალური ანსამბლი „12 ნათელა“

ანს გაგრძელდა კოლხთა და მადიართა ლხინი.

ლევენდა ბატონ ლევანს ტყუილად როდი მოუყოლია! დავალება გასაგები იყო. უნდა შეეგროვებინა გოგონათა ვოკალური ანსამბლი, რომელიც კოლხ ასულებს შეედრებოდა და ჯადოსნური სიმღერით ევროპელ პრინცებს თუ არა, ქართულ საზოგადოებას მოხიბლავდა. თუმცა... ქართველი მსმენელის მოხიბვლა ყველაზე რთული და ძნელი პირობაა. დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობა მე დამეკისრა.

უპირველესად, ჩვენივე ძალებით, სკოლასთან არსებული სამუსიკო ათწლედის სპეციალისტთა დახმარებით შევუდექით სკოლის მოსწავლე გოგონათა შორის ამ შესანიშნავი იდეის ხორცშესხმისათვის „თორმეტი ნათელას“ ძებნას. ეს სამუშაო უზადოდ შეასრულა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, გამორჩეული ნიჭისა და შესაძლებლობების მქონე ქორმაისტერმა კოტე მშვიდობაძემ. მისივე ინიციატივით მოვიწვიეთ ჩვენი საერთო მეგობარი, ხალხური სიმღერებისა და საგალობლების უბადლო მცოდნე, ცნობილი ერქომაიშვილების საგვარეულოს ღირსეული შთამომავალი ანზორ ერქომაიშვილი და შევუდექით გულმოდგინე შრომას: სავარჯიშო ვოკალიზებისა და სასწავლო რეპერტუარის შერჩევას, ინდივიდ-

უალურ მუშაობას ხმის ფორმირებისათვის, შესაფერისი კოსტუმების შერჩევას, შეხვედრებს კონცერტმაისტერთან, შემდეგ საერთო რეპეტიციების ჩატარებას და ა. შ.

ერთი წლის შემდეგ გოგონათა ვოკალური ანსამბლი „12 ნათელა“ წარმატებით გამოვიდა მოსწავლეთა V რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე და ოქროს მედლები დაიმსახურა. ანსამბლს, რომელიც განსაკუთრებული კოლორიტით ასრულებდა ქართულ საგალობლებს, ხალხურ სიმღერებს და კლასიკურ ქმნილებებს, სისტემატურად იწვევდნენ სხვადასხვა საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში, საზეიმო შეხვედრებსა და საპასუხისმგებლო კონცერტებში მონაწილეობისათვის.

ბატონ ლევან ჩიქვანაიას შემოქმედებით გაძარჯვებად მიმაჩნია 1975 წელს, პირველად რესპუბლიკაში, №1 ექსპერიმენტულ სკოლაში პროფილირებული სწავლების შემოღება, რომელიც მრავალ პედაგოგიურ ასპექტს მოიცავს და ძირითადად იმით გამოიხატება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ნიჭი, სურვილები, მიდრეკილებები და ინტერესებია გათვალისწინებული. სწავლების ასეთი ფორმა, ამასთან, ხელს უწყობს ახალგაზრდის პროფესიული ორიენტაციის გამყარებასა და აზროვნების განვითარებას.

მოსწავლეთა ინტერესმა, პედაგოგთა შრომამ შედეგიც მალე გამოიღო, საგრძნობლად ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე, სიყვარული საინტერესო საგნებისადმი, სახალისო გახდა შრომა და, რაც ყველაზე მთავარია, ჩამოყალიბდა საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდობის ერთიანი, მეგობრული ჯგუფი. მაგრამ ამ საინტერესო და განსაკუთრებულად საჭირო მოვლენამ ჩვენში გამეფებულ უაზრო დაპირისპირებას ორ წელზე მეტს ვერ გაუძლო.

ბატონი ლევან ჩიქვანაია მალე თბილისის განათლების სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს, მაგრამ მისი ბევრი სასიკეთო წამოწყება არ შენელებულა. ზოგი გაღრმავდა და განვითარდა კიდეც. სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის დროს მას ერთი წუთითაც არ დაუტოვებია №1 ექსპერიმენტული სკოლა

უყურადღებოდ. იგი მისი საყვარელი დაწესებულებაა ღღესაც.

1985 წლამდე ვიმუშავე №1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის სამუსიკო ათწლეულისა და ვ. ფალიაშვილის სახელობის ბავშვთა საგუნდო-სამუსიკო სკოლის დირექტორად. ბევრი საინტერესო ადამიანი შეშსვდა, ბევრი მეგობარი შევიძინე და, რაც ყველაზე მთავარია, ბევრი ნიჭიერი ბავშვი ეზიარა ჩვენი სკოლის მადლსა და მომავლის რწმენას. ამის საუცხოო საფუძველს, უპირველესად, ჩვენი სკოლის გამორჩეული მასწავლებლები ქმნიდნენ. მომიტევონ ჩემმა საყვარელმა კოლეგებმა, თუ ყველას შესახებ ვერ ვისაუბრებ, არადა, ყოველი მათგანი უთუოდ იმსახურებს ქებას, კეთილ სიტყვასა და დიდი სიყვარულის გამჟღავნებას, რამეთუ ისინი ყოველ გაკვეთილზე, მოსმენაზე თუ კონცერტზე ქმნიდნენ ამაღლებულ განწყობას და სიკეთით ავსებდნენ ყმაწვილთა გულებს. ამ განსაკუთრებული გარემოს ერთ-ერთი გამორჩეული ხელმძღვანელი, შესანიშნავი პედაგოგი და მეთოდისტი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ქალბატონი ლიანა ნიქაბაძე გახლდათ. მისი განსაკუთრებული წარმატებების საფუძველი უპირველესად ბავშვის დიდი სიყვარული, ნდობა და ხასიათის შეცნობა იყო.

თუმცა, ჩვენი მაშინდელი შემართებისა და ენთუზიაზმის წარმოსაჩენად, ვფიქრობ, ჯობს მკითხველს გავაცნო მ. ჭოხონელიძის სტატია - „მხატვრული აზროვნების გაღრმავებისათვის“, რომელიც სკოლაში დანერგილი სწავლების სიახლეებს მიეძღვნა.

„იმ სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც ნაყოფიერად ემსახურებიან მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდას, რამდენიმე წლის წინათ შეემატა №1 ექსპერიმენტული სკოლის ექსპერიმენტული სამუსიკო ათწლედი (დირექტორი ლ. ასათიანი). იქ შეიქმნა ახალგაზრდა, დაინტერესებულ პედაგოგთა ჯგუფი, რომელმაც ძირითადი საქმიანობის პარალელურად მიზნად დაისახა ახალი ხერხების და გზების ძიება, მომავალ მუსიკოსთა აღმზრდელებს რომ გაუადვილებს სხვადასხვა მონაცემის მოსწავლეებთან მუშაობას, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყ-

ენებას.

ჯერჯერობით ექსპერიმენტი მხოლოდ ფორტეპიანოს სწავლებაში დაინერგა. უფრო მოგვიანებით მას გამოიყენებენ სოლფეჯიოს გაკვეთილებზე, გუნდთან მუშაობის პრაქტიკაში.

პირველი შედეგები მოსწავლეთა აკადემიურ კონცერტებსა და ღია გაკვეთილებზე გამოჩნდა, უფრო ვრცლად ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი ათწლედის პედაგოგთა სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე...

ხუთმა მოხსენებამ სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგინა პედაგოგთა ძიება-მიგნებანი. მოხსენებების საილუსტრაციოდ მოტანილი ნორჩების ხელოვნება კი აღმზრდელთა მოსაზრებების პრაქტიკული დადასტურება იყო.

ეროვნული მუსიკალური ფოლკლორი დასაბამიდან იქცა ქართველი კომპოზიტორების შემოქმედების სათავედ, მუსიკისმცოდნეთა ინტენსიური კვლევის საგნად. ათწლედის პედაგოგს ლ. კალაძეს კი მიზნად დაუსახავს მისი ნიმუშების გამოყენება მოზარდთა პოლიფონიური აზროვნების განვითარებისათვის. მუსიკალური განათლების სფეროში ხალხური შემოქმედების ჩართვა ახალი ნაბიჯია, რომელსაც განმტკიცება ესაჭიროება.

რა მეთოდითაც უნდა მუშაობდეს პედაგოგი, მისი უპირველესი ამოცანა მოსწავლის მუსიკალური მეხსიერებისა და ემოციურობის განვითარებაა. ს. ეგოროვას მოხსენება ამ სფეროში საკუთარი გამოცდილების გაზიარებას ისახავდა მიზნად. მოზარდთა მუსიკალური აღზრდის თავისებურ სკოლაზე ბახის პატარა პრელუდიებისა და ფუგების კრებულზე - ილაპარაკა მ. გელაშვილმა.

მასწავლებელმა ნ. გამყრელიძემ დამსწრეთ გააცნო ხელოვნების, უფრო კი მუსიკის გამომსახველ საშუალებათა გამოყენების შედეგები ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობის გაზრდისათვის.

მეთოდისტ ლ. ნიქაბაძეს შემუშავებული აქვს გაკვეთილის ციკლი. ყოველკვირეულიდან ერთი გაკვეთილი ინდივიდუალურია (50-

წუთიანი), მეორე - ჯგუფური (90-წუთის მოცულობით და შესვენებით). ეს უკანასკნელი ორ მოსწავლესთან ერთდროულად მუშაობას გულისხმობს. პატარები, რომლებსაც პროგრამით გათვალისწინებული რამდენიმე ერთნაირი ნაწარმოები აქვთ შესწავლილი, თამამად აფასებენ ერთმანეთის ხელოვნებას, ხშირად საყურადღებო შენიშვნებსაც გამოთქვამენ. ჯგუფურ გაკვეთილზე შედარებით მეტი დრო ეთმობა კითხვას, მარტივი თანხლების შერჩევას. ყველაზე მეტი სიახლე მოსწავლის შემოქმედებითი საწყისის განვითარებით გამოიხატა. ლ. ნიქაბაძის დაკვირვებები მოწმობენ, რაოდენ ფართოა ნორჩის წარმოსახვა. მუსიკალური შთაბეჭდილების რვეულში თავმოყრილი ნახატები კი თითქოს გვიყვებიან, როგორ აღიქვამენ ბავშვები მუსიკის შინაარსს, ხასიათს. პატარები მკაფიოდ შეიგრძნობენ ნაწარმოების ჟანრს, ფორმას, სტილს, კომპოზიტორის ხელწერის თავისებურებებს.

პედაგოგს ექსპერიმენტისათვის სახელმძღვანელოც შეუდგენია. ეს არის ქართული პროფესიული და ხალხური მუსიკის პოპულარული ნიმუშების 6-ნაწილიანი კრებული, რომელიც ნიკოლაევის ცნობილი „ფორტეპიანოზე დაკვრის სკოლის“ მაგივრობას გასწევს. ამით ნორჩებს გაუადვილდებათ კრებულში შეტანილი მცირე ზომის ეროვნული მელოდიების აწყობა, მათთვის თანხლების შერჩევა, ან ოთხი ხელით შესრულება. მოსწავლე ეცნობა 17 კომპოზიტორს, 14 პოეტს, 6 მუსიკალურ ტერმინსა და 15 ხალხურ სიმღერას.

საყურადღებო იყო სკოლის დაწყებითი კლასების აღსაზრდელთა გამოსვლა. ბევრი პატარა, რომელიც აქ საშუალოზე დაბალი მუსიკალური მონაცემებით მოვიდა, დღეს საკუთარი ნაწარმოებების შეთხზვასაც ცდილობს.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ქ. ცაგარელმა, კონსერვატორიის პროფესორმა გ. გოგიჩაძემ დადებითად შეაფასეს ბოლო ორი წლის მუშაობის შედეგები და იმედი გამოთქვეს, რომ ექსპერიმენტი ხელს შეუწყობს მუსიკოსთა მომავალი თაობების უკეთ აღზრდას“ („თბილისი“, 1977

წ., 13 ივნისი).

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენს სკოლაში ბევრი ნიჭიერი, შემოქმედი ახალგაზრდა პედაგოგი მოღვაწეობდა. ისინი გამოირჩეოდნენ არა მარტო მაღალაკადემიურობითა და პროფესიული ოსტატობით, არამედ განსაკუთრებული ადამიანურობით, სიყვარულით, ურთიერთმზრუნველობითა და გამორჩეული მეგობრობით. მათ შორის გამოვყოფ უნიჭიერეს ფილოლოგს, მოსწავლეთა სიყვარულით ანთებულ ბატონ მამუკა ოჩიგავას. ჩვენ ახლო მეგობრობა გვქონდა, ერთად ვშრომობდით ჩვენი საყვარელი სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიების მოსაწყობად, საინტერესო შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად, ასევე ერთად ვისვენებდით და ვეძლეოდით ლხინსაც. ერთად ვაგებდით და შეუხაროდით მომავალს.

მინდა მკითხველს შევთავაზო მამუკა ოჩიგავას ერთი ლექსი, რომელიც მან წარმოსთქვა ჩემი დაბადების დღეს, თბილისის ზღვაზე ჩვენი ერთობლივი გასვლისას.

პატივისცემით ლევან ასათიანს

როცა მზე ჩავა და
ღამე აგორდება,
ღმერთმანი, ბევრი რამ კარგი მაგონდება...
მახსოვს თბილისის ზღვა,
კიტრი და მწვანილი,
მოთალი, ცოცხალი,
გული და მარილი.
ვეება ბეჭებმა მზე ისე შეხვრიპეს,
თითქო დაცალესო მწვანე მანავის,
ზღვა იყო თავად ჩვენი მერიქიფე,
მე შენი პატარა მენავე.
ასე უსაბამოდ მწუხრსაც შევეგებეთ,
ვარსკვლავებს ვუმღერეთ თავისი:

რა საოცარია, თუ ქმა ხარ, შეხედე,
ეროი ჩვენებური დაისი.
ორბელიანების საუფლოს შეშურდება,
იმდენმა სიმღერამ იბარტყა,
ჩყენ დრო გაყატარეთ, ნუ დაგვემდურება,
ვინაც ლობიანა ინატრა,
მერე მე ავიღე თასი, როგორც ახლა
და ასე გითხარი, ნაღდად:
ეროი სიმღერა ხარ,
ერთი კარგი ლექსი,
ერთიც ჩვენებური დევი,
ქუთათური ხარ და
რადგან ასე მესმის,
უნდა დაგილოცო ფესვიც.
ხიდად გაგიდგები გაქცეულ არაგვზე,
წაწლადაც გიბოძებ ღიჩილს,
შენ, ერთი, რას იტყვი, მითხარი, ამაზე,
რა გვრჩება, კაცი რომ მიდის?!
როცა მწუხრი მოვა,
როცა დაღამდება,
როცა აგორდება ღამე,
ბევრი მაგონდება,
ბევრი მაგონდება
სასიყვარულოც და მწარეც!
მაინც რა ყოფილა,
მართლაც რა ყოფილა,
ე, ჩვენი მანავის მწვანე!

1974 წლის 1 ივლისი

სამი სიმაღლე

იმ ადამიანებს შორის, რომლებთანაც შემოქმედებითი ურთიერთობა მქონდა, განსაკუთრებით გამორჩეულია ყველასათვის კარგად ცნობილი ულამაზესი ქალბატონები ლამარა ჭყონია, ცისანა ტატიშვილი და მედეა ამირანაშვილი. ეს სამი ბუმბერაზი შემოქმედი და მაღალი ქართული ვოკალური ხელოვნების მარად მოკიაფე სამი ვარსკვლავი სამუდამოდ დამკვიდრდა ჩემს ცნობიერებაში არა მარტო საოპერო ხელოვნების მიუწვდომელ მეტრად, არამედ ღრმა ადამიანურობითა და კეთილშობილებით, კდემამოსილებით, უბრალოებით, სიკეთითა და სიყვარულით, ეროგულებით, გულუხვობით, ოჯახიშვილობით, შრომისმოყვარეობით, ყველაფერით, რაც ესოდენ ძვირფასია ადამიანისათვის და წარუშლელ კვალს ტოვებს საზოგადოებაში, ქმნის მომაყალს და ორიენტირს აძლევს შთამომავლობას.

ქალბატონი ლამარა ჭყონია საერთაშორისო კლასის მომღერალია, მან დიდი შემოქმედებითი გზა განვლო და მსოფლიოს ყველა კონტინენტზე დიდი აღიარება მოიპოვა. მისი ფილიგრანული ხელოვნებით დატყვევებულა იმ მრავალი საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების მსმენელი და შეუყვალი ჟიური, რომელთა წევრებიც. ლამარა ჭყონიას გამოსვლის შემდეგ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მაღალფარდოვანი ეპითეტებით და საქებარი სიტყვებით მის შესამკობად.

„იგი დიდი ოსტატია, საუკეთესოდ ფლობს ვოკალური ხელოვნების დიდ და შეუცნობელ საიდუმლოებებს“; „ქართული ვოკალური სკოლის ნიჭიერი წარმომადგენლის ოსტატობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“; „ლამარა ჭყონია გვაღელვებს დიდი მუსიკალური და აქტიორული ემოციურობით, განსაკუთრებული ოსტატობით“; „ლამარა ჭყონია თეატრის შესანიშნავ ანსამბლთან ერთად ზეიმად აქცევდა ყოველ სპექტაკლს. ივი სცენის დიდოსტატია“; „უყურებ ლამარა ჭყონიას მიერ სცენაზე შემონათებულ სახეებს და გჯერა, რომ მას ისე ძალუძს გადმოსცეს

დიმანა ქეთია



ლაშარა ჭყონია და პატარა ლაშორისა ეთერ ჭყონია

სიყვარული, ერთგულება, აღმაფრენა, მწუხარების განცდა, სიძულვილი ბორიტების მიმართ, როგორც არავის“.

„ოსტატი“, „დიდოსტატი“ ეს სიტყვა ლამარა ჭყონიას შემოქმედების შესახებ დაწერილ ყველა რეცენზიას, შეფასებას თუ მოგონებას ყოველთვის თან სდევს. ოსტატი - ლამარა ჭყონიას სინონიმია. მართლაც, მის ხელოვნებაში ყოველთვის გამოკვეთილია ოსტატური გარკვეულობა, თითოეული სახის მკაფიოდ გამოხატული შესრულების მხატვრულობა და იდეური გააზრება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უმღერია მას. უმღერია და ადამიანური სითბო, სიყვარული და წმინდა ცრემლი მოუგვრია მსმენელთათვის. ფართოა ლამარა ჭყონიას საოპერო რეპერტუარი, განუსაზღვრელია საკონცერტო ნაწარმოებთა რაოდენობა და სამაგალითოა მისი შრომისმოყვარეობა.

ჩემი პირველი შეხვედრა ქალბატონ ლამარა ჭყონიასთან სცენაზე 1974 წელს შედგა, როცა პროფესორ გიორგი გოგიჩაძის (ქალბატონი ლამარა გ. გოგიჩაძის აღზრდილია) და კონცერტმაისტერ რახილ გლეზერის ხელმძღვანელობით მოვამზადე სოლო კონცერტის ერთი განყოფილება, ხოლო მეორე განყოფილება იმღერა საქვეყნოდ აღიარებულმა ლამარა ჭყონიამ. კონცერტში შეეასრულე: ბახის არია, ჰაიდნის - არია ორატორიიდან „წელიწადის დრონი“, ჰენდელის - არია ორატორიიდან „უფალო შეგვიწყალე“, შუბერტის - „გზაში“, შუმანის - „თილისმა“, გრიგის - „მიყვარხარ“, ზ. ფალიაშვილის - მურმანის არია ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, რ. ლაღიძის - „ჩივილი“ და ო. თაქთაქიშვილის - არია ორატორიიდან „ცოცხალი ქერა“. მსმენელთა თხოვნით - ხალხური სიმღერა „ჩელა“ და ა. რუბინშტეინის - ვინდექსის არია ოპერიდან „ნერონი“.

ქალბატონ ლამარას რეპერტუარში იყო მოცარტის - სუზანას რეჩიტატივი და არია ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება“ და „ალილუია“, გოდარის - ჟოსლენის ნანა ოპერიდან „ჟოსლენი“, ვეკერლენის - სერენადა ოპერიდან „რეი ბლაზი“, მეიერბერის - პაჟის კავატინა ოპერიდან „ჰუგენოტები“, რაველის „ხაბანერა“ და ვერ-

დის - ვიოლეტას არია ოპერიდან „ტრაკიატა“. დასასრულს შეეასრულეთ რამდენიმე პოპულარული დუეტი.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. გამოქვეყნდა რეცენზიები, მათ შორის გამოჩენილი მუსიკათმცოდნის, პროფესორ გულბათ ტორაძის გამოხმაურება საოაურით „ვოკალური მუსიკის საღამო“.

ლევან ასათიანის სიმღერამ - წერს გ. ტორაძე, - „შეიძინა შინაგანი გააზრება, მხატვრული დასრულება და სოლიდურობა. იგი კარგად ფლობს გამომსახველ რესურსებს, მისი სიმღერა საკმაოდ მოქნილია, დინამიკური ტრადიციები - გამოკვეთილი. პროგრამის დიდი ნაწილი ლ. ასათიანმა მიუძღვნა კამერულ ჟანრს. ბახის, ჰენდელისა და ჰაიდნის არიები, გარეგნული უპრეტენზიობისა და სისადავის მიუხედავად, დიდ სიძნელეებს უსახავს შემსრულებელს. მომღერალმა კარგად გადმოსცა კლასიკური მუსიკის ნიმუშთა შინაგანი სიწმინდე და სიდარბაისლე. გემოვნებითა და სტილის კარგი შეგრძნებით შესრულდა რომანტიკული კამერული რეპერტუარის შედევრები - შუბერტის „გზაში“, შუმანის „თილისმა“ და გრიგის „მიყვარხარ“.

ქართული მუსიკა წარმოდგენილი იყო რ. ლაღიძის რომანსით „ჩივილი“, ზ. ფალიაშვილის მურმანის არიით („აბესალომ და ეთერი“), ო. თაქთაქიშვილის არიით ორატორიიდან „ცოცხალი კერა“ და „ბისზე“ შესრულებული „სისატურით“.

ზ. ფალიაშვილისა და, განსაკუთრებით, ო. თაქთაქიშვილის მუსიკის მძაფრმა დრამატულმა ტონუსმა საშუალება მისცა ასათიანს გამოემჟღავნებინა ხმის უტყუარი საოპერო თვისებები - ფართო სუნთქვა, ბგერის სიძლიერე, ექსპრესია...

ვფიქრობ, ლევან ასათიანის საუკეთესო ატესტაცია ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ დღეს მან ღირსეული პარტნიორობა გაუწია სახელოვან მომღერალს ლ. ჭყონიას, რომელმაც კიდეკ ეროხელ დაატკბო მსმენელები და თავისი ბრწყინვალე ხელოვნებით ძაღალი ესთეტიკური სიამოვნება განაცდევინა მათ.

კონცერტის ანგარიში სრული არ იქნებოდა, თუ არ ვიტყოდით

მის სწორუფლებიან მონაწილესა და ფაქიზ წარმმართველზე, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ რახილ გლეზერზე, რომელიც ჩვენს ერთ-ერთ მაღალპროფესიულ კონცერტმაისტერად უნდა ჩაითვალოს. მისმა დახეულწილმა ოსტატობამ დიდად შეუწყო ხელი კონცერტის საერთო წარმატებას" („თბილისი„, 1974 წ., 29 მარტი).

ქალბატონ ლამარა ყეჭონიასთან სიმღერის ბედნიერება ბევრჯერ განვიცადე თბილისისა და ქუთაისის საოპერო თეატრების სცენებზე. მასთან ერთად ვმღეროდი ზ. ფალიაშვილის „დაისში", ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში" და ვერდის „ტრავიატაში". ამასთან, სისტემატურად ვმონაწილეობდი მის საკონცერტო ტურნეებში. ყოველთვის მანცვიფრებდა ქალბატონ ლამარას ენერგია და პასუხისმგებლობა. სადაც არ უნდა გამოსულიყო, ტოკიოს დიდ საოპერო სცენაზე თუ ჩვენი ქვეყნის რომელიმე შორეული სოფლის კლუბში, იგი ერთნაირი მონდომებით, გატაცებითა და სურვილით წარმოაჩენდა თავის დიდ ხელოვნებას. მასთან ერთად კონცერტებით მოვიარე საქართველოს თითქმის ყველა კუთხე - აფხაზეთიდან ჰერეთამდე. დაუვიწყარია ბიჭვინთის ძველ ქართულ ტაძარში საორღანო თანხლებით გამართული კონცერტები, ასევე სოხუმის, გაგრის, ტყვარჩელისა და გუდაუთის საზოგადოებრიობასთან შეხვედრები. რამდენი სითბო, ტაში და სიყვარული სდევდა ამ დაუვიწყარ საღამოებს. მეხსიერებას შემორჩა ქალბატონ ლამარა ჭყონიას გრანდიოზული შემოქმედებითი საღამო მახარაძეში. განსაკუთრებით კი კოლმეურნეობა „შრომის" ცნობილი თავმჯდომარის ბატონ მიხაკო ორაგველიძის შეხვედრა და მისი მასპინძლობა. კონცერტის შემდეგ მიხაკო ორაგველიძემ, რომელსაც მკერდს ოქროს ვარსკვლავი უმშვენებდა, ერთ ოჯახში მიგვიწვია. ეს სარქისიანების ოჯახიაო, გვითხრა მან. გამიკვირდა, ამ შუა გურიაში სომხურ ოჯახს რა უნდა-მეთქი. ერთი კი არა, ამ რამდენიმე წლის წინ ოცდაათი ოჯახი ჩამოვასახლეო, გვიპასუხა ბატონმა მიხაკომ. აბა, დააკვირდით, როგორი ოჯახებია და როგორ გურულობენ კიდეცო. დასძინა თან. გრძელი სუფრა აივანზე იყო გაშლილი, თავს

მკვირცხლი, შავგვრემანი გოგონები დაგეტრიალებდნენ, საგანგებოდ მომზადებულ გურულ კერძებს გვთავაზობდნენ. გურული სტუმარ-მასპინძლობის თვისებებით გამოირჩეოდნენ და ერთმანეთს, მკვეთრად გამოხატული გურული აქცენტით ესაუბრებოდნენ. - ყველაზე რთულ უბნებზე მუშაობენ, საქმესაც კარგად აკეთებენ და გურულებიც გახდნენო, - იღიმებოდა მოხუცი თაყმეჯღომარე - მიხაკო ბაბუ.

ლამარა ყჭონიამ ორი შესანიშნავი ქალიშვილი გაზარდა, ორივე თბილისის ოპერის თეატრის სოლისტები იყვნენ. დღეს ისინი უცხოეთის საოპერო თეატრებს ამშვენებენ. უმცროსი, ეთერ ჭყონია - ლამორისი ესპანეთისა და იტალიის დიდი საოპერო თეატრების პრიმა სოლისტია. მე მქონდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო ვერდის საიუბილეო სპექტაკლებში, რომლებიც იტალიის ქალაქ ბესეტოში გაიმართა. ჩვენმა თეატრმა ვერდის სამშობლოში წარმოადგინა უკვდავი „ოტელო". ეთერ ჭყონია დეზდემონას მღეროდა და გამოირჩეოდა პაეროვნებით, ბრწყინვალეებით, საოცარი პარმონიითა და მაღალპროფესიულობით. იტალიელმა მაყურებელმა გამორჩეული შეფასება მისცა მის ხელოვნებას.

დღეს ლამარა ჭყონია ესპანეთში მოღვაწეობს. იგი მადრიდის კონსერვატორიის პროფესორია და მისთვის ჩვეული ოსტატობით მიპყავს ვოკალის კლასი.

ჩემს საოპერო შემოქმედებას ლამარა ყჭონიას, ცისანა ტატიშვილის და მედეა ამირანაშვილის პარტნიორობამ განსაკუთრებული ელფერი შესძინა. მათ გვერდით დგომა შეუცნობელ და ამაღლებულ განწყობას ქმნის, ძალას გმატებს და განუსაზღვრელი სიმაღლეებისაკენ მიგაფრენს. მათ მიერ მოწოდებული ყოველი ფრაზა სიკეთით გმუსტავს და საკუთარ შესაძლებლობებს გიორმაგებს. სპექტაკლის შემდეგ კი, როცა შენს თავთან მარტო რჩები და აანალიზებ შენს მოქმედებას, კიდევ უფრო ნათლად გრძნობ დიდი პარტნიორის მიერ მოწოდებული ნაპერწკლით დანოებული ცეცხლის სიმხურვალეს.

ქალბატონ ცისანა ტატიშვილს საოპერო თეატრის სცენაზე

ციხანა ბაბუაშვილი

შეეხვედი ზ. ფალიაშვილის „აბესალომში“ და ვერდის „აიდაში“. იგი უნიკალური ხმის მქონე ბრწყინვალე მომღერალია და კიდევ უფრო დიდი პიროვნება გახლავთ. იგი ის მსახიობია, რომელიც გულით განიცდის პარტნიორის სიმღერას, თავისი შესრულებითა და სცენური მოქმედებით უხილავ ძაფებს აბამს შენთან და საოცარი გრძნობით გშსქვალავს. იმ მრავალრიცხოვან კონცერტებში, რომლებშიც მე მასთან ერთად მიმღერია, არ მახსოვს არც ერთი დღე, რომ მას არ გამოეჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და თანადგომა კოლეგებისადმი.

ძალიან ბევრი შემძლია ცისანა ტატიშვილის დიდ ხელოვნებაზე და მის მიერ უხვად დაფრქვეულ სიკეთეზე ვისაუბრო, მაგრამ ამჯერად ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ვალერი ზარუბინის ზოგიერთი მოსაზრება მინდა გავახსენო მკითხველს: „ახალ, 1979 წელს ცისანა ტატიშვილი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, სამშობლოსაგან დაშორებით შეხვდა, დასავლეთგერმანულ ქალაქ საარბრიუკენში იგი მღეროდა სენტას პარტიას რ. ვაგნერის „მფრინავ ჰოლანდიელში“. ტატიშვილის შესრულების დრამატულმა გამომსახველობამ დაატყვევა მსმენელები. როცა მომღერლის გამოსვლას ახასიათებდა, საოპერო თეატრის მთავარმა რეჟისორმა ჰერმან კედეკინდმა განაცხადა: „ასე დიდებულად ამ თეატრში ჯერ არც ერთ ხმას არ უჟღერია!“.

ბოლო წლებში ცისანა ტატიშვილს რამდენჯერმე მოუწია ყოფნა საარბრიუკენში - მისი მშობლიური თბილისის დაძმობილებულ ქალაქში. ხუთი ქართული პრემიერა ადგილობრივ საოპერო თეატრში, ქართულ სცენაზე დადგმული სამი გერმანული ოპერა - ასეთია ორი ქალაქის კულტურული თანამშრომლობის ნაყოფი.

მუსიკა ადრევე დამკვიდრდა მის ცხოვრებაში - იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა მომღერლად გახდომაზე. ცისანა თბილისში დაიბადა და გაიზარდა. აქ დაამთავრა სკოლა, აქვე მოწოდების ძიებამ მიიყვანა 1963 წელს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე. კონსერვატორია

წარჩინებით დააბ თავრა და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტში სამუშაოდ მიიწვიეს.

პირველი ნამდვილი წარმატება ცისანა ტატიშვილს პ. მასკანის ოპერა „სოფლის პატიოსნებაში“ გამოსვლამ მოუტანა. სანტუცას პარტიის შესრულება იმდენად მკაფიო იყო, რომ ფართო აუდიტორია და სპეციალისტები ალაპარაკდნენ საინტერესო მსახიობის დაბადებაზე, რომლის ხელოვნება ღირსი იყო ქვეყნის უდიდესი ვოკალისტების ოსტატების გვერდით დაეყენებინათ.

ცნობილია ჯოაკინო როსინის გამოთქმა: „ხმა! ხმა! ხმა!“. და უეჭველია, რომ ცისანა ტატიშვილის ვოკალური „ინსტრუმენტის“ სილამაზე უფლებას გვაძლევს ამ მომღერალთან მისადაგებით გავიმეორო დიდი იტალიელი კომპოზიტორის სიტყვები, ცისანა ტატიშვილის მგზნებარე, ემოციური, ძაღრვიანი და აღმაფრენით სავსე სოპრანო თავისუფლად და ძალდაუტანებლად ჟღერს. ასეთი ხმებისათვის არ არსებობს არც ტექნიკური და არც ტესიტურული სიძნელეები.

კონსერვატორიაში მეცადინეობები გამოცდილი პედაგოგების გ. ქართველიშვილისა და ნ. ანდღულაძის ხელმძღვანელობით, რომლებიც თავიანთ მოთხოვნებში უაღრესად სერიოზულნი და თანამიმდევრულნი არიან, მომღერლისათვის საუცხოო სკოლა გამოდგა. იგი მიხვდა, რომ საჭიროა ბევრი და შეუპოვარი მუშაობა, რამეთუ ტალანტი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან, და მარტოდმარტო შთაგონება არ ბადებს ჭეშმარიტ ხელოვნებას. პედაგოგებმა ასწავლეს ცისანას ყოფილიყო მუდამ მომთხოვნი თავისი მუშაობის, თავისი შემოქმედების მიმართ, მისთვის მიეძღვნა ყველაფერი - მგზნებარება, დრო, ფიქრები.

შემოქმედების პირველ წლებში განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია მას შესანიშნავმა ვოკალისტმა, ამჟამად თბილისის კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნოდარ ანდღულაძემ. მან, ბევრ წარმოდგენაში ცისანას პარტნიორმა ითავა წმინდა პედაგოგიური მისიაც. მათმა შემოქმედებითმა კავშირმა სულ მალე

მოიტანა საუცხოო შედეგი.

მსმენელს ნათელი და მკაფიო შთაბეჭდილებით ავსებს ტატიშვილისა და ანდღულაძის დუეტი. როცა ვიხსენებთ მოსკოვში თბილისის თეატრის გასტროლებს, სპექტაკლს „სოფლის პატიოსნებას“, შეუძლებელია დავივიწყო ის მღელვარება, რასაც დარბაზში ყველა განიცდიდა სანტუცასა და ტურიდუს დუეტის მოსმენისას, დუეტისა, რომელიც აღსავსეა სიყვარულით, სიძულვილით, სასოწარკვეთით. ეს იყო ვოკალის ნამდვილი დღესასწაული, მისი ჭეშმარიტი ზეიმი.

საუცხოო ვოკალური მონაცემებისა და სიმღერის საუკეთესო სკოლის შეხამებამ ცისანა ტატიშვილს დიდი სარეპერტუარო შესაძლებლობები გადაუშალა. ყოველ თავის როლს მომღერალი ეკიდება მთრთოლვარე მღელვარებით, როგორც პირველ გამოსვლას მსმენელთა წინაშე. ეს არის დასრულებული სახე, დიდი შთამბეჭდავი ძალის მხატვრული პორტრეტი, რომელიც ექსპრესიითა და მრავალწახნაგოვნებით გამოირჩევა. განსაცვიფრებელია როლის ვოკალური და სცენური ნახაზის ორგანულობა, მომღერლის სრული სასიმღერო და აქტიორული თავისუფლება. ერთ-ერთი საზღვარგარეთული გაზეთი წერდა: „ცისანა ტატიშვილს არ სჭირდება თეატრალური კოსტიუმები და დეკორაციები - იგი უამისოდაც ატყვევებს მსმენელებს“. ტატიშვილმა მუდამ იცის და ესმის, რას მღერის, მისი ყოველი ძოძრაობა, ყოველი ჟესტი ღრმად არის გამართლებული ხასიათის განვითარების ლოგიკით, სცენური სიტუაციით და შემთხვევითი როდია, რომ მომღერალი შეიძლება ნახოთ საბალეტო დარბაზში, სადაც ეუფლება ადამიანის სხეულის გამომსახველობის მდიდარ შესაძლებლობებს, მოძრაობათა პლასტიკას.

მომღერლის გმირებს - ნაზ, მჭმუნვარე, ტანჯულ, სწრაფვით აღვსილ, ამაყ, მამაც ადამიანებს - აერთიანებს მისი პიროვნება, შესრულების მისეული მანერა, ხმის ფართო ყღერადობა და ტემბრის სილამაზე. თითქოს ჩვენთან ერთად ფიქრობენ, ეძებენ, ხარობენ, წვალობენ წმინდა და მშვენიერი ეთერი ფალიაშვილის ოპ-

ერაში „აბესალომ და ეთერი“, ერთგული და მოყვარული ნესტანი მშველიძის ოპერაში „ამბავი ტარიელისა“, მოტყუებული და მიტოვებული სანტუცა მასკანის „სოფლის პატიოსნებაში“, ზნეობრივი ძალებითა და ნატურის მთლიანობით განსაცვიფრებელი ლიზა ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“, შურისმგებელი და ყერაგი ორტრუდა ვაგნერის „ლოენგრინში“, ქედუხრელი დონა ანა მოცარტის „დონ ჟუანში“, თავგანწირვით კეთილშობილი ლეონორა ვერდის „ტრუბადურში“, რომანტიკული და მეოცნებე სენტა ვაგნერის „მფრინავ ჰოლანდიელში“, მგზნებარე, შეუდრეკელი, ამაყი ტოსკა პუჩინის ამავე სახელწოდების ოპერაში.

მომღერლის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია ქართველი ქალიშვილის თამარის მგრძნობიარე სახე თაქთაქიშვილის ოპერაში „მთვარის მოტაცება“ - ქალწულებრივი სიწმინდისა და მინდობის განსახიერება. თამარის შეყვარებულს ტანჯავს გვარის განწირულობის იდეა. მომღერალს დამაჯერებლად მოაქვს მსმენელამდე ნაზი არსების მწველი სურვილი გადაარჩინოს საყვარელი ადამიანი და ამის გაკეთების შეუძლებლობა. თამარის მთელი პარტია ტატიშვილის შესრულებით ამაღლებულ-რომანტიკულად, მღელვარედ ჟღერს.

- ჩემს მიერ ნამღერ არც ერთ პარტიას არ დავუტოვებივარ გულგრილი, - მიამბობს ცისანა, - მაგრამ ყველაზე მეტად მიყვარს თამარი ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებაში“, სანტუცა, აიდა, ტოსკა!

ცისანა ტატიშვილის ვოკალური მონოლოგი მუდამ აღსარებაა. მომღერლისათვის უცხოა იოლი, გარეგნულად ეფექტური გადაწყვეტა. თავისი გმირების ხასიათს, იერსახეს, ქცევის ჩვევას იგი ეძებს და პოულობს პარტიის მუსიკალურ დახასიათებაში, ამიტომაც მისი გაგება მუდამ არის გამორჩეული ავტორის ჩანაფიქრის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობითა და მოწიწებით.

როგორც წესი, ცისანა ტატიშვილი საპრემიერო წარმოდგენებში მონაწილეობს. და აქ საინტერესოა გავიხსენოთ მისი შემოქმედებ-

ითი ბიოგრაფიის ერთ-ერთი საგულისხმო ეპიზოდი. 1969 წელს მთელ მსოფლიოში ცნობილი რეჟისორის ვალტერ ფელზენშტაინის მიწვევით იგი მონაწილეობდა აიდას პარტიის შემსრულებელთა კონკურს-შერჩევაში. შეჯიბრებაში მსოფლიოს 30 ქვეყნის მომღერლები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვა ცისანა ტატიშვილმა და სეზონის განმავლობაში მღეროდა აიდას „კომიშე ოპერის“ სცენაზე ოპერის ახალ დადგმაში. პრემიერაში სხვადასხვა ქვეყნის შემსრულებლები მონაწილეობდნენ. ქართველ მომღერალს განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად. აიდას პირველი მონოლოგისთანავე-„დაგვიბრუნდი გამარჯვებული!“ ოვაციამ, „ბრავოს“ შეძახილებმა აავსო დარბაზი. ხოლო მომღერლის უნარმა ზღვრულად აღსავსე პიანისიმოზე ოპერის კულმინაციაში ნილოსის სცენაში - განცვიფრება და აღტაცება გამოიწვია. როცა მის დებიუტს აფასებდა, პრემიერის მეორე დღეს გაზეთი „ნოიეს ცაიტუნგი“ წერდა: „ცისანა ტატიშვილს აქვს ძლიერი სოპრანო, რომლითაც იგი დიდი ოსტატობით სარგებლობს გმირი ქალის გრძნობათა მთელი სიღრმის გადმოცემისათვის“.

ცისანა ტატიშვილი, უწინარეს ყოვლისა, საოპერო მომღერალია, უაღრესად ფართო და მრავალმხრივი რეპერტუარით. მისი საგასტროლო მარშრუტების რუკა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ძალზე მდიდარია: მარტო ბოლო დროს იგი გამოვიდა მოსკოვის, კიევის, კუიბიშევისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების საოპერო თეატრებში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიეში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დიდი წარმატება ახლდა, მაგალითად, მის გასტროლებს მაინის ფრანკფურტში, სადაც იმღერა ტოსკა ოპერის ახალ დადგმაში, რომელიც განახორციელა ცნობილმა რეჟისორმა და მხატვარმა ჟან-პიერ პონელმა. მას საბჭოთა მაყურებელი იცნობს „გერიას“ წარმოდგენით, რომელიც 1974 წელს მოსკოვში გვიჩვენა მილანის „ლა სკალამ“.

- განსაკუთრებული ზეელვარება განვიცადე, როცა მოსკოვის დიდი თეატრის 200 წლისთავისადმი მიღვნილ საზეიმო საღამოზე გამოვდიოდი, - ამბობს მომღერალი. - სახელგანთქმული რუსუ-

ლი ვოკალური სკოლა მისი ხელოვნების პატივისცემასა და სიამაყეს ბადებს. რუსულ თეატრალურ კოლექტივებთან დიდი მეგობრობა მაკავშირებს, ხოლო ლენინგრადის კიროვის სახელობისა ჩემთვის მშობლიური თეატრია, სადაც ყოველთვის სიამოვნებით ვმღერი. ახლახან იქ „ტრუბადურში“ გამოვედი...

არანაკლებ საინტერესოა ცისანა ტატიშვილის საკონცერტო მოღვაწეობაც. აქ გამოჩნდა მისი ნიჭის ახალი წახნაგები, გამდიდრდა მომღერლის ვოკალური ოსტატობა, კამერული რეპერტუარის შესრულებაშიც იჩინა თავი აზრიანი და სერიოზული მუსიკოსის თვისებებმა, რომლის ემოციურობა და შთაგონება დახვეწილ ოსტატობასთან არის შერწყმული. ცისანა ტატიშვილს ხოლო კონცერტების პროგრამაში ხშირად შეაქვს თავისი საყვარელი ავტორების - ვერდის, პუჩინის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, ხოლო თანამედროვე კომპოზიტორთაგან მაჭავარიანისა და თაქთაქიშვილის ნაწარმოებები. დიდი წარმატებით აღინიშნა მისი გამოსვლა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაში. ცისანა ტატიშვილმა დაამტკიცა, რომ მისთვის გასაგები და ახლობელია დიდი კომპოზიტორის ფილოსოფიურ განზოგადებათა რთული სამყარო.

მე მომიწია მენახა და მომესმინა ცისანა ტატიშვილისათვის სცენაზე. შეკხვედროდი თეატრის კულისებში, მესაუბრა მასთან, ყური დამეგდო მისი საუბრისათვის. მისი ხასიათის ყველაზე მკაფიო თვისებაა გულუხვობა. გულუხვობა ყველაფერში - მუშაობაში, შემოქმედებაში, ახლობლებთან ურთიერთობაში, ხალასად და სიხარულით უძღვნის იგი ადამიანებს თავის გულს.

„სიმღერა ჩემი სიყვარული და სიხარულია, ჩემი შრომა და ბედნიერებაა“, - ეს მსახიობის სიტყვებია, და ამ სიხარულს, სიყვარულს იგი ადამიანებს უზიარებს. ცისანა ტატიშვილთან ყოველი შეხვედრა მსმენელთათვის დღესასწაულია, მკაფიო მხატვრული აღმოჩენა“ („სოვეტსკაია კულტურა“, №58, 1979).

სიამაყით ვწერ გამოჩენილ ქართველ მომღერალზე, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატზე, დიდი პეტრე ამირანაშვილის და გამორჩეულ მეცო-სოპრანოს ნადია ცომაიას ღირსეულ მემკვი-

დრეზე, ჩემთვის დაუვიწყარ მეღვა ამირანაშვილზე. მან მსოფ-
ლიოს სხვადასხვა ქვეყნის დიდ საოპერო სცენებზე მაღალი ვოკა-
ლური ოსტატობით განახორციელა სოპრანოს არაერთი ურთულესი
პარტია. მის შესრულებას ყოველთვის ახასიათებს ნაწარმოების
იდეური არსისადმი ღრმა წვდომა, სახის კონკრეტული ნიუანსებ-
ის გახსნა, მათი ხალასი არტისტიზმითა და ხმის მრავალფერ-
ოვნებით გამოსახვა, სცენური სიმაღლეების წარმოჩენა და მსმე-
ნელთათვის დაუვიწყარი ემოციის მინიჭება. მედეა ამირანაშვილმა
დამსახურებული აღიარება მოიპოვა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკი-
აში, ბულგარეთში, რუმინეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში
და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის საოპერო
სცენებზე. გამორჩეულია მის მიერ ხორცშესხმული სახეები: ლე-
ონორა, მარო, მარგარიტა, აიდა, ტატიანა, ბატერფლაი, მიმი, მზია,
ნედა, ვიოლეტა, დეზდემონა, ლელა, იოლანტა და სხვ. იგი მიღ-
წეულით არასოდეს კმაყოფილდება. შემოქმედებითი ძიება და ახ-
ალი გამარჯვებების მოპოვება მისი ბუნების განუყოფელი თვისე-
ბაა.

ქალბატონ მედეა ამირანაშვილთან ერთად თბილისის საოპერო
თეატრის სცენაზე ვმღეროდი ოპერებში: ვერდის „აიდასა“ და „ოტე-
ლოში“, გუნოს „ფაუსტში“, ფალიაშვილის „დაისში“ და ჩაიკ-
ოვსკის „იოლანტაში“. იგი გამორჩეული პარტნიორია, რომელსაც
ხელეწიფება აგანთოს სცენაზე, გადმოგდოს საოცარ აღტყინება
და თან შემოქმედებით ჩარჩოში მოგაქციოს. განსაკუთრებულია
მასთან შემღერებების ან საორკესტრო რეპეტიციების გავლა. იგი
დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველ ფრაზას, რეპლიკას,
მით უფრო დუეტსა და საერთო სცენებს პარტნიორთან. იგი
აზუსტებს ყოველ დეტალს და შენც გიბიძგებს მაღალაკადემი-
ურ დონეზე შესრულებისა და სცენაზე სწორი მოქმედებისათვის.

პ. ჩაიკოვსკის „იოლანდაში“ ვასრულებდი აღმოსავლელი ექი-
მის - ხაკიას საკმაოდ რთულ პარტიას. მაშინ ახალგაზრდა სოლის-
ტი გახლდით და, რასაკვირველია, სირთულეებიც თან მახლდა.
თითქმის ყველაფერი მიშლიდა ხელს, საოცრად გრძელი სამოსი

ქეთევან ამირანაშვილი

და ხალათი, დიდი თმა, წვერი და ულვაში და, რაც მთავარია, სტატიური, მაგრამ სახისათვის დამახასიათებელი დინჯი, სერიოზული მიზანსცენები. რა თქმა უნდა, ვღელავდი, მით უფრო, რომ ხაკიას ვოკალური პარტია მოითხოვს ფართო დიაპაზონს, დიდ სუნთქვას, ამასთან აუცილებელია ფართოდ მეღერადი დაბალი ტესიტურის მსგავსად კულმინაციური მაღალი ნოტების გამოკვეთილად და დაბალი რეგისტრის შესატყვისად აჟღერება. პარტია, სოლო შესრულების გარდა, დატვირთულია ანსამბლებით. იოლანტას ანსახიერებდა ქალბატონი მედეა. ხაკიას იოლანტასთან რამდენიმე დუეტი და საერთო ანსამბლები აკავშირებს. არასოდეს დამავიწყდება მედეა ამირანაშვილის ძრაყალი რჩეყა და განსაკუთრებული ყურადღება ჩემდამი. მან არ დაიზარა და ჩემს ინდივიდუალურ რეპეტიციებზე რამდენჯერმე მობრძანდა, ჩემი როლის განმტკიცებისათვის რამდენჯერმე მიმღერა ანსამბლები, დუეტი, რითაც დიდი დახმარება გამიწია და სპექტაკლიც წარმატებით ჩატარდა. ოპერას დირიჟორობდა ცნობილი ქართველი დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე. ასე იყო ყოველთვის, ყველა საოპერო სპექტაკლში ერთად მონაწილეობის დროს.

ქალბატონ მედეა ამირანაშვილთან სცენაზე შეხვედრის ბედნიერება არ მომკლებია იმ მრავალ კონცერტებშიც, რომლებიც ხშირად იმართებოდა თეატრის შეძოქმედებითი ჯგუფების მიერ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთში. დღეს ქალბატონი მედეა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი და ქუთაისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. იგი დაუღალავად იღვწის ქართველ ვოკალისტთა აღზრდისა და საოპერო ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ნათელა ტუღუში

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ბევრი შესანიშნავი მომღერალი, მოცეკვავე, მუსიკოსი, რეჟისორი, დირიჟორი და თეატრისათვის თავდადებული პიროვნება მოღვაწეობს. მათ შორის განსაკუთრებით მინდა გამოეყოო ქალბატონი ნათელა ტუღუში. იგი გახლდათ ჩემი პირველი და დაუვიწყარი მარო „დაისში“ და ქეთო - „ქეთო და კოტეში“. მას ფართო დიაპაზონის, ულამაზესი ტემბრის, ნათელი და კამკამა სოპრანო ჰქონდა, გამოირჩეოდა ვოკალური სრულყოფით, საოცარი ფერადოვნებით, მოქნილობით, სინაზით, განსაკუთრებული კეთილშობილებით და ადამიანებისადმი კეთილგანწყობით. გახლდათ ერთგული მეგობარი და საოცრად მოსიყვარულე პიროვნება. იგი იყო ბრწყინვალე ლუჩია დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურში“, ვიოლეტა და ჯილდა ვერდის „ტრავიადასა“ და „რიგოლეტოში“, მარეხი და მარო ფალიაშვილის „აბესალომსა“ და „დაისში“, ცირა ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში“, ქეთო დოლიძის „ქეთო და კოტეში“ და სხვ.

ქალბატონ ნათელა ტუღუშს სისტემატურად ვხვდებოდი სცენაზე დოლიძის „ქეთო და კოტეში“, ფალიაშვილის „დაისში“ და „აბესალომში“. ბედნიერება იყო მასთან სიმღერა. მახსოვს „დაისის“ მესამე მოქმედებაში, როცა გააფთრებული კიაზო ეკლესიის ეზოში ჩასჭიდებს ხელს მაროს, მკაცრად ექაჩება განმარტოებითი, შძაფრი საუბრისთვის, ქალბატონი ნათელა საოცარი სინაზით, პაეროვნად მეწინააღმდეგებოდა, მაგრამ დამაჯერებლობით, ემოციითა და ღრმა ექსპრესიით მპასუხობდა - „ყვარებით არ მყვარებიხარ და შენც სიყვარულს არ მთხოვდი“, რაც კიდევ უფრო აშმაგებდა კიაზოს და გამომსახველობით ფერებს მმატებდა. იშვიათია „მარო“, რომელიც თანაბარი სიძლიერით მღეროდეს „შუქურ-ყარსკელავსაც“ და „მაროს ტირილსაც“. ერთ-ერთი გამორჩეული ნათელა ტუღუში იყო. მან თავგადაყოლილი მეგობრობა იცოდა. მიუხედავად ჩვენს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობისა, იგი

ნათელა ტუღუში

ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო, საყვარელი და საოცრად კეთილგანწყობილი მეგობარი იყო, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა გასტროლებისა და სისტემატური საკონცერტო მოღვაწეობის დროს.

არ შეიძლება არ გამოვყო თეატრის წამყვანი სოლისტები, ჩემი უფროსი მეგობრები, რომლებთანაც ერთად მრავალი სპექტაკლი და კონცერტი მიმღერია. მათ შორის არიან გამოჩენილი ქართველი ბანები: თენგიზ მუშკუდიანი, ირაკლი შუშანია და პეტრე თომაძე, ბრწყინვალე ბარიტონები: თენგიზ ზეინკლიშვილი, შოთა კიკნაძე და რევაზ კაკაბაძე, გამორჩეული ტენორები: თენგიზ ზაალიშვილი, რევაზ გორგიძე, ამირან გაგუა და ლადო კანდელაკი. მადლობა მინდა ვუძღვნა ჩემი თაობის შესანიშნავ მომღერლებს: ელდარ გეწაძეს, ჯემალ მდივანს, ავთანდილ ჯავახიშვილს, ივანე კოკოლიას, მერაბ დონაძეს, გივი წულუკიძეს, ნიკოლოზ კაპანაძეს, ანზორ შომახიას, თენგიზ ჯანგავაძეს, ლია კალაჩახელიძეს, ნათელა მკერვალიძეს, მზია დავითაშვილს, მარიცა საღლაფერიძეს, ელეონორა ჩარაშვილს, ალეკო ხომერიკს, თემურ გუგუშვილს, ნუგზარ გელაშვილს, ნუკრი ნაჭყეპიას, იმერ კავსაძეს, ტარიელ ჭიჭინაძეს, შოთა ჩაკვეტაძეს, ომარ ხოფერიას, თამარ გურგენიძეს, ლია ღვედაშვილს, ვენერა ჩიქოვანს, მანანა ეგაძეს, თამარ კრაწაშვილს, ანზორ ხიდაშელს, ანზორ ფიოლიას და სხვეებს, რომლებთანაც მრავალი ბედნიერი დღე მაკავშირებს. წინასწარ ვიხდი ბოდიშს ჩემი საოპერო თეატრის თანავარსკვლავედის წინაშე, თუ რომელიმე სახელი გამომრჩა.

ასევე უღრმესი მადლიერებითა და სიყვარულით ვიხსენებ თეატრის ორკესტრის, გუნდისა და ბალეტის შესანიშნავ წარმომადგენლებს, რომელთა დიდმა მხარდაჭერამ, მეგობრობამ და უზომო სიყვარულმა თეატრისადმი განაპირობა წარმოდგენათა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა და ყველა წარმატება.

ზურაბ ანჯაფარიძე

განსაკუთრებით გამოვყოფ ჩემთვის ერთ-ერთ დაუვიწყარ, ბრწყინვალე სახეს, ყველა დროის საუკეთესო ტენორს ბატონ ზურაბ ანჯაფარიძეს.

დიმიტრი მჭედლიძე წერს, რომ ზურაბ ანჯაფარიძე ქართველ მომღერალთა მეოთხე თაობის გამორჩეული წარმომადგენელია, „მათ უკვე ეროვნულ რეპერტუარზე აღზრდილთ, ქართულ ვოკალურ სკოლას დაუფლებულთ, არ აქვთ წინ გაუთელავი გზა ან მერყეობა თავის შესაძლებლობებში... ზურაბ ანჯაფარიძე თბილისის კონსერვატორიის (დიდი დავით ანდღულაძის კლასი - ლ. ა.) და საოპერო თეატრის მიერ არის აღზრდილი და მისი თვალმარგალიტია. ის ახლა წარჩინებით მოღვაწეობს მოსკოვის დიდ თეატრში და საბჭოთა კავშირის ტენორების რიგების დამამშვენებელია, მისი მუშაობა მოსკოვის თეატრში და გამოსვლები საზღვარგარეთ აღიარებულია, როგორც დიდი მომღერლის გამოვლინება. სასიხარულოა, რომ ეს სახელგანთქმული მომღერალი არ ივიწყებს თავის თეატრს და ქართული რეპერტუარის განმტკიცებაზე მუშაობს. მან დიდ თეატრში მუშაობის დროს მოამზადა ო. თაქთაქიშვილის „მინდიადან“ მინდიას როლი და თავის მდიდარ ქართულ რეპერტუარს დაუმატა.

მომდევნო მომღერალთა ერთ-ერთი მთავარი ღირსებაც სწორედ ეს უნდა იყოს, არ უნდა მოწყდნენ ეროვნულ ნიადაგს - თავის ერის მუსიკალურ კულტურასთან მუდამ მჭიდრო კავშირში უნდა იმყოფებოდნენ“.

ამ შეგონების შემსრულებელთა შორის უპირველესი ზურაბ ანჯაფარიძეა. იგი ერთი წუთითაც არ მოწყვეტია ეროვნულ ნიადაგს და თავისი დიდი შემოქმედებით განსაკუთრებული ბრწყინვალება შესძინა ქართულ მუსიკალურ აზროვნებას, ხელოვნებას, კულტურას.

ზურაბ ანჯაფარიძემ თბილისის, ქუთაისის, მოსკოვის დიდი თეატრის და უცხოეთის ქვეყნების: იტალიის, საფრანგეთის,

ზურაბ ანჯაფარიძე

ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, კანადის, ინგლისის, ავსტრიის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის სახელგანთქმული საოპერო თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების სცენებზე ბრწყინვალედ განასახიერა ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპის კლასიკოს კომპოზიტორთა უკვდავი ნაწარმოებები, შექმნა აბესალომის, მინდიას, მალხაზის, არსენას, ბაში-აჩუკის, ბერდოს, იაკობ ხუცესის, ხოზეს, ვოდემონის, კავარადოსის, ცრუ დიმიტრის, გერმანის, რადამესის, ალფრედის, პერცოგის, ფაუსტის, დონ კარლოსის, კანიოს, ტურიდუს, ოტელოს დაუვიწყარი სახეები.

არ შეიძლება არ გამოვყოთ ზურაბ ანჯაფარიძის გერმანი პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ და აბესალომი ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“. ეს არის ორი თვალშეუწვდენელი მწვერვალი მის მიერ შექმნილ სხვა მაღალ მწკერვალთა შორის. 1964 წელს ზურაბ ანჯაფარიძემ დიდი წარმატებით იმღერა მოსკოვის დიდი თეატრის გასტროლების დროს მილანის ლა სკალას, მსოფლიოს ამ უპირველეს საოპერო თეატრში გერმანის პარტია ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“, ასევე მან გაახმოვანა გერმანის პარტია საქვეყნოდ ცნობილ ფილმში „პიკის ქალი“. ეს იყო, უპირველესად, რუსეთის მიერ ზურაბ ანჯაფარიძის უპირობო აღიარება და მის წინაშე ქედის მოხრა. სულით ხორცამდე ქართველმა კაცმა რუსული მარგალიტი ყველაზე შთამბეჭდავად წარუდგინა მსოფლიოს.

წარმოუდგენელია არ გაოცებდეს ზურაბ ანჯაფარიძის მაღალი არტისტული ოსტატობა. მის სცენურ ქმნილებებში თანაბარი ძალითაა შერწყმული დიდი ვოკალური და მაღალექტიორული გამომსახველობა.

სცენური ქმნილებების განსახიერების გარდა მომხიბვლელობა და უსაზღვრო სიყვარული ზურაბ ანჯაფარიძეს ყველგან თან სდევდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყველასათვის „ჩვენი ზურიკო“ იყო. თვითონ სიყვარულის, სიმღერისა და უსაზღვროდ მომფერებელი კაცი ყოველ წამს გარემოცული იყო თავისი სათაყვანებელი ხალხის განუსაზღვრელი სიყვარულითა და პატივისცემით.

მე მქონდა ბედნიერება მასთან ერთად მემღერა თბილისის საოპ-

სპექტაკლ „დაისის“ შემდეგ. მარჯვნიდან: რეჟისორი ჯემალ ანჯაფარიძე, მარო – ლია კალმახელიძე, მალხაზი – ზურაბ ანჯაფარიძე, კიაზო – ლევან ასათიანი, ნანო – მანანა ეგაძე და დირიჟორი ირაკლი ქიაურელი. 1978 წ.

ერო თეატრის სცენაზე ფალიაშვილის „დაისში“ და ვერდის „აიდაში“, გამოვსულიყავი უამრავ კონცერტში როგორც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე უცხოეთში. ივი სწორუპოვარი ლიდერი, პარტნიორი და დიდი მეგობარი იყო. ყოველთვის პქონდა დიდი სურვილი პატრონობა გაეწია მის გვერდით მყოფი კოლეგებისათვის. ლიდერი-მეთქი ვამბობ! მას ღმერთისგან ჰქონდა პირველობის ნიჭი მომადლებული. ამასთან, მუდამ მზად იყო შენთვის გარჯილიყო, სადაც ვინდა წაგყოლოდა და უსათუოდ დაგხმარებოდა. მე წლების მანძილზე მქონდა ბედნიერება მისი საოცარი კეთილგანწყობით მეცხოვრა და მემღერა. ეს იყო ჩემი შემოქმედებითი აღმავლობის წლები, როცა სისტემატურად ვიდექი სცენაზე და ჩემს საყვარელ საქმეს ეემსახურებოდი.

დაუვიწყარია ჩემთვის ის კონცერტები, ბატონ ზურაბ ანჯაფარიძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რომ იმართებოდა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში. ივი ხომ ყველ-

გან სასურველი მაქსიმალიზებული იყო. ყველას მიაჩნდა, რომ ზურაბ ანჯაფარიძე მისი პირადი სტუმარი იყო და ყველაზე მეტად მას უყვარდა იგი. ყველა კონცერტი მაღალიკალორიულ დონეზე ტარდებოდა, ამას განაპირობებდა, უპირველესად, ბატონ ზურაბ ანჯაფარიძის დიდი ხელოვნება და კონცერტების თითქმის მუდმივად მონაწილე მსახიობების: ირაკლი შუშანიას, ნაოელა მკერვალის, ელდარ გეწაძის, მარინა ქურთოშვილის, თემურ გუგუშვილის, იამზე დოლაბერიძის, ფრიდონ სულაბერიძის და სხვათა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა. არ მახსოვს თითქმის არც ერთი კონცერტი, სადაც, სოლო ნომრების გარდა, ბატონ ზურაბთან ერთად რომელიმე ვოკალური დუეტი არ მეძღერა. ბედნიერება იყო მის გვერდით დგომა და მით უფრო სიმღერა. ისიც მინდა გავიხსენო, რომ კონცერტის შემდეგ გარდუვალი იყო გულუხვი მასპინძლობა. საოცარი მოლხენა იცოდა ბატონმა ზურაბმა, მისი სუფრა მართლაც აკადემია იყო. უზომოდ მსმელს, მოქეიფეს, ტკბილად მოუბარსა და სუფრასთანაც ბრწყინვალე მომღერალს გაუოენებია კიდეც, მაგრამ მასთან ჩემი მრავალწლიანი მეგობრობის მანძილზე მე იგი ღვინომორეული არასოდეს მინახავს.

ყოველწლიურად ახმეტის რაიონში აღნიშნავდნენ ე ქაისს, რომელიც ერო-ე ითი სოფლის შინმოუსვლელის სახლში და მის კარ-მიდამოში იმართებოდა. თბილისის საოპერო თეატრის სოლიდური შემოქმედებითი ჯგუფი ბატონ ზურაბის ხელმძღვანელობით ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ამ მშვენიერ ღონისძიებაში. ასევე კონცერტებს ყმართავდით ალვანის შესანიშნავ კულტურის სასახლეში, ვხვდებოდით მეზობელი სოფლების მცხოვრებლებს და სულიერად ამაღლებულნი ყბრუნდებოდით თბილისში.

ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა 1980 წელს სოხუმში და 1981 წელს ბათუმში გამართა გასტროლები. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ა. არღუნის შემაჯამებელი წერილი სათაურით „დიდი სიმართლის ხელოვნე-



ლევან ასათიანი, ზურაბ ანჯაფარიძე, არსენ მკერვალიშვილი, ვიეი წულუკიძე, პეტრე ოთმაძე, რევაზ ვორგიძე, ბორის ამირბა, კობა მელაძე და ვანო კოკოლია ოპერის ბაღში. 1972 წ.

ბა", სადაც ვკითხულობთ: მთელ თვეს თვალწარმტაც აფხაზეთში ყღერდა შშვენიერი მელოდიები. ჩვენი თბილისელი ძმების შესანიშნავმა მუსიკამ მოაჯადოვა ავტონომიური რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი მაყურებელი და თავიანთი ნიჭის ერთგულ თაყვანისმცემლებლად აქცია ისინი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თავისი გასტროლების დროს წარმოადგინა ქართველი ხალხის დიდი და საინტერესო კულტურა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა უჭკნობი ფოლკლორის შედევრებს.

როგორც მეგობრობის დესპანებმა, მათ აფხაზ ძმებს თავიანთი ხალხის სულიერი მემკვიდრეობა მუსიკის შშვენიერი ენით გააც-

ნეს. რეპერტუარის ყოველი სცენური ნაწარმოები მაქმანივით იყო ნაქსოვი დრამატურგიის, მუსიკის, ვოკალისა და ქორეოგრაფიისაგან. აქ, ნატიფი ქართული ოქროქჭედლობის დარად, აისახა დიდი ადამიანური ვნებები, ხოლო ძიებები და ოცნებები ლამაზი ხმებისა პლასტიკური მოძრაობების საშუალებით გამოიკვეთა ყოველგვარი ემოციურ-რომანტიკული, მაგრამ უაღრესად ცხოვრებისეული, მართალი სახეებით.

სახელმოხვეჭილმა თეატრმა მნიშვნელოვანი ეროვნულ-პატრიოტული მისია შეასრულა, რადგან თავისი სცენა არა მარტო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების, არამედ ნიჭიერი ახალგაზრდების ნაწარმოებებსაც დაუთმო. დიდია თეატრის დამსახურება ორიგინალური საოპერო და საბალეტო ხელოვნების ჩამოყალიბებაშიც. დღეს აკადემიური თეატრის სახელოვან ტრადიციებს განამტკიცებენ და ღირსეულად განაგრძობენ მისი მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სოლისტები. მათ არ ჩამოუვარდება ახალგაზრდა თაობაც, რომელმაც თავისი შემოქმედებით მაყურებელთა სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

დღეს, ისევე, როგორც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, თეატრი დაძაბულ შემოქმედებითს ძიებაშია, დიდ ემოციურ და ესთეტიკურ აღმავლობას განიცდის. აშის მკაფიო დადასტურებაა მისი ფართო რეპერტუარი, რომელიც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მაყურებელთა სამსჯავროზე წარადგინეს. მრავალრიცხოვანი მაყურებელი გაეცნო დასავლეთ ევროპული კლასიკისა და ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. თეატრის საგასტროლო აფიშაში მთელი თვის განმავლობაში შეტანილი იყო ოპერები - ვერდის „ოტელო“ და „ტრავიატა“, როსინის „სეველიელი დალაქი“, პუჩინის „ტოსკა“, ჩაიკოვსკის „იოლანტა“, აგრეთვე ეროვნული ოპერები - ფალიაშვილის „დაისი“, დოლიძის „ქეთო და კოტე“, თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ და ლაღიძის „ლელა“.

ხორცს ასხამს რა სცენაზე ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს, თეატრი აყენებს და პოულობს პასუხს იმ ფილოსოფიურ საკითხებზე, რომლებიც განსაზღვრავს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს.

რევაზ მანაძე, ანმეტის რაიონის ხელმძღვანელი, ფრიდონ სულაბერიძე, ლევან ახალაია და ირაკლი შუშანია. 1979 წ. 9 მაისი

თეატრის მხატვრული ხელმძღვანელობა რეპერტუარის შერჩევაში ყურადღებას აქცევდა ლოლიტების შემოქმედებით წვასა და ინდივიდუალობაზე და დასადგმელად ისეთ ნაწარმოებებს არჩევს, რომლებშიც განსაკუთრებით მკაფიოდ შეიძლება გამოვლინდეს თითოეული მსახიობის შემოქმედებითი დიაპაზონი.

თეატრის საბალეტო ხელოვნება წარმოდგენილი იყო ისეთი სპექტაკლებით, როგორიც არის: ჩაიკოვსკის „გედის ტბა", მინკუსის „დონ-კიხოტი", ადანის „ჟიზელი", გაბისაძის „მედეა" და ერთაქტიანი ბალეტები, რომლებშიც თეატრი ისწრაფვოდა ეჩვენებინა ადამიანის სულის სილამაზე, განესაზღვრა თავისი ძირითადი თემა: ადამიანი და საზოგადოება. ხოლო შემსრულებელთა შესანიშნავმა შემადგენლობამ, დირიჟორების, რეჟისორების, ბალეტ-

მაისტერების შეწყობილმა მუშაობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ საქართველოს მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნება მაღალ პროფესიულ დონეზეა.

ერთი თვის განმავლობაში ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებსა და სტუმრებს შესაძლებლობა მქონდათ დამტკბარიყვნენ შესანიშნავი ოსტატების ხელოვნებით, ენახათ ამ კოლექტივის საუკეთესო ნამუშევრები.

დიდია თეატრის დამსახურება ქართული ეროვნული საოპერო მუსიკის შექმნასა და განვითარებაში, რომელიც უკვე რამდენიმე ათწლეულია თავისი მიღწევებით ახარებს მსმენელებს. რა ოქმა უნდა, საგასტროლო რეპერტუარის მხოლოდ ოთხი ეროვნული ოპერა ამომწურავად ვერ გამოავლენს საოპერო ნაწარმოებების შექმნის დარგში ქართველ კომპოზიტორთა მიღწევებს, მაგრამ ისინი წარმოდგენას გვიქმნის რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის განვითარების გზებზე.

თავისი გასტროლები თეატრმა გახსნა ქართველი კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის" ტრადიციული ჩვენებით. ამ სპექტაკლზე ბევრი რამ დაწერილა და ჩვენ მასზე აღარ შეეხერდებით. ვიტყვით მხოლოდ - პარტიების შემსრულებელმა ახალგაზრდობამ გვიჩვენა: თბილისის ოპერის მომავალი საიმედო ხელშია. თავიანთი შესანიშნავი ვოკალური მონაცემებით გაგვახარეს თ. გუგუშვილმა (მალხაზი) და ლ. ასათიანმა (კიაზო). სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლამარა ჭყონიას ხელოვნების სოხუმელი თაყვანისმცემლები ერთხელ კიდევ გაახარა შეხვედრამ მასთან, მისი ნაზი, მომხიბლავი მარო თითოეული ჩვენგანის ხსოვნაში დარჩა. სახელმოხვეჭილმა მომღერალმა ფსიქოლოგიურად ფაქიზად, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად გვიჩვენა ერთგული სატრფოს - მაროს სულიერი ტკივილი. მომღერლის ნიჭის წყალობით მაროს სახე დაუვიწყარი იქნება მაყურებლისათვის. მშვენიერია ამ სპექტაკლში ცანგალას სახეც, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ი. შუშანიამ შექმნა. ამჯერადაც ხალხური სულისკვეთებით, ზნე-ჩვეულებებით, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორით აღსავსე ოპერა „დაისი" დიდი

კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის უკვდავების კიდევ ერთი დადასტურება გახდა.

ნაჩვენები იყო აგრეთვე ვ. დოლიძის ქართული კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“. შესანიშნავი შემსრულებლების - საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. მკერვალიძის (ქეთო), ლ. ასათიანის (თავადი), ს. ტოგონიძის (ბარბარე), მ. დონაძის (საქო), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ვ. კანდელაკის (სიკო) წყალობით თეატრმა შეძლო შეექმნა სპექტაკლი, რომელიც აღსავსეა სიხალისით და ხალხური იუმორით.

კ. გამსახურდიას რომანის მიხედვით შექმნილი ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ ჩვენ თვალწინ აცოცხლებს იმ წლების ამბებს, როცა ხალხი ახალი ცხოვრების, ნათელი მომავლის გზას კვალავდა. სპექტაკლში დასახსომებელი სახეები შექმნეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ნ. ანდღულაძემ (არზაყანი), ი. შუშანიამ (კაც ზვამბაია), სოლისტმა ე. გეწაძემ (თარაში) და სხვებმა.

რ. ლაღიძის ოპერა „ლელაში“ აღწერილია რომაელთა შემოსევა საქართველოს მიწა-წყალზე, ხალხის ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. მთელ საოპერო სპექტაკლს გასდევს ლელას ბედი, რომლის პარტია სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ამირანაშვილმა შეასრულა. დადგმა გიზიდავთ ხალხის გმირობის ფართო პანორამით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეატრმა წარმოადგინა დასავლეთევროპული კლასიკის ბრწყინვალე ნიმუშებიც, რომელთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა ვერდის ოპერა „ოტელო“. მთავარ პარტიას ასრულებდა გამოჩენილი ქართველი მომღერალი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ზურაბ ანჯაფარიძე. იგი თავისი მელოდიური და მძლავრი ხმით არა მარტო „ჭედავს“ მხედართმთავრის სულიერ დრამას და დასტირის მის ბედს, არამედ დრამატული აქტიორული ოსტატობით ახლობელს ხდის მსმენელებისათვის თავისი გმირის სახეს. სპექტაკლის დამსახურებულ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა შედეა ამირანაშვილმაც

(დეზდემონა), რომლის რეპერტუარში, სხვათა შორის, მსოფლიო კლასიკის საუკეთესო და ურთულესი პარტიებია.

კლასიკაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დიდი იტალიელის კიდევ ერთი ქმნილება - „ტრავიატა". სოხუმელ მსმენელებს ძალზე მოეწონათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ტუღუში ვიოლეტას პარტიაში, რომელმაც ღრმად და გულში ჩამწვდომად განასახიერა თავისი გმირი.

და კიდევ ორმა კლასიკურმა იტალიურმა ოპერამ დააშშეენა თბილისელთა საგასტროლო რეპერტუარი. მხედველობაში გვაქვს როსინის ხალისიანი ოპერა „სევილიელი დალაქი" და პუჩინის „ტოსკა".

კლასიკურ იტალიურ ოპერებთან ერთად, თეატრი წარმატებით დგამს აგრეთვე ოპერებს, რომლებიც რუსული კლასიკური რეპერტუარის ნიმუშებია, მათ შორის არის ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტა", რომელშიც მთავარ პარტიას სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მ. ამირანაშვილი ასრულებს.

ყველა თავის დადგმაში - მსოფლიო რეპერტუარის კლასიკური ოპერა იქნება ეს თუ ქართველი ავტორის ნაწარმოები - თეატრი მუსიკის ენით გვიჩვენებდა ადამიანის ღირსებას, მის სულიერ სილამაზეს. მათ შორის არის: ჩაიკოვსკის უკვდავი „გედის ტბა", მინკუსის „დონ კიხოტი", რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ვ. ჭაბუკიანმა; ლირიზმით, პოეზიით აღსავსე ადანის „ჟიზელი", რომელიც თითქოს დასტირის და ამავე დროს ადიდებს სიყვარულს; ევრიპიდეს ძველ-ბერძნული ტრაგედიის მოტივებზე დადგმული რ. გაბიჩვაძის „მედეა" (ბალეტმაისტერი - საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ალექსიძე).

გარდა ამისა, თეატრის რეპერტუარში იყო რამდენიმე არაჩვეულებრივი ერთაქტიანი ბალეტი. აფხაზეთის მაყურებელი მხურვალედ უკრავდა ტაშს ბალეტის ოსტატებს ი. ჯანდიერს, ნ. არო-

ბელიძეს, ც. ბალანჩივაძეს, მ. გოდერძიშვილს, ს. ტერეშჩენკოს, რ. ნოვაკს...

ერთი თვის [illegible]ასძილზე მთელი აფხაზეთი თითქოსდა სულდგმულობდა მუსიკით, რადგან ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო და უაღრესად საინტერესო კოლექტივის სპექტაკლები უჩვენეს არა მარტო ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში, არამედ მის ბევრ ქალაქსა და სოფელში, აგრეთვე კულტურის სასახლეებში, კლუბებსა და სტადიონებზე, თეატრის წამყვანი სოლისტების მონაწილეობით საკონცერტო პროგრამები უჩვენეს აფხაზეთის მთის სოფლებშიც. მეგობრობის, ხელოვნებისა და შრომის დიდ დღესასწაულად გადაიქცა, ძაგალითად, ზ. ანჯაფარიძის, ნ. მკერვალიძის, თ. მუშკუდიანის, ლ. ასათიანის ნ. გელაშვილის, მ. დონაძის და სხვათა შესვედრა გულფრიშის რაიონის მთის სოფელ ამტყელის მშრომელებთან. მუსიკამ და მომღერალთა მშვენიერმა ხმამ თითქოს არა მარტო მაყურებლები, ასე განსაჯეთ, აფხაზეთის მარად მშვიდი დათოვლილი მთის მწვერვალებიც კი მოაჯადოვა.

ამ გასტროლებზე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მუსიკის მშვენიერი ენა, მღელვარე ემოციების ენა საიმედო იარაღია ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საქმეში.

ობილისის ოპერისა და ბალეტის მაღალპროფესიულ შემოქმედებით კოლექტივთან შესვედრამ ხელი შეუწყო მისი მსმენელების ესთეტიკური გემოვნების დახვეწას; აფხაზეთის მშრომელ ხალხთან ამ შემოქმედებითმა შესვედრებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მშვენიერების სამყაროსთან ზიარების მხრივაც, ვინაიდან გულის სიღრმიდან მომავალი მუსიკისა და სიმღერებისათვის არ არსებობს დაბრკოლებანი და გაუგებრობანი. მუსიკა, როგორიც გინდა იყოს იგი, კლასიკური თუ ხალხური, ერთ ჭერქვეშ მცხოვრები მოძმე ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების შესანიშნავი ენაა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საგასტროლო

ჯემალ ანჯაფარიძე, ლევან ასათიანი, თენგიზ შუშკუდიანი, შალვა მეძველია, ზურაბ ანჯაფარიძე, აკაკი შანიძე, ლამარა ქეონია, შერაბ თაბუკაშვილი და საოპერო თეატრის თანამშრომლები ოპერის ბაღში ზაქარია ფალიაშვილისა და ვანო სარაჯიშვილის საფლავებთან.

წარმოდგენების შემდეგაც თითქმის ყველას პირზე ეკერა: - გმადლობთ, ძვირფასო შეგობრებო, თქვენი ნათელი მუსიკალური ხელოვნებისათვის! იმისათვის, რომ გსურდათ გეჩუქებინათ ჩვენთვის ქართული საოპერო და საბალეტო შემოქმედების მუსიკალურ ტრადიციებთან თანაზიარობის წუთები!" („კომუნისტი", 1980 წ. 7 სექტემბერი).

ბათუმში გამართული საოპერო სპექტაკლების შესახებ გაზეთ „საბჭოთა აჭარაში" დაიბეჭდა მრავალი რეცენზია, ისინი მიეძღვნა თითოეულ საოპერო და საბალეტო დადგმას. ნ. ქართველიშვილი სტატიაში - „მარად ცოცხალი „ქეთო და კოტე", წერს: „ბათუმელებმა კვლავ იხილეს „ქეთო და კოტე". ფარდა აიხადა და მაყურებელი ძველი თბილისის კოლორიტულ უბანში მოხვდა. გუნდი მასპინძლის - თავად ლევან ფალავანდიშვილის გულუხვობას უმღერის.

ლევანიც დაბრუნდა ნადირობიდან. ქეიფითა და დროსტარებით ნაპატივები, მოხდენილი ვაჟკაცი წარმოგვიდგინა ლევან ასათიანმა. დროს თმა ვერცხლით შეუფერავს მისთვის, თუმცა ლაღად, ომახიანად მღერის თავის ცნობილ არიას „სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად". - აკი ღვინოს, დუდუკსა და ლამაზმანებს მიაფლანგა კიდევაც თავისი ადგილ-მამული, ყელამდე ვალებში ჩაეფლო, თავი კი ისე უჭირავს, თითქოს ბანკში ბლომად ეწყოს აციგნაციები.

ლ. ასათიანი ლამაზი ტემბრის ხმით შესანიშნავად გადმოგვცემს ხელგაშლილი თავადიშვილის გალაღებულ ბუნებას, თუმცა შემდეგ სცენაში სულ სხვა პლანში წარმოგვიდგენს მას. ლევანის წოდებრივ ყოყლოჩინობას რქები მოატეხა გაჭირვებამ, გაქსუებულ ვაჭართან დამოყვრებით სურს გამოასწოროს მდგომარეობა. ლ. ასათიანმა, რომლის გარეგნობა კარგად მოერგო დარდიმანდი თავადიშვილს პორტრეტულ იერსახეს, დამაჯერებლად დაგვიხატა თავადის გაორებული ფსიქიკა" (1981 წ. 15 აგვისტო).

1980 წლის მაისში სოხუმში, გუდაუთაში, აბჟაკვაში, გაგრაში, გულრიფში, ტყვარჩელში, ოჩამჩირესა და დურიფში ჩატარდა ქართული და აფხაზური მუსიკის დღეები. თბილისიდან ჩასული

გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორთა და შემსრულებელთა ჯგუფი დიდი პატივით მიიღეს აფხაზეთში. გაიმართა მრავალი კონცერტი, შემოქმედებითი საღამო, შეხვედრები საწარმოებსა და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში. ყველა კონცერტისა და შეხვედრის მონაწილე გახლდით და ვასრულებდი ქართულ და აფხაზურ ხალხურ სიმღერებს „სისატურას“, „გუდისას“, კიაზოს, მურმანისა და ჩალხიას არიებს. დასკვნითი საღამო სოხუმის თეატრში ჩატარდა. გაზეთ "Советская Абхазия"-ში დაბეჭდილ წერილში "Символ творческого содружества" მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მ. ხაშბა წერდა: "Разнообразной жанром и стилю была программа концерта камерной и оперной музыки, состоявшегося в театре Абгосфилармонии. В нем прозвучали шедевры грузинской музыкальной классики - ария Киазо из оперы "Даиси", дует Абессалома и Мурмана из оперы "Абссалом и Этери" З. Палиашвили, произведения современных грузинских и абхазских композиторов.

Открылся вечер "Песней о Родине" Р. Гумба. Светлый праздничный колорит песни словно задал эмоциональный настрой концерту. Торжественно прозвучала на абхазском языке "Песня о Родине" Р. Лагидзе, Своеобразным гимном Апсны стала абхазская народная песня "Гудиса", восхитил проникновенный лиризм мегрельской народной песни "Сисатура". Покорила своей красочностью и глубиной эмоциональная и глубоко психологическая музыка арии Чалхия из оперы О. Тактакишвили "Миндия".

Завершился концерт дуэтом Абессалома и Мурмана из оперы "Абессалом и Этери" З. Палиашвили в исполнении солиста Тбилисского

театра оперы и балета Л. Асатиани и солиста Абгосфилармонии, заслуженного артиста Абхазской АССР Б. Амичба. Дуэт грузинского и абхазского вокалистов, как и весь концерт, стал словно бы символом творческого содружества братских народов".

გაზეთი „კომუნისტი" აღნიშნავდა, რომ „აფხაზური და ქართული მუსიკის დღეები, რომელიც საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა აფხაზეთში, ჭეშმარიტად ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და რეზონანსის მოვლენა გახდა აფხაზი და ქართველი ხალხების ცხოვრებაში. ამ დიდ ფორუმზე, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებთან ერთად, აჟღერდა აფხაზური მელოდიები. ...მუსიკის მოყვარულნი დიდხანს უკრავდნენ ტაშს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს ლ. ასათიანს, მუსიკოს-შემსრულებელს, ამიერკავკასიის ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატს ც. ნამორაძეს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს ბ. ამიჩბას და სხვებს...

საზეიმო დღეებში, გარდა პროგრამით გათვალისწინებული კონცერტებისა, აფხაზ და ქართველ კომპოზიტორებს, მუსიკოს-შემსრულებლებს შეხვედრები ჰქონდათ ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებთან" (ი. გობეჩია, 1980 წ. 16 მაისი). სოფელ დურიფში გამართული შეხვედრის შესახებ ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, მუსიკისმცოდნე ნ. დიმიტრიადი გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" წერდა: "Группа участников праздника музыки посетила один из прославленных трудовых коллективов Абхазии - колхоз Дурипш Гудаутского района. В Доме культуры состоялась встреча колхозников и музыкантов. Гостей приветствовал председатель колхоза депутат Верховного Совета Грузинской ССР Иван Хашимович Ґаркил. - Вы здесь не гостии - сказал он, - вы у себя

дома, так же, как каждый из нас, приехав в Тбилиси, будет чувствовать себя в родной семье.

В ответном слове композитор, народный артист Грузинской ССР Сулхан Цинцадзе рассказал о постоянных и плодотворных контактах деятелей музыкальной культуры Абхазии и Грузии, говорил о высокой гордости творить для народа, радовать и вдохновлять его своим искусством.

Успешным были выступления народной артистки Грузинской ССР, солистки Тбилисского академического театра оперы и балета О. Кузнецовой, исполнившей "Песню" М. Давиташвили и песню Мзии из оперы О. Тактакишвили "Миндия". а также солиста Тбилисского академического театра оперы и балета Л. Асатиани, спевшего арию Чалхия из той же оперы и арию Киазо из оперы "Даиси" З. Палиашвили, за которую он был награжден долгими аплодисментами.

Встреча, вышедшая за рамки простого концерта, продолжалась до поздней ночи и была полна самого искреннегои сердечного тепла, братских чувств, безграничного радушия. Дружеские улыбки, добрые слова напутствий, просьба приезжать почаще - такими останутся воспоминания всех, кто познакомился с людьми села Дурипш, теплота и сердечность которых покорили всех участников концерта".

სასიამოვნოდ მახსენდება სოხუმსა და ბათუმში ოპერის თეატრის გასტროლების დროს აფხაზეთისა და აჭარის სხვადასხვა რაიონსა და სოფელში, მათ შორის ღია ცის ქვეშ გამართული მრავალი გასვლითი სპექტაკლი და კონცერტი. შევხვდით უბრალო მშრომელ ადამიანებს, რომლებიც საოცარი გულმოდგინებით გვისმენდნენ და მხურვალე ტაშით აჯილდოებდნენ ყოველ გა-

მომსვლელს. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა კონცერტში მონაწილეობდა ბატონი ზურაბ ანჯაფარიძე. ამასთან, როგორც წესი, მას მიჰყავდა კონცერტები და საოცარ სითბოს აფრქვევდა სცენიდან. მშრომელ ადამიანებთან შეხვედრა და მათ წინაშე გამოსვლა ყოველთვის დიდი ბედნიერებაა, ამასთანავე დიდი პასუხისმგებლობაცაა, რომელიც განსაკუთრებულ კეთილ მიდგომას და დიდ სიყვარულს ეფუძნება.

ბატონ ზურაბ ანჯაფარიძის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს მისი ცხოვრების ერთ-ერთი ბოლო და მნიშვნელოვანი ნაბიჯიც. იგი ოცნებობდა, რომ მის ბრწყინვალე ქალიშვილს, გამოჩენილ და მსოფლიოში აღიარებულ პიანისტს ეთერ ანჯაფარიძეს გვერდით დადგომოდა მისი კიდევ ერთი შვილი. ეს ოცნება მან სამოცი წლის ასაკში აიხდინა. „თუ ბიჭი მეყოლა, ზურიკოს დავარქმევ, თუ გოგო, მაშინ ვერიკოსო, - " ხშირად ამბობდა იგი. უსაზღვრო იყო დიდი ზურაბ ანჯაფარიძის სიხარული, როცა პატარა ზურაბ ანჯაფარიძე მოევლინა ქვეყანას. როგორც ამბობენ, ნიჭიერი ბიჭია და კარგი ხმაც აქვს. ღმერთმა სიკეთე არ მოაკლოს. ბრწყინვალე დედ-მამის შვილია და მომავალიც ბრწყინვალე უნდა ჰქონდეს.

ყველასათვის თავზარდამცემი იყო ბატონ ზურაბ ანჯაფარიძის გარდაცვალება, სიკვდილის წინ „მრავალჟამიერი" უმღერია და ისე ამაღლებულა ზეციურ სამყაროში. იგი მადლიერმა საქართველომ ოპერის ბაღში, დიდი ზაქარია ფალიაშვილის და ვანო სარაჯიშვილის გვერდით დაკრძალა და ამით გამოხატა მისი უკვდავება. დღეს, კიდევ უფრო მეტად იზრდება და ელვარებას იძენს ზურაბ ანჯაფარიძის ღვაწლი, ხვალ კიდევ უფრო მეტად გაიზრდება და წარმოჩინდება იგი. მინდა დავესესხო ბატონ ოთარ ეგაძეს და გავიმეორო: „მაშ, იმას გაუმარჯოს, ვინც ხალხს სიმღერით მიუძღვება... ვინც იღვწის, რომ სხვამ დაისვენოს, ვინც იწვის, რომ სხვა გაათბოს, ვინც იზრდება, მაგრამ როდი ბერდება!" სიკეთეს ნურ. ვ. ს დავუკარგავთ! სიყვარულს დანახვა უნდა!

ჰერმან ვედეკინდი

მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის 1980 წლის 30 ნოემბერს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე გამართული სპექტაკლი. წარმოდგენილი გახლდათ შ. გუნოს ოპერა „ფაუსტი“. მეფისტოფელის როლს ასრულებდა გამოჩენილი ბანი, მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი, სსრკ სახალხო არტისტი ევგენი ნესტერენკო. ფაუსტის სახე განასახიერა იმერი კაკსაძემ, მარგარიტა - მედეა ამირანაშვილმა, ხოლო ვალენტინის სიმღერის პატივი ამ სპექტაკლში მე მერგო.

ქართულ საოპერო სცენაზე ოპერა „ფაუსტი“ პირველად 1865 წლის 30 იანვარს დაიდგა, ხოლო 1978 წელს გამოჩენილმა გერმანელმა რეჟისორმა, საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდად მოყვარულმა და მეგობარმა პერმან ვედეკინდმა ახალი ინტერპრეტაციით წარმოადგინა იგი. ვედეკინდის „ფაუსტი“ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ოპერის ტრადიციული დადგმებისაგან. იგი ძირითადად იცავდა და მიპყვებოდა გოეთეს ფილოსოფიურ კონცეფციას.

თეატრის გზამკვლევში ვკითხულობთ, რომ რეჟისორ ჰ. ვედეკინდის დადგმის მიხედვით, ფაუსტის სახეში განსახიერებულია ადამიანის სწრაფვა სამყაროს შეცნობისაკენ. სწრაფვამ მარადიული სიცოცხლისა და სიჭაბუკისადმი სასოწარკვეთამდე მიიყვანა ფაუსტი. იგი წყევლის ღმერთს, ცასა და დედამიწას და მზადაა შესვას საწამლავი, რომ ამით ბოლო მოუღოს გაუთავებელი ძიებით გამოწვეულ ტანჯვას. გაწამებული, იმედგაცრუებული ფილოსოფოსი სატანას მოუხმობს. და აი, მის წინ აღიმართება ყოვლის გამადგურებელი და უარმყოფელი ძალა მეფისტოფელისა.

მეფისტოფელი პირდება ფაუსტს ყველა სურვილის აღსრულებას, პირდება მარაღიულ სიჭაბუკესაც, თუ იგი მას იწამებს... ფაუსტი ეწაფება ეშმაკის სასმელს...

ეშმაკისეული სასმელით იწამლება ფაუსტის მთელი არსება. მისი სული, მეფისტოფელის ჯადოქრობით გაღვიძებული ფანტაზია მასში ახალ სასიცოცხლო ძალებს აღაგზნებს.

...დილით, ომში ქიმავალი ჯარისკაცების ღრეობის დროს, ფაუს-

რეჟისორი პერმან ეედეკინდი

ტი ხედება მარგარიტას ფანატიკურად მორწმუნე ძმას ვალენტინს და მის მეგობრებს. ომში მიმავალ ძმას მარგარიტა სამახსოვროდ ღვთიშობლის სურათს ატანს.

ვალენტინი თავის დასა და მომავალ ომზე ფიქრობს: მარგარიტამ უნდა ილოცოს ძმისათვის, უნდა დაიცვას საკუთარი პატიოსნება, რომ ძმის ღირსება არ შელახოს. ვალენტინს უმძიმს დის მარტოდ დატოვება. მეგობრები პირდებიან, რომ ისინი იზრუნებენ მარგარიტაზე... და აქ მეფისტოფელი ჩაერევა საქმეში. იგი ანადგურებს ხალხის რწმენას ღვთისადმი, რწმენას, რომ ღმერთი დაიცავს მარგარიტას, ვალენტინს. დამცინავი ღიმილით სვამს სატანა მარგარიტას სადღეგრძელოს. შეურაცხყოფილი ვალენტინი ხმალს იშიშვლებს. მაგრამ პოი, საოცრებავ! ვალენტინს ხმალი ხელიდან უვარდება. მეფისტოფელში ყველა შეიცნობს ბოროტ სულს, ეშმაკს, რომლის დათრგუნვა მხოლოდ ჯვარს შეუძლია.

მეფისტოფელი მარგარიტას ოქროთი და თვალ-მარგალიტით აჯადოებს. მარგარიტას ავიწყდება ვალენტინი, რწმენა, ღმერთი და ყველაფერი ამ ქვეყნად.

...მაცდუნებელი ზაფხულის ღამე

ლეკვან ასათიანი — ვალენტინი, შ. გუნო „ფაუსტი“

სცენები „ფაუსტიდან“. მარგარიტა შუდია ამირანაშვილი.
ვალენტინი – ლევან ახალაია



სცენა „ფაუსტიდან“. ვალენტინი — ლევან ასათიანი, ზიბელი — კანკია, მეფისტოფელი — ევგენი ნესტერენკო

მის სურნელებით დამთვრალნი და ვნებით აღტყინებული მარგარიტა და ფაუსტი თავდავიწყებას ეძლევიან. მეფისტოფელმა საწადელს მიაღწია!.. მოისმის ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცების მარში. ...ვალენტინი შეიტყობს დის უბედურების ამბავს. ივი ფაუსტს შეებმება. ფაუსტი ცდილობს თავი აარიდოს ბრძოლას, მაგრამ მეფისტოფელის წაქეზებითა და დახმარებით ამარცხებს ვალენტინს.

მომაკვდავი „ყოჩაღი ჯარისკაცი“ წყევლის თავის დას, რომელმაც ჩირქი მოსცხო გმირი ძმის ღირსებას. ყველა თავს არიდებს მარგარიტას: მან ხომ „თავი მოსჭრა“ მთელ ქალაქს! სულთმობრძავი ვალენტინი კვლავ საკუთარ პატივსა და დიდებას ეჭიდება და სჯერა, რომ თავისი ფანატიკური რწმენით ზეცაში მოხვდება...



„ფაუსტის“ პრემიერის შემდეგ. პერმის ვოდევილი და ლევან ახალაია.

...აქ რეჟისორი არ მიპყვება ტრადიციულ ხაზს. ვალენტინი, რომელმაც არ შეუნდო ადამიანური ცოდვა თავის დას, ჯოჯოხეთში ხვდება. შეძრწუნებული ვალენტინი მეფისტოფელის მსხვერპლი ხდება. ასეთი ფარისეველი არაადამიანები განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრიან სატანას. ივი წყევლა-კრულვით განაწესებს ამ ფანატიკოს-მორალისტს მარადიული სიკვდილის სამეფოში...

შეცბუებული ხალხი ვალენტინის სულის შენდობას ითხოვს, მარგარიტა კი საშარადისოდ განიდევნა მათი წრიდან.

...სასოწარკვეთილი მარგარიტა შველას შესთხოვს ზეცას. ივი ფაუსტის უკან ოვალს მოპკრავს ბოროტ სულს. ამ ბოროტმა მზერამ მარგარიტა სასიკვდილოდ შეაძრწუნა. მეფისტოფელი ზეიმობს. მას ჰგონია, რომ მარგარიტა და ფაუსტი, ღვთისაგან საბოლოოდ შერისხულნი და განკიცხულნი, უკვე მთლიანად მას ეკუთვნიან. მაგრამ, ფაუსტმა და მარგარიტამ საბოლოოდ შეიცნეს ბოროტი სული. აღარ გაპყვნენ მას, ზურგი აქციეს; შეიგნეს, რომ სიკვდილზე უფრო ძლიერია ყოველგვარი დანაშაულისაგან მხსნელი ძალა სიყვარულისა. და აი, მათ, ცოდვებისაგან განტვეებულთ, ხსნა მოუვლინა ზეცამ. მარგარიტას წმინდა სიყვარულმა გაუხსნა ფაუსტს აქამდის დახშული ახალი ცხოვრების რწმენის კარი.

პ. ვედეკინდის დადგმულმა „ფაუსტის“ საპრემიერო სპექტაკლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ერთი პრემიერა ვიმღერე და საზოგადოებისა და რეჟისორის მოწონება დავიმსახურე. შემდეგ წლებში მისგან მიწვევაც მივიღე იმ მუსიკალურ და თეატრალურ დადგმებში მონაწილეობისათვის, რომელთაც თავისი თეატრის სცენაზე საარბრიუკენში ანხორციელებდა პ. ვედეკინდი. აქვე აღვნიშნავ, რომ თავისი პირველი მეფისტოფელი, ამავე დადგმაში განასახიერა დღეს უკვე მსოფლიოში ცნობილმა ბანმა პაატა ბურჭულაძემ. მისი პირველი მარგარიტა ქალბატონი მედეა ამირანაშვილი გახლდათ, ხოლო პირველი ვალენტინი - მე.

ეუგენი ნესტერენკოს მონაწილეობით წარმოდგენილმა „ფაუსტმა“ განსაკუთრებული ელფერი შეიძინა. დიდი სტუმრის მონაწილეობა განსაკუთრებულ სტიმულს აძლევს სპექტაკლს, ყველა

ესწრაფვის თავისი მაქსიმუმის წარმოსენას. მით უფრო, თუ მახასინ-ძლებშიც ოსტატები არიან.

ბრწყინვალე იყო ქალბატონი მედეა ამირანაშვილი და საერ-თოდ სპექტაკლის მთელი ანსამბლი. წარმოდგენის შემდეგ უზო-მოდ კმაყოფილმა ე. ნესტერენკომ საოცრად თბილი და მადლ-ფარდოვანი სიტყვით შეგვამკო. მადლობა გადაუხადა თეატრის ორკესტრს, გუნდს, სოლისტებს ესოდენ მაღალი პროფესიონალ-იზმისა და დიდი სიყვარულისათვის. თბილისური „ფაუსტის“ შესახებ მან მოსკოვის „თეატრალურ მოამბეშიც“ აღნიშნა და ამ პირად წერილებშიც, რომლებსაც იგი უგზავნიდა წარსულში ცნო-ბილ ბანს, პროფესორ გიორგი გოგისავეს.

სპექტაკლს დირიჟორობდა მისი მუსიკალური ხელმძღვანე-ლი, გამოსენილი ქართველი ხელოვანი, ბატონი გივი აზმაიფარაშ-ვილი, რომლის ოსტატობამ დიდად განაპირობა არა მარტო „ფაუს-ტის“ მაღალი საშესრულებლო დონე, არამედ ყველა იმ სათ

ერთი დაუვიწყარი დღე

ჩემს მრავალრიცხოვან საკონცერტო გამოსვლებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1980 წლის 7 დეკემბერს მოსკოვში, „ცედრის“ დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული ქართული ხელოვნების ოსტატთა საზეიმო კონცერტში მონაწილეობა. მაშინ „ცედრის“ 60 წლის საიუბილეო საღამოები ტარდებოდა და ყოველი კონცერტი მოსკოველთა დიდ ინტერესს იწვევდა.

ამ საპასუხისმგებლო ღონისძიებისათვის საქართველოს თეატრალური საზოგადოების მაშინდელმა თავმჯდომარემ, გამოჩენილმა რეჟისორმა, სსრკ სახალხო არტისტმა, პროფესორმა დიმიტრი ალექსიძემ განსაკუთრებული პროგრამა შეადგინა და საკონცერტო დადგმა განახორციელა. თავად შეარჩია მონაწილენი. მათ შორის იყვნენ ქართული სცენის დიდოსტატები, მსახიობები: გურამ საღარაძე, სოფიკო ჭიაურელი, ტარიელ საყვარელიძე, მერაბ თაბუკაშვილი, ეკა ქუთათელაძე, რევაზ ჩხიკვიშვილი, ელენე ყიფშიძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ზინა კვერენჩხილაძე, ედიშერ მაღალაშვილი, „ცისფერი ტრიო“, მედეა ძიძიგური, ნანული აბესაძე, მევიოლინე ირინე იაშვილი, პიანისტი მედეა ფანიაშვილი, კონცერტმაისტერები ვაჟა ჩაჩავა და მედეა გონგლიაშვილი, რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე, ოპერის მომღერლები: მედეა ამირანაშვილი, მაყვალა ქასრაშვილი, ჯემალ მდივანი და მე. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ბატონი ოთარ ეგაძე.

კონცერტი მიპყავდა გამოჩენილ კოტე მახარაძეს. აღფრთოვანებით შესცქროდა დარბაზი ოთარ ეგაძის ბრწყინვალე სიტყვას. ყოველი ნომრის შემდეგ დიდხანს არ წყდებოდა ტაში. საღამომ ტრიუმფით ჩაიარა. შეავასრულე ხალხური სიმღერა „სისატურა“ და ოთარ თაქთაქიშვილის არია ორატორიიდან „ცოცხალი კერა“. დიდი წარმატება მქონდა. „ბისზე“ ვიმღერე ზ. ფალიაშვილის „დამისხი, დამალევინე“ და ინკუბუსის კუპლეტები „ლატავრადან“. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. ბედნიერი ვიყავი. ეს იყო მოსკოველი მაყურებლის მიერ გამოხატული უსაზღვრო სიყვარული. ბოლოს სცენაზე ამოვიდა დიდი რუსი მომღერალი, ლეგენდარული იყანე კაზლოვსკი. მან გაიხსენა მისი ქართველი მეგობრები დავით გამრეკელი, ბათუ კრავეიშვილი და მე მომმართა: „ახალგაზრ-

დავ. თქვენ სწორედ მათდაგვარი ლაშაზი ხმა გაქვთ. და როგორც მაშინ მათთან, ახლაც მინდება სურვილი თქვენთან ერთად საყვარელი დუეტი ვიმღერო, ხოლო მე რასაც მოვისურვებ, აუცილებლად შეგასრულებ ბო.“ ამაზე დიდ შეფასებას ვინ ინატრებდა. კაზლოვსკი ვოკალურ დუეტს „მხოლოდ შენ ერთს“ გულისხმობდა.

საღამო გაგრძელდა ბანკეტზე. ოთარ ეგაძის მშვენიერი თამადობით, კონცერტის მონაწილეთა ემოციური სადღეგრძელოებით, სიმღერითა და ცეცხლოვანი ცეკვებით თავბრუდახვეული მოსკოველები გათენებამდე არ დაშლილან. მთავარი ძაინც ის იყო, რომ მოსკოველი ქართველები, რომლებიც მრავალად ესწრებოდნენ კონცერტს, ესოდენ სიამაყით გვიკვრავდნენ ტაშს, თავაწეულნი გადახედავდნენ აღტყინებულ მოსკოველებს და თვალზე სიხარულის ცრემლი უბრწყინავდათ.

ორიოდე კვირის შემდეგ თბილისში დიმიტრი ალექსიძის სახელზე მოვიდა „ცედრის“ გაშგეობის თავმჯდომარის, სსრკ სახალხო არტისტის, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ ი. ტუმანოვის სამადლობელი წერილი, სადაც განხილული და შეფასებული იყო საიუბილეო კონცერტის ყველა მონაწილის გამოსვლა. კმაყოფილმა დიმიტრი ალექსიძემ ჩემს შესახებ ასეთი ბარათი გამოგზავნა ოპერის თეატრში: „ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორს ზურაბ ანჯაფარიძეს - საქართველოს თეატრალური საზოგადოება დიდ მადლობას უხდის თქვენი თეატრის სოლისტს ლევან ასათიანს მიმდინარე წლის 7 დეკემბერს მოსკოვში ქართველი ხელოვნების ოსტატთა საღამოში წარმატებით მონაწილეობისათვის. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი, პროფესორი დ. ალექსიძე“ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ. №1-1262).

ამ საზეიმო კონცერტის შემდეგ, მომდევნო წლებში, რამდენჯერმე გამოვედი მოსკოველი მსმენელის წინაშე. უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ მოსკოველები ძალზე კეთილგანწყობილნი და მოსიყვარულენი იყვნენ ქართველი მსახიობების მიმართ. არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა მოსკოველ მაყურებელთან, სადაც მათ დიდი სითბო, სიყვარული და საოცარი ემოცია არ გამოეხატოთ მაღალაკადემიურ დონეზე შესრულებული ნაწარმოების, მით უფრო ქართული სიმღერ...ს მოსმენისას.

ვახტანგ ჭაბუკიანი

ვახტანგ ჭაბუკიანი

საოპერო თეატრში ჩემი მუშაობის მანძილზე ბევრ დიდ შემოქმედსა და ხელოვანს შევხვდი, როგორც ჩვენი ქვეყნის შვილს, ისე უცხოელ სტუმარს. ციუხედავად ყველაფრისა, უპირველესად უპირველესთა შორის ჩვენი თანამემამულე, დიდი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ბატონი ვახტანგ ჭაბუკიანი მიმაჩნია. როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები აღნიშნავენ, იგი მოგვევლინა განსაკუთრებულად გამორჩეულ შემოქმედად, მან თამამად და დამაჯერებლად შეცვალა მრავალი კანონიკური დოგმა, გამოავლინა მანამდე უცნობი ოვისებრივი შესაძლებლობები, დატვირთა იგი ახალი ცხოველმყოფელი აზრითა და მრავალფეროვანი შინაარსით, გაკაფა ახალი გზები კლასიკურ ბალეტში, დაამკვიდრა არსებითად ახალი, განსხვავებული და თავისებური, ჭაბუკიანისეული წარმოსახვა. იგი ვერ ჩაეტია დაკანონებულ ჩარჩოებში და მისი განსაკუთრებული ღვთიური ნიჭის, შემოქმედებითი ბუნებისა და ცეცხლოვანი ტემპერამენტის შესაბამისად ფართო და ჯერარნახული მასშტაბები შექმნა როგორც კლასიკურ ბალეტში, ასევე მის მიერ შექმნილ ახალ

საბალეტო დადგმებში. მან დააშკეიდრა ბალეტში მამაკაცის როლის ახლებური ინტერპრეტაცია და დასაბამი მისცა ახალ საბალეტო ხელოვნებას.

ანდრია ბალანჩივაძის „მთების გულით“ „დაიბადა ჩვენს ბალეტში ახალი მხატვრულ-იდეური მიმართულება - გმირულ-რომანტიკული სანახაობა დიდი ადამიანური ენებებით, ღრმა დრამატიზმით, ხალხის ბედნიერების ძიებითა და პატრიოტიზმის გრძნობით, წმინდა საამხრეთული მცხუნვარებით გამსჭვალული ნაწარმოებები“. „ვ. ჭაბუკიანმა ბუნებრივად აქცია მამაკაცი მოქმედების, მოვლენათა მესაჭედ, მთავარ პერსონაჟად, და ეს უკვე თავისთავად ნიშნავდა ბალეტის, მისი ხასიათის ძირეულ სახეცვლას. მან ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფია თავისი მაღალპუმანურობითა და საკაცობრიო ძისწრაფებათა მხატვრული ასახვით, ადრინდელი ვიწრო ინტიმური საზღვრების რღვევითა და კეთილშობილური მიზნების სიდიადით ერთბაშად აზიდა დიდ სიმაღლეებზე და საყოველთაო ყურადღების, ფართო განსჯა-მსჯელობის საგნად აქცია“. ბალეტის ხასიათის ჭაბუკიანისეულმა გარდაქმნამ აქტიურ მოქმედ ძალად გადააქცია კორდებალეტი და მას ახალი მუხტი, ახალი შინაარსი შემატა.

თვითონ სწორუპოვარმა მოცეკვავემ და ცეკვის ჯადოქარმა ბევრი ჯადოქრული და საეტაპო საბალეტო სპექტაკლი შექმნა და დაუტოვა შთამომავლობას. მათ შორის გ. კილაძის „სინათლე“, დ. თორაძის „გორდა“, „შოპენიანა“, „ბოლერო“, „შჩელკუნჩინი“, „დონ-კიხოტი“, „გედის ტბა“, ა. მაჭავარიანის „ოტელო“, ს. ცინცაძის „დემონი“, რ. გაბიჩვაძის „ჰამლეტი“ და სხვ.

ვასტანგ ჭაბუკიანის ხელოვნებამ დაიპყრო მსოფლიო. მახსენდება თეატრში გაფრცელებული ამბავი, რაც ბელგიის დედოფალს დაემართა ვ. ჭაბუკიანის ოტელოს ხილვის შემდეგ. სპექტაკლის ბოლოს მან შთაბეჭდილებათა წიგნში ჩასწერა: „მე ვიყავი მეტად ბედნიერი, რომ ვნახე და მოვისმინე შესანიშნავი ბალეტი „ოტელო“ ასეთი ჩინებული შესრულებით. გისურვებთ წარმატებებს,

კვლავ შეხვედრამდე. ელისაბედი“. ხოლო ვ. ჭაბუკიანთან შეხვედრის დროს იგი მოწყვეტით დაეშვა მუხლებზე და თავი დაუხარა დიდ ხელოვანს.

„ვახტანგ ჭაბუკიანი შეუდარებელია. უდიდეს უბრალოებას, სისადავეს, ბავშვურ გულუბრყვილობას, შეხამებულს სიბრძნესთან, გამოხატავს მისი ოტელო“, - წერდა მაია პლისეცკაია.

ბუენოს-აირესში გამართული კონცერტების შესახებ ოფიციალურ წერილებში ვკითხულობთ: „არგენტინის დედაქალაქის მაყურებლებმა დიდი ინტერესით ნახეს პროგრამა, რომელშიც შედიოდა ფრაგმენტები ბალეტიდან „ოტელო“, „სინათლე“, „გედის ტბა“, „ქვის ყვავილი“, აგრეთვე ქართული ხალხური ცეკვები. გამოსვლებმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. თითო ნომერს ორჯერ და სამჯერ ამეორებინებდნენ. ამიტომ ორსაათიანი პროგრამა ხუთ საათს გრძელდებოდა. როცა კი ცეკვის ჯადოქარი ვ. ჭაბუკიანი იყო სცენაზე, მთელი დარბაზი ტაშისცემისგან ზანზარებდა, სცენაზე ყვავილების მთა იდგა“.

ავსტრიის გაზეთები „დი პრესი“, „დი ფოლკსშტიმე“ და „არბაიტერ ცაიტუნგი“ აღფრთოვანებულ რეცენზიებს უძღვნიდნენ ქართულ ბალეტს. „ქართული ბალეტის განსაკუთრებულ თვისებად უნდა ჩაითვალოს ქალთა გრაცია და სიმსუბუქე, ვაჟთა დახვეწილი ხელოვნება“, „ვ. ჭაბუკიანი განუმეორებელია“, „ვინ წარმოიდგენდა, რომ თბილისში უძველესი კულტურის ნიადაგზე დაიბადა და გაიზარდა ბალეტი, რომელმაც თავისი შემოქმედებით ხელოვნების მწვერვალებს მიაღწია“.

ძველი ავსტრიელი ბალეტმანები წერდნენ, რომ „ეთერ ჭაბუკიანის მიერ შესრულებულმა სენ-სანსის „მომაკვდავმა გედმა“ ანა პავლოვა დაგვავიწყა, ასეთი შესრულება არ გვინახავსო“. „ვ. ჭაბუკიანი მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოცეკვავე და ბალეტმაისტერია, - წერს ინგლისელი ბალერინა ბერილ გრეი, - მისი ოტელო შექსპირის უმშვენიერესი თარგმანია, განსახიერებული ცეკვაში, მიმიკასა და მუსიკაში, საუკეთესოა ვახტანგ ჭაბუკიანის

რეჟისორული და ქორეოგრაფიული ხელოვნება. ისეთ ცეცხლსა და რიტმს აქსოვს ცეკვას, რომ პირდაპირ აოცებს მაყურებელს და მსმენელს“.

ვახტანგ ჭაბუკიანს, - წერდა ოთარ ეგაძე - „ბევრმა ერმა უმღერა: ქართველებმა „ჩვენი ვახტანგი“ უწოდეს, რუსებმა - „ლაღი არწივი“, ინგლისელებმა „ზღვის ქარიშხალი“ შეარქვეს, ამერიკელებმა „ხელოვნების რევოლუციად“ წარმოადგინეს, იტალიელებმა პაგანინის მიუტოლეს, და ვინ იცის კიდევ რამდენ სახელს მოირგებდა იგი, რომ თავის დროზე თითო ცერით დედამიწას ყველა კუთხეში თითოჯერ მაინც დატრიალებულიყო“.

ვახტანგ ჭაბუკიანისეული ბალეტის შესახებ აღფრთოვანების გამომხატველი რეცენზიები, წერილები და მისი დიდი შემოქმედების ამსახველი წიგნები მრავალ ტომს მოიცავს. ალბათ, კიდევ ბევრი მონოგრაფია და სამეცნიერო გამოკვლევა დაიბეჭდება. უმთავრესი კი ისაა, რომ ბედნიერია ის თაობა, რომელსაც საშუალება ჰქონდა ენახა ეს განუმეორებელი მოვლენა და დამტკბარიყო ჭეშმარიტი ხელოვნების სიდიადით.

უბედნიერესი ადამიანი ვარ, პირადად ვიცნობდი ბატონ ვახტანგ ჭაბუკიანს. ეს გოროზი და მყინვარწყერივით ამაღლებული ხელოვანი ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა სცენაზე ყველას, ყველგან და ყოველთვის მონუსხავდა და თავის თაყვანისმცემლად აქცევდა, ამასთან ისეთი ადამიანური და ძალიან უბრალო იყო პირად ურთიერთობებში, რომ გაგიკვირდებოდა. წლების მანძილზე ვხვდებოდი მას თეატრში, რასაკვირველია, მოწიწებით ვესალმებოდი, პასუხად კი საოცარ კეთილ ღიმილს და მოკითხვას მივიღებდი. ზოგჯერ ჩემს მიერ განსახიერებული რომელიმე სახის შესახებ დამელაპარაკებოდა, ორიოდ თბილ სიტყვას მეტყოდა და აუცილებლად მოძრაობის, პლასტიკის შესახებ საინტერესო და საჭირო რჩევასაც მომცემდა. არასოდეს დამავიწყდება ერთი შეხვედრა ბატონ ვახტანგ ჭაბუკიანთან ოპერა „ქეთო და კოტეში“ თავადი ლევანის შესრულების შემდეგ. უკვე „კარგ თავადად“

ვიყავი აღიარებული და სცენაზეც თავს თავისუფლად ვგრძნობ-
დი. ერთხელ დილით ადრე, ოპერის შესასყლელთან, საიდანაც
მხოლოდ თანამშრომლები შედიოდნენ თეატრში, კიბეებთან ბა-
ტონი ვახტანგი შემხვდა. მასთან ერთად იყვნენ ზურაბ კიკალეიშ-
ვილი, ვასიკო აბაშიძე, რუსუდან აბაშიძე და ლილიანა მითაიშ-
ვილი. მე მოწიწებით მივესალმე მათ. ბატონი ვახტანგი შეჩერდა,
მკლავი გამიყარა, ორიოდე ნაბიჯით გვერდზე გამიყვანა, თავისი
განუმეორებელი ღიმილით შემომხედა და მითხრა: - როცა წუ-
წუნავამ „ქეთო და კოტე" დადგა, ლევანის პარტია წინ წამოსწია,
მისი მუსიკალური ქარგის მიხედვით, და პლასტიკურობას მეტი
მნიშვნელობა მიანიჭა. პირველსავე აქტში ლევანის შემოსვლა და
მისი თანმხლები მუსიკა იძლევა მოქნილი, ცეკვის ელემენტები-
გამდიდრებული მოძრაობის საშუალებას და ეს აუცილებელიც
არის ლევანის ხასიათის კარგად გახსნისათვისო. შენ თავისუფლება
არ გაკლია, სცენასაც კარგად გრძნობ, მაგრამ ამ მომენტს მეტი
ყურადღება მიაქციეო! ასევე, მესამე აქტის ბოლოს, როცა თავადი
ლხინს იწყებს! დიდი შემოქმედის სიტყვები ახლაც კარგად მახს-
ოვს. ამის შემდეგ რამდენიმე რეპეტიციაც გავიარე რეჟისორ ჯე-
მალ ანჯაფარიძესთან და დამდგმელ ქორეოგრაფებთან. ყოველი
გამოსვლის დროს მახსენდებოდა ჭაბუკიანისეული შეგონება და
სპექტაკლიც მეტ გამომსახველობას იძენდა. როცა მე, თავადი
ლევანის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად მასახელებდნენ,
ამაში დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის წვლილიც იყო.

გივი აზმაიფარაშვილი

ჩემს დაუვიწყარ სახეთა შორის გამოკვეთილია ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედი, განსაკუთრებულად ელვარე ნიჭისა და განუსაზღვრელი შესაძლებლობების დირიჟორი ბატონი გივი აზმაიფარაშვილი.

ბატონ გივისთან ძრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებს, რომელიც ჯერ კიდევ კონსერვატორიაში ჩემი სტუდენტობის დროს ჩაისახა. ჩვენი პირველი შეხვედრა კი მცირე საკონცერტო დარბაზში შედგა. ჩემმა მეგობარმა საკომპოზიციო სპეციალობის სტუდენტმა, დღეს გამოჩენილმა კომპოზიტორმა და მომღერალმა გომარ სიხარულიძემ, რომელიც ყოველთვის ესწრებოდა ვოკალისტთა კონცერტებს დარბაზში შემოიყვანა ბატონი გივი, მოშიახლოვდა და უთხრა – „ამ ბიჭს ოქროს ხმა აქვს, გაიცანი, იგი ისე მღერის შენ რომ მოგეწონებაო“. გივიმ საოცრად კეთილი ღიმილით შემომხედა, მარჯვენა გამომიწოდა და სამეგობროდ გამოწვდილი ხელი სიკვდილამდე არ ჩაუშვია. ამ წერილს რომ ვწერდი ბატონი გივის გარდაცვალება შემატყობინეს, თავზარი დამეცა, კალამი დავდე და ალალი ცრემლით დავიტირე ძვირფასი მეგობარი.

კინოკადრივით ჩაიარა მოგონებებმა: ბატონ გივის კეთილშობილი, სათნო და დიდად მოსიყვარულე დედა ჰყავდა. ჩვენ ხშირად მივდიოდით მასთან მაშინდელ ლენინგრადის ქუჩაზე, სადაც გივიმ ბავშვობა გაატარა და სადაც დედის გულის სითბო გველოდა; ყოველი საოპერო სპექტაკლის შემდეგ, ხან ჩემთან, ხან გივისთან სახლში და ხან კიდევ, რომელიმე მყუდრო ადგილს მოვძებნიდით და ორიოდე თბილ სიტყვას შეკაწევდით ერთმანეთს; დილის რეპეტიციების შემდეგ, ხომ წესად გვქონდა, ჩვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად, მცხეთას ვწვეოდით და მისი მადლით აგვევსო სული. რომელი ერთი გავიხსენო საოპერო და გასვლითი სპექტაკლები, კონცერტები, საიუბილეო საღამოები, რომლებიც ბატონი გივის სწორუპოვარი ოსტატობის, საოცრად ლამაზი და მომხიბვლელი ხელთა მოძრაობის, დახვეწილი მანერებისა და მაღალი საშემსრულებლო კულტურის მეოხებით ნამდვილ ზეიმად იქცეოდა. რაოდენ ადამიანური და

ვიკენტი ჩიჩინაძე

კეთილმოსურნე იყო ბატონი გივი სპექტაკლის ყველა მონაწილისადმი. ივი თავლებში შესცილებდა სცენაზე მდგომთ, მათთან ერთად იწვოდა, განიცდიდა და სუნთქავდა კიდეც.

იმ მრავალრიცხოვან სპექტაკლებისა და კონცერტებიდან, რომლებიც ბატონ გივი აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით მოვამზადე და შევასრულე განსაკუთრებით გამორჩეულია „აბესალომ და ეთერი“ – გიზო ყორდანიას დადგმაში, ჯ. ვერდის „ტრავიატა“ და შ. გუნოს „ფაუსტი“ – პერმან ვედეკინდის რეჟისურით. დაუვიწყარია ჩემთვის ბატონ გივისთან ერთად ერევნის სიმფონიურ ორკესტრთან გამოსვლა და გენიალური ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ნაწარმოებების შესრულება. რაოდენ დიდი შრომა გასწია მან სომეხ კოლეგებთან ამ დაუვიწყარი საღამოს მაღალაკადემიურ დონეზე ჩატარებისათვის.

მაყურებლის დიდი სიყვარული და აღიარება მოიპოვა ბატონმა გივიმ ჩვენთან და უცხოეთშიც. მისი სპექტაკლები გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალობით, კომპოზიტორის ჩანაფიქრთან უზადო თანხვედრითა და ნაწარმოების არსთა წვდომით. სპექტაკლის მსვლელობისას განუყრელად იგი ჩემთან იყო, ყოველ შ. საავალს, ფრაზას, პაუზასაც კი ნათელი მოძრაობით გამოყოფდა და ზოჯერ ჩემთან ერთად „მღეროდა“ კიდეც. მღეროდა ისე, რომ იგი მხოლოდ მე მესმოდა, მე ვგრძნობდი და ერთი სუნთქვით ვძერწავდით ჩემი გმირის მთელ სამყაროს. ხშირად ყოფილა, რომ ბატონ გივისთან წარმატებით განხორციელებული სახე სხვა რიგით დირიჟორთან გაფერმკრთალებულა კიდეც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რომ ბატონი გივი აზმაიფარაშვილი უცილობლად გამორჩეული საოპერო დირიჟორი იყო. იგი თავისი ნათელი და ამაღლებული ხელოვნებით წინ წამოსწევდა სოლისტს და ყოველმხრივ უწყობდა ხელს წარმატებაში. მიღწეული სიხარული კი მისი არა მარტო პროფესიული გაძარჯვება იყო, არამედ წინდა ადამიანური წრფელი განცდაც.

ჩვენი თაობის ოპერის სოლისტი-მომღერლები ბატონი გივის დაფრთიანებულია. მათი ყოველი გამარჯვება მის სახელთანაა გაიგივებული. ივი იყო ყველას მოფერებელი და გზის გამკვალავი.

წმინდა ცრემლი. მოკრძალება და ღრმა პატივისცემა მიპყვება მას ამ საწუთისოფლიდან ზეციურ სამყოფელში.

ძალიან ძნელია ბატონ გივი აზმაიფარაშვილის წარსულში მოხსენიება. მას საოცრად უყვარდა სიცოცხლე. იგი ლირიკოსი იყო. უფაქიზესი ბუნების კაცი აღმერთებდა მუსიკას, ლექსს, სილამაზესა და სიყვარულს.

კიდევ ერთი დიდი მამულიშვილი მოუკვდა საქართველოს! ვალმოხდილი და სიყვარულით დახუნძლული მიუვა იგი სათაყვანებელ წინაპრებს. არ შერცხვება მათთვის თვალის გასწორება. ჩვენ მის მეგობრებს იმედად მისი კეთილი ოჯახი გვრჩება: გამორჩეული ქალბატონი, გივის ერთგული მეუღლე ლიანა გომელაური, ორი დიდებული ვაჟკაცი და ულამაზესი შვილიშვილები. მათ შორის უკვე ვაჟკაცი – გივი აზმაიფარაშვილი.

უფროსი შვილი, ყველასათვის საყვარელი ლევანი, მეცნიერი-მათემატიკოსია, ხოლო უმცროსი ზაზა – უკვე აღიარებული და სახელგანთქმული დირიჟორი, რომლის ხელოვნებაშიც ცოცხლობს აწ უკვე ზეცად აძაღლებული და მარადისობას შერწყმული დიდი დირიჟორი, მუდამ სიყვარულით აღსავსე, ნათელი კაცი – გივი აზმაიფარაშვილი.

გივი აზმაიფარაშვილი, ლევან ახალაია, ლიანა გომელაური და ნონა გვაჯაია, შიო მღვიმე. 1978 წ.

შალვა მშველიძე

შალვა მშველიძე

ერთ-ერთი გამორჩეული და დაუვიწყარი სახე ჩემს ცხოვრებაში არის გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, საბჭოთა პრემიების ლაურეატი, პროფესორი შალვა მშველიძე. იგი მძლავრი და თვითმყოფადი ნიჭის შემოქმედი იყო. მისი ყველა მუსიკალური ქმნილება გამსჭვალულია ნამდვილი ეპიკური სულით, საქართველოს მთისა და ბარის იერ-სახით, ხალხურობით, ეროვნული სულისკვეთებითა და მთლიანობით. მისი შემოქმედება გვიზიდავს დიდი სინათლით, ორიგინალობით, დინამიურობით, ტემპერამენტითა და განსაკუთრებული ბრწყინვალებით. ამასთან, შალვა მშველიძე ეროვნული სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ვაჟა-ფშაველას ეროვნული გმირების სულიერ განცდებს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და მისთვის თავდადების უკეთილშობილეს გრძნობებს.

მუსიკათმცოდნეები აღნიშნავდნენ, რომ შალვა მშველიძის მუსიკის თვითმყოფადობის საფუძველს წარმოადგენს მთის ფოლკლორში მის მიერ აღმოჩენილი და შემოქმედებითად ათვისებული „ფშაური კილო“, რომელმაც განვითარება ჰოვა კომპოზიტორის

რომანსებში და სიმფონიურ ელეგიაში „ფშაური“, სადაც იმთავ-ითვე წარმოჩინდა ავტორის განსაკუთრებული ინდივიდუალობა და მხოლოდ მშველიძისეული თავისებურებანი.

დიდი კომპოზიტორის შემოქმედებაში გამორჩეულია ვაჟას მოტივებზე შექმნილი სიმფონიური ტილო „ზვიადაური“. ასევე მნიშვნელოვანია სხვა სიმფონიები და მრავალი სიმფონიური პოემა, შთამბეჭდავი საგუნდო და ვოკალური ნაწარმოებები. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შალვა მშველიძის ორი მონუმენტური ოპერა, გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შექმნილი „ამბავი ტარიელისა“ და კონსტანტინე გამსახურდიას რომანის მიხედვით დაწერილი „დიდოსტატის მარჯვენა“. ორივე ოპერა დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში და დიდი წარმატებაც მოიპოვა.

საგულისხმოა, რომ კომპოზიტორი შალვა მშველიძე დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისა და დამუშავებისათვის. მას უამრავი ხალხური სიმღერა აქვს ჩაწერილი. ბევრი მათგანი მის მიერ არის აღმოჩენილი და ინტერპრირებული, რაც ნათლად აისახა მის მნიშვნელოვან სამეცნიერო გამოკვლევებში. ბატონი შალვას სამეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში პირველი კაპიტალური მონოგრაფია ორკესტრისა და საკრავმცოდნეობის შესახებ.

აღსანიშნავია კომპოზიტორის ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს, იყო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ცალკე გამოყოფისა და მეცნიერული კვლევის თემაა მისი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. მან მრავალი მაღალპროფესიული მუსიკოსი, ვოკალისტი, ლოტბარი, კომპოზიტორი გაუზარდა სამშობლოს და განსაკუთრებული როლი შეასრულა ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებისა

და გამდიდრებისათვის.

ჩემი პირველი საქმიანი შეხვედრა ბატონ შალვა მშველიძესთან შედგა კონსერვატორიაში, ჩემი პედაგოგის ბათუ კრავეიშვილის კლასში. მაშინ ბატონი ბათუ სწავლობდა გიორგი მეფის პარტიას შალვა მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენაში“. ეს ოპერა „ჩვენი საოპერო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია, - წერდა დ. შოსტაკოვიჩი, - თვითმყოფი მუსიკალური ენა, ხალხური ინტონაციების მარჯვედ ჯამოყენება, შესანიშნავი მელოდიური რესიტატივი, ბრწყინვალე გუნდები - ყოველივე ეს ოპერის პარტიტურას სძენს ელვარებას, სიღრმეს, ფერადოვნებას“, ხოლო ე. გროშევი აღნიშნავდა, რომ „შალვა მშველიძის გასაოცარ, თავისთავად მუსიკაზე რომ ვფიქრობ, რატომღაც მშვიდად მთვლემარე ვულკანი მაგონდება. მისი სიმშვიდე მაცდურია, მოჩვენებითი. ამ გოლიათის წიაღში გამუდმებით გუგუნებს ალი. დრო და დრო მიწისქვეშა ძვრები არყევენ დედამიწას და ზედაპირზე ცეცხლის გადამბუგველი ძალა ამოხეთქავს, ლავაში კი - კეთილშობილ ლითონთა უძვირფასესი ქანებია“.

მართლაც მთვლემარე ვულკანივით იჯდა ბატონი შალვა საკარძელში და თვალდახუჭული უსმენდა საკუთარ ქმნილებას. კონცერტმაისტერი ხანდახან აჩერებდა ბათუს და მითითებებს აძლევდა. ყოველი განსხვავებული პასაჟის შემდეგ, დიდი შავი წარბების ქვეშ ელვასავით გამოკრთოდა კომპოზიტორის თვალთა სხივი და მისი უმნიშვნელოვანესი რეპლიკაც მიზნის მისაღწევად იყო მიმართული. ზოგჯერ თავად შეაჩერებდა მეცადინეობას, მცირე მოგონებას ჩაურთავდა ოპერის მუსიკალური ქარგის უფრო ნათელსაყოფად, ან თავად წაიღიღინებდა ზოგიერთ ფრაზას. ბოლოს ჯმაყოფილი წამოდგებოდა, მრავლისმეტყველი ღიმილით შეხედავდა ბათუს - გიორგი მეფეს და დინჯ საუბარს გააბამდა მასთან.

დიახაც, ბედნიერება იყო ასეთ პიროვნებასთან სიახლოვე, ზოგჯერ ჩემს გაკკეთილსაც მოისმენდა, ხმას მომიწონებდა და შემაქებდა. ერთხელ შემდეგი სიტყვებით ამიმართა ჩემს პედაგოგს. - ასეთმა ახალგაზრდებმა აუცილებლად უნდა იცხოვრონ, ლამაზი

ტემბრის გარდა მის ხმაში სიკეთე იგრძნობაო! „ხმაში სიკეთე იგრძნობაო“ - ასეთი შედარება მე პირველად ბატონ შალვა მშველიძისგან მოვისმინე.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ბატონ შალვა მშველიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი მზადდებოდა, თვითონ მობრძანდა თეატრში და მითხრა: - ძალიან გამეხარდება, თუ გიორგის არიას შენ იმღერებ ამ საღამოსო. ამაზე დიდი პატივი რა იქნებოდა! ორჯერ თვითონვე მამეცადინა, საინტერესო მითითებები მომცა და წარმატება მისურვა.

საიუბილეო კონცერტი ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩატარდა: პირველ განყოფილებაში შესრულდა შალვა მშველიძის №4 სიმფონია. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა ბატონი ჯანსუღ კახიძე. მეორე განყოფილებაში მე წარმოვადგინე მეფე გიორგის არია ოპერიდან - „დიდოსტატის მარჯვენა“, დედის არიოზო ამავე ოპერიდან ლიანა ღვედაშვილმა, შორენას სიკვდილის სცენა - ოლგა კუზნეცოვამ, ტარიელისა და ნესტანის დუეტი ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“ - ნოდარ ანდღულაძისა და ცისანა ტატიშვილის შესანიშნავი მუსიკალობით გაჟღერდა, ხოლო კონცერტი საქართველოს სახელმწიფო კაპელის (ხელმძღვანელი გურამ ბაქრაძე) და სიმფონიური ორკესტრის მიერ „ვარდთა და ნეხვთა“ - ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“ და „ჩვენი ქვეყანას“ განსაკუთრებულად ამაღლებული სულის მოძრაობით დასრულდა. კონცერტის მეორე განყოფილებასაც ბატონი ჯანსუღ კახიძე უძღებოდა. დიდი დარბაზი ფეხზე იდგა, ბოლო არ უჩანდა ოვაციებს. დიდხანს უკრავდა დამსწრე საზოგადოება ტაშს ქართული მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთ გამორჩეულ მებაირახტრესა და მისი ქმნილებების შემსრულებლებს. ეს იყო ჩემი პირველი შესვედრა სცენაზე შალვა მშველიძის გენიალურ მუსიკასთან. ასევე გამორჩეული იყო ეს დღე ჩემთვის იმითაც, რომ პირველად ვიმღერე დიდ სცენაზე ბატონ ჯანსუღ კახიძის ხელთა ოსტატობით.

ბედნიერი იყო ბატონი შალვა. მან ყველა მონაწილეს დიდი მადლობა გადაუხადა, ყველას ალერსიანი სიტყვა უთხრა, წარ-

მატებები გვისურვა და კეთილი ღიმილით დაგვეშვიდობა.

ჯერ კიდევ ამ კონცერტის შთაბეჭდილებების ქვეშ გახლდათ, როცა კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის მდივანმა, ქალბატონმა მარო გიორგობიანმა დამირეკა და მითხრა, ბატონ შალვა მშველიძეს შენი ნახვა სურს და ხვალ 2 საათზე კონსერვატორიაში, თავის კლასში გელოდებაო. რასაკვირველია, მეორე დღესვე ვეახელი ბატონ შალვას. ღიმილით შემომეგება იგი, შემდეგ ხელი მომხვია, კიდევ ერთხელ შემაქო კონცერტში კარგად გამოსვლისთვის და მითხრა, ასე მგონია, რომ გიორგის პარტია შენ უნდა გამოგივიდეს, დაიწყე შესწავლა, მოსინჯე, მჯერა, რომ კარგად იმღერებო. დიდი მადლობა გადავუხადე გამოჩენილ კომპოზიტორს ნდობისათვის, იმ დღესვე ავიღე „დიდოსტატის მარჯვენის“ კლავირი თეატრის ბიბლიოთეკიდან და შევუდექი მზადებას გიორგი მეფის რთული პარტიის შესასწავლად. ვმეცადინეობდი კონცერტმაისტერ მარინე ქურთოშვილთან და ლეკა ძამაშვილთან.

ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“ საკმაოდ რთული ნაწარმოებია. იგი გამოირჩევა მშველიძისეული ფართო და თვითმყოფადი მუსიკალური ჟღერადობით, განსაკუთრებული ხალხური ინტონაციებით, ელვარებით, სიღრმითა და მთლიანობით. გიორგი მეფის პარტიას კი თავიდან ბოლომდე გასდევს კომპოზიტორისთვის დამახასიათებელი სიდიადე, რთული მუსიკალური აზროვნება და შთამბეჭდავი მრავალფერადოვნება. იგი მოითხოვს ხმის ფართო დიაპაზონს, სილამაზესა და მოქნილობას, მელოდიური რეჩიტატივების კონტრასტულ შესრულებას, გმირის მრავალწახნაგოვანი სახის შეცნობას, მისი გრძნობებისა და შინაარსის გააზრებას და რთული ვოკალური პასაჟების დაძლევას. გამოკვეთილია გიორგის არია. იგი ერთ-ერთი ძირითადი მყოფადი ნაწილია ოპერაში, გამოირჩევა ნათელი და ფართო ჟღერადობით, თავშეკავებული ტემბრალური მრავალსახეობითა და მაღალი ტესიტურით. ამდენად, მისი შესრულება განსაკუთრებულ ვოკალურ ტექნიკას, პროფესიონალიზმსა და დამაჯერებლობას მოითხოვს. „მე მეფეთ-მეფეს მიხმობენ და კრძალვით მცემენ თაყვანსა“ - გორობია მეფე გიორგი, „მაგრამ ძირშივე მიხმობენ გრძნობას შტოამონაყარსა“,

ვოდებს იგი. „ძმათა სისხლისღვრით, ღალატით, რამდენჯერ გული მტკენია“. - მწარედ განიცდის გმირი, მაგრამ „გულში, რომ ვარამს ყმალავდი, პირზე ღიმილი მფენია“. - მეფეა იგი და მოვალეა ძირშივე ჩაიკლას თავისი გრძნობა, იყოს შეუვალი და რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს, მოჰკლან მასში კაცი გიორგი, მაინც რჩება მბრძანებელი გიორგი მეფე. მეფე, რომელიც „გულბოროტია“, მაგრამ აშენებს სვეტიცხოველს, გააფრთებით იბრძვის ერთიანი, მტკიცე და ძლიერი საქართველოსათვის.

სამწუხაროდ, „დიდოსტატი“ თბილისის საოპერო თეატრში ალარ დადგმულა და გიორგი მეფის სცენური ხორცშესხმა ვერ შეეძელი. მაგრამ ამ მონუმენტური ოპერის შესწავლამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა და მუსიკალური აზროვნების ახალ ფერადოვნებას მაზიარა.

ნოდარ ანდღულაძე

ნოდარ ანდღულაძე

ჩემთვის დაუვიწყარ სახეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს დიდ მაესტროს (თუმცა, ყველა დიდ მაესტროს ეძახის მას), ბატონ ნოდარ ანდღულაძეს. იგი ჩემი არა მარტო დიდი მაესტრო, არამედ დიდი მეგობარი და თანამოაზრეცაა. მასთან ურთიერთობა არა მარ.ტო ვოკალური ხელოვნების ამოუწურავ ოემებს მოიცავს, არამედ მეცნიერების, განათლების, საერთოდ კულტურისა და ცივილიზაციის მრავალ სფეროს წვდება. იგი ძალიან საინტერესო, ღრმაშინაარსიანი და ფართო მასშტაბის პიროვნებაა, რომელთანაც ურთიერთობამ არ შეიძლება განსაკუთრებული კვალი არ დატოვოს თითოეული მოსწავლის, მეგობრის, ადამიანის წარმოსახვასა და სულისკვეთებაში.

ნოდარ ანდღულაძის შემოქმედებაზე ბევრი დაიწერა და შემდგომშიც ბევრი დაიწერება, მაგრამ იმ ადამიანური, ობილი და საოცარი დამოკიდებულების შესახებ, რაც მის ოჯახში და მის კლასში სუფევს, ორიოდე სიტყვა მეც შეთქმის.

უპირველესად, ბატონი ნოდარი დიდი დავით ანდღულაძის და ბარბარე მამამთავრიშვილის ღირსეული შვილი, მათი ოჯახური და თეატრალური ტრადიციების უზადო მემკვიდრე და გამგრძელებელია. მათ ოჯახში ყოველთვის იკრიბებოდნენ ქართული თუ უცხოური სცენის გამოჩენილი მოღვაწენი. ასეა დღესაც. მე ამ ოჯახს XIX საუკუნის ცნობილ ქართულ ოჯახებს ვადარებ, სადაც მაშინდელი სალონური ცხოვრება სუფევდა და დიდმნიშვნელოვანი პრობლემები განიხილებოდა. არ მახსოვს არც ერთი დღე ანდღულაძეებთან ათი-თორმეტი სტუდენტი, ოპერის სოლისტები, კონცერტმაისტერები, მუსიკათმცოდნეები, ახლობლები თუ ნათესავები არ ყოფილიყვნენ. დატვირთული დილა და დღე ყოველთვის სადილით მთავრდებოდა, მაგიდას ყველანი შემოუსხდებოდნენ და ასე იყო ყოველთვის. ანდღულაძეები პატრონობდნენ ყველას. ამეცადინებდნენ, ამზადებინებდნენ საოპერო პარტიებს, საკონცერტო ნაწარმოებებს, უწევდნენ კონსულ-



ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, დავით ანდღულაძე და ზურაბ სოტკილავა.

ტაციებს, ასადილებდნენ, აცმევდნენ და ასე გასინჯეთ ხშირად ფულად დახმარებასაც უწევდნენ ზოგიერთებს.

მთავარი მაინც ისაა, რომ ნოდარ ანდღულაძე გაბმორჩეულად პროფესიონალი შემოქმედია. დიდი დავით ანდღულაძის მოსწავლემ, თავისი ვოკალური სკოლა სრულყო იტალიაში. ცნობილ „ლა-სკალას" საოპერო თეატრში, სადაც მუშაობდა მაესტრო ჯენარო ბარა-კარაჩოლის, კონცერტმაისტერ ენრიკო პიაცას და თეორეტიკოს ეუჯენიო გარას ხელმძღვანელობით. ნ. ანდღულაძემ წარმატებით შეასრულა ტენორის ოცდახუთი წამყვანი პარტია და წარუშლელი კვალი დატოვა დიდ ვოკალურ და საოპერო სცენოვნებაში. მისი საყვარელი სახეებია: ხოზე კავარადოსი, რადამესი, ტურიდუ, კანიო, მანრიკო, ედგარი, გერმანი, ოტელო, პეროდე; ქართული ოპერებიდან: აბესალომი, მალხაზი, მინდია, ტარიელი, ივანე ერისთავი და სხვ. იგი გამოსულა და წარმატებით უმღერია თბილისის, ქუთაისის, მოსკოვის, სოფიის, ლენინგრადის,

ბრატისლავას, ვარშავის, ანკარის, ბუქარესტის, ბერლინის, პრაღის, ლოძის, საარბრიუკენის, ვროცლავის, ლიუბლიანას, მილანისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის თოთქმის ყველა ქალაქის სათეატრო თეატრების სცენაზე. სადაც არ ენდა შემდგარიყო მისი გამოსვლა, როგორც აურაცხელი რეცენზიები და გამოხმაურებები აღნიშნავენ, საერთო მხოლოდ ისა , რომ ყველგან გამოკვეთილია ნოდარ ანდღულაძის მაღალი სცენური კულტურა, უნიკალური შესაძლებლობების ხმა და დიდი პროფესიონალიზმი.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ბატონ ნოდარ ანდღულაძის ღრმაშინაარსიანი და ფართო საკონცერტო მოღვაწეობა. მისი რეპერტუარი მოიცავს ადრინდელი დროის იტალიურ და ევროპულ მუსიკას, XVIII-XIX საუკუნეების რუსულ, ევროპულ და ქართულ კლასიკას, თანამედროვე ქართველ თუ უცხოელ კომპოზიტორთა ქმნილებებს და სხვ. განსაკუთრებულია კამერული ნაწარმოებთა მისი შესრულების სტილი, რომელიც კომპოზიტორის ნებაყოფლობის

ნოდარ ანდღულაძე და ლეგან ახალაია კონცერტზე

სწორი მიხვედრით და ნაწარმოების სრულყოფილობის გადმოცემით გამოიხატება. შემოქმედს ძალუძს ერთი პატარა რომანსის შესრულებით თითქმის მთელი სპექტაკლი წარმოადგინოს. გვაგრძნობინოს ყოველი ფერი, განცდა და ის იდუმალი ფეთქვა, რომელიც ყველა კომპოზიტორის შინაგან ბუნებას, შინაარსს და ფერადოვნების ინდივიდუალობას წარმოსახავს.

განსაკუთრებული კვლევის საგანია პროფესორ ნოდარ ანდღულაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. ანდღულაძეების კლასის ბევრი წარმომადგენელი მსოფლიოს უპირველესი საოპერო თეატრების სცენაზე მღერის და დიდ წარმატებებსაც აღწევს. სწავლების ყოველი ეტაპი მოსწავლის ინდივიდუალურ მონაცემებთან შეხამებით მიმდინარეობს და ვითარდება. ელემენტარული ვოკალური უნარ-ჩვევების შეთვისება, სუნთქვის ორგანიზაცია, ბგერათა რეზონატორული განსხვავების დაძლევა, ხმის რეგისტრთა ერთიანობის მიღწევა, თავის რეგისტრის მნიშვნელობის შეცნობა, ვოკალური ტექნიკის დაუფლება, ვოკალური საშემსრულებლო ხელოვნების საფუძვლების გამომუშავება და რეპერტუარის პერიოდიზაცია უშუალოდ მიმართულია ვოკალური სტილისტიკისა და მხატვრული შემსრულებლობის სრულყოფისაკენ.

„ნ. ანდღულაძე თავის პედაგოგიურ კონცეფციას დღითიდღე ამდიდრებს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბერნშტეინის „აქტივობის ფიზიოლოგიას“, დ. უზნაძის „განწყობის თეორიას“, „მართვით სისტემათა და ინფორმაციის თეორიას“ და სხვ. მთელი პედაგოგიური პროცესი კონცენტრირებულია „მიზნის ცნების“ გარშემო, რომელთანაც ორგანულად არის დაკავშირებული მიზანდასახული მოქმედების ცნება. ეს კი ვოკალში გამოიხატება მხატვრულ-აკუსტიკური ხატისა და მისი რეალიზაციის მექანიზმების კოორდინირებით. ამ მეთოდით მუშაობა ააქტიურებს სტუდენტის შემოქმედებით ძალებს ფსიქიკურ-ცნობიერი და არაცნობიერი ცხოვრების დონეზე, ფიზიოლოგიურ მექანიზმთან კომპლექსში, რაც საფუძვლად უდევს შემსრულებლის ტექნიკურ

და მხატვრულ სრულყოფას. პროფესიონალური ყოკალური მომზადება, რომელიც მტკიცდება მუსიკის ისტორიის, თეორიის, მხატვრული ლ ტერატურის ზოგადსაგანმანათლებლო საკითხებზე საუბრებით, ხელს უწყობს სტუდენტს უფრო ნათლად შეიგრძნოს ამა თუ იმ ეპოქის ნაწარმოების სტილისტური თავისებურება.

ამ თვალსაზრისით დიდი ყურადღება ეთმობა XVII-XVIII საუკუნეების მუსიკას - კაჩინი, მონტევერდი, სკარლატი, კარისიმი, პერგოლეზი, სტრადელა, პაიზიელი, ლეო, პორპორა, ჩიმაროზა, პერსელი, ბახი, ჰენდელი, მოცარტი. ამ კომპოზიტორთა ნაწარმოებებზე მუშაობისას ვითარდება სიმღერის კანტილენური საწყისი, ფართო სუნთქვა, იხვეწება ინტონაცია, ვლინდება სიზუსტე, რიტმული მონახაზების სიმკვეთრე. მხატვრულ-საშემსრულებლო ამოცანების თვალსაზრისით, სწორედ მათი ნაწარმოებები ავითარებენ უშუალობას, სისადავეს, განცდის სიღრმეს, სწრაფვას სულიერი სიწმინდისკენ. მათი ნაწარმოებების დაუფლება და ღრმა შესწავლა მყარ საფუძველს ქმნის თანამედროვე მუსიკის ათვისება-გაგებისათვის. მაგალითად, ბახის ნაწარმოებთა არქიტექტონიკის თავისებურებანი უვითარებენ მუსიკოსს მუსიკალურ ინტელექტს და აჩვევენ მას, ერთი მხრივ, ზუსტად დაიცვას მოცემული მოდელი, მეორე მხრივ, ჩაწვდეს ვარირების ამოუწურავ შესაძლებლობებს. მოცარტის ნაწარმოებთა დაუფლება კი ფილიგრანული ტექნიკის გამომუშავების საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს მუსიკალური აღქმის დახვეწას. იტალიური და გერმანული რომანტიზმი, რომელიც სრულყოფილად ჩამოყალიბდა როსინის, დონიცეტის, ვერდის, შუბერტის, შუმანის, ბრამსის და ვოლფის შემოქმედებაში, მკვეთრად დრამატული და ფსიქოლოგიური პერიპეტიებით სავსე მრავალფეროვანი სასცენო და საკონცერტო სახეებში წვდომის ფართო გასაქანს იძლევა. ამ მუსიკის საშუალებით უკვე ხდება ჯერ კიდევ მზარდი მომღერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოკვეთა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლების ამ ეტაპზე კომიკურ ოპერას. სახასიათო პერსონაჟების სიუხვე, სიტუაციების სიმრავლე და კურიოზულობა,

თავბრუდამხვევი დრამატურგიული განვითარება, სასცენო რეაქციების მრავალმხრივობა, ანსამბლების სიჭარბე, რეზიტატიული ხიდები (თაღები) - ყოველივე ეს შესრულებისას მოითხოვს სახასიათო ხერხების ძებნა-მიგნებას, რაც ხელს შეუწყობს სცენაზე ახალგაზრდა მსახიობის აქტიორულ თავისუფლებას. მთელი ამ ვრცელი პროგრამის ათვისება მყარ საფუძველს უქმნის მომღერალს ჩაწვდეს რთული ფსიქოლოგიური დრამის, ვერისტულ-რომანტიკული ოპერის, იმპრესიონისტიზმისა და თანამედროვე მუსიკის საშემსრულებლო სიღრმეებს... ნოდარ ანდღულაძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ქართული ვოკალური კლასიკის შესწავლას, ყურადღებას ამახვილებს ქართული რეპერტუარის ღრმად სპეციფიურ ინტონირებაზე. მისთვის ამოსავალია ის წმიდათაწმიდა ეროვნული ხალხური სახიმღერო შემოქმედება, რომლის საფუძველსაც ნამდვილი ქართული ვოკალიზაცია წარმოადგენს. ქართული ბუნების ზუსტი გახსნისათვის ივი ეტალონად იღებს ქართული ხალხური სიმღერის საუკეთესო შემსრულებელთა ინტონირების მანერას, ერთი მხრივ, ქართლ-კახური, სვანური და გურული სიმღერების, ხოლო, მეორე მხრივ, საგალობლებისა და პიმნების სპეციფიკური ყღერადობიდან, მათი მხატვრულ-ხატოვანი ბუნებიდან" (ი. აფაქიძე, „ნოდარ ანდღულაძე", თბ., 1987).

ნოდარ ანდღულაძე სისტემატურად ატარებს ღია გაკვეთილებს, თავისი კლასის მოსმენებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთში, ხელს უწყობს ქართული ვოკალური ხელოვნების განსაკუთრებული მიღწევების გაცნობასა და პოპულარიზაციას. თუმცა, ეს მიღწევები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ანდღულაძის კლასის მიღწევებია.

გამოჩენილი ქართველი მომღერალი ბათუ კრავეიშვილი ამბობდა: საბჭოთა კავშირში სამი კლასი მოქმედებს, მუშაოა, ვლეხთა და ანდღულაძის კლასიო. ამ ხუმრობაში ნათლად ჩანდა ანდღულაძის კლასის ქმედითუნარიანობა, პერსპექტივა და მისი მოღვაწეობის სწორი მიმართულებები, რაც მრავალგზის დაამტკიცა მსოფლიოს გამორჩეულ საოპერო სცენებზე დავით ანდღულაძემ,

ლევან ახალაია ვაჟა. ლიტერატურული „ლეგენდა"

ნოდარ ანდღულაძემ, ზურაბ ანჯაფარიძემ, ზურაბ სოტკილავამ, ცისანა ტატიშვილმა, ნუგზარ გაიგებელმა, თემურ გუგუშვილმა, ლადო ათანელაშვილმა, ელდარ გეწაძემ და მრავალმა სხვამ.

ბატონ ნოდარ ანდღულაძის ხელმძღვანელობით მოვამზადე გელას პარტია რევაზ ლაღიძის ოპერაში - „ლელა", ჩალხიას პარტია ო. თაქთაქიშვილის ოპერაში - „მინდია" და სხვ. შევისწავლე სხვადასხვა სტილის ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა მრავალი ნაწარმოები.

მკითხველს ვთავაზობ ცნობილი მუსიკათმცოდნის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის, ქალბატონ ნ. დიმიტრიადის რეცენზიას, რომელიც გაზეთ „ვეჩერნი თბილისში" დაიბეჭდა 1988 წლის 29 აპრილს რუბრიკით - До и после дебюта.

"Когда певец стремится к высоте".

"Имя Левана Асатиани появилось в репертуарных афишах Тбилисского театра оперы и балета имени З. Палиашвили одиннаддцать лет назад. Обладатель красивого, свободно и ровно звучащего во всех регистрах баритона сразу же вписался в творческую атмосферу труппы, с успехом выступая в ведущих партиях опер Палиашвили, Долидзе, Верди, Гуно, Чайковского.

Своеобразным был путь Л. Асатиани в исполнительство. Окончив в Кутаиси музыкальное училище по классу виолончели, возможно, отсюда берет начало льющаяся певучесть насыщенного голоса певца, нередко звучащего сродни густому тембру струнного инструмента, он в 1961 году становится студентом исторического факультета Тбилисского государственного университета. На третьем курсе у Л. Асатиани прорезался голос и с 1963 года он совмещает учебу в университете с занятиями вокалом в консерватории, в классе Б.

Кравеишвили и Г Гогичадзе, С большой теплотой и благодарностью вспоминает сегодня певец своих учителей, присоединяя к их числу и Д. Шведова - широко просвещенного музыканта, заведовавшего кафедрой камерного пения, под руководством которого он выучил и затем спел в оперной студии партию Онегина. Не менее важное значение в творческой жизни начинающего певца имела возможность постоянного общения с опытными концермейстерами Р. Глезер и М. Камоевой, прививавшими ему навыки и культуру камерного музицирования, ставшего любимой сферой деятельности Л. Асатиани.

Со студенческой поры он много и охотно выступал в концертах, накапливая разнообразный репертуар, исполнив уже в 70-х годах несколько сольных программ. С особой ответственностью относится певец к возможности выступить перед тружениками города и села в шефских концертах. Он не упускает случая поехать куда-нибудь в глубинку, чтобы исполнить те или иные произведения, особенно грузинской музыки, перед самой широкой аудиторией. И все это с чувством подлинной профессиональной ответственности, независимо от того, где приходится петь - в благоустроенном зале или в небольшом сельском клубе.

Одно из ярких воспоминаний, концертной практики Л. Асатиани исполнение арии царя Георгия из оперы "Десница великого мастера" Ш. Мшвелидзе, прозвучавшей на праздновании 70-летия выдающегося грузинского композитора. Успех певца настолько привлек внимание автора оперы, что тот

предложил выучить всю партию, руководствуясь его указаниями, что и было осуществлено.

Грузинский репертуар, будь то в камерном жанре или в опере, по словам певца, особенно дорог и любим им. Видимо, не случайно с него и началась театральная карьера Л. Асатиани в Кутаисском оперном, где он выступал в течение двух лет. К числу лучших работ певца относятся партии Мурмана и Киазо, рожденные гением Палиашвили, которого Л. Асатиани боготворит. Возможно, поэтому он так часто поет их. Мурман исполнялся более 60 раз, а Киазо - более 100, стремясь полнее и глубже постигнуть авторский замысел. Столь же многочисленно количество выходов певца на сцену в партии князя Левана в опере "Кето и Коте" Долидзе. Думается, что та же судьба ожидает и партию Гелы из оперы "Лела" Лагидзе, успешный дебют в которой состоялся совсем недавно, и еще раз обнаружил очевидные достоянства вокального прочтения образа исполнителем.

Л. Асатиани - музыкант ищущий, стремящийся к совершенствованию, уже достигнутых результатов. Поэтому он закономерно оказывается в числе тех, кто обращается за советом и помощью к старшему, более знающему товарищу. В данном случае к Нодару Андгуладзе, всегда умеющему найти время для того, кто стремится повысить уровень своего профессионализма. Человек высоких гражданских позиций, тонкий музыкант, вокалист с обширным опытом исполнительского и педагогического труда. Н. Андгуладзе шедро делится своими секретами мастерства, учит технологическому и образному

осмыслению вокала. Все это вызывает живейший интерес и активный отклик у Л. Асатиани, покоренного обаянием личности своего наставника, заботливо пестующего талант певца и коллеги по труппе, нередко партнера по спектаклям, где "доводится" практически то, о чем идет речь в классе.

Заного пройдены и готовятся к исполнению на итальянском языке партии Амонасро. ("Аида" Верди); и Жермона. ("Травиата" - Верди), С большим энтузиазмом и творческой отдачей занимается сейчас Л. Асатиани, ведомый опытом Н. Андгуладзе, разучиванием новых двух ролей вердиевского репертуара - графа ди Луна - "Трубадур" и Риголетто в одноименной опере. Впереди радости и волнения грядущих дебютов и новые шаги творческого роста одаренного певца".

მარად სასიამოვნო გრძნობებს იწვევს ჩემში იმ სპექტაკლებისა და კონცერტების გახსენება, სადაც ბატონ ნოდარ ანდღულაძესთან ერთად მიწევდა სიმღერა. ეს იყო თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ოპერა „დაისში“ და ვერდის „აიდაში“, ასევე სხვადასხვა საპასუხისმგებლო კონცერტებში, სადაც ბატონ ნოდართან ერთად ვასრულებდი აბესალომისა და მურმანის დუეტს ზ. ფალიაშვილის უკვდავ „აბესალომ და ეთერიდან“, ხოლო საერთო კონცერტები, რომლებშიც ერთად ვმონაწილეობდით, ძალიან ბევრი იყო. ნოდარ ანდღულაძეს წესად ჰქონდა, ყველა მონაწილეს, ვინც მისი მოსწავლე იყო კონცერტის წინ გაამღერებდა, კონცერტის თანმიმდევრულ პროგრამას შეადგენდა და გადასცემდა წამყვანს. შემდეგ ორი დიდი დიპლომატით წამოღებულ, სპეციალური რეცეპტით დაყენებულ ჩაის, ყავას, ბორჯომს, ვაშლს, მანდარინს ამოალაგებდა, ყელს გაგვასველებინებდა და კონცერტზე გამოსატანი ნაწარმოების ზოგად პრინციპებს კიდევ ერთხელ შეგვახსენებდა. „ანდღულაძეები“ მკვეთრად გამოირჩეოდნენ ყველა კონ-

სცენა თაქთაქიშვილის ოპერიდან „მინდია“. ჩალხია ლეონან ახალაია, მინდია – თემურ ბუბუშვილი, ხეკისბერი – ტარიელ ქიქინაძე, მზია – მზია დავითაშვილი.

ცერტში, სპექტაკლსა, თუ სხვადასხვა შეხვედრაში არა მარტო ხმის ჟღერადობის ანდღულაძისეული მანერით, არამედ ნაწარმოების გააზრებითა და შესრულების ინტელექტუალური დონით.

ამას გარდა, მინდა მკითხველს ერთი საიდუმლოც გავანდო. პირადად მე ბატონი ნოდარი ჩემს თილისმად მიმაჩნდა. ყოველთვის, როცა იგი დარბაზში ან კულისებში ჩემს სპექტაკლს უსმენდა, არასოდეს პრობლემა არ მქონია და წარმატებებსაც ადვილად ვაღწევდი; ხოლო კონცერტებში, რომლებშიც ერთად ვმონაწილეობდით, საოცრად თავისუფლად ვგრძნობდი თავს, ლაღად ვმღეროდი და მაყურებელთა ოვაციებსაც ვიმსახურებდი, მით უფრო,

თუ მასთან ვმღეროდი დუეტს. ჩემი აზრით, ამასვე განიცდიდნენ მისი მოსწავლეები: ელდარ გეწაძე, ანატოლი ჭურღულია, თემურ გუგუშვილი, ნუგზარ გამგებელი, ცისანა ტატიშვილი, გია ასათიანი, ნუგზარ ნაქყეფია, ცაცა ნამორაძე და მრავალი სხვ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბატონ ნოდარ ანდღულაძის დიდი და სანუკვარი თვისება, რაც მკვეთრად გამოარჩევს მას ყველა სხვა ხელოვანისაგან. იგი ყველაზე დიდი პატრიოტია, დიდი მოამაგე და მოქირნახულე ქართული ეროვნული კულტურისა. ყოველგვარ უხერხულ და თუნდაც პირად შეურაცხმყოფელ მოქენტსაც უმალ დაივიწყებს, თუ სჯერა, რომ ის შრომა, რაც მან უნდა გასწიოს, მომავალ თაობას, ქართულ თეატრს, ეროვნულ ხელოვნებას, მეცნიერებას და, საერთოდ, ქართულ საქმეს წაადგება.

ჩემს დაუვიწყარ სახეებს შორის მოწიწებით მინდა მოვიგონო ბატონ ნოდარ ანდღულაძის დედა, ქალბატონი ბარბარე მამამთავრიშვილი (მრავალი). იგი დავით ანდღულაძის გვერდით მღეროდა და მისი ერთგული მეუღლე გახლდათ. დი

ია მისი დამსახურება და ღვაწლი ქართული საოპერო ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ნოდარ ანდღულაძის ოჯახში არის დიდი ზაქარია ფალიაშვილის ერთი სურათი, რომელიც კომპოზიტორმა პირადად მიართვა ქალბატონ მრავალს. სურათს ამშვენებს წარწერა „საუკეთესო ეთერს ბ. მრავალს. ზაქ. ფალიაშვილი 1927 წ. 26. II.“. ამაზე დიდი რეცენზია და აღიარება არ არსებობს, ყველა დიდი მომღერალი მოწიწებითა და მოკრძალებით მიიღებდა გენიოსი კომპოზიტორის ასეთ შეფასებას.

პირადად ჩემთვის ეს დარბაისელი ქალბატონი ძალიან ბევრს ნიშნავდა იმ განსაკუთრებული მხარდაჭერისა და მზრუნველობისათვის, რასაც იგი იჩენდა ჩემდამი. ყოველთვის, როცა ჩემი გაკვეთილი იყო, მე სახლში ვმეცადინეობდი ბატონ ნოდართან, ქალბატონი ბარბარე მრავალი ნელი ნაბიჯებით გამოყიდოდა თავისი ოთახიდან, შემობრძანდებოდა სამუშაო დარბაზში და როიალის პირდაპირ სავარძელში მოეწყობოდა. მთელი გაკვეთილის მანძილზე, რომელიც ზოგჯერ ორ საათსაც კი გრძელდებოდა, იგი

ლაკან ანდუაანი ეთრე შეგრენი. ჯ. ვერდის „ტრავიატა"



სცენა „ტრავიატადან“. ვიოლეტა ცაცა ნამორაძე.
ჟერმონი – ლევან ახალაია

სცენა „ტრაგიკატადან“ ალფრედი ალექსი ხომერიკი,
ჟერმონი ლევან ახალაია

წყნარად იჯდა საყარძელში და გულდასმით მისმენდა. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე. ბოლოს თავად ქალბატონმა ბარბარემ მითხრა: ძალიან მსიამოვნებს შენი ლამაზი ტემბრის ხმის მოსმენა, იგი ლამაზ ფიქრებს აღძიძრავს და ამასთან ნოდარი შენთან კარგად მუშაობს, შენც უგებ მას და ყველაფერი ეს ძალიან მიხარიაო! ეს იყო უკეთილშობილესი, დიდი გზის გამომვლელი და ბევრი შესანიშნავი ხმის შემფასებელი, ბრწყინვალე მანდილოსნის, დიდი დედის კეთილი სურვილი და გულწრფელი აღიარება.

როცა ეს პატივცემული ქალბატონი გარდაიცვალა, მას დიდი პატივით მიუსინეს სამკვიდრო მისი სათაყვანო მეუღლის დავით ანდღულაძის გვერდით, დიდუბის წმინდა საფანელში. მათ საფლავს აშშვენებს პანო გამომსახველი აბესალომისა და ეთერის წმინდა სიყვარულისა, როგორც სიმბოლო გამორჩეულ შემოქმედთა უკვდავებისა.

ცალკე განხილვის საგანია ნოდარ ანდღულაძე, როგორც მეცნიერი, ქართული ენის დიდი დამფასებელი და ქომაგი. იგი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ღირსეული მოსწავლეა. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შემდეგ ასპირანტურა ზოგადი ენათმეცნიერებისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალობით და ა. ჩიქობავას ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გრამატიკული კლასები იბერიულ-კავკასიურ ენებში“. მას ეკუთვნის სამეცნიერო ნაშრომები: „თხორის ეტიმოლოგიისათვის“, „პირთა დაპირისპირების პრინციპისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში“, „პიროღანი და კლასოვანი უღვლილების ისტორიის ზოგადი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში“ და სხვ. ხოლო ვოკალური ხელოვნების დარგში, ნოდარ ანდღულაძის შემონაქმედში მნიშვნელოვანია: „ვოკალური შემსრულებლობისა და პედაგოგიკის ისტორია“, „ვოკალური ხელოვნების ზოგადი თეორიის მეთოდოლოგიური საკითხები“, „იტალიური ვოკალური სკოლის ძირითადი პოსტულატები“ „ჯასჯული სულით ‘ობილი მისტერია“, „ოქროს ხმა“, გაეტანო დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურის“

საოპერო რეჟისურიაᲐ თეორიული პრინციპები“, „ადამიანი მომღერალი“, „ოსტატობის დიალექტიკა“ და მრავალი სხვ.

პროფესორი ნოდარ ანდღულაძე ღირსეულად აგრძელებს დიდი დავით ანდღულაძის საქმეს, ხელმძღვანელობს თბილისის კონსერვატორიის სოლო-სიმღერის კათედრას, არის საოპერო თეატრების კონსულტანტი, არჩეულია მილანის „კარუზოს შემსწავლელი ცენტრის“ უცხოელ წევრად, სისტემატურად მონაწილეობს ამ ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, არის დავით ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდის პრეზიდენტი, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და, რაც ყველაზე მთავარია, იგი კვლავაც ატარებს გაკვეთილებს, ამეცადინებს სტუდენტებს, ოპერის სოლისტებს, აღიარებულ მომღერლებს, კონცერტმაისტერებს. ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით აგრძელებს მუშაობას ქართველ ვოკალისტთა პროფესიული დაოსტატებისათვის. იგი ყველასთვის არის დიდი მაესტრო და ვოკალური ხელოვნების მეტრი.

დღეს, როცა ხანდახან ჩემს არქივს ვათვალიერებ, საოცარ თბილ და ამაღლებულ გრძნობებს აღმიძრავს პატონ ნოდარ ანდღულაძის ერთი წერილი, რომელიც მან „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა 2000 წლის ივლისში სათაურით „ოქროს ხმის მფლობელი“. „ქვეყნებში, სადაც მაღალი მუსიკალურ-ვოკალური კულტურა არსებობს, ჩვეულებრივ იქმნება ხოლმე ვოკალური კრებულები სახელწოდებით „ოქროს ხმები“, მაგალითად, „ოქროს ხმები ლა სკალაში“ ან გერმანიაში „Goldene Stime“ რუსეთში ფილმიც კი არის შექმნილი “Золотые голоса России” და სხვა. საქართველოში ასეთი ენციკლოპედია ჯერ არ შექმნილა და, ალბათ, კიდევ დიდხანს არ შეიქმნება, ჩვენი ეროვნული სიმდიდრისა და საგანძურისადმი, ჩვეულებრივი, ქართული ნიჰილისტურ-სკეპტიკური დამოკიდებულების გამო.

მაგრამ... ამგვარი კრებული რომ შექმნილიყო, ლევან ასათიანის ხმა მასში თავის შესაფერის ადგილს დაიკავებდა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, ბატონმა ლევანმა მიიქცია ყურადღება თავისი უმდიდრესი ვოკალური მონაცემებით. ბუნებრივად იჩინა თავი სრულიად გაშართლებულმა ასოციაციამ - „დავით გამრეკელისეული ტემბრი“. ლევან ასათიანმა მთელი თავისი შეტად ნაყოფიერი სასცენო-ვოკალური შემოქმედებით გააშართლა ეს დასაწყისშივე დაბადებული ასოციაცია.

ლევან ასათიანის ხმა წლების განმავლობაში სულ უფრო მდიდრდებოდა და მშვენიერდებოდა. მას არ დაუკარგავს ჭაბუკობაშივე გამოვლენილი არც ერთი თვალსაჩინო თვისება, პირიქით, უფრო ვაჟკაცდებოდა, ივსებოდა არაჩვეულებრივი სიკაშკაშის ობერტონებით, ფართოვდებოდა და ჟღერადობის ფენომენალურ მასშტაბებს აღწევდა.

ბატონმა ლევანმა ქართულ ოპერებში შეუცვლელი ადგილი დაიმკვიდრა. მისი კიაზო „დაისში“, მურმანი „აბესალომში“, თავადი ლევანი „ქეთო და კოტეში“ ქართული საოპერო სცენის მშვენებად იქცა. აქ განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოვლინდა ქართული ეროვნული კოლორიტისა და საერთო ევროპული ვოკალური ეტალონის შესანიშნავი თანხვედრა და არა წინააღმდეგობრიობა.

ამ თვისებამ გადაინაცვლა ევროპულ საოპერო რეპერტუარში, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვალენტინის პარტია „ფაუსტში“, ჟერმონის პარტია „ტრავიატაში“, ამონასროს პარტია „აიდაში“ და სხვა.

როდესაც ქართველი კაცის ხმა ასე ლაღად, დაუძაბავად, თავისთავადობით შეისისხლხორცებს მსოფლიო საოპერო რეპერტუარს და წარმოგვიდგენს მომხიბლავი მასშტაბურობით, მას, მართლაც, ფენომენალური ეთქმის.

დღესაც ჭარმაგი მეცნიერი, ესთეტიკოსი და პედაგოგი, სიმღერას რომ წამოიწყებს, გეუფლება ნოსტალგია, როგორც დაეუფლება ხოლმე კაცის გულს, რ ,ალ:ესაც ბოლომდე განუცდია ამ, მართლაც, ოქროს ხმით მოგვრილი დაუვიწყარი სიამოვნება და აღტაცება“.

დავით გამრეკელი

ყველა ბარ.ტონის სიყვარულის სამიზნე და მარად საოცნებო სახე დავით გამრეკელია. დღეს მისი ჩანაწერების მოსმენისას არ შეიძლება სისხლი არ აგეიჩქროლდეს ძარღვებში, განუმეორებელი ორთოლვა არ დაგვეუფლოს და დიდი ნეტარება არ ვიგრძნოთ. იგი სულით ხორცამდე ქართველი მომღერალი იყო, რომლის ვოკალურ ბუნებას შესისხლხორცებული პქონდა ღმერთისგან მომადლებული, არაჩვეულებრივად განსაკუთრებული ნიჭი, რომელშიც თავმოყრილი იყო ყველა ის მადლი და სიდიადე, რის მისაღწევადაც, წლების მანძილზე, სისხლსა და ოფლს თავდაუზოგავად ღვრიდნენ გამოჩენილი ევროპელი მომღერლები.

თუ არა ღმერთის ძალით, ვის შეეძლო ასე ერთბაშად თავი მოეყარა ერთ ქართველ ვაჟკაცში ესოდენ მთლიანობისათვის? ყველა რეგისტრში თანაბრად და თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მაღერი ულამაზესი ტემბრისა და იშვიათი ბრწყინვალების ხმა; განსაკუთრებული მუსიკალობა, მაღალი გემოვნება, ნაწარმოებთა შესწავლისა და შესრულების დიდი უნარი; ულამაზესი გარეგნობა, უიშვიათესი სცენური მომხიბვლელობა და მიმზიდველობა; საოცარი იუმორი, კეთილშობილება, ადამიანურობა და მტკიცე ხასიათი; ყველასადმი უხვად გასაცემი სიყვარული, სითბო და მეგობრობა.

„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი", როგორც დიდი გალაკტიონი იტყოდა, სწორედ დავით გამრეკელზეა ზედგამოჭრილი. მაგრამ, ნიჭიცაა და ნიჭიც. იგი ნიჭიერების ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგა. ღვთით ბოძებული და ღვთით კურთხეული მისი დიდი ნიჭიერება ანგელოზთა ფრთებით იყო აზიდული შემოქმედებით ოლიმპოზე, სადაც მისი ყოველი ტილო ღმერთისგან დალოცვილი მხატვრის ფუნჯით იწერებოდა.

ასეთი ნიჭიერებითა და კაცობით დაიბადა იგი 1911 წელს. ასეთივე ნიჭიერებითა და კაცობიო;ე) განვლო დიდი ცხოვრების გზა და ყველა დროის სათაყვანებელ შემოქმედად იქცა. 1932 წელს

დავით გამრეკელი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სწავლა თბილისის კონსერვატორიაში, პროფესორ ევგენი ყრონსკის კლასში განაგრძო. როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, „დავით გამრეკელის მუსიკალობა იმდენად სრულყოფილი იყო, ბუნებრივად ისე სწორად პქონდა დაყენებული ხმა, რომ 1933 წელს, ე. ი. კონსერვატორიაში ერთი წლის ყოფნის შემდეგ, იგი კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში მღეროდა მოცარტის „ფიგაროს ქორწინებაში“ ფიგაროს პარტიას, „აბესალომ და ეთერში“ მურმანის პარტიას, ვერდის „რიგოლეტოში“ რიგოლეტოს და „სეკელიელ დალაქში“ ფიგაროს. წარმოსადგენადაც ძნელია, რომ დამწყებმა მომღერალმა, რომელმაც ერთი წელი მარტო ხმის ვარჯიშში უნდა გაატაროს, ამდენი პარტიის შესწავლა შეძლოს და შეასრულოს კიდეც სცენაზე. არაჩვეულებრივი მონაცემები საშუალებას აძლევდა დავით გამრეკელს აეტანა ასეთი დატვირთვა“. მალე დავით გამრეკელი თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი ხდება და წარმატებით ასრულებს ბარიტონის წამყვან პარტიებს. ალექსანდრე წუწუნავამ, წერს დიმიტრი მჭედლიძე, თავიდანვე შეატყო, თუ რა განძი მოვიდა საოპერო თეატრში და თავის კვალიფიციურ ხელმძღვანელობას არ აკლებდა მას. დავით გამრეკელი ხარბად ითვისებდა სცენურ ოსტატობას... ხმა საოცრად უყღერდა, არ იცოდა რა არის სიძნელე, მუსიკალობით ხომ სავსებით იყო დაჯილდოებული ეს ახოვანი და ლამაზი ჭაბუკი... „როდესაც უყურებ და უსმენ დავით გამრეკელს, გჯერა მისი, გხიბლავს მისი წარმტაცი ხმა, ახალგაზრდული ლტოლვა და შესანიშნავი გააზრებული სიმღერა“. სულ მოკლე დროში დავით გამრეკელმა ოცდაათი საოპერო სახე შექმნა და მრავალგზის მიანიჭა მსმენელს დიდი სიხარული.

ცალკე კვლევის თემაა დავით გამრეკელი ქართულ საოპერო რეპერტუარში. გადაულახავი მწვერვალებია მისი კიაზო და მურმანი ზ. ფალიაშვილის „დაისში“ და „აბესალომ და ეთერში“, გოჩა მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში“, ასევე განუსაზღვრელია მომღერლის როლი ქართველ კომპოზიტორთა მრავალი ყოკალური ქმნილების დამკვიდრებისათვის, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა

პირდაპირ პროპორციულია დავით გამრეკელის მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებისა.

გამორჩეულია დავით გამრეკელის წელილი მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნების პირველი დეკადის წარმატებაში. იგი ევგენი მიქელაძის, დავით ანდღულაძისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა გვერდით, თავისი განსაკუთრებული ხელოვნებით ბრწყინვალებას სძენდა ქართული კულტურის სიდიადეს.

განსაკუთრებული იყო დავით გამრეკელის გამოსვლები მოსკოვში 1938 წელს, ვოკალისტთა საკავშირო კონკურსზე, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდა 170-ზე მეტი ნიჭიერი და პროფესიონალი ახალგაზრდა მომღერალი. მან ღირსეულთა შორის ღირსეულად დაიმსახურა პირველი პრემია. ყველასათვის ცნობილია საქეეყნოდ აღიარებული, დიდი რუსი მომღერლის რეიზენის შეფასება დავით გამრეკელის გამოსვლის შემდეგ. - ყველა პრემიას და ყველა ჯილდოს მე მხოლოდ დავით გამრეკელს მივანიჭებდიო!

მნიშვნელოვანია დავით გამრეკელის მოღვაწეობა მოსკოვის დიდი თეატრის უპირველეს სცენაზე. იგი ამშვენებდა ამ სახელგანთქმული თეატრის შემოქმედებით დასს და წარმატებით მღეროდა ევგენი ონეგინსა და რობერტს ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“ და „იოლანტაში“, ესკამილიოს ბიზეს „კარმენში“, ჟერმონს ვერდის „ტრავიატაში“ და სხვ.

აღმაფრთოვანებელია დავით გამრეკელის საკონცერტო მოღვაწეობა. იგი დიდი წარმატებით ასრულებდა ქართველ, რუს, დასავლეთ ევროპის კლასიკოს და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. მან ტრიუმფით მოიარა როგორც მაშინდელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქი, ასევე დიდი წარმატებით გამოვიდა მსოფლიოს გამორჩეული საოპერო თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების სცენებზე. სამართლიანად ადარებდნენ მას დიდ იტალიელ მომღერლებს. იგი, ბარიტონების ღმერთი, ტოლს არ უდებდა მსოფლიოს ვარსკვლავებს და თავისი უნიკალური შესრულებით აელვარებდა ქართულ ვოკალურ ხელოვნებას.

მე ბევრჯერ მქონდა ბედნიერება შევხვედროდი ამ ღმერთკაცს. იგი ჩემი პედაგოგების - ბათუ კრავეიშვილის, დიმიტრი მჭედლიძისა და გიორგი ეოგიჩაძის მეგობარი იყო. სულ ახალგაზრდა, შეუცდომლად ვგრძნობდი ამ დიდი კაცის შინაგან უბრალოებასა და კაცთმოყვარეობას. იგი ხშირად ჩამოდიოდა მოსკოვიდან და ყოველთვის სასტუმრო „თბილისში“ ჩერდებოდა. მას თავისი ნომერი ჰქონდა მინენილი. იმ დღესვე მასთან გაჩნდებოდა ბათუ კრავეიშვილი, რასაკვირველია, მეც მასთან ერთად გახლდით განუყრელად და ყოველთვის ვესწრებოდი ამ ორი დიდი შემოქმედისა და მეგობრის შეხვედრებს, საუბრებსა და კაცურ, ღრმა პატივისცემის გამომხატველ ურთიერთობებს.

დავით გამრეკელი სწორუპოვარი თამადა, მომლხენი და სუფრის გამლამაზებელი კაცი გახლდათ. საოცრება იყო მასთან დროსტარება. მე ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი და ვყოფილვარ იმ შეკრებების მონაწილე, როცა განუმეორებელი თანავარსკვლავედი: დავით გამრეკელი, ბათუ კრავეიშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, რევაზ ლაღიძე, თენგიზ ზეინკლიშვილი და სხვანი ეძლეოდნენ რომანტიკულ ლხინს. აბა, იქ იყო, რაც იყო. ლექსი, სიმღერა, იუმორი, სადღეგრძელო და განუწყვეტელი ფიქრი ხელოვნებაზე, საპშობლოზე, ქართველ კაცზე, სიყვარულზე და ყველა იმ ღირებულებაზე, რაც ესოდენ ძვირფასია ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის. ჩემთვის კი, მაშინ ძალიან ახალგაზრდა კაცისათვის, წარუშლელი მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა ისწავლო, იშრომო, იცხოვრო და პატივი მიაგო ადამიანებს, რომლებსაც მხოლოდ სიკეთე ხელეწიფებათ და სიყვარული გაუხდიათ ცხოვრების მიზნად.

ახლაც, როცა სადმე დავით გამრეკელზე ჩამოვარდება საუბარი, ყოველთვის და ყველასგან ვგრძნობ საოცარ მოკრძალებას და განუსაზღვრელ სიყვარულს ამ დიდი შემოქმედისადმი, მისი პიროვნული ღირსებისა და კაცობისადმი. ასეთად დარჩა იგი. დავით გამრეკელი - ბარიტონების ღმერთი, ბარიტონების კერპი, ხმის მეტრი და შემოქმედი განუზომელი; ერთადერთი და განუმეორებელი დავით გამრეკელი.

ჯანსუღ კახიძე

მეხსიერებიდან წარუშლელია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სერგეი პროკოფიევისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფესტივალზე ჩვენი საოპერო თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლები: ს. პროკოფიევის „ცეცხლოვანი ანგელოზი“ და „ჯვრისწერა მონასტერში“ („დუენია“), ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“. ასევე დუისბურგში გამართული დიდი კონცერტი. პირველ განყოფილებაში შესრულებული „ომი და მშვიდობა“, ხოლო მეორე განყოფილებაში აჟღერებული არიები ქართველ კომპოზიტორთა ქმნილებებიდან. ამ გასტროლების შესაფასებლად თამამად შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვა ტრიუმფი. დიახ, ეს იყო ქართული მუსიკალური ხელოვნებისა და თბილისის საოპერო თეატრის უდიდესი გამარჯვება. არასოდეს დამავიწყდება სპექტაკლების შემდეგ დამსწრეთა მიერ გამართული ოვაციები, საოცრად ნათელი, კმაყოფილი, მადლიერებით აღსავსე თვალები, გაუთავებელი, მქუხარე ტაში და სიხარულის ცრემლები.

ვმონაწილეობდი ოპერებში „ცეცხლოვანი ანგელოზი“ და „ომი და მშვიდობა“, რომლებიც გაიმართა დუისბურგში, ასევე ესენში, გელზენკირხენში და ლევერკუფენში. გამაოცა ესენის საოპერო თეატრმა, რომელიც თანამედროვე საოპერო ხელოვნების მოთხოვნილებათა უმაღლეს დონეზეა შექმნილი.

ჩვენი გასტროლების მწვერვალი გახდა გალა-კონცერტი და „აბესალომ და ეთერი“.

გერმანელებმა სწორად შეაფასეს ქართული ეროვნული პანგის სიმძაფრე, სიდინჯე, სიღრმე, მრავალფეროვნება, სინაზე, ძალა და მრავლისმეტყველება; ზუსტად ჩასწვდნენ ქართველი ხალხის სულს, სიმღერაში გამოხატულ მის სიდიადეს. მსმენელი გაოგნებული იყო. იგი საოცრად მკვეთრად გამოხატავდა შეგრძნებულს, იყო გაუთავებელი ტაში, შეძახილები, ოვაციები. მადლიერება და სიკეთე სუფევდა ირგვლივ. ამაღლებულნი, გაწმენდილნი ვიდე-

ჯანხუდ კახიძე

ქით სცენაზე. თვალებში სიხარ.ულის ცრემლი გვიბრწყინავდა. ძალუმად ძგერდა სიამაყისა და სიცოცხლის ეროვნული ძარღვი.

მინდა ვისარგებლო შეშთხვევით ღა ყველა ჩემს მეგობარს, ყველა მსახიობს, მუსიკოს-შემსრულებელს, ტექნიკურ მუშაკს, ხელმძღვანელს კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით მივულოცო წარმატება და მადლობა ვუთხრა იმ შრომისათვის, ძალისხმევისა და სიყვარულისათვის, რაც მათ გასწიეს ამ მეტად საპასუხისმგებლო გასტროლების მაღალაკადემიურ დონეზე ჩატარებისათვის.

გამორჩევით, სიყვარულითა და სიამაყის გრძნობით გამოვყოფ სოლისტ-მომღერლებს, რომელთა პროფესიონალიზმმა, თავდადებამ კიდევ ერთხელ ნათელყო ქართული ვოკალური სკოლის სიდიადე და წარმმართველი ძალა ქართული მუსიკალური ხელოვნების გამარჯვებებში.

გასტროლების მაღალი დონის მიღწევაში გამორჩეულია რეჟისორების - რობერტ სტურუას და გურამ მელიავას, დირიჟორების - თამაზ ჯაფარიძისა და ირაკლი ჭიაურელის, ქორმაისტერების - ავთანდილ ჩხენკელის და შალვა შაორშაძის, მხატვარ გოვი ალექსი-მესხიშვილის, ბალეტმაისერ გოგი ალექსიძის როლი, მაგრამ ყველაფრის გვირგვინი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, დიდი დირიჟორისა და მუსიკოსის ბატონ ჯანსუღ კახიძის საოცარი ნიჭი, პროფესიონალიზმი, გამძლეობა, ნებისყოფა და მის მიერ გაწეული უზომო შრომა იყო.

აღმაფრთოვანებელ რეცენზიებს აქვეყნებდნენ გაზეთები: „დი ველტი", „რაინიშე პოსტ", „ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" და სხვ. ბოლო არ უჩანდა ეპითეტებს: „თბილისის ოპერა აღმოჩენაა", „მუსიკით დაინგრევა ომის მეუფება", „მოგზაურობა ნათელ მომავალში", „ლამაზი ხმების დღესასწაული", „ჭეშმარიტი საოცრებანი", „ჰუმანურობის ჩირაღდანი", „სიყვარულის ცეცხლი", „უმაღლესი რანგის მუსიკალური მოვლენა" და ერავალი სხვა. აღსანიშნავია, რომ ჯანსუღ კახიძის ინიციატიით ვალა-კონცერტის ბოლოს შევასრულეთ რ. ლაღიძის ცნობილი სიმღერა, „ჩემო კარგო ქვეყანავ"... საორკესტრო მასალა თავად ბატონმა ჯანსუღმა შე-

ქმნა. მეორე დღეს პედრო ობიერა წერდა: „ქართველმა სტუმრებმა, ფალიაშვილის სახელობის თეატრის გუნდმა, ორკესტრმა და 20-მდე სოლისტმა ისეთი მეზნებარებით შეასრულა პიესნი, რომ საქალაქო თეატრის ხალხით გადაჭედილი დარბაზის კედლები კინაღამ ჩამოიქცა“.

ბატონ ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობითვე გაიმართა გასტროლები იტალიაში. თბილისის საოპერო თეატრმა გენიალური ჯუზეპე ვერდის საიუბილეო დღეების დროს ბუსეტოში წარმოადგინა ვერდის „ოტელო“ და ჩვენი უკვდავი „აბესალომი“, ასევე ჩავატარეთ დიდი კონცერტი. საინტერესო ისაა, რომ ჯ. ვერდის საიუბილეო კომიტეტმა ოტელოს განსახიერებისთვის ბუსეტოში მოიწვია ცნობილი ტენორი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა და შესთავაზა თავად აერჩია საოპერო კოლექტივი, როშლის სპექტაკლშიც ისურვებდა ოტელოს სიმღერას. ზურაბმა თბილისის საოპერო თეატრი აირჩია. ქართველი მუსიკოსების გამოსვლებს ფართოდ გამოეხმაურა იტალიის პრესა და ტელევიზია. გასტროლებს რეცენზიები მიუძღვნა „გაძეტა დი პარმამ“, „ლიბერტამ“, „რეჯომ“, „ილ რესტო ღელ კარლონიმ“, „ილ ჯორჯან ალემ“. ასევე სხვა მრავალმა ჟურნალმა და თეატრალურმა გამოცემამ. აღმოჩენა იყო დეზდემონას როლის შემსრულებელი სოპრანო ნაირა გლუნჩაძე.

გასტროლების ტრიუმფი კი ისევ და ისევ უკვდავი „აბესალომ და ეთერი“ იყო. ზაქარია ფალიაშვილის გენიალურმა ქმნილებამ დაიპყრო იტალია. როგორც ყოველთვის, შეუდარებელი იყო ბატონი ჯანსუღ კახიძე. მისმა ბრწყინვალე ხელოვნებამ დაუვიწყარი ფეიერვერკი შექმნა ბუსეტოს, სპეციალურად ვერდის დღეებისათვის გამართულ დიდ სცენაზე.

ბედნიერება იყო ჯანსუღ კახიძის სპექტაკლებში მონაწილეობა. ბედნიერება-მეთქი! სხვა სიტყვას ვერ დავარქმევ იმ საოცარ, ერთობლივ სულისკვეთებას, რაც მომღერალსა და დირიჟორს შორის ჩნდებოდა სპექტაკლის მსყლელობისას. მე ბატონ ჯანსუღს სცენაზე შეეხვდი ზ. ფალიაშვილის „აბესალომში“, ვერდის

„ოტელოში“, პროკოფიევის „ცეცხლოვან ანგელოზში“ და „ომი და მშვიდობაში“, ასევე სხვადასხვა კონცერტზე და მის მიერვე დაარსებულ მუსიკალურ-საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც მიმართული იყო თბილისის საშუსიკო სკოლების მოსწავლეახალგაზრდების მხატვრული აღზრდისა და განვითარებისათვის. პროგრამის განხორციელებაში ყოველთვის მონაწილეობდნენ სიმფონიური ორკესტრი, ვოკალური ანსამბლები და გაშოჩენილი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები.

ერთი შეხედვით, თითქოს მკაცრი, შეუვალი და მიუკარებელი ჯანსუღ კახიძე, საოცრად თბილი, მოსიყვარულე და სათნო ადამიანი იყო. მისი შინაგანი ბუნება სწორედ ამდაგვარადაა წარმოჩენილი მის მიერ შექმნილ მრავალ დაუყიწყარ სიმღერაში, რომელთა საუკეთესო შემსრულებელიც თავად გახლდათ. შეუძლებელია ჟრუანტელი არ მოჰგვაროს მსმენელს მისმა პოპულარულმა „...პერიო, ბიჭებო, ჰერიო...მ“, „იავნანამ“, „მთაწმინდის მთვარემ“, „...ცხოვრება ერთ ლამაზ ქალად არ ღირს“ და სხვა მრავალმა სიმღერამ, მით უფრო ავტორის გულშიჩამწვდომი და მრავლისგამომსახველი შესრულებით.

საოცრად გულისხმიერი და ზედმეტად ყურადღებიანი იყო ბატონი ჯანო რეპეტიციებზე, შემღერებებზე. მუხლჩაუხრელი შრომა იცოდა, მთლიანად ჩაეფლობოდა შემოქმედებით პროცესში და ბოლომდე იხარჯებოდა, არც თავს იზოგავდა და არც ამ პროცესის სხვა მონაწილეებს, თუმცა, ყველას სიმძიმეს თავად სწევდა, თავად იდგა ოლიმპზე და იწვოდა. საოცარი ყურადღებიანი, გამგები და ღრმად ადამიანური იყო მგზავრობაში, მით უფრო უცხოეთში გასტროლების დროს. ყველას სიყვარულით მოიკითხავდა, დააკვალიანებდა, გამოსვლის წინ გაამხნევებდა; დადგებოდა სადირიჟორო პულტთან, რაღაც ამოუცნობი, ყოვლისმომცველი და წამლეკავი ცეცხლი დაეუფლებოდა, სცენაზე მყოფთ განსაკუთრებულ მზერას მიაპყრობდა და ყველაზე რთულ წამებს ზეციურ სიამოვნებაში გაგატარებინებდა.

საოცარი მოლხენა იცოდა მაესტრომ. როგორი უშუალო და

ადამიანური იყო მაშინ. თუკი „გაბედავდა“ და აშღერდებოდა, ჰოი საოცრებავ, ორიეოსი საუჯდებოდა სულში. მონუსხულები მიეჩერებოდით და ნეტარება ეკეუფლებოდა. მახსენდება მისი თავდაუზოგავი დროსტარება, ზეამაღლებული ლხინი ქუთაისში და ერთიც თბილისის საოპერო თეატრში, საშხატურო ხელმძღვანელის არჩეულების შემდეგ. საგუნდო კლასში გამართული ზეიმზე. როგორ „გაიგიჟა“ თავი. რამდენი დაუკრა, იმღერა, ანეგდოტები თქვა, რამდენი სითბო დაღვარა და სიყვარულად იქცა. ყველა აგვამღერა, ვაგვათამაშა, მოგვეფერა, გაგვახარა; თვითონაც ბედნიერებით სავსე საოცარ სილაშაზეს აფრქვევდა ირგვლივ.

ბედნიერება იყო-მეთქი. მასთან სიმღერა. იგი შენთან ერთად ხუნოქავდა, მღეროდა და იწკოდა. ცოტა თუ მაინც გქონდა ნერვი და შეგეძლო გაპყოლოდი, თავადაც ბედნიერი იყო და არც მოერიდებოდა მის გამოხატვას. ხმა უყვარდა, ლამაზი ხმა და უსასრულობამდე შეეძლო მოეცა საშუალება გამოგეხატა, გადმოგეცა და მიგენიჭებინა მსმენელისთვის ლამაზი ტემბრის ხმითა და მაღალი გრძნობებით განსაცდელი სიამოვნება. ხშირად უთქვამს: - როცა კარგი ხმა კარგად მღერის ვისეენებო! და რაც ყველაზე მოთავარია, იგი მღეროდა, წერდა თუ სადირიჟორო პულტთან იდგა, ყოველთვის და ყველგან ასხივებდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ბრწყინვალებას, სხივს, რომელიც ესოდენ დიდ ცეცხლს ანთებდა ორკესტრში, გუნდშიც, სოლისტებშიც და ყველაზე ურწმუნო მსმენელებშიც კი. ეს სხივი მის გულში დანთებული ცეცხლიდან მოდიოდა, იმ გულიდან, რომელიც სულ იწვოდა და დიდი შემოქმედებითი წვით ავსებდა ადამიანებს.

ასეთი გახლდით და ასეთივე დარჩა ჩემთვის, აწ უკვე უკვდავებად და მარადისობად ქცეული საუკუნის დირიჟორი და დიდი მამულიშვილი ბატონი ჯანსუღ კახიძე. ჯანსუღ კახიძე - ლეგენდა!

ლევან სანიკიძე



ლევან სანიკიძე

იმ დაუვიწყარ სახეებს შორის, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩემს შემოქმედებით და ადამიანურ ურთიერთობებზე გამორჩეულია დიდი ქართველი მწერლის, საცოცხლეშივე აღიარებული კლასიკოსის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ ლევან სანიკიძის ნათელი სახე. იგი იმ დვიოურ ლამპარს ემგავს, რომელიც არასოდეს ქრება. იგი ადამიანი-ჩირაღდანია, რომელიც თავის ღრმა ადამიანურობითა და განუზომელი ცეცხლოვანი სიყვარულით, სიტყვის განსაკუთრებულად ემოციური უღერადობითა და მრავალფეროვნებით შთააგონებდა ადამიანებს წინაპართა მოკრძალება'ს, თანამედროვეთა თანადგომას და მომავლის დიდ რწმენას.

ლევან სანიკიძე არის 700-მდე ნაწარმოების ავტორი. მისი შემონაქმედია: წიგნები, მეცნიერული თუ ესეისტური სტატიები, პუბლიცისტიკური და პოლემისტური წერილები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პოპულარულია: უქარქაშო ხმლები - ოთხ ტომად,

დედა ისტორია, პონტოს სამეფო, პუნიკური ომების ისტორია, ძველი მსოფლიოს ქრონიკები, რომის აღმოსავლური პოლიტიკა, სამას-სამასი, ბარიუსი და სულა, არესის სამსხვერპლოსთან, რომის იმპერია, კეისარიადა, ალექსანდრე მაკედონელი, მკვლელობა ხობისწყლის პირას (ისტორიული რომანი), დავით აღმაშენებელი, რწმენა რწმენისა, ძეგლი ენისა სწორია, ამბავი კოლხი ასულისა (ფითოლოგიური რომანი), საეედრებელი გიორგი ათონელისა (ისტორიული რომანი), წიგნი მოწამეთა, გიორგი სააკაძე, ჩვენი სამშობლოს მატიანე (სახელმძღვანელო თანაავტორობით), სვიმონ მეფე (კინოსცენარი), „მესამე დასის“ საქართველო, დავითიან-თამარიანი (რომელმან აღაშენა და რომელმან დაამშვენა), ხაბირუელ... ისრაელ... ებრაელ... (ქართულად, ინგლისურად), არა შვილ კლა, ანუ - „ვერ გაიგეთა ქართველნო“?! წიგნი მოწონებისა და დაწუსებისა, 777 ქართული სიქველე, 1001 ევროპული სირცხვილი, სად წაიყვან სადაურსა - ოთხ ტომად, საქართველოს ისტორია (თვალის ერთი გადავლებით), 309 ქართული სირცხვილი, ყველა დავითი, ყველა გიორგი, ყველა ბაგრატი, ყველა ვახტანგი, პიესები: შედეა, ქუთათურები, არქეოლოგიური ქრონიკა, შავი ზღვის ღამეები, გაიუს გრაკხუსი, სპარტაკი, ვახტანგ გორგასალი, ყივჩაღი შემომეყარა და სხვ.

ბატონ ლევან სანიკიძის შემოქმედება ეფუძნება მეცნიერებისა და მწერლობის სინთეზს, ანუ არისტოტელეს დებულებას: „ისტორიის მხატვრული ასახვა უფრო მეცნიერული და მართებულია, ვიდრე მხოლოდ ფაქტობრივი აღწერა (ფაქტების ჩამოთვლა). პოეტური ხელოვნება იჭრება თვით საქმის ნამდვილ არსში, მაშინ, როდესაც მხოლოდ ზუსტი ფაქტობრივი აღნუსხვანი მხოლოდ წვრილმანური ჩამოთვლაა და სხვა არაფერი“. აქვე, ანალოგიურ დებულებად მოცემულია ეფრემ მცირეს ნათქვამი: მატეანე უნდა იწერებოდეს და არა ოდენ უსულგულო, ლექსიკურად ღარიბ-ღატაკი „სოფლურითა“, „უშუერითა“ და „ლიტონითა სიტყვითა“, არამედ მხატვრულად - „ხელოვნებისა რიტორობისათა“ და „ჯეროვნად რიტორობისა“, - ისე, რომ არ

დამახინჯდეს „ნივთნი საქმეთანი“ (ისტორიული სინამდვილე). თორემ სხვა მხრივ ყოველი „ნივთი“ და „საქმე“ უეჭველად მხატვრული სიტყვით უნდა „გამშვენდეს“ და „გარდაიკაზმოს“.

ლევან სანიკიძის მეცნიერული, პრინციპული გააზრებით: ისტორიათმცოდნეობის სრულქმნილებისათვის მარტო ემპირიულ-ფაქტობრივი კვლევა-ძიება, ანუ ფაქტობრივი ისტორიის აღდგენა-დადგენა არ კმარა; არამედ ამ პირველი აუცილებელი და გარდაუვალი საფეხურისა და საძირკვლის შემდგომ, ასევე აუცილებლად და გარდაუვალად უნდა მოდიოდეს იმ ფაქტობრივ-მეცნიერულად დადგენილ მოვლენათა განზოგადებითი გააზრება მხატვრულ-მწერლური სტილით. ასეთი შემოქმედებისა და „ისტორიოსოფიის“ მაგალითად ლევან სანიკიძეს მიაჩნია მთელი ანტიკური საისტორიო აზროვნება, ქართულ სინამდვილეში კი - მთელი „ქართლის ცხოვრება“.

დიდია ბატონ ლევან სანიკიძის ღვაწლი როგორც გამორჩეული პედაგოგისა და მოძღვარისა. იგი განსაკუთრებული მჭევრმეტყველებით, სიყვარულით და მხოლოდ ლევან სანიკიძისეული ოსტატობით გადასცემდა ცოდნას დედა-უნივერსიტეტისა და ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ-ახალგაზრდობას.

ბატონი ლევან სანიკიძე მთელი სიცოცხლის მანძილზე გულწრფელად ემსახურებოდა დედა-სამშობლოს. იყო მოვლენათა შუაგულში, ქადაგებდა კაცთმოყვარეობას, ურთიერთგატანას, სათნოებას, ეროვნული ცნობიერებისა და დიდ წინაპართა ერთგულებას, თავად ყოველგვარ გაგულისებას, შურსა და წყრილმან გრძნობებს სავსებით მოკლებული, უხვად აფრქვევდა სიყვარულს. განსაკუთრებული თავმდაბლობით გამორჩეული ძალუმად გადმოგვცემდა დიდ კეთილშობილებას, გვასწავლიდა მოყვასის ერთგულებას, მიმტევებლობას, ადამიანურობას, ხოლო უბოროტო, მაგრამ მძაფრი იუმორი კიდევ უფრო ამრავალფეროვნებდა მის ნიჭსა და ტალანტს. აიოლებდა თანამედროვეთა გულებისაკენ მიმავალ გზას.

ყველა შეხვედრა საზოგადოებრივ ღონისძიებებზე თუ მეგო-

ბრულ წრეში, ოჯახში, უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც კი ბატონი ლევანი მინახავს, აღსავსე იყო საოცარი ურთიერთგაგებით, უშუალოდ მისგან მომდინარე კაცთმოყვარეობითა და საინოებით. ბევრი ბედნიერი დღე და საათი მაკავშირებდა ბატონ ლევანთან. იგი იყო ჩვენი, მისი შემდგომი თაობის დიდი დამრიგებელი და გზის გამკაფავი, ყველას პატრონი, მოამაგე და მოჭირნახულე. იგი თავისი ცხოვრების წესითაც ადამიანების დამმოძღვრელი გახლდათ. ვერავის აუგს ყურ დააცდენინებდი. ყველგან და ყოველთვის მხოლოდ კეთილ სიტყვებს აფრქვევდა ბაგენი მისი. განუმეორებელი თამადა და მომღერალი იყო სუფრასთან. მასთან ერთად გატარებული დრო იმ დაუვიწყარ მოვლენებს უნდა შევუერთოთ, რომლებსაც არროდეს ემუქრება გაფერმკრთალება.

მაგონდება, „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ბატონ ლევან სანიკიძის წერილი სათაურით „ᲐᲮᲛᲐᲘᲤᲐᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡᲐ“, სადაც ვკითხულობთ: „მისი საწუთისოფლო ღვაწლმოსილებაც ზენაარ მადლით, სინთეტურად აერთებს ამ ორ ფენომენს - ხელოვნებას და მეცნიერებას.

მისი ხელოვნება სიმღერაა - დიდი ქართული კლასიკური სიმღერა; ხოლო მეცნიერება-ღრმააზროვანი ეროვნული პედაგოგიური-აღმზრდელობითი ისტორია.

ცალკე, საგანგებოდ მოხსენიებისა და პატივმიგების ღირსია ბატონ ლევანის ღვაწლი ზოგად სამეცნიერო და საგანმანათლებლო სტრუქტურათა დადგენის საქმეში. ამ მხრივ სამაგალითოდ კმარა მისი ინიციატივით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება.

მაშ, ასეთ მოღვაწეს 55 წელი შესრულებია. ამას „შუა ასაკი“, ანუ „აკმე“ („მაღალმოსილება“) თუ დაერქმევა, რაკი გრიგოლ ხანძთელის „გარდარეულ სიბერემდე“ (102 წელი) ჯერ შორსაა, ხოლო, ოდეს „ხანძთელობას“ მიაღწევს, მას შემდგომ ხომ მათუსალას ასაკი (369 წელი) იწყება...

მაშ, კელავაც და კვლავაც ცხოველმყოფელი და თანაც გლო-

ვისმაძლევველი (!) სიცოცხლით ვიდოდეს ეტლისმწაფელი ლევან ასათიანის წუთისოფლისა. ამინ!“ (7-13 ივლისი, 2000 წ.).

მხოლოდ ბატონ ლევან სანიკიძეს შეეძლო ასე ალალად და წრფელი სიყვარულით მოფერებოდა მეგობარს.

სოფოკლე ამბობს: „ადამიანები იღუპებიან, მაგრამ ადამიანობა როდი კვდება“-ო. ჭეშმარიტად, ლევან სანიკიძის გარდაცვალება მასთან მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური განშორებაა, რაც უსათუოდ დიდი ტკივილია, მაგრამ მისი მაღალადამიანური და მაღალმსატვრული შემოქმედება, კაცობა, ადამიანობა და დაუვიწყარი სახე ყოველთვის ჩვენთანაა.

რაოდენ ძძიმე იყო ამ ნათელი კაცისათვის ჩემი ოჯახის გაუსაძლისი ტანჯვა და ცრემლი, როცა ჩემი ულამაზესი შვილიშვილი, ჯერ შვიდ წელსაც მიუღწეველი პატარა ლევანიკო მოულოდნელად გაგვშორდა და ზეცად ამაღლდა. ჩემს უახლოეს მეგობრებთან ერთად იგი ერთი წუთითაც არ მომშორებია, მანუგეშებდა და თავის განუყრელ ტკივილს, ასევე ზეცად ამაღლებულ პატარა კახა სანიკიძის სახელს მოწიწებით ახსენებდა. „იგი ყოველთვის ცოცხლობს და ყოველთვის ოთხი წლის არის, ლევანიკოც ყოველთვის იცოცხლებს და ჩვენთან იქნებაო“. მაშინ ყოველივე გაუგებარი იყო ჩემთვის. თუმცა მი[1] შეგონებას ტანჯვით ეთანხმებოდნენ ჩემი შვილმკვდარი მეგობრები: ლადო გაგუა, თამაზ კარანაძე და გივი სამსონაძე.

სიონის საკათედრო ტაძრიდან გააცილა საქართველომ დიდი ლევან სანიკიძე. ბევრი ცრემლიანი სიტყვა ითქვა, ბევრიც დაიწერა, მაგრამ ლევან სანიკიძის სიცოცხლე აწი იწყება, განუსაზღვრელი სიცოცხლე დიდი მწერლისა და მეცნიერისა. ჩემი გულისტკივილი გამოვხატე პატარა წერილში, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ლევან სანიკიძისადმი მიძღვნილ გვერდზე:

„ᲐᲦᲛᲝᲪᲘᲡᲫᲠᲔᲑᲐ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ!..“ უდიდესი მაძულიშვილი, მწერალი, მეცნიერი და მოძღვარი მოუკვდა საქართველოს. ზეციურ სასუფეველში დაივანა ლევან სანიკიძის სულმა და დღეიდან მისი

გურამ ხანდაბაშვილი, ლევან ახალაია, ლევან სანიკიძე და რევაზ ბალანჩივაძე.

სათაყვანებელი საშშობლოს მფარველ ანგელოზად იქცა. დედამიწაზე კი, ცოდვილთა სანუგეშოდ, უმნიშვნელოვანესი 700-მდე შემონაქმედი: წიგნები, მეცნიერული მონოგრაფიები, რომანები, მოთხრობები, პიესები, მეცნიერული თუ ესეისტური სტატიები, პუბლიცისტიკური და პოლემისტური წერილები დაგვიტოვა. ივი ადამიანურობის, წმინდა, აძაღლებული ცხოერების წესის, დიდ წინაპართა თავყვანისცემის და ეროვნული ცნობიერების ერთგულების ნაოელ მაგალითად იქცა.

ბატონ ლევან სანიკიძის მოღვაწეობის ერთი ქვაკუთხედი საქართველოს პუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის დაარსე-

ბა. წარმართვა და მოქმედება იყო. იგი, როგორც ამ აკადემიის პირველი და უცვლელი პრეზიდენტი, მიზნად ისახავდა ისტორიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ფსიქოლოგიის, თეოლოგიის, პედაგოგიკის, საქართველმცოდნეობის, ხელოვნებისა და ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერული დარგების, უმთავრესი მიზანდასახულობით, ახალ თვისობრივ დონეზე გაერთიანებას ზოგადქართული მეცნიერული აზროვნების ორბიტაში. აქ ხაზგასმითაა ნაგულისხმევი ეროვნული მოტივი, ანუ ქართული ჰუმანიტარულ-მეცნიერული აზროვნების შემდგომი განვითარებისა და სრულქმნილების პრობლემატიკა. ჰუმანიტარული მეცნიერებანი უნდა განვითარდნენ და გაფართოვდნენ ისეთი სირთულითა და სიმაღლით, რვეულებრივ, რასაც ბოლოს და ბოლოს რეალური ზოგადეროვნული განსწავლულობა და განმანათლებლობა დაერქმევა, სწორედ ამიტომ, აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას წარმართავს არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური მეცნიერული კვლევისადმი, არამედ მისგან განუყრელად მაღალოსტატური, მაღალაზრობრივი, მაღალხელოვნებითი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და სრულქმნასრულყოფისათვის. ბატონი ლევანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებანი დახსნილი უნდა იქნან ე. წ. სხვადასხვა მეთოდოლოგიური დოგმატიკის ტყვეობიდან და აშაღლდნენ „გრაფიიდან“ ზემოთ, „სოფიის“ დონემდე. ანუ უნდა ვიზრუნოთ, რათა შეიქმნას ფილოსოფია ისტორიისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა და ა. შ. (აღსანიშნავია, რომ „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“ ბატონი ლევანის ხელშეწყობით, უკვე დაიბეჭდა).

ამავე მეთოდოლოგიით, ბატონი ლევან სანიკიძე იღვწოდა საგანგებოდ, რათა თუნდაც რუსთველოლოგიის პარალელით, „ყეფხისტყაოსნის“ გვერდით, ეკვლიათ „ქართლის ცხოვრება“ ქართულ-ეროვნული საწიგნობელოს ეს მეორე სალოცავი ძეგლი, სახელდებითი ასპექტებით, აქ იგულისხმება „ქაროლის ცხოვრება და ბიზანტიოლოგია“ „ქართლის ცხოვრება“ და კავკასიოლოგია“; „ქართლის ცხოვრება“ და დიპლომატიკა“; „ქართლის ცხოვრება“ და ხელოვნება“; „ქართლის ცხოვრება“ და ხალხურ-ფოლკლორუ-

ლი შემოქმედება"; „ქართლის ცხოვრება" და პედაგოგიკური აზროვნება"; „ქართლის ცხოვრება" და ერი და ბერი საქართველოსი და ა. შ. და ა. შ. ...

ბატონი ლევან სანიკიძე განსაკუთრებით გამოყოფდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყოველი ნაკადის მუშაობას თანამოსახელე მსოფლიო სამეცნიერო დისციპლინებთან პარალელური შედარება-შეჯერებით და განხილვა-გააზრებით, რათა ყოველთვის გვცოდნოდა სიმაღლე და მოცულობა ჩვენი ეროვნული კულტურის მიღწევებისა დარგობრივად შესაბამის მსოფლიო კულტურულ მიღწევათა ფონზე. ამასთანავე, ყოველი დარგის ცალკეულად, დარგობრივადვე წარმოებული მუშაობა კონცენტრირებული და გამთლიანებული უნდა ყოფილიყო ქართველი ერის ერთიანი, სწორედ ეროვნული თვითშეგნებისა, ერთსულოვნებისა და ერთნებოვანების ასამაღლებლად და განსამტკიცებლად. თავის მხრივ კი, ეს ფენომენი ეროვნულობა - საფუძვლად უნდა დაედოს ქართველი ხალხის ეროვნულ იდეოლოგიას და მსოფლმხედველობას.

კიდევ ბევრი, რთული და საინტერესო ამოცანა დაუსახა ბატონმა ლევან სანიკიძემ საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიას, რომელმაც ინტენსიური გონმოდგინებით უნდა იმუშაოს და იკვლიოს ქართულ მიწა-წყალზე ხანგრძლივი ისტორიით დადასტურებული ყოველი იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ზნეობრივი ცხოვრებისა - მოქალაქეობისა, მფლობელობისა, მკვიდრობისა, ხიზნობისა. იკვლიოს ყოველი მათგანი, უფლებრიობითი და მოვალეობითი ასპექტებით და მიუსადაგოს ისინი დღევანდელ სინამდვილეს.

ბუნებრივია, რომ მუშაობის პროცესში საკვლევ-საძიებელ პრობლემათა რიგი და მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება და გაფართოვდება. ესეც ხომ მისი სურვილი იყო.

უდიდესი მაშულიშვილი მოუკვდა საქართველოს.

ღრმა მწუხარებით ვეთხოვებით საქართველოს მოძღვარს.

დღეიდან ლევან სანიკიძის ახალი სიცოცხლე, „აღმოცისკრება" იწყება.

მერაბ კოსტავა

ჩემს დაუვიწყარ სახეებს შორის ერთ-ერთი წმინდა და ნათელი სახეა ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა. იგი რაინდული სულის ადამიანი იყო, რომელიც ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა არა მარტო გახსნილი, მრავლისმეტყველი და მომხიბვლელი გარეგნობით, დინჯი, დაფიქრებული, დამაჯერებელი საუბრით, საოცრად ლამაზი და თავისუფალი მანერებით, არამედ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული წესით, დიდი სიმართლით, კეთილშობილებით, სამშობლოს ერთგულებითა და სიყვარულით.

ჩემი პირველი შეხვედრა და დასამახსოვრებელი საუბარი მერაბ კოსტავასთან შედგა 1974 წლის მაისში. იმ დღეს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში, ლამარა ჭყონიასთან ერთად გამართული სოლო-კონცერტის შემდეგ, მუსიკისმცოდნე იუნონა აფაქიძის თანხლებით ჩემს საგრიმიოროში შემოვიდა პირნათელი ყაჟკაცი მერაბ კოსტავა, მომილოცა წარმატება და თბილი საუბარი გამიბა. მესაუბრა ქართული სიმღერის მადლზე, მისი შესრულების ტრადიციებზე და თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ზოგიერთ ქმნილებაზე, რომლებიც იმ საღამოს გაჟღერდა. აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ფალიაშვილის სიდიადეზე, ლაღიძისა და თაქთაქიშვილის თვითმყოფადობაზე, განსაკუთრებით კი „სისტურას“ შესრულება მომიწონა და ხაზი გაუსვა გრიგოლ კოკელაძის ღვაწლს ქართული ხალხური სიმღერების დამუშავებასა და წარმოჩენაში. არ დავიწყებია ეროვნული ხმების დამახასიათებელი ტემბრალული ჟღერადობა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ბახის, ჰაიდნის, ჰენდელის ორატორებისა და საგალობლების შესრულების მაღალმხატვრული გამომსახველობისათვის. და, რაც ყველაზე მთავარია, საოცრად თბილად, მისთვის ჩვეული პირდაპირობით, მაღალფარდოვნებითა და სიმართლით მიოხრა: - შენ ისეთი ხმა გაქვს, არ შეიძლება და უფლებაც არ გაქვს ჩვენებური თვითკმაყოფილება დაგეუფლოს, სისტემატურად იმუშავე და ყვე-



შერაბ ალხაზი

ლა სიმაღლეს დაძლევ. ევროპულ რეპერტუართან ერთად, ქართულს დიდი ყურადღება დაუთმე და ძირითადად ეროვნულ ხელოვნებას ემსახურეო. ჩვენი ვალი ხომ ეროვნული კულტურის განდიდებაა!

ხშირად მომისმენია ცნობილი ხელოვნებათმცოდნეების, მუსიკოსების ქებაც, აღფრთოვანებული ოვაციებიცა და შეგონებებიც, მაგრამ მერაბ კოსტავას უშუალო, ადამიანური სითბოთი და გულით ნათქვამი წრფელი სიტყვები დაუფრო მეტად, თვალებით გამოხატული სიყვარული არასდროს დამავიწყდება.

მთელი 10 წლის შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნებულ მერაბ კოსტავას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი „კოსტავას ეზოში“, სადაც განთავსებულია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი და მასთან ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი ურიერთობები განსაკუთრებული სიხარულით, რწმენითა და ადამიანურობით მიყსებდა გულს.

მერაბ კოსტავას ცხოვრების არსი სამშობლოს სიყვარული და მისთვის ოაკდადება იყო. იგი ყველაზე მაღლა იდგა და მხოლოდ ამ თვალსაწიერიდან აფასებდა სხვათა ცხოვრებასაც. მისთვის არ არსებობდა არავითარი პარტიული თუ ჯგუფური ინტერესები. უმთავრესი და უპირველესი სამშობლო იყო. საქართველო და მისთვის მუხლჩაუხრელი ღვწვა აძლევდა ძალას სიცოცხლისათვის. იმ გაურკვეულ ორომტრიალში იგი იყო ერთადერთი გამონათება, რომელსაც ყოველთვის შეეძლო გამაერთიანებლის მისია შეესრულებინა, ერთი მიზანი დაესახა და ყველა დაპირისპირებული ძალა ერთ მუშტად ექცია.

განსაკუთრებულია მერაბ კოსტავას ღვაწლი უძველეს ქართულ მიწაზე მრავალშვილიანი ქართული ოჯახების დასახლებისა და მათი საცხოვრისი პირობების შექმნისათვის; ბედის უკუღმართობით მამათა სარწმუნოებადაკარგულ ქართველთა შემობრუნების, მათში ქრისტიანული მადლის დაბრუნებისა და მართლმადიდებლური რწმენის აღორძინებისათვის რამდენ ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლე და საქართველოს სამსახური დაუსახა მიზნად. მტ-

კიცე იყო მისი ნება, ხასიათი, რწმენა და სიტყვა. დამაჯერებლობის საოცარი უნარი პქონდა, რაც თავად სწამდა, და სწამდა მხოლოდ ჭეშმარიტება, ისეთი გრძნობით ჩაგინერგავდა, რომ სამარდუამოდ მისი ერთგული გახდებოდი. ყველგან სიკეთეს ქადაგებდა, ერთგულებასა და ურთიერთგატანას შთაგვაგონებდა, დიდი სიყვარულისაკენ გვიბიძგებდა და ყველაფერს ამას ერთადერთ სალოცავს, - სამშობლოს უძღვნიდა.

არავისი ისე არ ეშინოდა იმპერიულ რეჟიმს, როგორც მერაბ კოსტავასი, რადგანაც კარგად ხვდებოდნენ, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც აერთიანებდა ურთიერთგანდგომილ დაჯგუფებებს და შეეძლო გაეფანტა დაქირავებულთა მიერ შემორკალული შავი ღრუბელი, იგი იყო. კიდეც, უდროოდ მოუსპეს სიცოცხლე და დააჩქარეს ჩვენი დაქცევაც.

გუშინდელივით მახსოვს, ძმათამკვლელი ბატალიების შემდეგ კოსტავას ეზოში შეკრებილი მამულიშვილები როგორი ოხვრით ჩაილაპარაკებდნენ: „მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო“, „ახლა რომ მერაბი აქ იყოს“... გვიანღა იყო კბენანი თითზე!

გლოვა და ცრემლი სასწაული ვიცით ქართველებმა. ყველა პარტიამ, გაერთიანებამ და ჯგუფმა ერთად დაიტირა და მთაწმინდაზე მიუჩინა სამუდამო ბინა ეროვნულ გმირს. სადღაა ის მთლიანობა, ის ფიცი, სიმტკიცე და ურვა მერაბ კოსტავას რომ ჩაატანეს მთაწმინდის სამარეში? უკან მობრუნებულებს, აღარავის, არც მაშინ გახსენებია მერაბის სული, როცა ზარბაზნებს დაათრევდნენ რუსთაველის პროსპექტზე, არც მაშინ, როცა ერთ გულანთებულ ქართველ აბესაძეს XX საუკუნეში მოვლენილ ცოტნეს, ცეცხლწაკიდებულს ხედავდნენ და არც კი ფიქრობდნენ, რატომ შესწირა სიცოცხლე შეუსმენელთა ქცევას? არც მაშინ, როცა ჰიმნად ქცეული ლექსის დამახინჯებული სტრიქონების სიმღერით, გაავებულნი სამეგრელოს შეესივნენ. რამდენჯერ გავახარეთ მტერი, ახლაც ვახარებთ და ვერაფრით შეგვიგნია, რომ „ყოველთვის საქართველოს აოხრება ერთმანეთის დაუჯერებლობით ქმნილა“. მწარედ მოგვკითხა უფალმა ერთმანეთის გაუტან-

ლობა. ალბათ, კიდევ ბევრ მწარე ნაყოფს გამოიღებს მაშინ ჩათესილი ბოროტება.

მერაბ კოსტავას ზეციურ საქართველოში ამაღლებიდან ორი დღის შემდეგ დაიბეჭდა მისი ბროშურა „ფიქრები ქართულ კულტურაზე“, რომელიც ანგარსკის დაწყევლილ ბანაკში დაუწერია 1984 წელს. სამშობლოზე და მის მომავალზე ფიქრი მოუსვენარ ჭიასავით ყველგან და ყოველთვის უღრღნიდა ალალ გულს.

„ფიქრები ქართულ კულტურაზე“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა გამოსცა და მისი რედაქტორობის პატივი მე მერგო.

მერაბ კოსტავა მოუწოდებს ყველა ქართველს, რომ უყვარდეს და ღრმად დაეუფლოს მშობლიურ ქართულ ენას, განიმსჭვალოს მისით, გულის, გონების, ღირსებისა და მეობის განუყოფელ ნაწილად აქციოს ის და უმალ აღემართოს მისი სიწმინდისა და უფლებების დასაცავად, თუკი ხელყოფას მისას ვინმე დააპირებს.

სავალდებულოა, რომ ყოველმა ქართველმა იცოდეს იმ განძეულის ფასი, მისთვის რომ მოუხვეჭიათ დიდ წინაპრებს და სრულყოფილად დაეუფლოს მას.

საყურადღებოა წიგნში მოცემული მოსაზრებები მსოფლიო კულტურაში ქართული ენის არეალის და მისი სრულყოფილად სწავლების შესახებ. საგულისხმოა მერაბ კოსტავას მისწრაფებანი ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლების შესახებ. ნაშრომში ასევე წარმოჩენილია უცხოური ენების სპეციალური სკოლების შექმნის აუცილებლობა, რომლებშიც ქართული ენა ჭეშმარიტი ბალავრის როლს შეასრულებს და, იაკობ გოგებაშვილის მოსაზრების შესაბამისად, განმაპირობებელი ძალა იქნება უცხოური კულტურის დაუფლებისათვის.

ვერც ერთი ერი დღეს, - წერს მერაბ კოსტავა, - ახალსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის, თუ მის შემოქმედებით პოტენციას საფუძველს არ უმაგრებს ფართო ამთვისებლობითი საქმიანობა. მაღალი კულტურა გლობალური მასშტაბებით განიზომება. იგი ყველა დროის წამყვან კულტურათა სინთეზია და, როგორც

ყოველთვის, ამ სფეროში ერთ-ერთი წამყვანი როლი ამჟამადაც მთარგმნელობით ხელოვნებას განეკუთვნება. ყველა განვითარებულ ერს უმაღლეს დონეზე აქვს დაყენებული მთარგმნელობითი და, აქედან გამომდინარე, გლობალურ კულტურასთან წილნაყარობის საქმე, რითაც მარტოოდენ ახალი იდეებითა და მხატვრული სახეებით როდი აშდიდრებს საკუთარი კულტურის წიაღს, არამედ ენასაც განუზომლად სრულყოფს.

მერაბ კოსტავა გვმოძღვრავს, რომ „ქართულად ჯერ კიდევ თარგმნილი არ გახლავთ მრავალი ლიტერატურული, ფილოსოფიური, ისტორიული და სხვა მეცნიერებათა ქმნილება, მათ შორის მაღალი სულიერებით განმსჭვალული იმგვარი შედევრებიც, რომელთა სრული გათავისების გარეშე ვერც ერთი ერი ვერ ჩაითვლება დღეს მაღალი კულტურის მეტრად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ბევრი გვაქვს ქართულად მსოფლის რჩეულ ავტორთა სრული კრებულები? სამაგალითო, მისაბაძ ერად ქცეყისათვის დღევანდელ ვითარებაში აუცილებელია შემოქმედებითი ათვისება და გათავისება მსოფლიო კულტურის ყველა იმ ქმნილებისა, მარადიულობის ცეცხლით რომაა აღბეჭდილი, ვინაიდან სწორედ მათ ხელეწიფებათ უკვდავყოფა ყველაფრისა, რასაც კი შეეხებიან, ადამიანია ეს, კულტურა, თუ ენა. ქართული კულტურისა და ენის მაღალი პრესტიჟისათვის აუცილებელია მშობლიურ ენაზე ვიქონიოთ ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც სადმე, თუ როდესმე შექმნილა. ამით და მხოლოდ ამგვარად შეგვიძლია კულტურის სფეროში დავეფუძნოთ საყრდენთა შორის ყველაზე საიმედოს, საკუთარ თავს. დღევანდელი მიღწევებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და თუკი რომელიმე ერს, რაოდენობრივი უპირატესობისა გამო, ათგზის, თუ ოცგზის მეტი მაღალკვალიფიციური მთარგმნელი პყავს, რითაც მსოფლიო კულტურის ათვისების საქმეში შესაშურ დონეს ინარჩუნებს, ჩვენ ათმაგი და ოცმაგი გარჯა გვმართებს, რათა არა მარტოოდენ რჩეულ ეროვნებათა დასში დავმკვიდრდეთ, არამედ მათთვის სამაგალითონიც გავხდეთ. აუცილებელია ენთუზიაზმის ცეცხლი დავანთოთ იმგვარადვე, ჩვენმა

დიდმა წინაპრებმა - იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა რომ დაანთეს ათი საუკუნის წინათ, ოღონდ ეს ცეცხლი დღევანდელობის, დღევანდელი კულტურის გლობალურ მასშტაბებს უნდა შეესატყვისებოდეს".

საუბედუროდ, თავად ვერ იხილა მერაბ კოსტავამ დაბეჭდილი ქმნილება თვისი. რამდენიმე ბროშურა მის სათაყვანებელ ძმადნაფს, ბატონ ზვიად გამსახურდიას მივუტანე. მან კი, მაშინ სიონში დასვენებულ ვმირს სასოუმალთან დაულაგა. როგორც შემდეგ მითხრეს, ერთი წიგნი ზეციურ სამყოფელში გაატანესო. როგორც ის წიგნი, ისე ჩვენი დიდი ოცნებებიც თან გაიყოლა მარად დაუვიწყარმა მერაბ კოსტავამ.

რობერტ სტურუა. „თავადის ქალი და მათხოვარი". 1970წ.

რობერტ სტურუა

ჩემს დაუვიწყარ სახეებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ნათელი კაცი, დიდი ქართველი მხატვარი და ჭეშმარიტი მამულიშვილი ბატონი რობერტ სტურუა, ანუ დიდი რობერტი, როგორც მას ეძახდნენ არა მარტო მისი სააშაყო შთამომავალის, მსოფლიოში აღიარებული რეჟისორის, რობერტ სტურუასგან გამოსარჩევად, არამედ მისი განსაკუთრებული ხელოვნებისა და, მით უფრო, დიდი ადამიანურობისა და კაცური კაცობისთვის.

ბატონი რობერტი ჩემი ოჯახის უახლოესი მეგობარი და ნათესავი ვახლდათ. - ივი ყმაწვილკაცობიდანვე გამოირჩეოდაო ნიჭიერებით, განსაკუთრებულად აძაღლებული ადამიანური თვისებებით და კაცთმოყვარეობითო. ხშირად მეტყოდა მისი სიყრმის მეგობარი, ჩემი მეუღლის მამა, ცნობილი მხატვარი და შესანიშნავი ვაჟკაცი, ბატონი მიხეილ გვაჯაია. მე მქონდა ბედნიერება სისტემატურად დავსწრებოდი და სიამოვნება მიმეღო მათი ერთობლივი შემოქმედებითი შრომით, მით უფრო, მათი მეგობრული ლხინით და საოცარი ურთიერთდამოკიდებულებით. არასდროს დამავიწყდება მათი რუდუნება და სიყვარული დუშეთისა და ახალციხის მუზეუმების ექსპოზიციების განახლების, ისტორიული მასალის შესწავლის და მხატვრული გაფორმებისათვის. დაუვიწყარია ის შეხვედრები, რომლებიც სისტემატურად იმართებოდა ბატონ მიხეილის ოჯახში. ვის არ შეხვდებოდით აქ. მართლაც, დიდებული პიროვნებები გახლდნენ: ლადო გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ბიძინა ავალიშვილი, სევერიან მაისაშვილი, რუსუდან ჯავრიშვილი, ოთარ ფირალიშვილი, ვანო ასკურავა, პეტრე დათებაშვილი, ალიოშა ვეფხვაძე, თენგიზ ღვინიაშვილი, შალვა კვასხვაძე, გივი მაისურაძე, კიშა ხვიტია, შალვა ცხადაძე, ნაზი ელიაშვილი, თენგიზ სოსელია და მრავალი სხვა დიდი მამულიშვილი და ხელოვანი. მართლაც რომ, დიდებული თანავარსკვლავედია. დაუვიწყარია მათი საუბარი, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. ყველაფრის სულისჩამდგმელი კი რობერტ სტურა იყო.

რობერტ სტურუა

განსაკუთრებული სიყვარული აქონდა ბატონ რობერტს თავისი ნათლულის, ჩემი მეუღლის, მხატვარ ნონა გვაჯაიასადმი. რამდენი სითბო და სინათლე დააფრქვია მან მაშინ უცხო ენათა ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტის ნამუშევართა პირველ გამოფენას, რომელიც ინსტიტუტის საპროფესორო'ში მოეწყო. მალე კი, მისი სიყვარულის არეალში ჩემი შვილი, მხატვარი ლაშა ასათიანი მოექცა. არასდროს განელდება ის დიდი მადლი სიყვარულისა, რაც ჩვენი ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე გვაძლიერებდა და გვაცოცხლებდა.

აღსანიშნავია, რომ ნონა გვაჯაიას პერსონალური გამოფენა ინახულა გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა ანა ზეგერსმა და აღფრთოვანებული დარჩა. მისი გაოცება კიდეკ უფრო დიდი იყო, როცა მხატვრის მიერ შესრულებული თავისივე პორტრეტი იხილა ვერნისაჟზე. უჩვეულო იყო დიდი მწერლის აღტაცება და ისე მკაფიოდ გამოხატა პორტრეტის ნახვით მიღებული კმაყოფილება, რომ „გაიმეტეს“ და საჩუქრად მიართვეს სტუმარს. შემდეგ მწერალმა სამადლობელი ბარათი გამოუგზავნა მხატვარსა და

ნონა გვაჯაიას პერსონალურ გამოფენაზე: გ. ჩირინაშვილი, ტ. ჩირინაშვილი, ლ. გუდიაშვილი, მ. თალაკვაძე, ჟ. სტურუა, ც. სტურუა, რ. სტურუა, შ. ფურცხვანიძე, ბ. დათებაშვილი, შ. ცხადაძე, ს. მაისაშვილი, თ. ღვინიაშვილი, ნ. გვაჯაია, ჯ. ადვაძე.

გერმანისტს ნონა გვაჯაიას და საკულდაგულოდ მიიწვია გერმანიაში.

დღეს, სასიამოვნო გრძნობებს იწვევს გამოფენის შთაბეჭდილებების წიგნში გამონენილ ქართველ მოღვაწეთა მაშინდელი ჩანაწერები. მრავალითაგან, მკითხველს წარმოვუდგენ ორი დიდი მხატვრის ლადო გუდიაშვილისა და რობერტ სტურუას შეფასებას. სხვათა შორის, ჩვენი შეუღლების დღეს, მათ უძვირფასესი საჩუქრები მოგვართვეს - თავიანთი ფერწერული ტილოები: ლ. გუდიაშვილმა „ვაზაფხულის მეგობრები“, რ. სტურუამ „ხევსური გოგონა“.

რობერტ სტურუას შემოქმედებითი მემკვიდრეობა უამრავ მაღალმხატვრულ კომპოზიციას, პორტრეტს, პეიზაჟსა და მონუმენტურ ქმნილებას ითვლის, რომლებიც არაერთხელ გამოუფენიათ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოეთის საგამოფენო დარბაზებში. მისი უბრწყინვალესი მონუმენტური ქმნილება, რისთვისაც სტალინური პრემია მიენიჭა „გამარჯვების დღესასწაული საქართველოში“ ჭიათურის თეატრის ჭერს ამშვენებს, ხოლო ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ამსახველი ფართომასშტაბიანი კომპოზიცია სოფელ შრომის კულტურის სასახლის, რაკურსის პრინციპზე აგებული, პლაფონის უმშვენიერესი მოხატულობაა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტყიბულის კულტურის სასახლის პლაფონის გადაწყვეტა. მხატვარმა იგი ქართული ზღაპრების მოტივებზე შექმნა და დეკიზად „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ წარუმძღვარა. მთლიანი პანო ხუთი ნაწ-

სოსო გვიჯაია, ლადო გუდიაშვილი და ინსტიტუტის რექტორი პროფ. ვახტანგ ქოსორაძე

ლადო გუდიაშვილი ანა ზეგერსის პორტრეტთან

ილისაგან შედგება და ქმნის ცხოვრებისეული სიმართლითა და რომანტიკულობით გაცოცხლებულ სრულყოფილებას. კონ-ტრასტული ტონების ერთიან მომხიბვლელობას და განსაკუთრე-

ბულ პარმონიას.

საოცარი პლასტიკურობით გამოირჩევა და აღმაფრენით გვავსებს რობერ სტურუას მონუმენტური ტილო „თინათინის გამეფება“. რომელიც გალის რაიონის სოფელ ჩხოროთოლის კულტურის სახახლის პლაფონის მოქნიბულელი კოლორიტით გამორჩეული მოხატულობაა. ასევე აქაღლებული საზეიმო განწყობას გადმოსცემს საქტრედიის კულტურის საიახლის კედლის მოხატულობა - სამ-



ლადო გუდიაშვილისა და რობერტ სტურუას ჩანაწერები

რობერტ სტურუა და პატარა ლაშა ასათიანი ხახულოსნიში

მიხეილ გვაჯაია

ფიგურიანი კომპოზიცია „სცენაზე გამოსვლამდე“, სოფელ რუხის კულტურის სახლის დეკორატიული პანო „დაე, მუდამ იყოს მზე“, ხაოცარი ფერებითაა აცისკროვნებული ქიაოურის თეატრის მხატვრული გალერეა, სადაც ეროვნული არტისტიზმითა და რომანტიკული სულითაა წარმოდგენილი რობერტ სტურუას უკვდავი ქმნილებები: „ნატო ვაჩნაძე“, „უშანგი ჩხეიძე იაგოს როლში“, „აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე ოტელოში“. რომელი ერთი ჩამოვთვალო, სტურუასეული ფერთა სინარნარით შესრულებული პორტრეტული, პეიზაჟური, მონუმენტური, მრავალფიგურიანი კომპოზიციური თუ ფრესკული ქმნილებები: „ნეში ქვეყნის დღესასწაული“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „თამარი“, „დავით აღმაშენებელი“, „თბილისის განთავისუფლება“, „ძველი თბილისი“, „ხიდის მშენებლობა“, „შოთა რუსთაველი“, „თამარ მეფე ვარძიაში“, „ნ. ბარათაშვილი მანანა ორბელიანის სალონში“, „ნინო ქაფქაფაძის პორტრეტი“, „საყურე“, „ქალიშვილის პორტრეტი“, „მხატვრის ქალიშვილი“, „ხევსური გოგონა“, „ქალიშვილი თავსაბურავ-

ით“, „ლეკვი ლომისა სწორია“, „უფლისციხე და გოგონა“, „ახალი ხევსურეთი“ და მრავალი სხვა.

„ნინო ჭავჭავაძის პორტრეტის“ ხილვისას, იგონებს ხელოვნებათმცოდნე ნ. ელიაშვილი, პოეტმა გიორგი ლეონიძემ აღტაცება ვერ დაფარა და თავისი სიხარული ლექსად ამოთქვა: - „აქედან ვიცი, რომ სილამაზეს არ უწერია გადაშენება“,

გამორჩეულია რობერტ სტურუას ნამუშევრები ქართული წიგნის გრაფიკის დარგში. ცხოვრებისეული სიმართლითა და ფერთა გამის მაღალმხატვრული კონტრასტულობითაა დასურათებული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი ერისთავის, ვასილ ბარნოვისა და სხვათა ლიტერატურული ძეგლები.

ცალკე კვლევის თემაა რობერტ სტურუას ის უკვდავი ქმნილებები, რომლებშიც მშობლიური მხარის ამსახველი პეიზაჟები და დიდ შემოქმედებით პრიზმაში განცდილი საქართველოს ისტორიის ფოლიანტებია ამეტყველებული. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ციკლი - „სვეტიცხოველი“, „სვანეთი“, „გრემის ნანგრევები“, „უჯარმა“, „ნინოწმინდა“, „ფიტარეთი“, „ნარიყალა“, „გეგუთის სასახლე“, „კოშკები“, „ქვათახევი“, „ყველაწმინდა“, „ბოლნისის ტაძარი“, „თბილისის გარეუბანი“ და მრავალი სხვა, რომლებშიც მხატვრის სულიერი სიმაღლე, საკუთარი ისტორიისადმი დიდი მოწიწება, ღრმა განცდა, ეროვნული კოლორიტის განუმეორებელი შემცველობა და უსაზღვრო სიყვარულია გადმოცემული.

სიყვარულია-მეთქი! ამეტყველებული მის ყველა ქმნილებაში. სიყვარული და ოცნება იყო რობერტ სტურუა. სიყვარულისთვის გაჩენილი და თავადაც სიყვარულის მიმნიჭებელი. სადაც კი იყო, საოცარ ადამიანურ სითბოს აგრძნობინებდა ყველას. ყველა უყვარდა და აუგს ვერავისზე ვერ დააცდევინებდი. კაცთმოყვარე იყო და ამ მხრივ ტყუპისცალივით პგავდა დიდ ლევან სანიკიძეს. ისინი თანამედროვენი იყვნენ და ერთად ქმნიდნენ ჩვენი ეპოქის სიდიადეს, ხელოვნებელ სიწმინდესა და შთამბეჭდავ ხელოვნებას.

რობერტ სტურუას მრავალ, განსაკუთრებით გამორჩეულ ადამიანურ თვისებათა შორის გამოვყოფ ერთს - მოყვასისადმი დახმარებასა და გვერდში დგომას. იგი დიდი ოჯახიშვილი იყო და ყველგან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. მიუხედაკად იმისა, რომ არასდროს თანამდებობა არ ჰქონია, დილიდანვე მის სახლში აურაცხელი მეგობარი, ნაცნობი თუ უცნობი მოდიოდა და ყველას ბატონი რობერტის იმედი ჰქონდა. ზოგს რა უჭირდა და ზოგს რა. ისიც დაუზარებლივ მიპყვებოდა მათ, უანგაროდ უგვარებდა სამსახურის, ბინის, საავადმყოფოს, სახელოსნოს, ლხინისა და ჭირის მრავალ პრობლემას. ბოლოს კი ორი ბოთლი ღვინო, ტკბილი საუბარი და კეთილი სადღეგრძელო იყო. თუ ვინმე პურძვირი შეხვდებოდა, თავადვე დაპატიჟებდა, პურმარილის ეშხს აგემებდა, კაცურ სიტყვას შთააგონებდა და აზრზე მოიყვანდა.

დიდი იყო მისი სამეგობრო. ყველგან სასურველი კაცი გახლდათ და ყველას უყვარდა. უყვარდათ ალალად, თავადაც ალალი, უშურველი და სიყვარულით სავსე; ამასთან პრინციპული, ადამიანუკობის მაღალი კანონების დამცველი და დაუთმობელი. სიმართლე იყო მისი სანთელი და საკმეველი. სილამაზე კი სულში ჰქონდა ანთებული და ულამაზოს ვერც ქცევას იტანდა და ვერც ხასიათს. სულ შეყვარებული იყო და ტრფობის ცეცხლში იწვოდა, სულ სიგარეტი ეჭირა ხელში და სიყვარულით იფერფლებოდა. ადამიანები უყვარდა, მეგობრებთან ყოფნა და მათთან ჭიქის აწევა. ღვინის ტრფიალი და მისი სწორუპოვარი დამფასებელი იყო. ახალგაზრდა მხატვრები „ბაბაიას“ ეძახდნენ, მართლაც მამასავით მ ხრუნველ უფროს მეგობარს.

იუმორის დიდი გრძნობა ჰქონდა ბატონ რობერტს. გამოჩენილი მხატვარი გოგი თოთიბაძე წერს, რომ „ერთხელ რობერტი და ჟორა ხალათოვი, ცნობილი მხატვარი და რესტავრატორი, შუაღამისას შინ ბრუნდებოდნენ შექეიფიანებულნი. სამხედრო აღლუმის რეპეტიციის მოლოდინში ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილი იყო. სანაპიროზე ტანკების კოლონა იდგა. რობერტმა ნაწილის უფროსს სთხოვა, ტანკით სახლში მიგვიყვანეო. არც

უფროსს ჰკლებია იუმორის გრძნობა და რობერტ სტურუა და ჟორა ხალათოვი სახლში ტანკით მიუგრიალეებიათ“.

საოცრად თავმდაბალი და მოკრძალებული კაცი გახლდათ უპირველესთა შორის უპირველესი რობერტ სტურუა. ამასთან, დიდი პოეტური ბუნება პქონდა და სილამაზის აღქმის ზეციით ბოძებული ნიჭი. მე, მისი უახლოესი მეგობრის შვილისა და ნათლულის მეუღლეს, ისე მექცეოდა, თითქოს მისი სწორი და ტოლი ვყოფილიყავ. მათამამებდა, ხშირად სუფრასთანაც მიმიწვევდა და მეძლეოდა საშუალება ცხოვრებისადმი მისი ლაღი დამოკიდებულების შეგრძნებისა. ზეიმი იყო მასთან ყოფნა. ვინ არ მოაკითხავდა - მწერლები, მუსიკოსები, ხუროთმოძღვრები, თუ უბრალო ადამიანები. ყველას მოეფერებოდა, გულში ჩაიხუტებდა; სუფრიდან სუფრაზე გადავდიოდით, იყო ლექსი, სადღეგრძელო, სიმღერა და უსასრულო... ბედნიერება. ლამაზად აკეთებდა ყველაფერს, სილამაზე დასდევდა ყველგან და ყოველთვის. კარგად მახსოვს მისი სიტყვები: „ეცადეთ სილამაზე დაინახოთ, თვალი და გული გაახაროთ და ყველაფერში ლამაზი და მიმზიდველი აღმოაჩინოთ“.

ბატონი რობერტი სილამაზეს ქმნიდა. ყოველი მისი ნახატი ლამაზი და თვალწარმტაცია. გულს ახარებს ფერთა გამა და ჰარმონიულობა. დიდი ხელოვნების დანიშნულებაც ხომ სილამაზე და ადამიანის გახარებაა. „ყველაზე მეტად მაინც მისი ფუნჯის სიმსუბუქე მაოცებს, წერს ქ. ანანიაშვილი, ეს უწონადობა ცოცხალ თვალისგამხარ, თვალისგამახალისებელი ფერთა, ეს, მე ვიტყოდი, ფერთა ბრწყინვალე შადრევნები! აბა, შეხედეთ, რა ათასსაირად აბრუნებს ის თვითეულ ფერს; რამდენნაირი წითელია, რამდენნაირი იისფერი! და მაინც, მწვანე ფერია მისი ტრფიალი - ფერი სიცოცხლისა“.

მახსენდება ბატონ რობერტ სტურუას მონაყოლი: ერთმა, სუფრასთან გაცნობილმა კაცმა ეულდაგულ მთხოვა: - შენ გენაცვალე, დედაჩემის მხოლოდ ერთი ძველი სურათი დამრჩა და გეხვეწები დამიხატეო. აბა, უარს როგორ ვეტყოდი, კაცი დედის პორტრე-

რობერტ სტეფანი „თამარ მეფე"

რობერტ სტურუა მუშაობისას

რობერტ სტურუა „ამირანი და ეამარი“, „სეფი ხევსურეთი“

ტის დახატვას მთხოვდაო. გამოვართვი ნახევრად გაცრეცილი ფოტო და შევუდექი მუშაობასო. ფოტოზე არცთუ ლამაზი ქალი იყო გამოსახული. მაგრამ დედა იყო და ჩემს სტილში, ლამაზად წარმოვაჩინე და ასე მივართვი მის შვილსო. და პოი, საოცრებავ, - კი გაკვ დედაჩემს, მაგრამ იგი ასეთი ლამაზი არ იყოო! - გაოცებულმა მოვისმინეთ პასუხი შვილის. ვეღარ მოვითმინე და მწარალად შევნიშნეო: - შე დალოცვილო, დედის პორტრეტი ლამაზად დახატული მოგართვი და ამიტომ სწუხარო! უკვირდა სილამაზის შემოქმედს.

ბევრი დაიწერა რობერტ სტურუას ხელოვნებაზე, კიდევ ბევრი დაიწერება, მაგრამ ყერ შეივსება ის საწყაული, რასაც ამ ვენიალური მხატვრის დიდება პქვია. ერთი გაზეთი ირაკლი აბაშიძის ლექსის სტრიქონებს იშველიებდა: „ის კაცი იყო, პქონდა კაცის ყველა თვისება, წლობით შეეძლო ემიჯნურა, ეგრძნო, ელოთა“... მე კი, მისთვის უსაყვარლეს ომარ ხაიამს დავესესხები: „ღვინის წინ წყალით არ მოვიკლავ წყურვილის მადას, თუ ტანჯვის ხელით მეც ტკბილ შარბათს არ შევსვამ ცხადად. მე სხვის მარილზე არაჩიდეს პურს არ დავაწებ, თუ იმ სუფრაზე ჩემი ღვიძლი არ მიქნა მწვადად“. ხოლო ამ პატარა წერილს, ჩვენი საერთო მეგობრის, ცნობილი მხატვრის გივი მაისურაძის სიტყვებით დავამთავრებ: - რობერტ სტურუას შემოქმედებასთან სიკვდილს დაუჩოქია, მსახვრელი ხელი დიდ ხელოვნებას გამიჯვნია და ნადი ნიმუშები მის სათაყვანო საქართველოს დარჩენია სულისა და სიამაყის მაცოცხლებლად. დღესაც გულუხვად რომ უზიარებს სიყვარულსა და სითბოს ჭეშმარიტი ხელოვნების ოაყვანისმცემლებს.

ვლადიმერ გაბუა

ქართული პედაგოგიკური მეცნიერების მკვლევართა შორის, ჩემთვის გამორჩეულად დაუკიწყარი სახეა ბატონი ვლადიმერ გაგუა. იგი პუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მდიდარია მისი მეცნიერული და პედაგოგიური მემკვიდრეობა, მრავალფეროვანი და ნაყოფიერია მისი საზოგადოებრივი საქმიანობა. იგი გამოირჩეოდა ნიჭიერებით, სწორი მეცნიერული ალღოთი და წინაოგრძნობით, კაცთმოყვარეობით, ადამიანებისადმი ერთგულებითა და დიდი სიყვარულით, მაღალი პუმანიზმითა და ოჯახისშვილობით.

დიდი გიორგი თავზიშვილის საყვარელი მოსწავლე განუხრელად ავრძელებდა მის გზას როგორც მეცნიერებაში, ასევე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მან უმწიკვლოდ განვლო ცხოვრების რთული და ლაბირინთებით სავსე, გრძელი გზა და არასდროს დავიწყებია ვისი გორისა იყო. მიუხედავად დიდი სიყვარულისა და უსვად გაცემული სიკეთისა, სიმწარეც ბევრი იგემა, მაგრამ არასდროს დაუკარგავს წონასწორობა. ღრმა და ნათელი იუმორის ლადო გაგუა დღესაც ადამიანურობის ეტალონად რჩება ჩვენს ცხოვრებაში.

პურმარილის ტრფიალიც იყო ბატონი ლადო. იგი ღვინის დამფასებელი და შემრგები კაცი გახლდათ. მეგობრებთან ყოფნა უყვარდა, დიდი სამეგობროს თავკაცსა და სიყვარულით სავსე პიროვნებას. ერთხელ თუ შენთან მოილხენდა, მეორედ აუცილებლად თავისთან წაგიყვანდა, სახლში მიგიპატიჟებდა და თავზე გადაგყყებოდა. თავისი დიდი ოჯახის მადლს გაზიარებდა და, რაც ძალიან უყვარდა, თავისი ხელით გამომცხვარ მეგრულ მჭადს მოგართმევდა, ეგზოტიკურ, ნაღდ ქართულ სუფრას გაგიშლიდა, საყვარელ მეზობლებსაც მოიწვევდა, გვერდით მოგიჯდებოდა და ბედნიერ წუთებს გაგატარებინებდა. კარგად მახსოვს ერთ ჩემს ახლობელს, რომელიც ხშირად იყო ჩვენს სუფრასთან და ყოველთვის ამბობდა, როგორ ძინდა მეც დაგპატიჟოთო, მაგრამ

ვლადიმერ ვაგუა

ვერა და ვერ დააყენა საშველი. ლადომ უთხრა: - მე მგონია, რომ შენ ლევან ახალიანს დიდხანს ვერ შერჩებით. ბურმარილიანი კაცი უბურმარილო კაცს ვერ ეგუებაო! ისე აგიხდათ ყველაფერი სიკეთე, როგორც ბატონ ლადოს სიტყვები გამართლდა.

სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი შეგობრებზე ფიქრობდა. მათ პრობლემებს წყვეტდა და სიკეთის ქმნით იხარგრძლიეებდა დღეებს. აშვიათად შინახავს ახლობლებზე, ოჯახზე და საერთოდ ადამიანებზე ესოდენ შეყვარებული კაცი. მას სიცოცხლე უყვარდა, ცხოვრება უყვარდა და ყველას სიყვარულსაც უხვად იძლევდა. ერთი წელია, რაც ჩვენგან წავიდა და უკვე დაიბუდა მისი ნათელი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სქელტანიანი გამოკვლევა - ლალი

ტაბატაძისა და რევაზ ბალანჩივაძის „უმაღლეს ღირებულებათა საშსახურში“, სადაც შესანიშნავადაა აღწერილი ბატონ ლადო გაგუას ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოკვეთილია მისი დიდი მეცნიერული ღვაწლი და ერთგულება დიდი ილიას, იაკობის იდეებისადმი. საფუძვლიანადაა განხილული მისი ფუნდამენტური ნაშრომები. მისი „პედაგოგიკის“ მიხედვით გაანალიზებულია: „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“, „დიდაქტიკა“, „აღზრდის თეორია“, ასევე „პედაგოგიკის შესავალი“ და „პედაგოგიკის ისტორია“; გამოკვლევები სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს და ჟან-ჟაკ რუსოს პედაგოგიური იდეების შესახებ.

წიგნში მოცემულია ბატონი ლადოს ახლობელთა მოგონებები, სადაც ნათლად ჩანს საზოგადოებრიობის ღირსეულ წარმომადგენელთა საოცრად თბილი და გამორჩეული სიყვარული ჩვენი თანამედროვეობის დიდი ადამიანის მიერ გაწეულ ღვაწლსა და კაცურ კაცობაზე. ამ წიგნში დაბეჭდილია ჩემი მოკრძალებული წერილიც დიდ მეცნიერსა და გამორჩეულ უფროს მეგობარზე.

უწარჩინებულესი

სამი ათეული წლის მეგობრობა მაკავშირებს ბატონ ვლადიმერ გაგუასთან. იგი, უპირველესად, დიდებული ქართველი კაცი იყო, ჩინებულად პქონდა შეთვისებული ეროვნული ტრადიციები და განსაკუთრებულ პატივს ოჯახსა და მამულიშვილობას ანიჭებდა. ცნობილი პედაგოგის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი ბატონი ლადო მთელი სიცოცხლის მანძილზე იცავდა მამის დიდი ოჯახის ნათელ ტრადიციებს, რაც, უპირველესად, დიდ კაცთმოყვარეობაში, ადამიანების გამორჩეულ სიყვარულში, თანადგომასა და უანგარო დახმარებაში გამოიხატებოდა.

საოცრად კეთილი და ბავშვივით გულუბრყვილო ბუნების კაცი იყო ბატონი ლადო. საოცარი მოუერება იცოდა, უსაზღვროდ უხაროდა მეგობრების წარმატება და უსაზღვროდვე ტკიოდა ტკივილი მათი. თავად დიდ ტკივილთან განუყრელად თანაზიარს, არასდროს უჩვენებია ცრემლი და უოკ ახლობლებისათვის: - კაცმა თავის გულს თვით უნდა უპოვოს ადგილი და ყველა ტკივილი

შიგ ჩაიკლასო, - რამდენჯერმე უთქვამს ჩემთვის უმძიმეს დღეებში.

ბატონი ლადოს მრავალ გამორჩეულ თვისებათა შორის უპირველესი მოკრძალება და თავმდაბლობა გახლდათ. არ იყო ამაყი, არადა, საამაყო ძალიან ბევრი პქონდა. ჩვენი დარგის სპეციალისტთა შორის ივი ერთ-ერთი უპირველესი და უწარჩინებულესი წარმომადგენელი იყო. ამის ნათელი დასტურია მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელსაც ყოველთვის თან ახლდა სიკეთე და ერთგულება, არაჩვეულებრივი გულწრფელობა, პროფესიული მომთხოვნელობა და ადამიანური ლმობიერება.

ბატონ ლადოს კალამს ეკუთვნის 270-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 28 მონოგრაფია და 5 სახელმძღვანელო, მათ შორის ბოლო წლებში დაბეჭდილი „პედაგოგიკა", რომლის რედაქტორობის პატივი მე მერგო წილად, რითაც სამართლიანად ყამაყობ კიდეც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ ლადო გაგუას ღვაწლი ქართული პედაგოგიკური აზროვნების უდიდესი წარმომადგენლ..ს იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის შესწავლასა და გამოცემაში. მან დიდი შრომა გასწია სხვადასხვა მიზეზთა გამო და უკუღმართი იდეოლოგიის პირობებში იაკობის დაკარგული თხზულებების, ზოგადპედაგოგიკური და პუბლიცისტური ნაშრომების გამოვლენის, კომენტირებისა და გამოქვეყნებისათვის.

ბატონი ლადო მშვენიერი მოქართულე, გამორჩეული მჭევრმეტყველი და ორატორი იყო. მისი ყოველი გამოსვლა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე-თავისი პატრიოტული სულისკვეთებითა და პირუთვნელობით.

დღეს, ღირებულებათა გადაფასების მძაფრ პერიოდში, კიდევ უფრო მეტ ძალას იძენს ბატონ ლადო გაგუას მიერ განყლილი გზის ის ნათელი მაგალითები, რომლებიც ჩვენი ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობას ეხება, მისი ღვაწლი ფასდაუდებელია დღევანდელი სახალხო განათლების განვითარებისათვის, სადღეისო და სამომავლო სასკოლო სისტემის შექმნისა და სრულყოფისათვის.

„საქართველო - 85“

1983 წელს, ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი და მარად დაუვიწყარი სანე ბატონი ნუგზარ შალუტაშვილი, რომელიც მაშინ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე გახლდათ, მოულოდნელად ავად გახდა. იგი სერიოზულ და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებდა. მისი დაჟინებული თხოვნით და საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, დროებით, ბატონ ნუგზარ შალუტაშვილის გამოჯანმრთელებამდე, მისი მოვალეობის შესრულება დამევალა.

იმ მრავალრიცხოვან შემოქმედებით, სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებს შორის, რომელთაც საზოგადოების ეგიდით ვამზადებდი და ვხელმძღვანელობდი, მნიშვნელოვანია ფოლკლორული ფესტივალი „საქართველო - 85“ და ქორეოგრაფიის სახალხო უნივერსიტეტის დაარსება, რომლის პირველ რექტორად დიდი ილიკო სუხიშვილი ავირჩიეთ.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა კუთხის ცნობილმა მხატვრულმა კოლექტივებმა, ასევე რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და მოლდავეთის მაღალმხატვრულმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. სულ 130 სტუმარი გყეწვია.

ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა 8 ნოემბერს, მცხეთის თეატრონში და გაიმართა დიდი კონცერტი. გულთბილად შეგვხვდნენ მცხეთის რაიონის მშრომელები, სტუმრებს დავათვალიერებინეთ ქალაქი-მუზეუმი, ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები. 9 ნოემბერს ფესტივალი გაგრძელდა მახარაძეში. დაუვიწყარი შეხვედრები და კონცერტები გაიმართა სოფელ ბახვისა და შემოქმედის მშრომელებთან, ანასეულის ჩაის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში. ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის

ფესტივალის ემბლემა, მხატვარი ნ. გვაჯაია

ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის გამგე, პროფ. კ. ჭოხონელიძე, გურული სიმღერების აღმდგენელი და შემსწავლელი სკოლის ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი გ. სალუქვაძე და მისი ფოლკლორული ანსამბლი „იადონი"; შესრულდა: „შენ ხარ ვენახი", „ალიფაშა", „ნადური" და „სიმღერა მშვიდობაზე"; ანსამბლმა „ლანჩხუთი" მ. მათითაიშვილის სამხატვრო ხელმძღვანელობით შეასრულა: „გრძელი ღიღინი", „ძველი შვიდკაცა", „ალილო", „ვახტანგური". საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორის განყოფილების გამგე თ. პავლოვა, ფოლკლორული ფესტივალების საერთაშორისო კომიტეტის პასუხიმგებელი მდივანი ბ. მალ-

იცკაია, საქართველოს ქორეოგრაფიის სახალხო უნივერსიტეტის კათედრის გამგე ა. თათარაიძე, პროფ. ვ. გვახარია და თბილისის კონსერვატორიის დოცენტი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვ. მაღრაძე, რომელმაც ფოლკლორული ანსამბლის „მესხეთის“ შესრულებით წარმოადგინა მის მიერვე აღდგენილი მესხური სიმღერები: „ბაიბურთისაი ძიდორზედა“, „თქრომქედელო“ და „მამლი შუხახა“; წარმატებით გამოვიდნენ ფოლკლორული ანსამბლები: „სალხინო“ (ხელმძღ. ბ. ხეცურიანი), „ელესა“ (ხელმძღ. ი. თოთიძე), „ლილე“ (ხელმძღ. ჯ. მეშველიანი); ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ბახმარო“ (ხელმძღ. ვ. ტუღუში), „ხიხაძირი“ (ხელმძღ. ე. ხალვაში) და სხვ. 10 ნოემბერს ფესტივალმა გადაინაცვლა ზუგდიდში. შესვენდრები შედგა ქადალდის კომბინატისა და ენგურჰესის მშრომელებთან, საღამოს კი გაიმართა დიდი კონცერტი. 11 ნოემბერს ფესტივალის მონაწილენი ესტუმრნენ ხობს, გაეცნენ ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს. საზეიმო საღამო მიუძღვნეს ღვაწლმოსილი ქართველი ლოტბარის ნოკო ხურციას დაბადებიდან 80 წლისთავს.

ფესტივალი „საქართველო-85“ დიდი ზეიმით დაიხურა ხობის თეატრონის სცენაზე. ფესტივალს დიდი გამოხმაურება ჰქონდა, გამოქვეყნდა საგაზეთო სტატიები, ფართოდ გაშუქდა ტელევიზიით. უცხოელმა სტუმრებმა თავისი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდეს მრავალი წერილი და ფესტივალის ამსახველი ფოტოსურათები. მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს ხალხური სიმღერის დიდი მოამაგის, ცნობილი ჟურნალისტისა და მწერლის თემურ ქკუასელის ვრცელი სტატიიდან - „ფესტივალი დაიხურა, მზადება დაიწყო“, რომელიც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა 1985 წლის 21 ნოემბერს: „მოქუფრული ღღეა, მაგრამ თეატრონის ტრიბუნებიდან მაინც ლამაზად მოჩანს ჯვრის ბებერი მონასტერი, მარცხნივ მტკვრის ტალღები, გაღმა, შემაღლებულ'ზე, საგურამო და ზედაზენი. ირგვლივ ისეთი სიმშვიდეა, ისეთი სიწყნარე, ძნელად თუ იფიქრებ, რომ სულ რაღაც 20 წუთ'ში აქაურობა სიმღერამ და ცეკვამ უნდა დაიპყროს. არადა,

ვიდაც მიკროფონში ნაილაბარაკებს და მთელ თეატრონს ეხმის, რომ ფოლკლორული ფესტივალი „საქართველო 85“-ის გახსნამდე დარჩა 20 წუთი. 20 წუთის შემდეგ რაც დაიწყო და რაც მოხდა თეატრონის სცენებზე, ამის სიტყვებით გადმოცემა ისევე ძნელია, როგორც ხახანმეგურას ხიმღერა... ფესტივალის გახსნის დღეს კონცერტში მონაწილეობდა 625 კაცი. მათ დაახლოებით 5000 მაყურებელი უკრავდა ტ:შს. საერთოდ კი ფესტივალის ოთხივე დღეს საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 100 მხატვრული კოლექტივის 2500-ზე მეტმა მონაწილემ... მოდით, მთავარს იმედით შევხედოთ და დაველოდოთ იმ დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდება. მჯერა, რომ არც ეს დღე უნდა იყოს ცხრა მთას იქით“.

ქორეოგრაფიის სახელმწ. უნივერსიტეტის გახსნა: გ. ჯიბლაძე, ლ. ახათიანი, ბ. დარახველიძე, კ. მანჯგალაძე, ა. თათარაძე, ვ. ხანაძე, გ. ოდიკაძე, შ. რაქვიაშვილი, ხუხიშვილი, მ. შუბაშიკელი, რ. ქოსონელიძე და სხვ. 1985 წ.

ჯიმშერ მუჯირი

საქართველოს განათლების დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი ნათელი და დაუვიწყარი სახეა ბატონი ჯიმშერ მუჯირი.

იგი 1965 წელს გავიცანი და სიცოცხლის ბოლომდე მასთან თბილი მეგობრობა მაკავშირებდა. ბატონი ჯიმშერი ღრმაშინაარსიანი პიროვნება გახლდათ. თვითონ ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ოჯახისშვილობას, ადამიანთა კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას და თანაგრძნობას. იგი ესთეტიკოსი იყო და სწორედაც გამოირჩეოდა მაღალესთეტიკური ცხოვრების წესით. ბატონი ჯიმშერი მაშინ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოში მუშაობდა. კოლეგები უსაზღვრო პატივს მიაგებდნენ მას. მისი ინიციატივითა და რუდუნებით, ჯერ კიდევ 1963-64 წლებში, შემუშავდა ესთეტიკური აღზრდის მეთოდური ცენტრის შექმნის პროექტი. ამ ნათელ ჩანაფიქრს 1965 წელს ფრთები შეესხა: ჩამოყალიბდა საქართველოს განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი და მისი ხელმძღვანელობა მისსავე სულისჩამდგმელს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ბატონ ჯიმშერ მუჯირს დაევალა.

კაბინეტი აერთიანებდა მუსიკის, ლიტერატურისა და მხატვრული კითხვის, სახვითი ხელოვნების, ქორეოგრაფიის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, მეთოდური ლიტერატურისა და საორგანიზაციო განყოფილებებს, ასევე კინო და კინო-ფოტო ლაბორატორიებს.

განყოფილებებთან შეიქმნა საკონსულტაციო სექციები, რომლებშიც ხელოვნებისა და პედაგოგიკური მეცნიერების წამყვანი სპეციალისტები მუშაობდნენ. ფასდაუდებელია კაბინეტის როლი ახალგაზრდობის ესთეტიკური დონის ამაღლებასა და განვითარებაში. მან შუამავლის ფუნქცია იკისრა პედაგოგიკის მეცნიერებას, სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს შორის. კაბინე-

ტის საქმიანობამ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის პრაქტიკას მკვეთრად გამოხატული სისტემური ხასიათი მიანიჭა.

მუსიკის განყოფილება თანამიმდევრულ მეთოდურ დახმარებას უწევდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ სამუსიკო სტუდიებს, სადაც ათიათასობით მოსწავლე იყო გაერთიანებული. პედაგოგ-მეთოდისტები ესწრებოდნენ გაკვეთილებს, აწყობდნენ მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელთა, სამუსიკო სტუდიებისა და სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებს, ადგენდნენ და გამოსცემდნენ ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ კრებულებს, მუსიკალური ნაწარმოებების ანთოლოგიებს, მართავდნენ კონკურსებს საბავშვო საფორტეპიანო, საგუნდო, სასულე და სიფმონიური ორკესტრის ნაწარმოებთა შესაქმნელად, ატარებდნენ სამუსიკო სტუდიების სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკურ დათვალიერებებს და გამარჯვებული მოსწავლეები გამოპყავდათ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ფილარმონიის საკონცერტო დარბაზებში. გახშირდა მოსკოვის, რიგის, ვილნიუსის, ტალინისა და მინსკის მოსწავლეთა საგუნდო ჯგუფების სტუმრობა თბილისში და ქართული საბავშვო საგუნდო ანსამბლების გამოსვლები უცხოეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეროვნული საგუნდო ფოლკლორისა და ქართული ხალხური ინსტრუმენტული მუსიკალური კულტურის პროპაგანდას.

აღსანიშნავია 1967 წელს, ბატონ ჯიმშერის უშუალო ინიციატივითა და შრომით, თბილისში პირველი სამუსიკო საშუალო სკოლა-ინტერნატის დაარსება, რომელიც მეთოდური კაბინეტის ექსპერიმენტული ბაზა გახლდათ. აქ თეორიული საგნების სწავლება ცნობილი უნგრელი მუსიკოსის კოდაის რელატიური სოლმიზაციის მეთოდით ხორციელდებოდა.

უმნიშვნელოვანესია კაბინეტის სახვითი ხელოვნების, ქორეოგრაფიის, ლიტერატურისა და მხატვრული კითხვის, მეთოდური ლიტერატურის განყოფილებათა მუშაობა მოსწავლეთა

ესთეტიკური აღზრდისა და განვითარებისათვის.

კაბინეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ხელოვნური აღზრდის“ სექტორთან, რომელიც ესთეტიკური აღზრდის თეორიის კვლევისა და პრაქტიკის ორგანიზაციის ცენტრი გახლდათ. სექტორის თანამშრომელთა გამოკვლევები სისტემატურად იბეჭდებოდა პედაგოგიურ პრესაში, ინსტიტუტის შრომათა კრებულებში. ქეყნდებოდა ცალკე მონოგრაფიებად. „ხელოვნური აღზრდის“ სექტორმა ესთეტიკური აღზრდის თეორიის კვლევას საფუძვლად დაუდო ფილოსოფიური, პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევები და მოამზადა წანამძღვრები კვლევის შემდგომი გაღრმავებისათვის (გ. ჭანიშვილი, ჯ. ბუსურაშვილი, თ. კანდელაკი, მ. თაბორიძე, ქ. ტუსკია, ნ. ანთიძე, გ. მიქაძე, ო. ალავიძე). ამასთან, ხორციელდებოდა პრაქტიკული ხასიათის სამუშაოები - ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლებისათვის: იქმნებოდა სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, ფონოქრესტომათიები რომლებშიც ამ თეორიული ხასიათის კვლევამ პრაქტიკული რეალიზაცია პოვა. ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის განყოფილებები ფართოდ იყენებდნენ მეცნიერთა მიღწევებს და ქმნიდნენ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მწყობრ სასწავლო-სააღმზრდელო სისტემას.

კაბინეტის მეთოდისტთა შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა ქართველი კლასიკოსი მწერლების ჩანაწერთა ფონდი, რომელთა შემოქმედებამ გამოხატულება პოვა მუსიკაში, თეატრში, სახვით ხელოვნებაში და ა. შ. განახლდა პროგრამები ლიტერატურის, ხელოვნური კითხვის, დრამატული და თოჯინების წრეებისათვის; დაიბეჭდა დამხმარე სახელმძღვანელო „ხელოვნური კითხვა სკოლაში“, მეთოდური კრებულები, რომლებშიც ხელოვნური კითხვის ოსტატები გამოცდილებას უზიარებდნენ მასწავლებლებსა და ხელოვნური კითხვის წრის ხელმძღვანელებს; გაუმჯობესდა სახვითი ხელოვნების სწავლება, გარკვეული პირობები

კაბინეტის სამხატვრო სამქროს სხდომა: ჯიმშერ მუჯირი, ლეონ ასათიანი, ნიკო შველიძე, უშანგი ობოლაძე, ილიკო ხუხაშვილი და სხვ.

შეიქმნა უძველესი ქართული გამოყენებითი ხელოვნების ტრადიციების ასაღორძინებლად. მასში მოსწავლე ახალგაზრდობის ფართოდ სასაბმელად. გაიხსნა სამხატვრო სკოლა-ინტერნატი. საქვეყნოდ გაითქვა სახელი მოსწავლეთა კერამიკულმა სკოლამ ზესტაფონში, ქსოვის წრეებმა ახმეტის რაიონის სოფელ ალვანსა და დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოში, ხალიჩების ქსოვამ - თუშეთის სკოლებში, ხეზე კვეთის მოსწავლეთა ჯგუფებმა - სვანეთში, შეიქმნა ხის მხატვრული დამუშავების პირველი სასკოლო მუზეუმი თბილისში და სხვ.

ბატონ ჯიმშერ მუჯირის განსაკუთრებული ხელშეწყობით, 1968 წელს კაბინეტთან გაიხსნა ბავშვთა მხატვრული ნამუშევრებისა და გამოყენებითი ხელოვნების რესპუბლიკური მუზეუმი, სადაც საქართველოს მოსწავლეთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები გამოიფინა. მუზეუმის ექსპონატები (ფერწერა, კერამიკა, ჭედურობა,

დეკორატიული ხალიჩები, ქსოვისა და ხის მხატვრული დამუშავების ნიმუშები) ხშირად იყო გამოფენილი მოსკოვში, რიგაში, ლენინგრადში, ასევე იაპონიაში, უნგრეთში, საფრანგეთში და მნახველთა აღტაცებას იწვევდა.

კაბინეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა ქორეოგრაფიული წრეებისა და სტუდიების მუშაობას, რომლებშიც ისწავლებოდა ქართული ხალხური და საზღვარგარეთული ცეკვები; იგი ეამოსცემდა პროგრამებს, მეთოდურ მითითებებს; ატარებდა სემინარებს, კონკურსებს და ა. შ. ქორეოგრაფიული სტუდიებისა და წრეების ხელმძღვანელებთან სისტემატურად მუშაობდნენ: ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი, ბუხუტი დარახველიძე, რომან ჭოხონელიძე, კოტე ჭანიშვილი, ავთანდილ თათარაძე, გიორგი ჯიბლაძე, ზურაბ კიკალეიშვილი, ვერა წიგნაძე, ბექა მოსავარდისაშვილი და სხვები.

მეთოდური ლიტერატურის განყოფილებამ გამოსცა და რესპუბლიკის სკოლებში გაავრცელა სხვადასხვა მეთოდური კრებული და დამხმარე სახელმძღვანელო მუსიკაში, ლიტერატურასა და მხატვრულ კითხვაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში და სხვ. მათ შორის: „გალაკტიონ ტაბიძე ქართულ ხელოვნებაში“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ ხელოვნებაში“, „აკაკი წერეთელი ქართულ ხელოვნებაში“ - თანდართული ფირების სიით, რომლებითაც შეიძლებოდა სარგებლობა კაბინეტის ფონოლაბორატორიაში; დაიბეჭდა ა. ჯაფარიძის „ჭედურობა სკოლაში“, ბავშვთა ნახატებით გაფორმებული კრებული „ესთეტიკური აღზრდა სკოლაში“ და სხვ.

კაბინეტი ხშირად აწყობდა ესთეტიკური ციკლის საგნების, შემოქმედებითი წრეებისა და სტუდიების პედაგოგებისა და სკოლის ორგანიზატორთა სემინარებს, ზრუნავდა მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ასევე ეწყობოდა გასვლითი შეხვედრები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, რომლებშიც კაბინეტის მეთოდისტებთან ერთად მოხსენებებითა და პრაქტიკული

გამოცდილების გაზიარებით გამოდიოდნენ პროფესიონალი პედაგოგები, უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლები, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, მეცნიერები. მათ შორის: აკ. ხინთიბიძე, მ. თაბორიძე, ჯ. ბუსურაშვილი, მ. მრევლიშვილი, ო. ალავიძე, ელ. ექსანიშვილი, კ. მახარ'აძე, ტ. საყვარელიძე, გ. საღარაძე, ე. გიორგაძე, ი. ურუშაძე, ა. ერქომაიშვილი, მ. თომაძე, ცუხაკაძე, ლ. ნიქაბაძე და მრავალი სხვ.

კაბინეტის ინიციატიით რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან შეიქმნა ესთეტიკური აღზრდის სექციები, თბილისში დაარსდა მხატვრული აღზრდის სახლი, რომელმაც სახელი გაითქვა მრავალრიცხოვან და მაღალმხატვრული შემოქმედებითი ანსამბლებითა და ჯგუფებით. და რაც მთავარია, ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ კაბინეტის უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკური ოლიმპიადები. თავად განსაჯეთ, 1971 წელს, მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის ბოლო ტურში მონაწილეთა რაოდენობა ოცი ათასს აღემატებოდა. მათ ერთდროულად რამდენიმე თეატრალურ და საკონცერტო დარბაზში წარმოადგინეს თავიანთი ხელოვნება.

ოლიმპიადები ავლენდა ახალგაზრდა ტალანტებს, რომელთა უმრავლესობა შემდგომშიც განაგრძობდა შემოქმედებით შრომას, ხელოვნების წარმტაც სამყაროში მოღვაწეობას, ემსახურებოდა ქართული ეროვნული კულტურის განვითარებასა და აღშაყლობას.

მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის ამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, მრავალისმომცველი საქმიანობის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი ბატონი ჯიმშერ მუჯირი გახლდათ. იგი უაღრესად კეთილშობილური პიროვნება იყო. არასდროს არ პკარგავდა წონასწორობას, ყველაზე რთულ და საჭირბოროტო საკითხებსაც კი ჩვეული ტაქტით, ადამიანებისადმი დიდი ნდობით, პატივისცემითა და სიყვარულით წყვეტდა. მას უსაზღვროდ ენდობოდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ბატონი უშანგი ობოლაძე კი „ძე-

ორე გოგებაშვილს“ უწოდებდა. თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ „ბატონი ჯიმშერი გახლდათ გამოულეველი იდეებისა და სასწაულებრივი ფანტაზიით აღსავსე პიროვნება, დაუღალავი მშრომელი და საქმის ერთგული. უაღრესად მომთხოვნი საკუთარი თავისა და თანამშრომლების მიმართ... დისციპლინის დარღვევასა და უსაქმურობას არავის აპატიებდა. აფასებდა გონებაგახსნილ, საქმეში კარგად ჩახედულ თანამშრომლებს... თუ შეატყობდა მუშაკს, რომ ის სათანადოდ ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას უდიდესი ტაქტით მიანიშნებდა და შეეცდებოდა უმტკივნეულოდ შეეცვალა მისთვის დასაქმების სფერო და აპოვნინებდა კიდეც მის მოწოდებას...“ განსაკუთრებულად უყვარდა ბავშვები და მთელი მისი შეგნებული სიცოცხლე მათ უანგარო სამსახურს შეალია. განათლების სისტემაში ჩემი თითქმის ორმოცწლიანი მუშაობის მანძილზე იშვიათად შემხვედრია ასეთი გულისხმიერი, სიყვარულითა და სიკეთით სავსე, მეგობრებზე თავგადაყოლილი, სუფთა და თბილი ადამიანი.

ცალკე ცვლევის საგანია ბატონ ჯიმშერ მუჯირის სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომები. მისი „მუსიკალური აღზრდა სკოლაში“ თანამიმდევრულად აშუქებს სასკოლო მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდის საყურადღებო საკითხებს. მნიშვნელოვანია ავტორის სწორი თეორიული პოზიციები, სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციები, მითითებანი და პრაქტიკული რჩევა-დარიგებების კონსტრუქციული ხასიათი, რაც საფუძვლად დაედო ჯიმშერ მუჯირის შრომებს: მუსიკის სახელმძღვანელოებს დაწყებითი სკოლის I-IV კლასებისათვის, ასევე მის წიგნს „საუბარი ესთეტიკურ აღზრდაზე“ და სხვ.

2003 წელს ბატონი ჯიმშერი 70 წლის გახდებოდა. სამწუხაროდ, იგი ადრე გარდაიცვალა. მისი უეცრად წასვლით აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა სკოლამ, ესთეტიკური აღზრდის სფერომ.

შალვა ამონაშვილი

№1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის საბაზო სასწავლო დაწესებულებაა, სადაც, ფაქტობრივად, ინერგება ყველა ის პედაგოგიური ექსპერიმენტი და სიახლე, რამაც დიდი წარმატებები და მიღწევები მოუტანა სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ამ მხრივ 70-80-იან წლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სკოლის პირველი საფეხური. დაწყებითი განათლების მოსწავლეთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას ხელმძღვანელობდა პედაგოგიკის ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პრობლემათა შემსწავლელი ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია, რომლის სათავეში ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი, აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი იდგა.

ბატონ შალვა ამონაშვილის მიერ დამუშავებული შინაარსობრივ შეფასებათა საფუძველზე აგებული სასწავლო პროცესი სპეციფიკური მიმართულებისა იყო; დაწყებითი სწავლების გარდაქმნის პირობად მიჩნეული იყო საკუთრივ სწავლების მეთოდების გარდაქმნა და მათთან დაკავშირებული შინაარსობრივი ცვლილებები. აუცილებელი იყო სასწავლო გეგმების, პროგრამების, რეჟიმის, სწავლების შინაარსის შეცვლა და, რაც მთავარია, უმცროსკლასელებში სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. სხვადასხვა სწორი მიდგომის შედეგად შესაძლებელი გახდა სწავლების შინაარსის გაღრმავება, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობების შეცვლა, რამაც განაპირობა უმცროსკლასელებში ინტერესის აღძვრა და სასწავლო აქტივობის შედეგად სწავლის ნამდვილი მოტივების ჩამოყალიბება. სასწავლო მოქმედებებში ერთ-ერთი ძირითადი მარეგულირებელი ფუნქცია შინაარსობრივ შეფასებებს დაეკისრა. სწავლების პროცესში ყმაწვილები გრძნობდნენ, რომ მასწავლებლებს, მეგობრებს, თანაკლასელებს ახარებს მათი წარმატება, ანგარიშს უწევენ მათ განწყობას, სურ-

შიდგა ამონაწყვეტი ვიდეოფილმიდან

ვილებს, შესაძლებლობებს, პიროვნულ ღირსებებს, ინუნენ გულისხმიერებას და უყვართ ბავშვები, ამიტომ მაინ განწყობაც ამაღლებულია. არ გაურბიან სწავლასთან დაკავშირებულ სიძნელეებს და თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მიეშართებიან წარმატებისაკენ.

მოსწავლეებისადმი პუმანურმა დამოკიდებულებამ, ურთიერთთანამშრომლობის სურვილმა, მასალის თავისუფალი არჩევის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, ახალ სიძნელეთა დასაძლევად წაქეზებისა და წახალისების მეთოდების გამოყენებამ და დაბალი ნიშნების მიღების შიშის გაქრობამ მნიშვნელოვნად აამაღლა №1 ექსპერიმენტული სკოლის დაწყებით კლასებში სასწავლო აქტივობის დონე და ყმაწვილთა განვითარებისათვის საუკეთესო პირობები შექმნა.

მოსწავლეთა აქტივობას გარკვეულ სტიმულს აძლევდა ექსპერიმენტულ კლასებში დამკვიდრებული ერთი მნიშვნელოვანი წესიც. მასწავლებელმა ნებისმიერ დროს შეიძლება თხოვოს მოსწავლეს თავისი საკუთარი აზრის გამოთქმა რომელიმე თანაკლასელის პასუხთან დაკავშირებით. ეს აიძულებს ყველა ბავშვს ყურადღებით უსმინოს გაკვეთილს, მის ყველა პროცესს, აქტიურად ითანამშრომლოს მის წარმართვაში, იყოს მზად, საკუთარი თუ რომელიმე თანაკლასელის ცოდნის ობიექტური და კრიტიკული შეფასებისათვის.

ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის თანამშრომლებმა: თ. ნიკოლაიშვილმა, მ. გიორგაძემ, მ. კობახიძემ, ნ. ამონაშვილმა, ი. რუხაძემ, ნ. აბაკელიამ, ნ. მეზურნიშვილმა და სხვებმა №1 ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგების: მზ. გვილავას, ნ. ვადაჭკორიას, ნ. ყიფიანის, მზ. ჭყონიას, ე. კანდელაკის, დ. მერკვილაძის და სხვათა ხელშეწყობით შექმნეს დაწყებითი კლასების ახალი სასწავლო გეგმები, პროგრამები, სამუშაო დღის რეჟიმი, სახელმძღვანელოები, მეთოდური რეკომენდაციები, სათვალსაჩინო მასალები და, რაც ყველაზე მოსავარია, განსაკუთრებული კეთილგანწყობილი გარემო, სადაც მიუხაროდათ უფროსებ-

საც და უმცროსებსაც. საფუძველი ჩაუყარეს მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის ურთიერთთანამშრომლობით ურთიერთობებს, განაპირობეს ურთიერთნდობისა და ურთიერთსიყვარულის განსაკუთრებული სასკოლო სამყარო.

მიღებული შედეგები განსაკუთრებული იყო. №1 ექსპერიმენტული სკოლის დაწყებითი კლასის მოსწაყლეები, სხვა სკოლების თანატოლებთან შედარებით, გამოირჩეოდნენ ვანვითარების მაღალი დონით, შემოქმედებითი უნარების მაღალი აქტიყობით, შესაშური გონებამახვილობით, დაკვირვებულობით და აზროვნებით. საინტერესოა, რომ ბატონი შალვა ამონაშვილი არა მარტო მეცნიერულ მასალას ქმნიდა და აწვდიდა ლაბორატორიას, არამედ სისტემატურად მუშაობდა მასწავლებლებთან, მეცნიერ-თანამშრომლებთან, ბავშვებთან. ასე გასინჯეთ, სისტემატურად ატარებდა გაკვეთილებსაც და, რაც ყველაზე მთავარია, ეს დიდი ცოდნითა და ენთუზიაზმით აღსავსე პიროვნება, ყველგან საქმისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გარემოს ამკვიდრებდა. ასე იყო ინსტიტუტშიც. მახსენდება მაშინ დაფუძნებული სამეცნიერო გამოსვლათა, ნაშრომთა განხილვებისა და ურთიერთოპონირების ყოველკვირეული „ხუთშაბათობები", ასევე სპეციალური შეკრებები არსებულ „იდეათა ბანკის" გასაღრმავებლად, რომელშიც სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა და უცხო ქვეყნების მეცნიერებიც მონაწილეობდნენ.

ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის მიერ მიღწეული წარმატებები საქყეყნოდ გახმაურდა. დაინტერესებული მკვლევარები და პედაგოგები ჩამოდიოდნენ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა სახელმწიფოებიდან, თვით აშშ-დანაც კი. ეცნობოდნენ ქართული პედაგოგიკური აზროვნების მიღწეყებს, აკადემიკოს შალვა ამონაშვილის მეთოდებსა და სიახლეებს, დიდაქტიკის ლაბორატორიის თანამშრომელთა სამეცნიერო შრომებს, №1 ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელთა გაკვეთილებს, პედაგოგიურ ოსტატობას, ახალ სახელმძღვანელოთა აგების პრინციპებს, სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს და საინტერესო ურთიერთობებს. ამასთან, თავადაც ერთვებოდნენ სწავ-

ლების პროცესში, ახალ, განსხვავებულ შეკითხვებსა და საგარ-ჯიშოებს სთავაზობდნენ ბავშვებს და განცვიფრებულნი უმცროსკ-ლასელთა ინტელექტუალობითა და განვითარების მაღალი დონით, აღმაფრთოვანებელ ჩანაწერებს აკეთებდნენ სკოლის სტუმართა შთაბეჭდილებების წიგნში. ასევე გადაპქონდათ ეს მიღწევები თავიანთი ქვეყნის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში და გამუდმებით გვწერდნენ იმ წარმატებებზე, რაც ჩვენი მიდგომების საფუძველზე მოიპოვეს და დარერვეს.

დასანანია, რომ 90-იან წლებში ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიამ, ჩვენში გამეფებული ბოროტების, შურისა და უვიცობის ზეწოლით, სხვა მრავალ, სამშობლოს მომავლისათვის აუცილებელ სიკეთესთან ერთად, შეწყვიტა არსებობა.

მკითხველს ვთავაზობ ჩემს მოსაზრებას ბატონ შალვა ამონაშვილის მოსკოვში დაბეჭდილ სქელტანიან წიგნზე, რომელიც უნივერსიტეტის შრომათა კრებულში - „თავისუფალი პიროვნების განვითარებისათვის“ - დაიბეჭდა 1996 წელს.

ფიძრები ჰუმანურ პედაგოგიკაზე...

„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათე, 22.39). გვასწავლის სახარება და წარმოგვიდგენს ადამიანს ისეთს, როგორიც იგი იყო და არის საერთოდ: დაცემული და აღმდგარი, ძლიერი და სუსტი; როგორადაც ხედავს მას სამყაროს შემოქმედი, ღმერთი ყოვლისმხილველი.

საუკუნო სასუფეველის დასამკვიდრებლად ადამიანებმა უნდა აირჩიონ გზა ათი მცნებისა, ჭეშმარიტების, სიკეთისა და კაცთმოყვარეობისა.

ეს მოძღვრება კაცობრიობის გადარჩენის საშუალებაა. მისი ძირითადი პრინციპი ჰუმანიზმია. იგი გვასწავლის და გვავალებს, რომ ვაღიაროთ, თაყვანი ვცეთ და ვადიდოთ უფალი ჩვენი; არ შევქმნათ კერპი, რამეთუ ცოდვაა კერპთაყვანისმცემლობა და ანგარებისათვის ჭეშმარიტი ღმერთის უარყოფა; უზნეობაა ფიცისა და აღქმის დარღვევა, ღმერთის სახელით დამოწმება სიმართლისა თუ სიცრუისა; აუცილებელია ყოველი მეშვიდე დღე წმინდა პყო, დაესწრო ღვთისმსახურებას და ლოცულობდე მომეტებულად;

პატივი სცეთ მშობლებს, უხუცესთ, სულიერ მამებსა და აღმზრდელებს; „არა კლა“, „არ იმრუშო“, „არ იქურდო“, - ჩაგვძახის უფალი და გვიკრძალავს სიცოცხლის ხელყოფას, სიძულვილს, მრუშობასა და ქვეგრძნობიერებას, მძარცველობასა და ანგარებას; ყველგან და ყოველთვის წინ წავიმძღვაროთ სიმართლე; დაუგმოთ სიხარბე, შური, გაუმაძღრობა, ყემსახუროთ მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს.

პუმანიზმის იდეებს უძველესი დროის ფილოსოფოსთა ნააზრევშიც ვხვდებით, მაგრამ მათი განდიდება აღორძინების ეპოქაში მოხდა. საამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის გიგანტები. მათ შორის აღორძინების ეპოქის პუმანისტური პედაგოგიკური აზროვნების წარმომადგენლები: პაოლო ვერჯერიო, ლეონარდო ბრუნო, პიკო-დელა-მირანდოლა, ვიტორინო და ფელტრე, ერაზმ როტერდამელი, მატეო ვეჯო, ფრანსუა რაბლე, მიშელ მონტენი, მარტინ ლუთერი და სხვები. პუმანისტურმა პედაგოგიკურმა აზროვნებამ წინა პლანზე წამოსწია ადამიანი, პიროვნება. დასაბამი მისცა მოზარდის ინტერესების, ასაკობრივი, ფსიქოლოგიური, ინდივიდუალური თავისებურებების და შესაძლებლობების გათვალისწინებას, ანგარიშგაწევას; სწავლება დაუახლოვდა ცხოვრებას და დაუქვემდებარდა ადამიანების პრაქტიკულ მიზნებს.

პუმანისტურმა პედაგოგიკამ აღიარა აზროვნების თავისუფლება, ინიციატივა, ადამიანის ნიჭისა და უნარის თავისუფალი განვითარება; იწამა პიროვნების, მისი ღირსების უღრმესი პატივისცემა და მიზნად დაისახა ადამიანის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება.

პუმანისტებმა შექმნეს ახალი ადამიანის კონცეფცია და ამით საფუძველი ჩაუყარეს, შესაბამისად, ახალ ფილოსოფიურ ესთეტიკურ თვალთახედვას, რომელმაც თავისი განვითარება მომდევნო საუკუნეების ევროპულ აზროვნებაში პოვა.

აღორძინების ეპოქის პედაგოგიკურ იდეებს და შემდგომ საუკუნეებში გავრცელებულ შეხედულებებს ადამიანის ჰარმონიული

განვითარების შესახებ კარგად იცნობდნენ XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოაზროვნეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ისინი ითვალისწინებდნენ მოცემული პრობლემის ირგვლივ მოპოვებულ მრავალსაუკუნოვან ცოდნას და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანდათ მის სრულყოფაში.

დღეს, როდესაც ფართო გასაქანი პოვა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის ახალმა ფორმებმა და განათლების დეცენტრალიზაციის შედეგად ცალკეულ სკოლას უფლება აქვს თვითონ შეიტანოს ცვლილებები სწავლების შინაარსში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული, პიროვნების თავისუფალი განვითარების პრინციპზე აგებული ახალი სკოლის დამკვიდრების ეროვნული კონცეფცია.

ამას წინათ, მოსკოვში, რუსულ ენაზე დაიბეჭდა აკადემიკოს შალვა ამონაშვილის მონოგრაფიული ნაშრომი „ფიქრები პუმანურ პედაგოგიკაზე". წიგნში მოცემულია მეცნიერისა და პედაგოგის საყურადღებო მოსაზრებები თანამედროვე სასკოლო სისტემის გარდაქმნის, პედაგოგიური პროცესის ფუძედ განვითარების თეორიის გამოყენების, საერთოდ პუმანური პედაგოგიკის დაფუძნების აუცილებლობის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ. განხილულია და ახალი არგუმენტების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ფართოდაა წარმოდგენილი იმ ექსპერიმენტული, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები, რასაც შალვა ამონაშვილი ეწევა ნმ-იანი წლებიდან დღემდე.

წიგნში თანამიმდევრულადაა განხილული განათლების დემოკრატიზაციის, პიროვნების განვითარების და შინაარსის, მისი თავისუფლების, პასუხისმგებლობის, ინიციატივის, რწმენის, რელიგიის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობების, სწავლების, თავისუფალი არჩევანის, პიროვნული მიდგომის, პედაგოგიური შემოქმედების აუცილებლობის, მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული განათლებისა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხე-

ბი და სხვ. გამოკვეთილია პუშანური პედაგოგიკის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური წანამძღვრები. მოცემულია დამახასიათებელი ავტორიტარულ-იმპერატიული პედაგოგიკური აზროვნებისა და პრაქტიკის შეფასება;

ყოველი საკითხის განხილვისას ავტორი ეყრდნობა ფაქტებს, ექსპერიმენტული კვლევის შედეგებსა და მდიდარ გამოცდილებას. ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი მიზანმიმართული და ცალკეული პრობლემისადმი მიძღვნილი გაკვეთილების ანალიზი, გამოკვეთილია მეთოდები და ხერხები; ჩამოყალიბებულია და თანამიმდევრულადაა მოწოდებული მასწავლებლებთან სასაუბრო თემატიკა, რომლებსაც ახლავს მრავალსახეობრივი მეთოდური განმარტებები და პედაგოგიური თამაშები, რაც ხელს უწყობს მასწავლებლის ჩანაფიქრისა და იდეის განსორციელებას გაკვეთილის პროცესში.

შ. ამონაშვილი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ქართველი კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებს. საუბრობს „დედაენის“ სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული „დედაენა“ და მისი საანბანო ნაწილი შემუშავებულია მეთოდიკური აზრის გენიალურობის შესაბამისად. იაკობ გოგებაშვილმა ქართული ენის ფონეტიკური ბუნების ღრმა ცოდნით, მხატვრული თვალსაჩინოების ბრწყინვალე გამოყენებით, ნაზი, საამო, თბილი სიტყვებისა და მათი გამომხატველი სურათების თანამიმდევრობით ააგო საანბანო გაკვეთილები. ყოველი ახალი გაკვეთილი იწყება მარტივი ფრაზით, ხოლო ახალი შესასწავლი ბგერა-ასო დამარცყლით, ზეპირი და წერითი სავარჯიშოებით მკაფიოდაა გამოყოფილი.

შ. ამონაშვილი მიუთითებს აი ია-ს შემქმნელის პედაგოგიკური აზროვნების გენიალურობის შესახებ, გამოყოფს „დედაენის“ მაღალ ღირსებას ლიტერატურული მასალის შერჩევის, იდეური გამიზნულობის, აზრის სინათლისათვის; ახალგაზრდობაში შრომისა და სწავლის სიყვარულის ჩანერგვისათვის; ქართველი ხალხის წიგნიერების, კულტურის ამაღლებისათვის; ზნეობის, პატრი-

ოტიზმისა და უკეთესი მომავლის რწმენის დამკვიდრებისათვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი ყოველი საკითხის განხილვისას მკითხველს, მასწავლებლებს, თანამოაზრეებსა თუ ოპონენტებს აძლევს თავისუფალი ფიქრისა და განსჯის, შეკამათების საშუალებას. ესაუბრება მათ ადვილი და გასაგები ენით, ცოცხალი ფაქტებით, სასკოლო ცხოვრების მაგალითებითა და ყოველდღიურობით. ამასთან, პრობლემის გადასაჭრელად მოყვანილი დასკვნას ექსპერიმენტით შემოწმებული მეცნიერული აზრი, თეორიული და პრაქტიკული კვლევის მთლიანობა უდევს საფუძვლად. შ. ამონაშვილის მოსაზრებით, სკოლის სახე განისაზღვრება ურთიერთობებით უფროსებსა და უმცროსებს შორის და ეს ურთიერთობა თანამშრომლობაა. „ადამიანურობა და თანამშრომლობა თავისთავად შედიან იმ სასკოლო კლასში, რომელშიც მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, ზრუნავს ბავშვის განვითარებაზე“.

პუმანური პედაგოგიკა, თანამშრომლობის პედაგოგიკა, განვითარების პედაგოგიკა პრაქტიკულად ეს არის ერთი და იგივე მოვლენის, ურთიერთობის, მასწავლებლისა და აღსაზრდელის მოქმედების საშუალების სამი მხარე. ყოველი პედაგოგიური მოქმედება, ყოველი გადაწყვეტილება, ყოველი ქცევა შემოწმებული უნდა იყოს პუმანურობაზე, თანამშრომლობასა და განვითარებაზე, - წერს ავტორი.

შ. ამონაშვილი მიიჩნევს, რომ პუმანური დამოკიდებულება მოზარდის მიმართ, მისი პიროვნების უწყვეტი პატივისცემა, ყველაზე რთულ სიტუაციაში კი პედაგოგიური მოთმინების ხელოვნება, მოზარდთან სულიერი თანაზიარება, თანასწორუფლებიანობა და თანამშრომლობა არა მხოლოდ მისი შემეცნებითი წარმატების, შემოქმედებითი აქტივობის, დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების პირობაა, არამედ ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის საწინდარიც. თუკი მოზარდი საკუთარი თავის ძიებაშია, მასწავლებლებთან ურთიერთობაში უნდა პოვოს. თუკი გადაუწყვეტელი ცხოვრებისეული პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, მასწავლე-

ბლებთან ურთიერთობაში უნდა გადაწყვიტოს. მოზარდი და მასწავლებელი - ერთი სულიერი მოლიანობაა. ესაა ავტორის კრედო. ამ სიმაღლეების დაუფლებას მოუწოდებს ბატონი შალვა ამონაშვილი მასწავლებელს. ამასთან, პედაგოგიური ცხოვრებისათვის სოავაზობს სამ მცნებას: 1. გწამდეთ ბავშვის - ის ისეთივ უსაზღვროა, როგორც სამყარო. ყველაფერს ძიაღწევთ მის აღზრდაში, ოღონდ კეთილად მოექეცით, გაუგეთ, გულით შეიყვარეთ, მიიღეთ იგი ისეთი, როგორიც არის, დაუმკვიდრეთ თავისუფლებისა და დიდობის მოთხოვნილება, პატივი ეცით მის პიროვნებას. გახადეთ იგი პედაგოგიური პროცესის თანაბარუფლებიანი წევრი. 2. გწამდეთ საკუთარი თავის. შესაძლოა არცკი იცოდეთ, რა გამოუყენებელი პედაგოგიური ძალები თვლემენ თქვენში, დააღწიეთ თავი პროფესიულ შეზღუდულობას, შიშს, გახდით დემოკრატი, მოაზროვნე, ცხოვრების აზრად გაიხადეთ, რომ უმაღლეს პედაგოგიურ ხელოვნებას ეზიაროთ. და მაშინ, თქვენში მთელემარე ძალებიც გაიღვიძებენ. საკუთარ თავში დაამკვიდრეთ პიროვნება და მიპყევით პრინციპს - „მე თუ არა, მაშ სხვა ვინ?“. 3. გწამდეთ მეცნიერებისა და შემოქმედებითი გამოცდილებისა. პირველ ორ მცნებას ვერ განახორციელებთ ამ მესამის გარეშე, - წერს შ. ამონაშვილი და მასწავლებელს ურჩევს ეთათბიროს კლასიკოსებს, ნოვატორ პედაგოგებს: კვინტილიანეს, ვიტორინო და ფელტრეს, კომენსკის, რუსოს, პესტალოცის, უშინსკის, ჭავჭავაძეს, გოგებაშვილს, უზნაძეს, ვიგოტსკის, დავიდოვს, ილინს, ზანკოვს, სკატკინს, შატალოვს და სხვა ჰუმანისტებს.

საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებები და განვითარების პერსპექტივა ჰუმანური პედაგოგიკის დამკვიდრების აუცილებლობას განსაზღვრავს. სწორედ ჰუმანიზაციის, თანამშრომლობისა და დემოკრატიზაციის გზებს შეუძლიათ მიგვიყვანონ ახალ ცხოვრებასთან, ახალ სკოლასთან. როცა იდეა ჭეშმარიტებას მიაგნებს, მაშინ იგი სწორედაც ახალია, აქტუალურია, საჭიროა.

თავისუფალი პიროვნების განვითარებისათვის

1986 წელს ბატონ შალვა ამონაშვილის ინიციატივით გადაეცა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების გამგედ და შესანიშნავი პირობები შეექმნა სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. ინსტიტუტში დავუახლოვდი ცნობილ მეცნიერებსა და შესანიშნავ ადამიანებს: მარიამ თაბორიძეს, კარლო მაჭარაშვილს, მერი დოღონაძეს, ჯოდორ დადიანს, ზურაბ ცუცქირიძეს, გურამ ხანდამიშვილს, შოთა შათირიშვილს, თამაზ ნიკოლაიშვილს, ჟორა გვათუას, აკაკი ნარგიზიშვილს, ოთარ ხაზარაძეს, რევაზ კილაძეს, ვანო კალაძეს, მიმოზა სოსელიას, მაყვალა კვირკელიას, ოლეგ ალავიძეს, ჯუმალ ბუსურაშვილს, იათამზე კოტეტიშვილს, ნათელა იმედაძეს და სხვებს, რომლებთანაც ურთიერთობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს შემდგომ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1993 წელს დაიბეჭდა ჩემი მონოგრაფიული გამოკვლევა „მოზარდი თაობის პარმონიული განვითარების პრობლემა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა მემკვიდრეობაში“. წიგნი იმავე წელს წარვადგინე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. გამოქვეყნდა ცნობილ სპეციალისტთა, მწერალთა და სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეცენზია და გამოხმაურება. მათ შორის მიზანშეწონილად მიმაჩნია მკითხველს შევთავაზო გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, განმანათლებლობის აღიარებული მკვლევარის, პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილის წერილი, რომელიც 1994 წლის 9 სექტემბერს დაიბეჭდა ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა გაზეთში „სიტყვა ქართული“.

«მოზარდთა ჰარმონიული განვითარებისათვის»

„პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ვიქტორ ასათიანის ახლახან დაბეჭდილი მონოგრაფიული ნაშრომი „მოზარ-

დი თაობის ჰარმონიული განვითარების პრობლემა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა მემკვიდრეობაში" განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დღეისათვის აქტუალური საკითხის ისტორიული ასპექტების შესწავლისა და მეცნიერული გაანალიზების თვალსაზრისით.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში განმანათლებლურმა მოძრაობამ თვალსაჩინო აღმავლობას მიაღწია. განმანათლებლური აზროვნება აშკარად დაუპირისპირდა ცარიზმისა და ფეოდალური ყოფის არა მარტო კონსერვატიულ, არამედ ლიბერალურ იდეოლოგიასაც.

იწყება ერის გამოღვიძებისა და აღორძინების ახალი ეტაპი, რომელშაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ქართველი ხალხის აზროვნების, საზოგადოებრივი ყოფის და მომავლის განსაზღვრაში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა გამორჩეული მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერებით აღსავსე, ევროპული განათლების მქონე ახალგაზრდა თაობა. მათ მიზნად დაისახეს ჰუმანიზმის, დემოკრატიზმისა და ეროვნულობის პრინციპებზე აგებული სახალხო განათლების ახალი სისტემის შექმნა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაეხმარებოდა და ხელს შეუწყობდა გონების განვითარებას, გულის გაკეთილშობილებას, ნებისა და მისწრაფების განმტკიცებას. ერთი სიტყვით, ხელს შეუწყობდა სულის ჰარმონიულ განვითარებას, რაც სწავლისა და აღზრდის იდეალია და რომელზედაც არის დამოკიდებული ყოველი ერის წარმატება.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის უმთავრესი წარმომადგენლების - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობა დასახული პრობლემის სრული სპექტრით მონოგრაფიული შესწავლის ობიექტი დღემდე არ ყოფილა. განმანათლებელთა პედაგოგიკური ნააზრევი შესწავლილი იყო შეზღუდული მეთოდოლოგიური ბაზის პირობებში, რაც, ბუნებრივია, წარმოშობ-

და ცალმხრიეობასა და ტენდენციურობას.

ნაშრომის ღირსებად და მეცნიერულ სიახლედ უნდა ჩაითვალოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა აზროვნების ძირითადი ფილოსოფიურ-ეროვნული ცნობიერების, თავისუფლების, მამულიშვილობის, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმისა და რელიგიური აღზრდის სადღეისო თვალთახედვით შესწავლა-გაანალიზება და თანმიმდევრული ადგილის მიჩენა პარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდის ერთიან განმანათლებლურ კონცეფციაში.

წიგნში გამოკვეთილია სამოციანელთა აზროვნების ორგანული კავშირი ქართველი ერის სულიერი კულტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან. მსოფლმხედველობისა და ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე წარმოჩენილია განმანათლებელთა პედაგოგიკური მოძღვრების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესის სპეციფიკა და მისი ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენებთან აღნიშნულ პერიოდში.

ავტორი გამოყოფს და ფართოდ განიხილავს ქართველ განმანათლებელთა შეხედულებებს ადამიანის არსის, ბუნების, გეოგრაფიულ-სოციალური გარემოსა და პიროვნების პარმონიული განვითარების ურთიერთმიმართების საკითხების შესახებ. მეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული პარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის ძირითადი კომპონენტები და მათი ურთიერთდამოკიდებულება. მოზარდი თაობის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური, შრომითი და რელიგიური აღზრდის ამოცანები განხილულია, როგორც პარმონიულად განვითარებული მომავალი თაობის აღზრდის ურთიერთშემავსებელი, ურთიერთგამაწონასწორებელი საშუალებების ერთიანი და განუყოფელი სისტემა.

წიგნში მოცემულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა შეხედულებები მასწავლებლის გადამწყვეტ როლზე პარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის, განვითარების ძირითად კომპონენტთა ურთიერთმიმართებისა და ურთ-

იერთიკავშირის სწორი ორგანიზებისათვის. ხაზგასმულია დიდაქტიკური და მეთოდიკური საკითხები, რომლებიც საფუძვლიანადაა განხილული ქართველ საზოგადოებრივ პედაგოგიკურ მოძღვრებაში.

საყურადღებოა, რომ სადღეისოდ ძალზე ღირებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა შენედულებები ეროვნული ტრადიციების, რწმენისა და, საერთოდ, ქართული ცხოვრების წესის ასაღორძინებლად, ეროვნული სკოლის საკუთარ წიაღში დაბრუნებისათვის.

ავტორი აანალიზებს განმანათლებელთა პედაგოგიკურ იდეებს. პირველად მონოგრაფიულად შეისწავლის და განიხილავს უთვალსაჩინოესი მამულიშვილების მიერ გააზრებულ და ჩამოყალიბებულ პიროვნების პარმონიული განვითარების ერთიან განმანათლებლურ კონცეფციას. ამ კონცეფციის, შეპირისპირებით სახალხო განათლების თანამედროვე ტენდენციებთან აღწევს კონკრეტული ისტორიული პერიოდის შემკვიდრეობაში გამოყოს ეროვნული ხასიათის თავისთავადობის აღორძინებისათვის აუცილებელი პედაგოგიკური პრინციპები, რაც განსაკუთრებულ წანამძღვარებს ქმნის თანამედროვე სკოლის რეორგანიზაციისათვის, პარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდის სასკოლო სისტემის შექმნისა და სრულყოფისათვის.

ვიქტორ ასათიანის ახალი წიგნი, რომელიც მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვისაც, დაწერილია გამართული მეცნიერული ენით, ყურადღებას იპყრობს კვლევის სიღრმით, ლოგიკური მსჯელობითა და შესაბამისი დასკვნებით. იგი დიდად დაეხმარება მასწავლებლებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, პედაგოგიკის ისტორიის მკვლევარებს, დაინტერესებულ მკითხველს“.

კეისარს კეისრისა და ღვთისა ღმერთს

ჩემს საქმიანობაში მნიშვნელოვნად მიმაჩნია ქართული პედაგოგიკური მეცნიერების გამოჩენილ წარმომადგენლებთან ერთად პედაგოგიკის შემდგომი განვითარებისათვის, მიზნებისა და დანიშნულების განსაზღვრისათვის გაწეული ეროობლიანი შრომა. საერთო მოსაზრებები კი გადმოცემულია 1996 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ წერილში - „კეისარს კეისრისა და ღვთისა ღმერთს“:

პედაგოგიკური აზრის განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი სათავეს იღებს იმ პერიოდიდან, როდესაც ადამიანის აღზრდის პროცესი საგანგებო დაფიქრების ობიექტი და განსჯის საგანი ხდება. ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ეპოქის მოახროვნეთა მემკვიდრეობაში მოცემული კლასიკური პედაგოგიკური ღებულებები შემდგომ საუკუნეებში აღმოცენებული მეცნიერული პედაგოგიკის ძირითად თეორიულ დასაყრდენად იქცა.

სწორსაზოვანი არ ყოფილა გზა, რომელიც მეცნიერულმა პედაგოგიკურმა აზროვნებამ განვლო თანამედროვე ეპოქამდე. ამასთან, ფასდაუდებელია მისი წვლილი საკაცობრიო სოციალური პროგრესისათვის. სადღეისოდ ძნელია დავასახელოთ მეცნიერების დარგი, რომელსაც ისეთი ზოგადადამიანური დატვირთვა და ისეთი გამოყენებითი პოტენციალი ჰქონდეს, როგორც პედაგოგიკას.

პედაგოგიკის მნიშვნელობა, მისი თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება კიდევ უფრო გაიზარდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესი, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებული აღმოჩნდა არა საერთოდ ადამიანურ რესურსებზე, არამედ სახოგადოდ ადამიანურ ფაქტორზე, განათლების დონესა და მისგან გამომდინარე პროფესიონალიზმზე. ყოველივე ამის უზრუნველყოფის ერთადერთი გარანტი განათლების სისტემაა, რომლის განვითარება-სრულყოფისა და რაციონალური ორგანიზაციის საფუძველს პედაგოგიკის მეცნიერება წარმოადგენს.

საბჭოთა ქვეყანაში გაბატონებულმა იდეოლოგიურმა და ადმინისტრაციულმა დიქტატურამ, ტოტალიტარული მმართველობის სისტემამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაამუხრუჭა თავისუფალი მეცნიერული აზრის განვითარება. ამ პირობებში პედაგოგიკა წმინდა წყლის პოლიტიზირებულ (ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით) მეცნიერებად იქცა, რადგან მას საფუძვლად დაედო „ეჭვმიუტანელი“ პოლიტიკური დოქტრინები, ყალბი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური და იდეოლოგიური პოსტულატები: მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, კომუნისტური იდეოლოგია, ათეიზმი, ანტირელიგიური პროპაგანდა და ა. შ. მიუხედავად ცალკეული მეცნიერის თუ მეცნიერთა ჯგუფების მცდელობისა, კომუნისტურმა პედაგოგიკამ საბოლოოდ დაკარგა მეცნიერული ორიენტაცია. საერთოდ და, განსაკუთრებით, აღზრდის სფეროში მივიდა პოლიტიკურ დოქტრინაზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის გაფეტიშებამდე, რამაც საბჭოური სკოლა საკაცობრიო განათლების საერთო სისტემიდან ამოაგდო.

ყალბი პოსტულატები და ისეთი ხელოვნური ცნებები, როგორიც არის „საბჭოთა ხალხი“, „საბჭოთა ადამიანი“, „საბჭოური კულტურა“, „საბჭოთა პატრიოტიზმი“ ავალებდა პედაგოგიკას თავის უპირველეს ამოცანად გამოეცხადებინა „კომუნიზმის ღირსეული მშენებელი ახალი საბჭოთა ადამიანის“ აღზრდა, ადამიანისა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ყოველგვარი „კერძომესაკუთრული ინსტინქტებისაგან“ და თავის პიროვნულ ინტერესებს უყოყმანოდ შესწირავდა კომუნიზმის იდეალებს.

80-იანი წლების დასასრულამდე პედაგოგიკის მეცნიერებაში ერთობ დამახასიათებელი მოვლენა იყო სკკპ ყრილობებზე მიღებულ პროგრამებსა და იმ ნორმატიულ დოკუმენტებზე ორიენტირება, რომლებიც კონკრეტულ შინაარსს იძენდნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებში. ჩვენ იძულებული ვიყავით ჩვენი ნაშრომების პრეამბულად პარტიული დოკუმენტებიდან აგვეღო ესა თუ ის თეზისი და მასზე მოგვერგო თეორია, რომელიც მიმა-

როულია იქნებოდა კომუნისტური იდეოლოგიის მიზნობრივი განაწესის - „კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდის“ - უზრუნველყოფაზე. ამ პირობებში, პარტიული დადგენილებების სიხშირის კვალობაზე, იცვლებოდა წარმოდგენები „მოძაველის სკოლაზე“, სოკოებივით ამოდიოდა ახალი პედაგოგიკური კონცეფციები, იქმნებოდა ინოვაციური ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების მოდელები, „ახალი პედაგოგიკური ანროგენების“ ნიმუშები, რომლებსაც იმთავითვე არ ეწერა განხორციელება, რადგან ტოტალიტარულმა რეჟიმმა და მასზე აღმოცენებულმა „საბჭოურმა საგანმანათლებლო პრაქტიკამ“ ბუნებრივად წარმოშვა განათლების მონოვარიანტული სისტემა, რომელსაც საფუძვლად ედო ავტორიტარულ-იმპერატიული პედაგოგიკა: „ახალი საბჭოთა ადამიანის“ აღზრდის შინაარსი მანქურთის აღზრდას გაუტოლდა, რომლის „უპირატესობა“ ადამიანთა დანარჩენ სამყაროსთან იმით გამოიხატება, რომ იგი მონურად ეშორჩილება ყოველგვარ საბჭოურ-კომუნისტურს.

დღეს, როდესაც პედაგოგიკა, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, გათავისუფლდა ყალბი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური პოსტულატებისაგან, საჭირო და აუცილებელი ხდება მისი დაბრუნება ჭეშმარიტ მეთოდოლოგიურ საფუძვლებთან, მისი გაწყვეტილი კავშირის აღდგენა კლასიკურ ფილოსოფიურ მემკვიდრეობასთან და ამ საფუძველზე აღმოცენებულ თანამედროვე პროგრესულ მიმდინარეობებთან. აუცილებელია აღზრდის თეორია დაეფუძნოს იმ მონაცემებს, რასაც დოგმატიზმისაგან თავისუფალი თანამედროვე ფილოსოფიური მეცნიერება, განსაკუთრებით ფილოსოფიური ანთროპოლოგია იძლევა ადამიანის არსის, მიზნის ცხოვრების საზრისის, მისი მოვალეობა-დანიშნულების, მისი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის და ა. შ. შესახებ. მხოლოდ თანამედროვე ფილოსოფიის (აქსიოლოგიის, სოციოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკის), ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის და სხვა მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინებით შეძლებს ჩვენი პედაგოგიკა იმ ნიხიდან გამოსვლას, რომელ შიც იგი საბჭოურ პერი-

ოდში მოექცა. მხოლოდ ამგვარ საფუძველზე აგებული და პირიფვნებაზე ორიენტირებული პედაგოგიკა შეასრულებს იმ სოციალურ ფუნქციას, რაც მას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკასთან მიმართებაში ეკისრება; მაშინ შეძლებს იგი ადამიანის აღზრდას ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი ერგულების, პუმანიზმის სულისკვეთებით.

ღღეს, როცა ჩვენი ქვეყანა კვლავ უბრუნდება საკაცობრიო ცივილიზაციას, იმ სამყაროს, სადაც მეცნიერება, პოლიტიკა, ეკონომიკა ორიენტირებულია არა უტოპისტურ თეორიებში მოცემულ მომავლის იდეალურ მოდელებზე, არამედ რეალურ აწმყოზე და მისი განყოთარების პერსპექტივებზე, პედაგოგიკის მეცნიერება საგანგებო მნიშვნელობას იძენს. არა ეკონომიკამ, არა პოლიტიკამ, არა რაიმე სხვამ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ განათლებამ შეიძლება დაგვაბრუნოს ეროიან საკაცობრიო ოჯახთან, საკაცობრიო ცივილიზაციასთან. ამის გამო, აუცილებლად მიგვაჩნია გადაისინჯოს ჩვენი პედაგოგიკის ის მიმართულებები, დებულებები და დასკვნები, რომელთა „ჭეშმარიტება" არაერთგზის „დავიდასტურებია". ეს აუცილებელია, რათა პედაგოგიკამ კვლავ დაიბრუნოს მეცნიერული საყრდენები, ჭეშმარიტი სოციალურ-კულტურული და ეროვნული ფუნქცია.

პედაგოგიკის მეცნიერება უნდა მობრუნდეს ზოგადსაკაცობრიო პუმანისტური და კულტურული ფასეულობებისაკენ. მან საფუძვლად უნდა გაიხადოს არსებული ისტორიული გამოცდილება, დემოკრატიის პრინციპები, ერის მრავალსაუკუნოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ტრადიციები, ადამიანის საყოველთაო უფლებები და მოვალეობანი.

აქედან გამომდინარე, პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების დღევანდელ სტრატეგიულ მიმართულებად გვესახება:

1. პედაგოგიკის დაფუძნება ჭეშმარიტ ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ პოსტულატებზე და ამ გზით კლასიკურ ფილოსოფიასთან მისი გაწყვეტილი კავშირის აღდგენა. კერძოდ, აღზრდის თეორიის დაფუძნება ადამიანის არსის დამდგენ ფილოსოფიურ

დისციპლინაზე - ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაზე.

დაუყოვნებლივ შევეცადეთ მუშაობას საკისოდ, რომ პედაგოგიკა განთავისუფლდეს შეზღუდული კლასობრივი თუ სხვა სახის იდეოლოგიისაგან, რომლებიც ხელს უშლიან მეცნიერულ პლურალიზმს, რაიმე ფორმით უგულებელყოფენ ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებებსა და იდეალებს.

2. სწორ ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე აგებულმა მეცნიერულმა პედაგოგიკამ მკაცრად გამიჯნოს ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, „ადამიანის", „პიროვნების", ხოლო, მეორე მხრივ, „პიროვნებისა" და „საზოგადოების" ცნებები, „საზოგადოების" ისეთ გაგებას დაუჭიროს მხარი, რომელიც ადამიანის უნიკალობასა და განუმეორებლობას კი არ დაუპირისპირდება, არამედ სწორედ მასზე იქნება აქცენტირებული, განაპირობებს მთლიანი, ჰარმონიულად ჩამოყალიბებული, თავისუფალი პიროვნების თავისუფალ განვითარებას.

3. პედაგოგიკა უსახო მასის უსახო ელემენტების აღზრდას კი არ ისახავს მიზნად, არამედ ინიციატივიან, სოციალურად აქტიური ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც არის ისტორიის ნამდვილი სუბიექტიცა და შემოქმედიც. შესაბამისად, საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიეცეს პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციებისა და ქცევის მოტივაციის პრობლემებს.

4. პედაგოგიკამ აუცილებელია ყურადღება დაუთმოს იმ პრობლემათა კვლევას, რაც თანამედროვე ჩამოყალიბოს ერთ-ერთ უროულეს ხიძნელად ითვლება. ეს არის ადამიანის რელიგიური და ტექნიკური გაუცხოების პრობლემა. შეუძლებელია პედაგოგიკა (ისევე, როგორც ნებისმიერი ეროვნული პედაგოგიკა) განზე გადგეს თანამედროვე ჩამოყალიბოს გლობალური პრობლემებისაგან. ამ პრობლემების კვლევის, საკაცობრიო ბედის ერთიანობის გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია სწორად წარიმართოს პიროვნების აღზრდის პროცესი.

5. საჭიროა, რომ აღზრდის შინაარსში, ორგანიზაციასა და მიმართულებაში ზუსტად იქნას გათვალისწინებული ქვეყნის, რე-

ვიოსის, კონკრეტული სოციუმის სიდღეისოდ საარსებო მოთხოვნები. რათა ჩამოყალიბდეს ისეთი პიროვნება, რომელიც არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში გამოავლენს დადებით სოციალურ ორიენტაციას.

6. აუცილებელია განათლების მონოვარიანტული სისტემა შეიცვალოს პოლივარიანტულით, რომლის თეორიული საფუძვლები მსოფლიო საგანმანათლებლო პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა დაამუშაოს პედაგოგიკამ. სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებები საჭიროა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს არა მარტო სწავლების სანგრძლივობითა და პროფილით (როგორც დღეს ხდება), არამედ აკადემიური და სოციალური დაკვეთით, მიზნებითა და მიმართულებებით ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას განათლების უწყვეტობა და შემკვიდრეობითობა.

7. პედაგოგიკამ უნდა შეძლოს სწავლებისა და აღზრდის ისტორიული ერთიანობის აღდგენა, რაც საბჭოურ პედაგოგიკაში დეკლარირებული იყო სიტყვით და არა საქმით. ეს იმას ნიშნავს, რომ სწავლების შინაარსმა შეიძინოს ზუსტად განსაზღვრული სოციალური ფუნქცია, რაც ზოგადად „კეთების ცოდნას“ (ილია ჭავჭავაძე) გულისხმობს.

8. აღმზრდელობითი სისტემის შინაარსი, რომელიც ზოგადსაკაცობრიო იდეალებს დაეფუძნება, აუცილებელია ახერხებდეს მათს ორგანულ შერწყმა-შეთავსებას ეროვნულ ამოცანებთან, რათა მოშავალი თაობა დიდ საკაცობრიო ოჯახში ეროგული იყოს წინაპართაგან დატოვებული „მამულის, ენის, სარწმუნოებისა“.

9. შეცნიერულმა პედაგოგიკამ რაციონალურად უნდა შეითვისოს და გამოიყენოს ქართული ხალხური პედაგოგიკის უმდიდრესი საგანძური, ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდის დიდი ისტორიული ტრადიციები. ამასთან, საჭიროა პედაგოგიკის ისტორიის ბევრი პრობლემა ახლებურად იქნას გააზრებული, განთავისუფლდეს ყოველგვარი შტამპებისა და დოგმებისაგან.

10. პრობლემათა სიმწვავის ხაზგასმით, ჩვენ მათი გადაჭრის გზების ძიებისაკენ მოვუწოდებთ პედაგოგიკის და მისი მომიჯნავე

დარგის სპეციალისტებს, გვწამს, რომ მხოლოდ ეროვნულისა და კაცობრიულის ჰარმონიული შეხამების, ჰუმანიზაციის, თანამშრომლობის და დემოკრატიზაციის განცალკევების რიული გზებს შეუძლიათ მივიყვანონ მიზანთან.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნაწილია ამ ამოცანებისა, რომლებიც თანამედროვე პედაგოგიკის წინაშე დგას და აუცილებელ გადაჭრას მოითხოვს. ეს თათბების გასაკეთებელია, გვჯერა, რომ ერთიანი ძალით, თანამშრომლობითა და მეცნიერების დიდი სიყვარულით შეეძლებთ პირველი, თუნდაც მოკრძალებული წარმატებების მიღწევას ამ მეტად საშურ და საჭირო საქმეში.

ოლეგ ალავიძე, ლევან ასათიანი, რევაზ ბალანჩიკაძე, დიმიტრი დარჩია, მერი დოდონაძე, ნათელა იმედაძე, ვანო კალაძე, თამაზ კარანაძე, ვალერიან კობახიძე, იათამზე კოტეტიშვილი, ზურაბ ცუცქირიძე, გურამ ხანდამიშვილი, როსტომ ხომერიკი.

ოლეგ ალავიძე, ლევან ასათიანი და ლაშა ასათიანი

პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები

ჩვენი საერთო შეხედულებების პირველი სერიოზული ვაგრძელებდა ვახლდათ პროფესორ რევაზ ბალანჩივაძესთან თანაავტორობით მომზადებული გამოკვლევა „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები", რომელიც საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის გრიფით დაიბეჭდა 1997 წელს.

ბატონი რევაზ ბალანჩივაძე ცნობილი მეცნიერი და მოღვაწეა. მას მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი ეკუთვნის, რომლებშიც განხილულია ფილოსოფიისა და ფილოსოფიურ მეცნიერებათა - ეთიკის, ესთეტიკისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემები, დაშუშაკებულია ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ფილოსოფიური პრინციპები, გაანალიზებულია ხელოვნების ფილოსოფიური საკითხები. იგი უკეთილშობილესი პიროვნებაა, რაფინირებული ინტელიგენტი, უზადო მეგობარი მოწოდებულია მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულისათვის.

ბატონი რევაზ ბალანჩივაძე 1994 წელს დანიშნული იყო ჩემი სადოქტორო დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტად. მის დასკვნაში ეკითხულობთ: „კიდევ ერთი არსებითი მომენტი, რომელიც დისერტაციის მნიშვნელობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს, ესაა აზრი, რომელიც თავიდან ბოლომდე მსჭვალავს მთელ დისერტაციას და რომელიც რამდენიმე სიტყვით ასე გამოითქმის: დღევანდელმა პედაგოგიკურმა აზროვნებამ უნდა გამოაცოცხლოს ე. წ. საბჭოთა პერიოდში დავიწყებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის განმანათლებელთა მოთხოვნა აღზრდის ძირითად ამოცანად დაისახონ გონებრივად, ზნეობრივად, ფიზიკურად, ესთეტიკურად განვითარებული ქართველის აღზრდა (მე ხაზს ვუსვამ არა საერთოდ ადამიანის, არამედ სწორედ ქართველი ახალგაზრდის, ქართველი ყმაწვილის აღზრდა)... ლ. ასათიანი მიიჩნევს, რომ დღეანდელმა პედაგოგიკამ პირდაპირი ხიდი უნდა ცადოს XIX საუკუნის

მეორე ნახევრის პედაგოგიკასთან... მოხდეს XIX საუკუნის წმ-იანელთა საუკეთესო პედაგოგიური ტრადიციების აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება თანამედროვე პირობების გათვალისწინებით... ასე ნათლად და ასე მკაფიოდ ეს აზრი, პირველად სწორედ ამ დისერტაციაში იქნა წამოყენებული და სათანადოდ არგუმენტირებული...

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი... გარკვეული აზრით, სიახლეც, რაც ამ დისერტაციისათვის არის დამახასიათებელი. იგი ეხება პედაგოგიკის უმჭიდროეს კავშირს ფილოსოფიასთან... პედაგოგიკა კიდევ უფრო დაუკავშირდება ფილოსოფიას. ორ მეცნიერებას შორის კავშირი მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება და ამ საქმეში თავის დადებით წვლილს წინამდებარე დისერტაციაც შეიტანს".

ამ შესანიშნავი ამონარიდის გარდა, დასკვნაში მოცემულია სხვა ბევრი მნიშვნელოვანი მოსაზრება, მათ შორის შენიშვნებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა ხემს შემდგომ მუშაობაში. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ბატონმა რეზომ კარგად შეიცნო ხემი ნაშრომის არსი, რომელიც ჩვენს შემდგომ თანამშრომლობაში კიდევ უფრო გაღრმავდა, დაისვა და ნათლად ასახა ერთობლივ ფუნდამენტურ ნაშრომში „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები".

„პედაგოგიკის ფილოსოფიურ საფუძვლებს" დიდი გამოხმაურება მოპოვება, მოეწყო საჯარო განხილვები, დაიბეჭდა მრავალი რეცენზია. ხემს მკითხველს მინდა შევთავაზო პედაგოგიკის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარის, პროფესორ ოლეგ ალავიძის წერილი, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა 1998 წლის სექტემბერში სათაურით - „პედაგოგიკური აზროვნების ახალი სიმაღლე" - „დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფა თავისი განვითარების ახალ ფაზაში შედის. ცხოვრების ყველა არსებითი მხარე აქამდე უცნობ სოციალურ განზომილებებს იძენს. სიახლეებზე საუბარი, გარკვეულწილად, უკვე ერთგვარ ბანალობად იქცა. თუმცა მოვლენები მაროლაც არაორდინალურად ვი-

თარდება. სერიოზულად იცვალა სანე სასკოლო სასწავლოაღმზრდელობითი მუშაობის სტრუქტურამ, კორექტივები შეეხება ავრეთვე მის შესახებ საბოლოებებული მეცნიერული ცოდნის შინაარსში. აშკარაა, რომ ძალზედ ფესვმაგარი, მისაღები და გამარეთებულიც რომ ყოფილიყო ყველა ის პოსტულატი, რასაც გუშინდელი დღის სკოლა ეყრდნობოდა, სადღეისოდ მათი შეცვლა თუ კორექტირება მაინც აუცილებელი გახდებოდა, რადგან საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური ვარდაქმნების, სოციალურ ორიენტაციებში მომხდარი აქცენტების გადანაცვლების გამო თვით სკოლის ტრადიციული ტიპი თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა. აშკარა ხდება, რომ საჭიროა ახლებური პედაგოგიკური აზროვნება.

ამ თვალსაზრისით, საგულისხმო მოვლენად მიგვაჩნია ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული მონოგრაფიული გამოკვლევა „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები", რომელიც საქართველოს პუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის გრიფით გამოიცა, ხოლო ავტორები არიან პროფესორები რევაზ ბალანიძეა და ვიქტორ (ლევან) ასათიანი.

წიგნის უპირველესი ღირსება ისაა, რომ იგი ვაბედულად ამსხვრევს ძველ, საბჭოურ სტერეოტიპებსა და შაბლონებს, მეცნიერების, მათ შორის ფილოსოფიის, პარტიულობასთან დაკავშირებულს, და მთელ რიგ მეთოდოლოგიურ საკითხს სრულიად ახლებურად აშუქებს. თავისი მრავალმხრიობის, პრობლემატურობისა და დასმულ საკითხთა განხილვის სიღრმისა და მასშტაბურობის გამო, დარწმუნებული ვართ, წიგნი აქტიურ აზროგაზიარებას, პოლემიკასა და დისკუსიას გამოიწვევს, რაც, საბოლოო ჯამში, პედაგოგიკის საქმეს დიდად წაადგება.

აეტორებს მიზნად დაუსახავთ ფილოსოფიურ და პედაგოგიკურ ცოდნას შორის ჩატესილი სიდის აღდგენა. პედაგოგიკისათვის საყრდენი ფილოსოფიური ცნებების, მათ შორის „ადამიანის თავისუფლების", „პასუხისმგებლობის", „ღირებულების", „გაუცხოების" ცნებათა ყოველმხრივი ანალიზი და, ბოლოს, აღზრდის სახეების ფილოსოფიური საფუძვლების სიღრმისეული გაშუქება.

წიგნის პირველი კარის პირველივე თავი ფილოსოფიისა და სპე-

ციალურ მეცნიერებების ურთიერთობის საკითხებისადმია მიძღვნილი. მკითხველი, ვინც გულდასმით გაეცნობა წიგნის აღნიშნულ მონაკვეთს, მიიღებს იმომწურავ ინფორმაციას დასმული საკითხების ირგვლივ, კერძოდ კი იმაზე, თუ რა მიმართულება შეიძლება არსებობდეს მეთოდოლოგიურ საფუძველად ნაგულისხმევ ფილოსოფიურ ცოდნასა და კერძო სამეცნიერო დისციპლინის შინაარსს შორის. ამ ფონზე უდავოდ საინტერესოა მოძღვენო თავი, სადაც ფილოსოფიისა და პედაგოგიკის ურთიერთობაა გარკვეული.

ცნობილია, რომ პედაგოგიკა, სხვა მეცნიერებების მსგავსად, ფილოსოფიური აზრის წიაღში აღმოცენდა. გავიდა დრო და იგი ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბდა. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: გარდაუვალი იყო თუ არა ფილოსოფიური აზრის კვლავ შერწყმა პედაგოგიკის მეცნიერებასთან?

ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. ეს იმიტომ, რომ განვითარების გარკვეულ სტადიაზე პედაგოგიკასა და ფილოსოფიას განსხვავებული საგანი გაუჩნდათ შესამეცნებელი და მათი გაყრა გარდაუვალი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, პედაგოგიკა საბოლოოდ მაინც ვერ მოსწყდა ფილოსოფიას, რადგან, მართალია, მათი ყურადღების არეში აღმოჩნდა შესასწავლი საგნის სხვადასხვა რიგის არსებები, თვითონ საგანი, როგორც უკანასკნელი ინსტანციის არსება, ანუ სუბსტანციური არსება, კვლავ ფილოსოფიის ხელში დარჩა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან პედაგოგიკისათვის ადამიანი თავისი უზოგადესობის ნიშნით (არსით) არსებითად მიუწვდომელია.

მონოგრაფიის ზოგადი მიზნიდან და არსობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ პედაგოგიკის მეცნიერული შინაარსის გარკვევისა და მისი საგნის შესახებ არსებული წარმოდგენის პრობლემას.

ავტორები სამართლიანად მიუთითებენ „აღზრდის მარადიულობის“ თეზისის მცდარობაზე. ეს თეზისი რამდენიმე ათწლეულია უკრიტიკოდ და, რაც განსაკუთრებით გასაოცარია, გაუაზრებლად გადადის სახელმძღვანელოდან სახელმძღვანელოში, მონოგრაფიიდან მონოგრაფიაში. ცხადია, ის, ვინც აღზრდის მარადიულობა-

ზე საუბრობს, ქვეშეცნეულად მას სწორედ საზოგადოებრივ კონტექსტში მოიაზრებს. ამასთან ერთად, ალბათ, არც იმას უარყოფს, რომ მარადიული მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რასაც დროისა და სივრცის გარეთ არსებობის პრეტენზია აქვს. აღზრდა კი ასეთი, ბუნებრივია, ვერ იქნება. მაშ, რატომღა ვიმეორებთ ამ მცდარ თეზისს? ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს პედაგოგიკის ტრადიციულ ნაკლოვან, რაც ცნებითა არაადექვატურ მოხმარებაშია გამოხატული და რომელიც კვლავ მეთოდოლოგიური საყრდენების არასათანადო სიმტკიცესთანაა დაკავშირებული.

მონოგრაფიის ავტორთა უდავო დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ისინი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობენ ისეთი პრინციპული საკითხებისადმი, რომლებიც პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში ან გაურდაყლილია, ან კიდევ აბრეორულად წინასწარვე გასაგებად მიიჩნევა. ასეთია, მაგალითად, საკუთრივ ადამიანის პრობლემა. საგანგებო განმარტება არ უსაჭიროება იმის აღიარებას, რომ პედაგოგიკის არსებობრივი რაგვარობა მოლიანადაა დამოკიდებული ადამიანის შესახებ შემუშავებულ წარმოდგენაზე. ყოველ ეპოქას თავისი შეხედულებები გააჩნია ადამიანის, კერძოდ მისი სულისა და სხეულის რაობაზე, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე. აქედან გამომდინარე, შესაბამისად იცვლებოდა აღზრდის შესახებ წარმოდგენათა სისტემა. მონოგრაფიის ავტორები დაწვრილებით ეხებიან აღნიშნულ საკითხს, აანალიზებენ დიდძალ მასალას ფილოსოფიის ისტორიაზე დაყრდნობით და მიდიან დასკვნამდე, რომ ადამიანის ყველაზე მთავარი და არსებითი ნიშანი არის თავისუფლება. ამდენად, თუ გინდა სწორედ უპასუხო კითხვას: „რა არის ადამიანი“? და „როგორ უნდა აღზარდო პიროვნება“? უნდა იცოდე კიდეკვაც თავისუფალია თუ არა იგი.

წიგნის დასასრულს ავტორები წერენ, რომ „ნაშრომის მიზანი გამართლებული იქნება, თუ იგი ხელს შეუწყობს თანამედროვე ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაზე, ანუ ადამიანის ფილოსოფიაზე დაფუძნებული ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური პედაგოგიკის შექმნას, რომელიც უპირველესად ფილოსოფიისა და პედაგოგიკის დაახლოებით, სხვადასხვა მეცნიერებათა მონაცემების გათვალ-

ისწინებით და ურთიერთთანამშრომლობით მიიღწევა". გვინდა ხელი გამოხმაურებით მხარი დავუჭიროთ ამ იდეას და ისიც დავძინოთ, რომ ასეთი ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური პედაგოგიკა არ იქნება მონოვარიანტული პედაგოგიკა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, რამდენადაც, ჯერ ერთი, ფარითი მნიშვნელობით გაგებული ფილოსოფიური ანთროპოლოგია მოიცავს ყოველი ფილოსოფოსის ნააზრევს ადამიანის შესახებ და, მეორეც, თავად „თანამედროვე ფილოსოფიური ანთროპოლოგია" არ არის „მონოვარიანტული". საკმარისია ითქვას, რომ მის ურთიერთისაგან განსხვავებულ „ვარიაციებს" წარმოადგენენ გაცენის, ბრიუნინგის, პლესნერის, ლანდსბერგის, როთაკერის და სხვათა ანთროპოლოგიები. ამ აზრით, პედაგოგიკა ყოველთვის ანთროპოლოგიური იქნება, ოღონდ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მრავალვარიანტულობის კვალობაზე - თავადაც - მრავალვარიანტული.

აქვე ისიც გვინდა ვთქვათ, რომ მიუხედავად თავისი მოცულობის სიდიდისა, რ. ბალანჩივაძისა და ვ. ასათიანის წიგნი, ცხადია, ბოლომდე მაინც ვერ მოიცავს პედაგოგიკის ფილოსოფიის მთელ პრობლემატიკას. ავტორები, აღბათ, შემდგომშიც გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას და მეტი კონკრეტული შინაარსით დატვირთავენ „ანთროპოლოგიური პედაგოგიკის" მათ მიერვე შემოტანილ ცნებას. ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ვფიქრობთ, წინამდებარე წიგნი იქცევა სწორედ იმ სტიმულად, რომელმაც თვისობრივად ახალ სიფეხურზე უნდა აიყვანოს პედაგოგიკის სპეციალისტებისა და ფილოსოფოსების ერთობლივი საქმიანობა. პედაგოგიკის თეორიული პრობლემების კომპლექსური კვლევა-ძიება.

ვურჩევთ პედაგოგიკის ყველა სპეციალისტს, პრაქტიკოს პედაგოგებს, პედაგოგიკის თეორიული პრობლემებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს, გულისყურით გაეცნონ რ. ბალანჩივაძისა და ვ. ასათიანის უაღრესად საინტერესო და სასარგებლო წიგნს „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები". გვჯერა, რომ იგი კარგი მეგზური და გზამკვლევი იქნება განსჯის მოყვარული ყოველი მკითხველისათვის".

წარსულის გასააზრებლად
და მომავლის განსაჭვრეტად

ჩემოვის დაუვიწყარ მოვლენათა შორის გამორჩეულია საქართველოს პუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება 1991 წელს და საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერთა გაერთიანება შემოქმედებითი შრომის საეროო ნიშნით, ქვეყნის მომავლისა და მათ მოძღვართა ყოველდღიური თანამშრომლობით მიღებული უკეთილშობილესი განცდები და მიღწეული შედეგებით გამოწვეული სიხარული, რაც პირველი დღეებიდანვე დაებედა ამ ახალ საგანმანათლებლო კერას.

უნივერსიტეტის მიზანი პარმონიულად განვითარებული მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბება ვახდა, პიროვნებისა, რომელშიც პროფესიული ცოდნა, ფართო განათლება, რწმენა და სინდისი ურთიერთშეთანხმებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან. ამ მიზნის მისაღწევად უპირველესი როლი პროფესორმასწავლებლებს ეკუთვნით. პედაგოგებს, რომელთაც დასახული მიზნისკენ მიუყავთ სტუდენტები, ხოლო უნივერს-ტეტის რექტორატი ქმნის მათი ურთიერთთანამშრომლობის აუცილებელ გარემო პირობებს. თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორმასწავლებლები ქართული მეცნიერული და ინტელექტუალური ელიტის ღირსეული წარმომადგენლები არიან.

უნივერსიტეტს 18 სპეციალობა აქვს. იგი ამზადებს კადრებს სპეციალობებში: ქართული ენა-ლიტერატურა, უცხოური ენები: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ებრაული, თურქული, რუსული; ისტორია და რელიგიის ისტორია, ჟურნალისტიკა, საქართველოცოდნეობა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ფინანსები და საბანკო საქმე, ფილოსოფია და პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია და სოციოლოგია, სასვითი ხელოვნება და ხელოვნებათმ-

ცოდნეობა, ფიზიკა და მათემატიკა, ქიმია და ბიოლოგია, სკოლამდელი აღზრდა, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია. სასწავლო გეგმები განხილულია და მიღებულია კათედრებზე, მეთოდსაბჭოებზე და დამტკიცებულია უნივერსიტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს მიერ. ყველა სპეციალობის სასწავლო გეგმა შეესატყვისება საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. ამასთან, სტუდენტები ეუფლებიან ზოგიერთ ისეთ სასწავლო დისციპლინას, რომელიც სიახლეა ჩვენი დღევანდელობისათვის.

საგნებისა და საათების რაოდენობა, ყველა სასწავლო გეგმასა და პროგრამაში განსაზღვრულია მოქმედი საუნივერსიტეტო ნორმების შესაბამისად, რაც მკაცრად იცავს პრინციპს: სტუდენტმა მიიღოს ზოგადი საუნივერსიტეტო განათლება, ამასთან, მისი სპეციალური განათლება აკმაყოფილებდეს შემდგომ ეტაპზე სწავლის უფრო ღრმად და მაღალმეცნიერულ დონეზე გაგრძელების შესაძლებლობას. ყველა სპეციალობაზე სავალდებულოა ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლა, ორი უცხოური ენის და კომპიუტერული ტექნიკის დაუფლება.

თბილისის ეროვნულ უნივერსიტეტში სწავლების პირველსავე საფეხურზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა მეცნიერული ჩვევების გამომუშავებას, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობასა და თვითაღზრდას. საამისოდ ყოველგვარი პირობაა შექმნილი სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში ჩაბმისათვის. ყოველწლიურად ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, იბეჭდება მოხსენებათა თეზისები, სასწავლო მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები.

სტუდენტები სპეციალობის მიხედვით პრაქტიკას გადიან სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებ[1]ა და შესაბამის ორგანიზაციებში.

სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ კურსდამთავრებული იღებს დიპლომს, რომელიც მას უფლებას ანიჭებს იმუშაოს

სპეციალობის შესაბამისად ყველა თანამდებობაზე, რომელიც აკმაყოფილებს არ არის სასელმწიფოს მიერ დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით.

სტუდენტები, რომლებიც წარჩინებით დამთავრებენ უნივერსიტეტს, უგამოცდოდ ავრძელებენ სწავლას იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის ასპირანტურაში.

თბილისის ეროვნულ უნივერსიტეტში უცხოური ენების სპეციალობებთან ერთად არსებობს ქართული ენა-ლიტერატურისა და ინგლისური ენის, ავრეთვე ქართული ენა-ლიტერატურისა და გერმანული ენის სპეციალობები. ჩვენი აზრით, ეს მეტად მომგებიანი და საჭირო სპეციალობებია ახალგაზრდებისათვის. ქართული ენა-ლიტერატურა და უცხოური ენა თანაბარი დატვირთვით ისწავლება და სტუდენტს სრული კურსის გავლის შემდეგ ორპროფილიანი სპეციალობა ენიჭება. იგი მაღალკვალიფიციური სპეციალისტია როგორც ქართული ენა-ლიტერატურისა, ასევე ინგლისური თუ გერმანული ენისა და ლიტერატურისა. აქამდე საქართველოში ასეთი ორპროფილიანი სპეციალობები არ არსებობდა. უცხოური ენების ფაკულტეტებზე ქართული ენა ისწავლება ზოგადად, როგორც დამხმარე, არასპეციალური საგანი. უცხოური ენების ქართველ სპეციალისტს კი აუცილებლად სჭირდება მშობლიური ენის ღრმა და მეცნიერული ცოდნა. იქნება ის პედაგოგი, მთარგმნელი, გიდი თუ თარჯიმანი.

უნივერსიტეტის მოძღვარია რიგების ამშვენებს აღიარებული მეცნიერები, მათ შორის პროფესორები: რევაზ ბარამიძე და მურმან ხუხიშვილი, თლეგ ალავიძე და თამაზ კარანაძე, რევაზ ბალანსიგაძე და ნინო კირვალიძე, გიგი სამსონაძე და იუზა ეკვენიძე, გიორგი ჯობუტი და ვალერი ლორია, მაია - გიორგი ზვიადაძე, ვიკი გამრეკელი, თენგიზ პაპუაშვილი, თამაზ ნიკოლაიშვილი, იოსებ პაჭკორია და მრავალი სხვ.

უნივერსიტეტის მეცნიერ-კონსულტანტია - ფილოლოგიის მეც-

ნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე.

უნივერსიტეტის დეკანია - პროფესორი, საქართველოს პუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბატონი გურამ სანდამიშვილი.

დღემდე უნივერსიტეტი დაამთავრა ქართული ენა-ლიტერატურისა და ინგლისური ენის, ქართული ენა-ლიტერატურისა და გერმანული ენის, ისტორიისა და რელიგიის ისტორიის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ქიმიისა და ბიოლოგიის, ფიზიკისა და მათემატიკის, სახვითი ხელოვნებისა და ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის 500-მდე სტუდენტმა, რომელთა უმრავლესობა დასაქმებულია და მუშაობს თავიანთ სპეციალობათა შესაბამისად.

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ ულამაზეს უბანში - ვერაზე, ყოველმხრივ მისადგომ ადგილზეა დაფუძნებული (პ. მელიქიშვილის ქ. №2). ბრწყინვალე შენობა, ნაიელი აუდიტორიები, ინფორმატიკისა და კომპიუტერული კაბინეტი, კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სიყვარულით აღსავსე მომსახურე პერსონალი განსაკუთრებულ გარემოს და აძაღლებულ განწყობას უქმნის სტუდენტებს.

1996 წლიდან უნივერსიტეტი გამოსცემს საკუთარ მრავალტირაჟიან გაზეთს - „ციაგს". „ციაგი" მზის სხივს ნიშნავს, იგი არის „სხივი, შუქი, მოციმციმე, მოკიაფე, ნათელი, გასხივოსნებული, ბრწყინვალე".

ბევრი საინტერესო მასალა დაიბეჭდა „ციაგში", იგი ასახავს უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებას, გამოხატავს სტუდენტთა საოქმელს, იგი ერთ-ერთი სიმბოლური სიდიდე, რომელიც ჩვენს სტუდენტობას აკავშირებს არა მარტო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, არამედ მთელ გარე სამყაროსთანაც. მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიტანო ამონარიდი „ციაგის" ერთი

ნომრიდან, სადაც ჩვენი სტუდენტები მიმართავენ თანატოლებს. „მოდით, ერთად ვიფიქროთ რა გვჭირდება, რით უნდა აეიკოთ ხული, სად ვისწავლოთ, როგორ ვისწავლოთ და როგორ გავიმაძ-აცოთ გული საქართველოს გადასარჩენად. „რათა, - როგორც დიდი ილია ვეფოროხილებდა, - ლიქნით და ფარისეველობით, ცოდნით და ხერხით, ძალით და სიმრავლით მოსულმა მტერმა არ გაგვიტანოს, ფესვქვეშ მიწა არ გამოგვაცალოს, სახელი არ გაგვიქროს, არ გაგვწყვიტოს, სახსენებელი ქართველისა არ ამოკვეთოს და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, ვით უპატრონო საყდარს, არ დაეპატრონოს“.

ჩვენ საუკეთესო ახალგაზრდობა გვყავს. უდიდესი პასუხისმგებლობაა მათი აღზრდა, დაოსტატება და ცხოვრების გზაზე გამოყვანა.

საქართველოს პუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნულ უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი პარმონიულად განვითარებული მთლიანი პიროვნების, მაღალზნეობრივი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღსაზრდელად, წასრულის გასააზრებლად და მომავლის განსაჭვრეტად.

განელილმა წლებმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ყველაზე დიდი მონაპოვარი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ურთიერთდამოკიდებულება, ოანამშრომლობა, მეგობრობა, სიყვარული და ღრმა ადამიანური ურთიერთობაა.

ადამიანურობა ზნეობით იზომება. ზნეობრივ აღზრდაზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ერთ-ერთი მეარი და გამორჩეული პირობაა პუმანური და დემოკრატიული საზოგადოების დამკვიდრებისათვის.

ცხოვრება გზასაყარს ჰგავს, რომელიც ორად იყოფა. ერთი გზა სიკეთის, კაცთმოყვარეობის, ზნეობისა და ჭეშმარიტებისაა, ხოლო მეორე - უზნეობის, უკეთურობისაა, რომელიც ყოველთვის საწყისია სიძულვილისა, ანგარებისა, ბოროტებისა.

ზნემაღალ პიროვნებას აღზრდა უნდა! ადამიანისათვის საკმარისი არ არის, ძალიან ცოტას ნიშნავს თუნდაც დიდი სწავლა-განათლების მიღება. იგი „კაი-კაციც უნდა იყოს“, ხოლო „კაი კაცობის შემძლეობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს“ (ილია).

ზნე ადამიანის ქცევის, ზნეობა კი მისი შინაგანი ბუნების, მისწრაფებებისა და ხასიათის გარკვეულობაა. ზნეობრივი აღზრდა სამ ძირითად მიზანს ითვალისწინებს. უპირველესად, ადამიანის ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბებას, რაც ზნეობის არსის, ღირსების, მორალის გაცნობიერებასა და გაგებას ნიშნავს; მეორე - ზნეობრივ გრძნობათა აღზრდას, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისადმი ერთგულებას. იგი ღირსებისადმი ამაღლებული დამოკიდებულების ჩანერგვასა და პატივისცემას ემყარება; ხოლო მესამეს - ზნეობრივი ჩვევების ჩამოყალიბებას, ზნეობრივი ქცევების მოქმედებისა და ფორმების ერთიანობა ქმნის.

ზნეობრივი აღზრდის შინაარსს მრავალ კომპონენტთა მთლიანობა განაპირობებს. ესენია: ჰუმანიზმი, ეროვნულობა, პატრიოტიზმი, სულიერება, ადამიანურობა, სიყვარული, რწმენა, მეგობრობა, შრომისმოყვარეობა, სიბრალული, მადლი, ნამუსი, სამართლიანობა, ხასიათის სიმტკიცე, პრინციპულობა, ზომიერება, შეუდრეკელობა, თავდადება, შეწყალების უნარი, პატიოსნება და სხვ.

ადამიანის აღზრდა მრავალმხრივი პროცესია. იგი მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როცა ზეგავლენას ახდენს როგორც გონებაზე, ისე სულსა და გრძნობებზეც. როგორც დიდი ილია გვასწავლის, „ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონებისა და გაწვრთნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათით გაწვრთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათით გაუწვრთნელი“.

წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის მთელ სასწავლო პროცესს გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობისათვის მიზანმიმართული შრომა განაპირობებს. თანმიმდევრულადაა შესამებული: კაცობრიული ა'ზრის მიერ დაგროვილი მეცნიერული ცოდნის დაუფლება, ა'ზროვნების ამაღლება, ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისების უნარის ჩამოყალიბება-განვითარება, გონებრივი შრომის კულტურის დანერგვა, ცოდნის შეგნებულად და შემოქმედებითად შეთვისება და, რაც მთავარია, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის აღზრდა, როგორც დიდი ილია ამბობდა, „კეთების ცოდნის“ დაუფლება.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები გამოირჩევიან მაღალმეცნიერული და მაღალინტელექტუალური დონით. მათი ცოდნა, განათლება, ზნეობა, საერთო კულტურა და საზოგადოებრივი ურთიერთობები საუკეთესო მაგალითია სტუდენტთა აღსაზრდელად. ნათქვამი ნათლად დასტურდება წლების გამოცდილებით. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობა გარკვეულ ნიშანსვეტად ჩანს და პრაქტიკულ შედეგს გვაძლევს ღირსეული თაობის სახით, რომელიც დიდ პატივს მიაგებს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს და ერთგულია წინაპართაგან დატოვებული „მამულის, ენის, სარწმუნოების“, გრძნობს მოვალეობას, პასუხისმგებლობას და მზადაა ემსახუროს თავის ქვეყანას, თავის ხალხს, მის ინტერესებს. სჯერა, რომ კაცობრიული ინტერესებისათვის სამსახურის საუკეთესო გამოვლინება საკუთარი სამშობლოსათვის თავდადებაა.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა კარგად იციან, რომ ზნეობრივი აღზრდის მი'ზანი და ამოცანები უშუალოდ უკავშირდება მორალის სწორ გაგებას, რომ მორალი კაცობრიობის მარადიული და მუდმივი ღირებულებაა. იგი ერთია და ტოლფასია ჭეშმარიტებისა, მშვენიერებისა, სიკეთისა, სიყვარულისა, სიმართლისა, სიმწმინდისა. მას'ში გაიგივებულია მაღალი, ზოგადკაცობრიული მცნებები. ამასთან, იგი ცნობიერებისა და მოქმედების ერთიანობაა

და აწესრიგებს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებს. მორალი მოქმედებაა, სწრაფვაა თავისუფლებისაკენ. იგი თავისუფლებაა, რომელსაც თან ახლავს უდიდესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება. თავისუფალი აზროვნება კი მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაშია შესაძლებელი, ხოლო ორივე ერთად აუცილებლად იცავს ურთიერთგაპირობებულ მორალურ პარმონიას.

წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნულ უნივერსიტეტში არის რელიგიის ისტორიის სპეციალობა, მოქმედებს რელიგიის კათედრა, რომელიც ყველა სპეციალობას მოიცავს და რელიგიის ისტორიის საკითხების გარდა სტუდენტებს აღავსებს ღვთის მადლით, სულიერებით, ქრისტიანული მორალით; სტუდენტთა აღზრდას წარმართავს ისე, რომ მთელი სიცოცხლე ილტყოდნენ სრულყოფისაკენ, უზენაესის ბადალი სრულქმნილებისაკენ. იცხოვრო - ნიშნავს, ეცადო, აღასრულო მცნება - „მაშ, იყავით სრულყოფილნი“ (მათე, V, 48. 1998).

რწმენა ადამიანის სულიერი და ზნეობრივი სრულყოფის საშუალებაა. გაუკუღმართებული ცხოვრების მოთხოვნილებით დათესილი მტრობა, შური, გაუტანლობა სწორედ სარწმუნოებამ, სახარებამ და ქრისტიანულმა მორალმა უნდა აღკვეთოს.

„ბედნიერების კარი გარედან რომ იღებოდეს, შევაღებდით და შევცვივდებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, შიგნიდან იღება, ამიტომ ვერაფერს გააწყობ“, - ამბობს კირკეგორი.

ადამიანები ბედნიერებას ეძებენ, ყველაფერს აკეთებენ, რომ ერთი ნაბიჯით მაინც მიუახლოვდნენ მის ჯადოსნურ ზღურბლს.

სად არის ბედნიერება? „აგერ, აქ არის, ვინაიდან, აპა, თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი“ (ლუკა 17, 21, 1998). ასე ბრძანებს მაცხოვარი. ბედნიერება ჩვენს სულშია, იგი ჩვენშია!

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეძიებდეთ სასუფეველს ღვთისას, ვეძიებდეთ და საზღაურად მივიღებთ ყველაზე დიდ სიკეთეს, რაც შეიძლება ვინატროთ ამქვეყნიურ ცხოვრებაში და მარადიულ ნეტარებაში.

ჭეშმარიტად ბედნიერი არის ის, ვისაც ძალუძს თაყვის თავში დაატიოს ღვთის დიდება, ვინც პპოვა ღმერთი და ცხოვრობს უფლის კანონებით. ასეთი ბედნიერება ულევი და არამიწიერია, ღრმა, მარადიული და ნამდვილია. ეს არის ბედნიერება არა მარტო კეთილ ღღეთა, არამედ განსაცდელით საესე ცხოვრებისაც, ეს არის ბედნიერება, ბედნიერება არა დროებითი, არამედ მარადიული.

ადამიანში ადამიანურობის აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, პიროვნების აღზრდას გულისხმობს. პიროვნებისა, რომელსაც სამყაროს შემეცნებითი გააზრების გარდა, მშვენიერების დანახვა, მშვენიერებით ტკბობა, მშვენიერების შექმნა და მისი დამკვიდრებისათვის შრომა და ბრძოლა შეეძლება.

ადამიანი ცხოვრობს და შრომობს სილამაზის კანონების შესაბამისად და ეს იმიტომ, რომ მას სურს მისი გარემომცველი გარემო იყოს ლამაზი, მშვენიერი და მიმზიდველი.

წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნულ უნივერსიტეტში დომინირებს პრინციპი - ქართველი კაცი ქართულ კულტურაზე უნდა იზრდებოდეს! ის, ვინც გონებითა და გრძნობით ფლობს მშობლიურ კულტურას, უფრო ადვილად იკვლევს გზას უცხოური კულტურებისაკენ, მაღალია სამყაროსადმი მისი შემეცნებით-ნებელობითი დამოკიდებულება და ესთეტიკური კრიტერიუმებით აზროვნების უნარი.

ადამიანი, რომელიც მშვენიერების მეხოტბეა, გმობს სიმახინჯეს, სიმდაბლეს, შრომობს მშვენიერებისა და ამაღლებულის შესაქმნელად, დასამკვიდრებლად, აუცილებელია კარგად ერკვეოდეს ამ კატეგორიების შინაარსობრივ-მორალურ ღირებულებებში.

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სასწავლო შრომას და შრომისმოყვარეობის აღზრდას. სასწავლო წლის დაწყების პირველი დღეებიდანვე დგება სტუდენტთა სამეცადინო განრიგი, იხვეწება სამუშაო დღის ორგანიზაცია, რაც მიმართულია შრომის მორალურ კატეგორიად გააზრებისა და მის ად-

ამიანურ მოთხოვნილებად გადაქცევის აუცილებლობისაკენ. კარგად გვესმის, რომ შრომის გარეშე მეცნიერებისა და ხელოვნების არც ერთი საიდუმლო არ აიხსნება, შრომაა უმაღლესი სიკეთე.

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა ყველა საზოგადოების იდეალია. ყველა სასწავლებელი უნდა მიილტვოდეს ამ მიზნისაკენ. ამისათვის კი ბევრი რამაა აუცილებელი, მაგრამ მთავარზე მთავარი პედაგოგია, მოძღვარი, რომელსაც პირადი მეობა, ადამიანურობა, პროფესიონალიზმი და მაღალი სული უწინამძღვრებს ერის მომავლის აღსაზრდელად.

წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის მუშაობის განმსაზღვრელი პედაგოგიური პრინციპი ნათლად უპასუხებს ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნებს და მყარადაა დაფუძნებული მამულიშვილის აღზრდის ისტორიულ ტრადიციებზე. ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და კეთილი ნების ჰარმონიული აღზრდა სწორედ იმას გულისხმობს, რომ ჭეშმარიტება აუცილებლად სიკეთეს მოხმარდეს, ემსახუროს მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბებას, მისი ყველა ძალის განვითარებას, შეგნებული და აქტიური მოქალაქის აღზრდას. ამიტომ უნივერსიტეტი იღვწის შექმნას ადამიანის უნიკალობისა და განუმეორებლობის აღქმის გარემო, მიაღწიოს ეროვნულისა და კაცობრიულის თანმიმდევრულ შეხამებას და განაპირობოს მთლიანი, ჰარმონიულად ჩამოყალიბებული, თავისუფალი პიროვნების თავისუფალი განვითარება.

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის რექტორატს, სამეცნიერო საბჭოს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს სჯერათ თავისი ძალებისა, ნათელია მათი მისია, რეალურია მისი განხორციელების გზები, კურთხეულია მათი საქმიანობა.

ნბრევის თავისუფლება

„ბატონებო, დააკვირდით თქვენს თავს. ჩაიხედეთ თქვენს სიღრმეში, შესჯელობა ეხება არა რაიმე გარეშეს, არამედ მხოლოდ ჩვენს თავს“.

ადამიანი არის ცნობიერება, ამბობს სარტრი. ცნობიერება კი იგივე თავისუფლებაა. თუ ადამიანი ცნობიერებაა, ხოლო ცნობიერება - თავისუფლება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი არის თავისუფლება. უმთავრესი და უპირველესი კი ეროვნული თავისუფლებაა. ჩვენ მოვიპოვეთ იგი და დღეს დამოუკიდებელ. სუვერენულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ვცხოვრობთ კი? გვაქვს პოლიტიკური თავისუფლებაც! არსებობს თავისუფალი პრესა, ტელევიზია, რადიო. ყველას შეუძლია ჰქონდეს საკუთარი აზრი, გამოთქვას კრიტიკა ყველა დონის ხელმძღვანელის მიმართ, უჩივლოს პრეზიდენტსაც კი. გვაქვს რწმენის თავისუფლებაც! მაგრამ ადამიანები სხვადასხვა გაურკვეველი და გაუმართლებელი მიზეზების გამო, ვერ სარგებლობენ შრომის, განათლების, ჯანმრთელობის, დასვენების უფლება-თავისუფლებებით. გაუარესდა სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, გაუსაძლისი გახდა ცხოვრება და ადამიანთა უდიდესი ნაწილი სიცოცხლის გადარჩენისათვის უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. თავისუფლებამ მოხსნა ზნეობის ყველა შემაკავებელი ჯაჭვი და უკიდურესობამდე შერყვნილ და დაბინძურებულ ცნობიერებას მისცა გასაქანი. შეიქმნა მაფიოზურ-ბანდიტური კლანები, აღორძინდა კორუფცია, ჩამოყალიბდა პლუტოკრატია. ისინი შეგნებულად აფერხებენ ახალი ეკონომიკური სისტემის დანერგვას, ძარცვავენ და ითვისებენ საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს. უმოწყალოდ ითელება ადამიანთა უფლებები და ღირსება. სახელმწიფომ დააყაჩაღა საკუთარი ხალხი. მისი აზრით, ხალხი არსებობს სახელმწიფოსათვის და არა სახელმწიფო ხალხისათვის. უგულებელყოფილია ერავალსაუკუნო-

ვანი ეროვნული კულტურა, მეცნიერება; მოიძლავრდა ნარკომანია, პროსტიტუცია; გზა გაეხსნა გადაგვარებულ, არაადამიანური ცხოვრებისა და არსებობის ფორმებს. დაირღვა ეროვნული მთლიანობა, სულიერება, ადამიანურობა და მიეიღეთ „ნგრევის თავისუფლება". ასე შეიძლება ეუწოდოთ თავისუფლების ამ ეტაპს, რომელიც ახლა გვიდგას ჩვენს სამშობლოში.

არ ვიცი რამდენ ხანს გაგვიგრძელდება ნგრევის ნიჭის წარმოჩენა, მაგრამ, საერთოდ, ადამიანის ბუნება მის სოციალურ აქტივობაშია, სიკეთის კეთებაშია, ქმნაშია, შენებაშია, და არ შეიძლება ამ გარდამავალი პერიოდიდან არ გადავიდეთ „შენების თავისუფლებაზე", შეუძლებელია არ გაღვივდეს შემოქმედებითი აღმაფრენა, ჭეშმარიტი შრომის ენთუზიაზმი. ამის მისაღწევად კი ეროვნული ცნობიერების აღორძინება, გაღრმავება, საშშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, ადამიანის ზნეობრივი აშაღლება, პიროვნული სრულყოფა, დიდ წინაპართა ნაამრეკის გაცნობიერება, შამა-პაპათა რწმენის ერთგულება და „სიმტკიცე ერთობისა და სიყვარულისა" არის აუცილებელი. მაგრამ, იმასაც ხომ ამბობენ, რომ „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყაყი გააძრესო".

დღეანდელი ყოფის ნათლად წარმოჩენა, გაანალიზება, მომავალზე ზრუნვის აუცილებლობის გაცნობიერება, ურთიერთთანხმობა და „შენების თავისუფლებისაკენ" სწრაფვა ყველა ჩვენგანის ვალია. „იმისდა მიხედვით, ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე, ამას ითხოვს ადამიანურობა, კაცური კაცობა და ერთობ დიდი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა, რომელიც, როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლიე აწყდის ძალას ცხოველმყოფელობისას, სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისას".

„პატრიოტიზმი ყიეინდარაოა ბოლო თავშესაფარიაო", სულ ახლახან პრესის ფურცლებიდან „დაგვმოძღვრა" ერთმა სულგაყიდულმა, ყაიინტელიგენტმა. ისმენს ამ მძაფრ, შეგნებულ და მიუტევებელ მკრეხელობას მოზარდი და გაორებული გრძნობა

უჩნდება. სულ ფუჭი ყოფილა ჩვენი დიდი წინაპრების ლოცვა - „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლეო“. ვერ შეუსმენიათ ჩვენთვის, რომ „ყოველ ერს თვისი საკუთარი სახე აქვს, თვისი საკუთარი გულთათქმა, თვისი საკუთარი წადილები, თვისი სულსწრაფვა, თავისი ღირსება, ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“.

მძიმეა და საკვალალო სამშობლოს სიყვარულის აბუჩად აგდება, ამისი შენდობა მართლაც შეუძლებელია. დავიღუპებოდით, სრულად აღვიგვებოდით სამყოდან ასე რომ ფიქრობდნენ სხვებიც. - „მაცოფებს ის, რომ სამშობლოს სიყვარული და მასზე გულწრფელი ზრუნვა უკვე ანაქრონიზმატულ კატეგორიად მოიაზრება... ჩამორჩენილობად, რეტროგრადობად, პროვინციალობად სახელდება... განსაცვიფრებელი და გულსაკვლავია ეს ყოველივე...“ - წერს ბატონი გურამ ბენაშვილი. არ შეიძლება არ დაფიქრდე, არ გააღრმავო მისი აზრი. არ შთააგონო მოზარდებს, რომ არ შეიძლება სამშობლოს აუგად ხსენება. იგი, როგორც დედა, ერთია ამ ქვეყანაზე და ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასია. არ არსებობს სხვა ჭეშმარიტება სამშობლოზე დიდი. სამშობლოა ადამიანისათვის ყველაფრის განმსაზღვრელი ღირებულება და უმაღლესი ჭეშმარიტება ჭეშმარიტებათა შორის. „მთხლეობის ემანაციაა“ მათი აზროვნება, ვინც სამშობლოზე მაღალ კატეგორიად მოაზრებულ რაიმე ჭეშმარიტებას ეძებს. არ შეიძლება გერქვას ადამიანი და არ ფიქრობდე შენს სამშობლოზე, შენს ხალხზე, მის მომავალზე. არ შეიძლება უარყო წარსული, აწმყო და ამით საფლავი გაუთხარო მომავალს, არ შეიძლება უარყო წინაპრები და უაზრო, უფერო და უსახო, უცხოურ წესებს გაუწიო პროპაგანდა; მოწყდე სამშობლოს, მის სიდიადეს და დაუპირისპირო შენი უვიცი თავი ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს; „არა უშავს რა“ პოეტად და „ბიჭად“ მონათლო ბარათაშვილი, გალაკტიონი, მტრის აგენტებად გამოაცხადო XX საუკუნის უდიდესი ქართველი მწერლები; არასრულფასოვნება და ნიპილიზმი დანერგო საზოგადოებაში, მით უფრო, როცა ჩვენი დღევანდელი პრესა და ტელევი-

ზია მხოლოდ და მხოლოდ ასეთ შავ, მომაკვდინებელ აზრებს ეძებს და გაშმაგებით უწევს პროპაგანდას. ტელევიზიაო, ვახსენე. დაუშვებელია, აძაზრზენია, მომაკვდინებელია, როცა ყოველდღე ერთი და იგივე მშრალი სახეები უტიფრად ებრძვიან ერთმანეთს ტელეეკრანებზე, ათას სისულელეს აფრქვევენ ბაგენი მათი, ეკამათებიან ერთურთს მხოლოდ პირადი, საკუთარი, ქვეყნისდამაქცეველი მეობის დასამკვიდრებლად; არად დაგიდევენ მაყურებელს, საზოგადოებას, ქვეყნის ავტორიტეტს, გულმოდგინედ ატრიალებენ მტრის წისქვილს და სრული შეგნებით ემსახურებიან სამშობლოს დაქცევას, ეხმაურებიან და აწვდიან ყოველგვარ დაფარულ თუ ღია ინფორმაციას გადამთიელებს. უყურებს და ისმენს ამ სისაძაგლეს მოზარდი და... შემდეგ გვიკვირს საიდან ახალგაზრდებში ამდენი სისასტიკე, დაპირისპირება, გაუტანლობა, ფლიდობა, ძალადობა!.. ჩვენგან ბატონებო, ჩვენგან, უფროსი თაობიდან! დავაკვირდეთ ჩვენს თავს, ჩავიხედოთ ჩვენს სიღრმეში და ყველაფერი მოვკითხოთ მხოლოდ ჩვენს თავს!

არ შეიძლება გულდამშვიდებით უყურო აფორიაქებულ სტუდენტებს. მთელი უბედურება ისაა, რომ აშკარაა, თვალნათელია ახალგაზრდათა არაჯანსაღი ურთიერთობა, უფროსების მაგალითით აგულიანებული, გამოუცდელი, ჯერ კიდევ ნორჩი, მოუმწიფებელი გონება ადვილად ითვისებს მანკიერ და ყოვლად მიუღებელ, უსაფუძვლო დაპირისპირებას, ითვისებს კარიერიზმს, ცხოვრების სიამტკბილობის უშრომელად მიღწევის მიუღებელ მეთოდებს. მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ეიფორიის წარმოქმნას განსაკუთრებულად უწყობს ხელს ტელევიზია. „პოლიტიკური ელიტის“ მსგავსად, ტელევიზიის ამა თუ იმ პროგრამის წამყვანები, თავიანთი გამოცდილი და პროფოკაციული შეკითხვებით, თითქოს განვებ ცდილობენ ორ დაპირისპირებულ მხარეს რაც შეიძლება მეტი აუგი ათქმევინონ ერთმანეთზე. თანაც დაჟინებით მოითხოვენ კონკრეტულ გვარებს, რითაც კიდევ უფრო ძაბავენ ურთიერთობებს და სავალალო შედეგებიც ხშირად სახეზე გვაქვს. ამასთანავე, შეპარვით რეკლამას უწევენ ამა თუ იმ რეაქციულ, თავაშვებულ

და საზოგადოებისათვის მეტად საშიშ პოპულისტურ ჯგუფებს, რომლებშიც, ძირითადად არაპროფესიონალი, უტყვარი, ხელმოცარული და გაუმაძღარი ადამიანები არიან გაერთიანებული და საკუთარით შეკნებულად უბიძგებენ ახალგაზრდებს დაემგვანონ მათ. არავის ასესენდება ისეთი პრობლემები, როგორიცაა: მომავალი თაობის აღზრდა, განათლება, ზნეობა, პატრიოტიზმი, ეროვნული ტრადიციები, მამულიშვილობა, ოჯახი, რწმენა, სინდისი, ერთგულება, სიყვარული და თავისუფალი პიროვნების განვითარებისათვის აუცილებელი სხვა პოსტულატების პროპაგანდა.

დიდი ილია ჭავჭავაძე გვასწავლიდა, რომ „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა მსულდგმულებდეს, თუ მართლა ერობა სურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს". გმირ წინაპართა მაგალითი შთამომავლობაში რწმენას ბადებს, რწმენადაკარგული ხალხი კი სუსტია, იგი მომავალს ვერ უზრუნველყოფს! დღეს, ჩვენდა სავალალოდ, გმირებზე საუბარი უგულებელყოფილია, მით უფრო დღევანდელ გმირებზე. არადა, ისინი გვყვანან. ნამდვილად გვყვანან. სიკეთის მაგალითებზე მომავლის აღზრდა, რწმენის გაძლიერება და ადამიანების სიყვარული ხელს უწყობს ერის გამთლიანებას, ეროვნული ცნობიერების ამაღლებას, ყოველი ადამიანის მიერ ქვეყნის სასიკეთოდ გაწეული უმნიშვნელო შრომის დაფასებასაც კი.

არ შეიძლება ერთ დამაფიქრებელ გარემოებას არ შევეხოთ. ვისმენთ აურაცხელი ბოროტების, ქართველთა გაუტანლობისა და ურთიერთმტრობის ამსახველ ფაქტებს ტელეეკრანიდან და გული გვიკვდება. „პროფესიონალი" დიქტორები კი ისეთ ტონში გადმოსცემენ ჩვენს დამაქცეველ ამბებს, რომ თითქოს უსარიათ, თითქოს მათი ბრალი არაფერია, თითქოს ისინი სხვა ქვეყნის შვილები არიან, არავითარი სინანული - პირიქით, ქედმაღლური მტკიცე ტონი და ნიშნის მოგება. თუმცაღა, ფაქტი ფაქტად რჩება, მაროლაც მძიმე უამი გვიდგას. მიუხედავად ამისა, ვერავითარი სოციალურ-პოლიტიკური სიდუხჭირე, თუ სხვა მრავალი უკეთმართობა, რაც

ჩვენ გვჭირს, და გვჭირს ჩვენით, ვერ უნდა შეეხოს სკოლას, უნივერსიტეტს და საერთოდ მომავალ თაობას. როგორო? - იკითხავს შავანი, სკოლაც და უნივერსიტეტიც ხომ ჩვენი ცხოვრების ნაწილია და გაუსაძლისი ყოფა მათ რატომ არ შეეხებაო? დიახაც, ეხება და ამიტომ განსაკუთრებით უნდა მოვერიდოთ მათ, ხელი არ შევუწყოთ უძლიერესი იარაღით, ტელეეკრანითა და ბრავალფეროვანი პრესით უფრო ღრმად არ დავთესოთ უნდობლობა, განხეთქილება, შური, ბოროტება, დაპირისპირება, კერძო ინტერესები და ამით სასიკვდილო ჭრილობა არ მივაყენოთ ახალგაზრდათა გულს, სულსა და გონებას.

საქართველოს დიდი პრობლემები აქვს. საბწუხაროდ, მომავალ თაობას მოუწევს მასთან შეჭიდება. ამ ბრძოლაში კი მხოლოდ დიდი განათლება, ცოდნა და პროფესიონალიზმი გაიმარჯვებს. ესაა დღევანდელი სტუდენტების უმთავრესი საზრუნავი. პროფესიონალიზმი შემოგდებული პოლიტიკური მიზანსცენებით არ მოდის. იგი დაუღალავ შრომას, წიგნის უსაზღვრო სიყვარულს, რწმენას და მოძღვრის პატივისცემას მოითხოვს. ამით უფრო, რომ პატიოსანი, ღრმად განათლებული და კეთილად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლები არ გვაკლია.

დღეს ჩვენში პოპულარიზებული „დემოკრატია“ და „თავისუფლება“ ერის სულიერი გაღარიბებისა და ეროვნული ცნობიერების დეგრადაციის საფუძველი ხდება. განსაკუთრებით საშიშად და დამღუპველად იგი სკოლის, საერთოდ განათლების სისტემის სადღეისო ყოფაში ისახება, რამეთუ „ქვეყნის მყოფადი დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თვითმიზნად გამოცხადებულ უცხოური კულტურის უარყოფით ზეგავლენას ახალგაზრდა თაობის განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე. უცხოური ენების შესწავლა, უცხოური კულტურის გაცნობა და გააზრება საჭირო და გადაუდებელი საქმეა, მისი ათვისების დიდი ტრადიციაც გააჩნია ქართველ ხალხს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურთან შერწ-

ყმით. მიუღებელია უცხოური ენების პრიორიტეტულად გამოცხადება სკოლაში. მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში პრიორიტეტი მშობლიურ ენას, მშობლიურ ლიტერატურას და საერთოდ ეროვნულ კულტურას ენიჭება.

სავალალოა ცნობიერება იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც თბილისში ახლახან გახსნილ ზოგიერთ უცხოურ ორიენტაციაზე აგებულ კერძო სკოლებში სწავლობენ. სავალალოა-თქო, რომ ვამბობ, დიდი გულისტკივილით ვამბობ, რადგან ეს ახალგაზრდები თვითონაც ვერ ხვდებიან რით ამაყობენ და ხმამაღლა, სხვათა გულის მოსაკლავად, თამამად და რიხით რას აცხადებენ ტელეეკრანიდან. „ჩვენ, აქ, თბილისის კერძო სკოლაში ყველა საგანს უცხოურ ენაზე ვსწავლობთ და იმიტომ მოგვწონს ეს, რომ შემდეგ წავიდეთ უცხოეთში და იქ კარგად მოვეწყოთ და იქ კარგად ვიცხოვროთო“. ეს სიტყვები დიდი თავმოწონებით გაისმოდა 2002 წლის 16 აპრილს საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე მიმდინარე გადაცემაში. ამ გადაცემაშივე თბილისის „მომავლის სკოლის“ დირექტორი, მშვენიერი ქართველი ქალბატონი აცხადებს, რომ „მომავლის სკოლა“ ჰქვია იმ პროგრამას, რომლითაც მუშაობს ჩვენი კერძო სკოლა და ამიტომ სკოლას დავარქვით პროგრამის სახელიო. ეს პროგრამა, მისი განმარტებით, ითვალისწინებს პირველი კლასიდან ინგლისური ენის ღრმად სწავლებას, ხოლო მეორე კლასიდან ყველა სხვა საგნის ინგლისურ ენაზე სწავლებას. ასევე ვასწავლით საგანს „ქართული ენაო“, თავი მოიწონა დირექტორმა. ამ პროგრამის განსაკუთრებულობა და მიზანი თურმე ისიცაა, რომ, „შვილები დაუბრუნდნენ მშობლებს“. რასაკვირველია, ასეთ სკოლაში აღზრდილი და გაუცხოებული ცნობიერების მქონე ქართველი ახალგაზრდა შეგნებულად ამბობს ამ სიტყვებს და თავმოწონებით განმარტავს იმ აზრს, რაზეც ზემოთ მოვახსენეთ. ამასთან, სრულებითაც არ გრძნობს იოტისოდენა პასუხისმგებლობას საშობლოს, ოჯახისა და მამულის წინაშე. ამ სასწავლო პროგრამით აღზრდილი, იგი უფრო და უფრო შორდება მშობლებს,

რადგან მისი სული, ეროვნული მე და საერთოდ ცნობიერება გაუუცხოვდა საკუთარ ჯიშს, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციულობას, ეროვნულობას და საბოლოოდ კარგავს სამშობლოს სიყვარულს. სამშობლოს სიყვარული, მისდამი ერთგულება, პატრიოტიზმი კი ერთადერთი უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობაა, რომელიც აძლევს ადამიანს ნიჭს სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შესაწირად, რაც ყოველთვის იყო და უნდა დარჩეს ქართველთა ღვთიურ ვალად. ის, რაც დადებით შედეგს გამოიღებს ინგლისურენოვან სამყაროში და კერძოდ ამერიკაში, სავსებით შესაძლებელია უარყოფითი შედეგი მოგვცეს ჩვენთან. „მომავლის სკოლამ“ შეიძლება ამერიკელი ბავშვი დააბრუნოს მშობელთან, ხოლო ქართულ დედაშვილობას, მამაშვილობას და საერთოდ ქართულ ოჯახს, კარგს რომ არაფერს მოუტანს, სავსებით ნათელია.

საქართველო არასოდეს ყოფილა კარჩაკეტილი ქვეყანა. უცხოური კულტურისადმი ინტერესი ყოველთვის პქონდა ქართველ კაცს. იგი უხსოვარი დროიდან ეწაფებოდა ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურას, ენას. შუა საუკუნეებიდან საქართველოს მზერა დასავლეთისკენაა მიმართული და ყველანაირად ცდილობს ფეხი აუწყოს ევროპულ ცივილიზაციას. ქართულ აზროვნებაში შემოდის რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური კულტურა. მაგრამ განათლების სისტემის ჭეშმარიტი მიზანი, შინაარსი, მიმართულებები და პრინციპები ყოველთვის ემსახურებოდა მაღალზნეობრივი, განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე, სპეტაკი ეროვნული გრძნობით აღსავსე, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებას, პიროვნებისა, რომელშიც ფართო განათლება, რწმენა და სინდისი შერწყმულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან; პიროვნებისა, რომელიც ერთგულია „მამულის, ენის, სარწმუნოების“, გრძნობს პასუხისმგებლობას, მოვალეობას და ყოველთვის მზადაა ემსახუროს თავის ქვეყანას, თავის ხალხს, მის ინტერესებს, რამეთუ კაცობრიული

ინტერესებისათვის სამსახურის საუკეთესო გამოვლინება საკუთარი სამშობლოსათვის თავდადებაა.

დღეს, სამწუხაროდ, მიმართულება „ყველაფერი უცხოური“ ბატონობს გრიგოლ ხანძთელის, რუსთაველის, ილიასა და იაკობ გოგებაშვილის ქვეყანაში. არ გვესმის მამაია ღაღადისი, თუმცაღა მოვალენი ვართ გავიგოთ, შევისმინოთ და დავუჯეროთ მათ, რამეოუ დაუჯერებლობას, არგაგებას, გაუცხოებას რაც მოჰყვა, ყველა ხედავს, ხოლო გზა ტაძრისაკენ ჯერ კიდევ არ ჩანს.

განვლილმა წლებმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი გაუუცხოვდა სამშობლოს, თანამემამულეს, მეგობარს, სიყვარულს, ადამიანურ ურთიერთობებს. ადამიანურობა კი ზნეობით იზომება. ზნეობრივ აღზრდაზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ერთ-ერთი მყარი და გამორჩეული პირობაა ჰუმანური და დემოკრატიული საზოგადოების დამკვიდრებისათვის. დიდი ილია ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელობას მისი მიზანდასახულობით ხსნის, ხოლო მიზნად ადამიანის ზნეობრივ აშაღლებასა და გაკეთილშობილებას სახავს. მისი აზრით, „ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წვრთნა ზნეხასიათისა ზრდაა, გარკვევა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისი კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომაც ზნე-ხასიათის წვრთნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველ-გვარის წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა“.

მოზარდი თაობის ზნეობროივი აღზრდის ამოცანად ილია ჭავჭავაძე კეთილშობილური და წმინდა „კაცურ-კაცობისათვის“ დამახასიათებელი თვისებების აღზრდას მიიჩნევს. მისი აზრით, ადამიანის ხასიათში აუცილებელია აღიზარდოს ისეთი მაღალზნეობრივი თვისებები, როგორიცაა: სამშობლოს ერთგულება და თავდადებული სიყვარული, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, სინდისი

და პატიოსნება, ნებისყოფის სიმტკიცე, სამართლიანობა, ზომიერება, შებრძოლი ხასიათი და შეუდრეკელობა, რაინდობა, მეგობრობა, კეთილშობილება, შეწყალების უნარი, კაცთმოყვარეობა და სხვ. ილია ჭავჭავაძე სრულყოფილი კაცის ნამდვილ გამოხატულებად აღიარებს ისეთ ადამიანს, რომელიც თანაბრად ამყლავნებს ღრმა ცოდნას და მტკიცე ხასიათს: „უკეთესი არა იქნებოდა-რა, - წერდა იგი, - რომ ხასიათის გაწურთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორი საუნჯის შექსოვაა“. მრავლისმეტყველია ილია ჭავჭავაძის აზრი, რომ ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონებისა და გაწვრთნილი ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. „თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანვითარებელი და ზნე-ხასიათგაწვრთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათგაუწვრთნელი“. დიდი ილია კატეგორიულად აცხადებს ადამიანების ზნეობის აღზრდის ძირეულ კავშირს სწავლასა და ცოდნასთან. იგი მთლიანად აღიარებს გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობის აუცილებლობას.

მაღალი ზნეობა ადამიანის ღირსების ამაღლების საწინდარია - ესაა ჭეშმარიტი ჰუმანიზმის უზენაესი პრინციპი. ამ თვალსაწიერიდან აფასებს დიდი ილია ადამიანის ყოველგვარ საქმიანობას ეროვნულ სარბიელზე. ამ სიმაღლიდან განიკითხავს ყველასა და ყველაფერს, ამ საზომით ზომავს ერის წარსულს და სახავს გზას სამომავლოდ.

დიახ, დიდი ილია კი სახავს გზას სამომავლოდ, მაგრამ ჩვენ არ ვუგდებთ ყურს მოძღვარს. თუმცა, ჩვენი ისტორიის ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს ჩვენი უგნურობა. იოანე საბანისძედან დაწყებული ივანე ჯავახიშვილით დამთავრებული მრავალი დიდი კაცი, ბრძენი და განსწავლული დამმოძღვრელი გვყავდა, მაგრამ მათი შეგონებების გააზრებისა და გაცნობიერების ნაცვ-

ლად, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, „ყოველთვის საქართველოს აოხრება ერთმანეთის დაუჯერებლობით ქმნილა“. და ასეა დღესაც. უაზრო დაპირისპირება, მხოლოდ საკუთარი აზრის დაყენება და პირადი პოზიციის დამკვიდრებისათვის გააფთრებული ბრძოლა. წვრილმანი ინდივიდუალიზმი და ვიწრო პარტიული, კლანური ინტერესების გამეფება ანგრევს ეროვნულ აზროვნებას, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ იდეალებს. ნუთუ საუკუნეების მიერ ნაჩვენები დამღუპველი შეცდომები ვერ უნდა გავაცნობიეროთ და შევიგნოთ? რატომ არ გვესმის წარსულის და არ ვსწავლობთ ჩვენსავე შეცდომებზე?

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია ბრძანებს, რომ „ზნეობისა და სულიერების დაბალი დონე არის ჩვენში. ღვთის კანონებით რომ გვეცხოვრა, ამდენ უბედურებას ავცდებითო“. ჩვენი დღემდე მოსვლის, უმდიდრესი, თავისთავადი და უდიდესი ეროვნული კულტურის შექმნის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო და არის მართლმადიდებლური აღმსარებლობა. სწორედ იგია ჩვენი ხალხის ნიშანდობლივი ტოლერანტობისა და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის სათავე. ასევე ქართული ეკლესია იყო და არის ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთადერთი გამაერთიანებელი ძალა, საფუძველი და განმსაზღვრელი ჩვენი ეროვნული თვითმყოფელობისა. მაშინაც კი, როდესაც საქართველო დანაწევრებული იყო სამთავრო-სამეფოებად, ეკლესიურად იგი ერთიანი იყო. ამიტომაც მართლმადიდებლური აღმსარებლობა, მისი ისტორიული ღვაწლისა და სადღეისო ამოცანების შესაბამისად, უდავოდ იმსახურებს საქართველოს სახელმწიფო რელიგიად აღიარებას და განსაკუთრებულ პატივს. ჩვენ კი ხშირად მის განქიქებას ვიწყებთ, სხვადასხვა მკრეხელური სტატიებითა და გადაცემებით ვცდილობთ დავაკნინოთ იგი და ვერცხლისმოყვარეობით გზა გაუუხსნათ სხვადასხვა დანაშაულებრივ სექტების თარეშს ჩვენს სამშობლოში. რატომ?

მარლთმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა და მრავალსაუკუნოვანი, ერის გამამთლიანებელი რწმენის შერყევა კიდევ უფრო დაამცირებს, დააპატარავებს და გააქრობს კიდეც იმ დიდ იმედს, რასაც მომავლის ძლიერი ქართული სახელმწიფო პქვია. „ნურც ის დაგვავიწყდება, რომ რომის სახელმწიფოს დაცემის ერთ-ერთი ფაქტორი ისიც იყო, რომ რომაელთა რელიგია თანდათან შეზავდა და განელდა უცხო ქვეყნიდან მოსული რწმენის ნაკადით. საკუთარი სამყაროს დაკარგვამ და უცხოურისადმი ქედმოდრეკილმა დამოკიდებულებამ, ყოველივე უზნეობისადმი კარის გახსნამ და ე.წ. „ფსევდო-პუმანიზმმა“ შეარყია და საბოლოოდ დასცა ადგილობრივი რწმენა. იგივეა ახლაც“. - წერს ბატონი რევაზ ბარამიძე.

„ღვთის კანონებით უნდა გვეცხოვრაო“, - ბრძანებს უწმინდესი და ალბათ ამაშია ყველა იმ კითხვის პასუხი, რაც ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ნამდვილად გაუჩნდება თავისუფლების მოპოვებიდან ერთი ათწლეულის გასვლის შემდეგ. ეს თანაბრად ეხება, როგორც პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტს, ასევე ყველა მოქალაქეს, ყველა ჩვენგანს.

რატომ არ ვიცავთ მშობლიურ მიწა-წყალს? დიდებულ დედაენას? ეროვნულ კულტურას? რატომ შევაქციეთ ზურგი ქართულ გამორჩეულ ტრადიციებს? რატომ ვანგრევთ ეროვნულ ეკონომიკას? ქართულ სკოლას? რატომ არ ვაფასებთ საკუთარ შრომას? რატომ ვერეკებით თანამოძმეებს მონათა ბაზარზე უცხოეთში? რატომ გვიზიდავს უშინაარსო და უტრადიციო, გაორებული და ჩვენთვის მომაკვდინებელი უცხოური მიმართულებები? რას გვაძლევს განათლებაში ზიმბამბვეს, ჩერნოგორიის თუ ლათინური ამერიკის ინდიელთა სასკოლო გამოცდილებისა და ლოტოსის რესპუბლიკაში აპრობირებული საგანმანათლებლო პროგრამების გადმოღება? რატომ ვანგრევთ ეროვნულ სკოლას და რატომ ვანადგურებინებთ სოროსის „პუმანიზმს“ ქაროული ენას, ქართულ ლიტერატურას და საერთოდ საქართველოს ისტორიას? რატომ

ვაკანონებთ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მაინცდამაინც რომელიმე უცხოურ ქვეყანაში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ორიოდე სტატიის გამოქვეყნებას? და რატომ არ ითვლება საქართველოში გამომაკალ სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შრომათა კრებულებში დაბეჭდილი გამოკვლევები გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომად? და ეს მაშინ, როცა მაღალი რანგის სპეციალისტთა და შემფასებელთა ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით? რას ნიშნავს საქართველოში გამოცემული ჟურნალების რომელიმე უცხოური ქვეყნის შესაბამის ორგანოში რეგისტრაცია? რატომ აღიარებს მხოლოდ ამის შემდეგ ასეთ ჟურნალში დაბეჭდილ ნაშრომს გამოქვეყნებულ შრომად ე. წ. „საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო“? რატომ უნდა ითვლებოდეს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, კულტურის, განათლებისა და სხვა დარგის სამეცნიერო პრობლემების შესახებ ინდოეთის, მექსიკის, ტაილანდის, ბანგლადეშის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის ან სხვა დიდი თუ პატარა ქვეყნის რომელიმე გამოცემაში დაბეჭდილი ორგვერდიანი სტატია აუცილებელ საჭიროებად საქართველოში მოქმედი სადისერტაციო საბჭოებისათვის? პოლიტიკური უვიცობაა, ეროვნული წინადაცვეთაა, - თუ განსაკუთრებული ხელშეწყობა მეცნიერებაში კორუფციის გასაღრმავებლად? რატომ ვღებულობთ ისეთ დრაკონულ კანონებს, რომლებიც საქართველოს აფრიკის ჩამორჩენილ ქვეყნებს ამსგავსებს? როგორ შეიძლება ავხსნათ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სადაც მრავალი სპეციფიკური საგანი კვირაში მხოლოდ ერთი ან ორი საათი იკითხება და საშუალო ხელფასი ამ საგნების ლექტორებისათვის 12 ან 24 ლარს შედგენს, მრავალ სხვა გადასახადთან ერთად, თითოეულ თანამშრომელზე კიდევ 16-ლარიანი გადასახადის დაწესება? რატომ არის დღეს ყველაზე დაჩაგრული და პატივაყრილი მასწავლებელი? რატომ არ გვესმის, რომ ქვეყანას, სადაც მომავალი თაობის აღმზრდელს გამორ-

ჩეულ პატივს არ მიაგებენ, მას მოშაყალი არა აქვს? ასეეე არც იმ ქვეყნის მთავრობას აქვს მოშაყალი, რომელიც ამ უმსგავსოებას ეგუება და აკანონებს. რატომ გადმოგვაქვს უშინაარსო, არაესთეტიკური, უგემოვნებო, ჩვენი ენისა და სულისათვის შეუსაბამო ინტონაციები მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, პოეზიაში? რატომ ვებრძვით მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას? რატომ ვანყაქიქებთ წმინდანებს და რატომ ვიცავთ „კრუხის იდეოლოგიას?" რატომ ვუწევთ პროპაგანდას, რატომ წარმოვაჩენთ სიკეთის რანგში და რატომ ვამკვიდრებთ ჩვენი ჯიშისა და „გორისათვის" მიუღებელ, არაადამიანურ პათოლოგიურ გადახრებს? რატომ არ ვიცავთ ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებას? მის გარეშე ხომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს თავისი სტრატეგიული მიზნების განხორციელებას?! რატომ ვუწევთ პრესით და ტელევიზიით დიდ პროპაგანდას ჩვენი ჯიშის გამრავლების შეზღუდვას? თანაც ესოდენ ცინიკურად - „ვიზრუნოთ ერთმანეთზე"? ეს ზრუნვა კი იმით გამოიხატება, რომ უფასოდ გვაძლევენ კონტრაცეპტივებს, ორსულობის საწინააღმდეგო ეფექტიან და ხანგრძლივად მოქმედ საშუალებებს და გვასწავლიან მათ ხმარებას. ასე გასინჯეთ საამისოდ კარგად დაფინანსებული უცხოური პროგრამებიც კი შექმნეს და საშუალო სკოლებში შეიტანეს V-X-კლასელ გოგონების გასათვითცნობიერებლად. მთავარი მაინც ისაა, რომ ჯერ კიდევ 1974 წელს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ დაამტკიცა საიდუმლო გეგმა, კოდური სახელწოდებით - NSSM 200 რომელიც მესამე სამყაროდ წოდებული ქვეყნების (ამ სამყაროში შევდივართ ჩვენც) მოსახლეობათა რიცხოვნობის ზრდის შეჩერებისათვის არის განსაზღვრული. ამ გეგმით შექმნილ „ოჯახთა დაგეგმარების ხელშემწყობი ორგანიზაციები" მოქმედებენ ჩვენს სამშობლოშიც. მათი გაანგარიშებით 2000 წლისათვის დედამიწის მოსახლეობა უნდა შემცირებულიყო 500 მილიონით, 2050 წლისათვის კი 3 მილიარდით. როგორც ჟურნალი „კრიმინალური კურიერ" და გაზეთი „ახალი ეპოქა" წერს, 1990 წლის ივნისში უცხოურ

პრესაში გაჟღონა ინფორმაციამ NSSM 200-ის არსებობის შესახებ და ხმაურიანი სკანდალიც მოპყვა. 3 მილიარდი ადამიანით დედამიწის მოსახლეობის შემცირების იდეა პიტლერსაც არ მოსვლიაო თავში. 1991 წლის შემდეგ განვლილ ათწლეულში რუსეთმაც ჭარბად იგრძნო „დასავლურად ოჯახის დაგეგმარების“ „სიკეთე“. „თავისუფალი სიყვარულის“ (პროსტიტუციის) და ნარკომანიის ლეგალიზაციაზე „დემოკრატიულმა“ ზრუნვამ, ასევე ეპიდემიურმა ალკოჰოლიზმა ის შედეგი გამოიღო, რომ ბოლო ათ წელიწადში რუსეთში ორჯერ შემცირდა შობადობა, სიკვდილიანობა კი 1,5-ჯერ გაიზარდა. დაფიქსირდა 30 მილიონი ალკოჰოლიკი, 2 მილიონი ნარკომანი, 100 ათასამდე შიდსით დაავადებული. დასავლურ ყაიდაზე „ოჯახურ დაგეგმარებას“ შედეგად ისიც მოჰყვა, რომ რუსეთში 6 წლით შემცირდა ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. NSSM 200-ის მიერ შედგენილ საიდუმლო მოხსენებაში - „მსოფლიო მოსახლეობის კონტროლის შესახებ“ ნათქვამია, რომ „2050 წლისათვის რუსეთისა და აშშ-ს მოსახლეობა, შესაბამისად, იქნება 79 და 349 მლნ. კაცი. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში ამჟამად 147 მლნ. კაცი ცხოვრობს, აშშ-ში კი 247 მლნ., ამგვარი გეგმით, რუსეთის მოსახლეობა 70 მლნ. კაცით უნდა შემცირდეს უახლოეს 50 წელიწადში, აშშ-სა კი პირიქით - 75 მლნ.-ით მოიმატებს. ეჰ! ამდენი ადამიანი რუსებს მეორე მსოფლიო ომშიც კი არ დაუკარგავს. აქ კი ისეთი გენიალური იმპერიული სვლაა ჩადებული, რომ უომრად მოუღოს ბოლო შესაძლო მოწინააღმდეგეს“ („ახალი ეპოქა“, 23-25 აპრილი, 2002 წ.).

რუსეთმა თავის თავს თვითონ მიხედოს, მაგრამ ეს მაგალითი ჩვენთვის დიდ გაფრთხილებად უნდა იქცეს. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და „ოჯახთა დაგეგმარების“ დასავლურ ყაიდაზე მოწყობა მოგვსპობს, გაგვანადგურებს, აღგვგვის მიწისაგან ბირისა. რატომ ვაჯიჯგნინებთ თავს უცხოურ ორგანიზაციებს, რომლებსაც აბსოლუტურად არ აინტერესებთ ჩვენი ეროვნული ეკონომიკის, კულტურის, განათლების აღორძინება? მათ აქვთ განსაზღვრული პროგრამა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მათსავე საკუთარ

მიზანს ემსახურება. რატომ ვერ ეხედავთ მათი ჩარევითა და ჩვენი უვიცობით მიღებულ გამუდმებულ რეგრესს ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში? რომ არ არსებობდეს საყალუტო ფონდი თუ სხვა უცხოური ორგანიზაციები, ჩვენ არ უნდა მოვუაროთ ჩვენს მიწა-წყალს? ჩვენს სამშობლოს? დაუსრულებლივ უნდა ველოდოთ მათ ვაირეკომენდაციებს და დაუსრულებლივ გვქონდეს პოლიტიკური ეიფორია? ნუთუ ასე ძნელია მივხვდეთ, რომ არ შეიძლება იყო ქვეყანა და იქცე რომელიმე უცხოური ფონდის დანამატად? რატომ უნდა გვასწავლიდნენ ყველაფერს საშუალო განათლებაზე ბევრად დაბალი დონის უცხოელი „ექსპერტები", „მრჩეველები" ამოდენა წარსულის, დღევანდელობისა და უდიდესი კულტურის ქვეყნის შვილებს? ისინი ხომ თვითონვე მორცხვად აღნიშნავენ ხოლმე - არ ვიცოდით თქვენი დონე და შესაძლებლობებიო, ჩვენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების მსგავსად განეიხილავდითო საქართველოს. და კიდევ რამდენი რატომ? რატომ? რატომ?... ნუთუ მართლა სულ არაფერი ვიცით? ალბათ, თორემ ამდენ ვაიმრჩეველს არ მოვითმენდით. მართლაც, ეღვთოთ, ეღმერთოთ ვანადგურებთ სამშობლოს, თანამემამულეებს, ერთმანეთს და ამ უგუნურ განადგურებაში ლომის წილი სხვადასხვა ზომის რბილ სავარძლებში წამოსკუპებულ ეღმერთოებზე მოდის. თუმცაღა, სხვა რა უნდა მიგვეღო იმ უტიფარი პოლიტიკოსებისა და უვიცი, თავხედი „ბავშვებისაგან", რომლებსაც შრომითი საქმიანობა პირდაპირ პარლამენტისა და მთავრობის წევრობით დააწყებინეს. კარგა ხანია მომწიფდა დრო მათი მოშორებისა. არადა, რამდენი კეთილსინდისიერი, პროფესიონალი, შრომაში გამობრძმედილი, გაწონასწორებული და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი გვყვავს, რომლებიც შესანიშნავად გაუძღვებიან ქვეყნის ეკონომიკას, კულტურას, განათლებას; დაამკვიდრებენ ზნეობას, ააღორძინებენ სულიერებას, ეროვნულ ცნობიერებას და გზას გაუხსნიან ნიჭს საქვეყნო საქმის კეთების ეროვნულ ენერგიას. არ შეიძლება არ დავესესხო ბატონ თამაზ წივწივაძეს - თუ აღარ ისური, თვალი მაინც გაახილეო, ბატონო

პრეზიდენტო.

ქართულმა სკოლამ ქართველი ახალგაზრდა უნდა გაუზარდოს მამულს. იგი ქართული ღირებულებებით უნდა აზროვნებდეს, რაც სრულებით არ ნიშნავს არაევროპულობას და ზოგადსაკაცობრიო იდეალების უარყოფას, რადგან „ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს“ და სწორედაც ამ საკუთარი სახით უნდა გამოირჩეოდეს იგი მსოფლიოს ხალხთა შორის.

ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და სამშობლოს სიყვარულის გასაოცარი გრძნობა დიდმა ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალედ გამოხატა: „სამშობლოს ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულიდან“. „სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები, არც ვის ემონვი და არც იმონებ“, - ასე მიმართავს იგი მომავალ საქართველოს აღმშენებელ გმირს. ეროვნული ცნობიერების გააზრებას, მისი არსის, რაობისა და მნიშვნელობის გაცნობიერებას, გაძლიერებასა და აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დღეკანდელი საქართველოს შვილებისათვის: „ეროვნული ცნობიერება არის ჩვენი სასიცოცხლო მიზანდასახულება და, მეორე მხრივ, იგი მყარ საფუძველს ქმნის მსოფლიო, საკაცობრიო იდეალებთან, კულტურასთან ზიარებისათვის“, - წერს სულ ახლახან დაბეჭდილ ნაშრომში - „წინ ილიასაკენ!“ აკადემიკოსი რევაზ ბარამიძე. „ეროვნული ცნობიერება, ამავდროულად არის ერის იდეოლოგია, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად ავლენს ერის ღირსება-ნაკლოვანებებსა და განსაზღვრავს ერის სახესა და მისი განვითარების პერსპექტივებს“. ეროვნული იდეოლოგია ეფუძნება ეროვნულ ტრადიციებს, ხასიათს, შესაძლებლობებს, რწმენას, ერის ხმას „საკუთარი ხალხის მეობის ძახილს“ და განაპირობებს ერის თვითმყოფადობას. იდეოლოგიის უარყოფა კი ამკვიდრებს ურწმუნოებასა და ნიჰილიზმს, უპასუხისმგებლობასა და ანარქიას, სპობს ჰუმანიზმს, ისტორიულ წარსულს, ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობას, ადამიანურობას. იდეოლოგიის უარყოფა თვითონ არის იდეოლოგია - ოღონდ იდეოლოგია არაადამიანური, რეაქციული და უარმყოფელი იმ ფასეულობებისა, რომლებიც განაპირობებენ ცივილიზაცი-

ის პროცესს, ადამიანთა ურთიერთობებსა და შემდგომ შემოქმედებით თანაარსებობას. ეროვნული იდეოლოგიის უარყოფა ხელს უწყობს საშობლოს უარყოფას, ენის, მამულის, სარწმუნოების უარყოფას, რატომ არის გერმანია გერმანელების, საფრანგეთი ფრანგების, სომხეთი სომხების, ხოლო საქართველო ყველასი? და არა ქართველების? რატომ?

დიდი ილია ჭავჭავაძე ადამიანურობას, მაღალზნეობრიობას, ეროვნული თვითცნობიერების ამაღლებას, საშობლოს სიყვარულის უმაღლეს გრძნობას და საკუთარი ეროვნული საშყაროს განცდას პირდაპირ აკავშირებს საკაცობრიო იდეალებთან, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შესწავლა-შეთვისებასთან და ქართველი ერის განვითარების მყარ პერსპექტივას სახავს.

მრავალჯერ უნდა გავიმეოროთ და შევიგნოთ ერის მამის გაფრთხილება: „დიდი ჭკუა-გონება გვმართებს, დროთა შესაფერი ცოდნა გვჭირდება, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. ყოველივე ეს სწავლის, შრომის, შინაგანი დისციპლინის გარეშე მიუღწეველია. ცხოვრება წინ მიდის, მოვლენები სწრაფად ვითარდება... ყველაფერს სწორად უნდა ავუღოთ ალღო, დიდი სიბეჯითე გამოვიჩინოთ, საღად განვსაჯოთ, არ გადავცდეთ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზიდან, თორემ სხვანი გვაჯობებენ, სხვანი მოვლენ, სხვანი ააშენებენ, სხვანი დათესავენ და სიკეთესაც სხვანი მოიმკიან“.

სწორედ ახლაა აუცილებელი და ფრიად საშური, რომ ჩვენს წინაშე არსებულ მრავალ პრობლემათა შორის გამოვყოთ უმთავრესი. შევისწავლოთ, გავიაზროთ, გავიცნობიეროთ, შევისისხლხორცოთ დიდი ილიას ნააზრევი და მიზანსწრაფვა. დავუჯეროთ ქართველი ერის დიდ მამას, დავუბრუნდეთ წმიდა ილია მართლის სულიერ მრწამსს, რაც ერთადერთი, აუცილებლად ერთადერთი გზაა ჩვენი მომავლის შესაქმნელად და გადასარჩენად.

დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“
5-11 ივლისს, 2002 წ.

ᲬᲐᲛᲝ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐᲕ!

გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა.

ილია

ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრი ადამიანი შემხვდა. ვინ როგორ ცხოვრობდა ამ საწუთისოფლოში და ვინ როგორ. ბევრი სიხარულიც ვიგემე და ბევრი მწარე წუთიც...

ვის გამოუცლია ცხოვრების თასი დაუღვრელად?

არსთა გამრიგე გულთამხილავია. „არა არს დაფარულ, რომელ არა განცხადნეს“! ვის რა ძალა ეძლევა ამ ქვეყნად და ვის კიდევ რა. მე მხოლოდ ეს შევძელი და ასე მგონია, მთავარი მაინც ისაა, რომ გულში სიძულვილი არ შემიშვია. ყოველთვის ვფიქრობდი ჩემს ახლოს მყოფთ მოვფერებოდი. ჩემი არსით, იმ ანძილს ვამოკლებდი სიშორეს რომ ქმნის და სითბოს ანელებს. გულს ვერ ვბრძანებლობდი, ხშირად მიგრძვნია სიყვარულის ნეტარება. ზოგჯერ მ ᲘᲘᲛᲔ წუთიც დამდგომია, მაგრამ ნუგეშს ის მგვრის, რომ ნაᲥᲕᲐᲛᲘᲡᲐ და საქმის მთლიანობას არ ვღალატობდი.

ღირებულებები სწრაფად იცვლება. ამით სარგებლობენ უზნეონი და ცრუ ფასეულობებს ამკვიდრებენ. ხანმოკლეა ეს დამკვიდრება, მაგრამ იგი ძვირად უჯდება მომავალს. მის გადასარჩენად კი მხოლოდ დაუვიწყარი სახეები იღვწიან. ამიტომაც სიყვარულს დანახვა უნდა! დანახვა და თაყვანისცემა!

ეუენ იონესკოს ბოლო ჩანაწერებში ამოვიკითხე: „ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი განცდა ცხოვრებაში - სიბერეაო“. შეუძლებელია არ დაეთანხმო. თუმცა, ბევრს ვიცნობ, რომელ-

იც შეფარვით მაინც უარყოფს ამ განცდას. ნუგეშს, ალბათ, ის გვრის, რომ თავს კარგად ვგრძნობ, გამოცდილებაც დამიგროვდა და ხმაც კარგად მიჟღერსო... თავს ინუგეშებენ, თორემ გრძნობენ წლების სიმუხთლეს... ისიც იციან, ახალგაზრდა გული, რომ სხვაგვარად ძგერს, გონება ნაპერწკლებს აფრქვევს, ხმას კი კამკამა ობერტონები აქვს და ელვარებას გვაგრძნობინებს. იგი ხომ ადამიანის შეობის ძახილია... შინაგანი წყაა და წრფელ გრძნობათა გამომხატველი. ისიც ხომ ნათელია, რომ ხმის ტემბრში ადამიანის ხასიათი და მისი ცხოვრების შინაარსი ვლინდება. ისიც სიბრძნეა, რომ ხმას თავიდანვე სათუთი მოვლა სჭირდება და მისი სილამაზის შენარჩუნებით ახალგაზრდობას ვიხანგრძლივებთ.

ჩემი წლები, ჩემი სიმდიდრე და სიამაყეაო, - უთქვამს ადამიანს. ჭეშმარიტებაა. სიბრძნის სიყვარულით განვლილ წლებს სიბრძნე მოაქვს. ყოველგვარი სიბრძნის გვირგვინი კი, მაინც სიყვარულია. სიყვარული - დიდი ნიჭი, ღმერთისგან მომადლებული.

„ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეურიგდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა. ერს დააბერებს მხოლოდ მონობა... თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა“. მას გაფრთხილება სჭირდება, დიდი ზრუნვა და ძალისხმევა შესანარჩუნებლად. ამიტომ, „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშრომელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის“. შეუძლებელია არ დაეუჯეროთ დიდებულ ვაჟას.

ერთმა მომწერლო ახალგაზრდამ მითხრა, ახლა სხვა დროა,

დიდაქტიკური მწერლობა და შეგონებანი მოძველდაო. არ უნდა იყოს ეს ლამაზი ქალბატონი მართალი. მინდა დავარწმუნო, რომ „ყველა ერი თავის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებით აღმატებულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას". ილიასეული ცხოვრების ამ აზრს „მოძველება" არ ემუქრება. იგი სასიცოცხლო მიზანდასახულებაა - ჩვენი სადღეისო და სამომავლო სახის განმსაზღვრელი.

ფილოსოფოსი მორის დე განდელიაკი ამბობს: „ღმერთს არ სჭირდება, რაც შეუქმნია ყველაფერზე მბრძანებლობდესო". ალბათ, ასეცაა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ადამიანები პატარა კაცუნები არიან და უღმერთონი არცთუ მოსაფერებელი თოჯინებივით გვათამაშებენ. ეს რომ ასეა, ჩვენი ყოველდღიური ყოფა გვიდასტურებს. ვერა და ვერ შევიგნეთ, რომ ყველაფერი რაც გვჭირს, ერთმანეთის შურითა და გაუტანლობითაა. ისიც ვერ შევიგნეთ, რომ არ ვარგა იმ დაწყველილი გზით სიარული, რომელსაც „ჩემს შემდეგო... ჰქვია, „უჩემოდ ვინ იმღერეთა", ან კიდევ „მე ვარ და ჩემი ნაბადიო". პატარაა, ძალიან პატარა ადამიანი! მაგრამ, ფუჭი დიდების მოსაპოვებლად დიდი ნაბიჯებით მიექანება უფსკრულისაკენ. ღმერთის წყალობით, ეს გზა გრძელდება... ეგებ გონს მოეგოსო..., ეგებ მიხვდესო..., ეგებ შემობრუნდესო..., ეგებ გაიგონოსო ჩემი..., - ფიქრობს უფალი. არა და არა. სასწაულს სასწაულზე გვივლენს და განუწყვეტლივ გვაფრთხილებს:

მე ვარ სიცოცხლე, თქვენ კი არ მეძებთ;
მე ვარ გზა, თქვენ კი არ მომყვებით;
მე ვარ ნათელი, თქვენ კი ვერ მხედავთ;
მე ვარ მოძღვარი, თქვენ კი არ მისმენთ;

მე ვარ ერთგული მეგობარი, თქვენ კი არ გიყვარვართ;
მე ვარ უფალი, თქვენ კი არ მემორჩილებით;
მე ვარ ღმერთი თქვენი, თქვენ კი არ ლოცულობთ ჩემდამი;
და თუ თქვენ არა ხართ ბედნიერნი, ნუ
დამადანაშაულებთ მე!

„თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა". უნდა გავფრთხილდეთ! - არ წაგვართვან იგი. განსაცდელს განსაცდელი მოსდევს... და მიდის წუთისოფელი. ჩვენი საუფლოც ხომ წუთია მხოლოდ... არადა, რამდენი სიყვარულია დასაფრთიანებელი, რამდენი სითბოა დასაღვრელი, რამდენის მოსწრება შეიძლება ამ საწუთისოფლოში. ვის ესმის, ვინ გრძნობს და ვინ ხვდება ამას? ვისაც ესმის, ვინც გრძნობს, ვინც ხვდება ამას და უყვარს, უყვარს სიცოცხლე და მოყვასი თვისი, იგი ინარჩუნებს ახალგაზრდობას და გულიც ძალუმად უძგერს. იგი ინარჩუნებს სამშობლოს, თავისუფლებას და ბედნიერებასაც კი.

ჩვენი ცხოვრების ყოველი წამი უნდა შევიგრძნოთ! რამეთუ ამ წამებისაგან შესდგება წუთი. საწუთისოფლო კი არავის ათამამებს. უნდა შევძლოთ ამ საწუთისოფლოში სილამაზის ხილვა, შეგრძნება სიყვარულისა.

მე მოვასწარი სიყვარული, მოვასწარი კი?, იგი დიდმა ტკივილმა შეარყია, მაგრამ ვერ მოკლა. ცისარტყელასაც შევაყლე თვალი, რომელიც უმალ ბნელმა დაჩრდილა, მაგრამ ვერ გააქრო ნათება მისი. ყოველთვის მახსოვდა, რომ „სიმღერა ერის აზრი და მიზანია, მისი სიხარული და წუხილია, ჩვენ კი არც ერთი გვაკლდა და არც მეორე!" ერთი ნათელი სხივია სიმღერა! - პატარაა თუ უდიდესი? ეს შენ გადაწყვიტე ჩემო საოცრებავ. ერთხელ ამღერდი მაინც. ერთი წამით გათავისუფლდი... ო, რა შვებას იგრძნობ!

რომელიღაც პიესის გმირი ამბობს: „ის იტანჯება, მაშას-

ადამე ცოცხლობს". თუ ეს ასეა, და ასეა ალბათ, იგი ყველას ხვედრია და ჩვენც ტანჯვით ვცოცხლობთ, მაგრამ ვცოცხლობთ და სიცოცხლე ბედნიერებაა. ბედნიერად სიცოცხლე კი... თუმცა სიცოცხლე უსიყვარულოდ ვერ ძლებს. სიყვარულია ძალა და თავად ღმერთი, რომელიც ტკივილს ანელებს, იგი შვებას გვგვრის და სიცოცხლით გვავსებს. ხომ არ ვკარგავთ სიყვარულს?

სიცოცხლე მწუხარებას ვერ ეგუება. „კაცთა ცხოვრებაშიც არეულობა მწუხარებით დაწყებულა", არეულობა კი სამშობლოს გვართმევს. „ამიტომ ერთი და იგივე ადამიანი ათას ადგილას არ იბადება, არამედ ერთ ადგილას უნდა დაიბადოს, ერთ ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს!" სხვებზე მეტად უყვარდეს და ერთგულებდეს მას, - გვმოძღვრავს წინაპარი და მოძღვარი ჩვენი.

სიტყვა გამექცევა მიგრძნობს გული. ვერ მოვერიე ფიქრებს. თუმცა, ფიქრებს აყოლილი კაციც ხომ სიყვარულს ეძებს. განვლილ წლებს ეფერება და ხვალის ფიქრზე უფალს შველას თხოვს. რატომ გვახსენდება მხოლოდ ძნელბედობისას იგი? ღმერთი კი მოწყალეა და ;ოველთვის გვფარავს. „ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?" როგორ გავისარჯეთ „ცოდნითა და მარჯვენითა... გვჭირს კი დღეს რომელიმე დროთა შესაფერი სიკეთე?" ზოგი რას ეძახის სიკეთეს და ზოგი რას... საწუთისოფლო კი გვაჩქარებს...

ნუთუ სინანული არ გვიბყრობს მაინც?

სინანული კიბეა, რომელსაც ავყავართ იქ, საიდანაც ჩამოვცვივდით, - მოგვძახის წმიდა მამა

ღმერთო, მოგვმადლე ნიჭი სიყვარულისა სამშობლოს გადასარჩენად!

წამები ვარბიან... გვაჩქარებს საწუთისოფლო.

უძნელესია იყო ადამიანი. მაგრამ... კაცი ხარ და ხამს!

სიმართლეს ამბობს მწერალი ეჟენ იონესკო: „ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ცხოვრებაში გავაკეთე ისაა, რომ დავბერდი“.

ჩვენი დღევანდელობის სინათლე კი წმიდა ილია მართალია - „პოი, წამო სიხარულისავ, ასე სწრაფად სად წახვედი!“



ლევან ასათიანი შვილიშვილებთან: რუსუდან, გიორგი და ნიკოლოზ ასათიანებთან.

შინაარსი

1. გულისთქმა.....7

2. მშობლები.....9

3. სკოლა.....12

4. უნივერსიტეტი.....17

5. გზა ხელოვნებისაკენ.....24

6. კონსერვატორია.....29

7. დავით ანდღულაძე.....36

8. დიდ სცენაზე.....42

9. ვახტანგ ფალიაშვილი.....57

10. „ჩიქვანაიას სკოლა“.....64

11. სამი სიმაღლე - ლამარა ჭყონია, ცისანა ტატიშვილი, მედეა ამირანაშვილი.....73

12. ნათელა ტუღუში.....90

13. ზურაბ ანჯაფარიძე.....93

14. ჰერმან ვედეკინდი.....111

15. ერთი დაუვიწყარი დღე.....118

16. ვახტანგ ჭაბუკიანი.....120

17. გივი აზმაიფარაშვილი.....125

18. შალვა მშველიძე.....129

19. ნოდარ ანდღულაძე.....135

20. დავით გამრეკელი.....154

21. ჯანსუღ კახიძე.....159

22. ლევან სანიკიძე.....165

23. მერაბ კოსტავა.....173

24. რობერტ სტურუა.....180

25. ვლადიმერ გაგუა.....194

26. „საქართველო - 85“.....198

27. ჯიმშერ მუჯირი.....202

28. შალვა ამონაშვილი.....209

29. თავისუფალი პიროვნების განვითარებისათვის.....219

30. კეისარს კეისრისა და ღვთისა ღმერთს.....223

31. პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები.....230

32. წარსულის გასააზრებლად და
მომავლის განსაჭვრეტად.....236

33. ნგრევის თავისუფლება.....246

34. წამო სიხარულისავ!.....264

ვიქტორ (ლევან) ასათიანი
დაუვიწყარი სახეები

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წიგნი დაკაბადონდა და დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარ“-ში

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	არის	უნდა იყოს
8	დასტური, რომ	დასტურია, რომ
15	ჩემს მასწაელებლთა	ჩემს მასწავლებელთა
22	შენ ჩემ	შენ ჩემი
22	დეკანადში	დეკანატში
39	მარია კამევას	მარია კამოევას
44	საჯილდო	საჯილდაო
85	საოერო	საობერო
180	რობერტ სტურა	რობერტ სტურუა
185	ჩანაცერები	ჩანაწერები